



ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

14 ნოემბერი 2014

№ 23 (231)

**უცნობი ჰაშეკი
ეთერ თათარაიძის ლექსები
ვარლამ შალამოვის ნოველები
გალაკტიონი და თედო სახოკია
პაატა ჩხეიძე თეატრალურ კრიზისზე
ლევან ვასაძის მემუარული ჩანაწერები
ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“
სამი კრიტიკოსი ნინო ნადირაძეზე
„ტერორისტული აქტის“ ფარსი
ლევან გელაშვილის ნოველა
შლინკის ტკბილი მუხუდო
ბრანის სამყარო**



შინაარსი

ახალი თარგმანები	2	ვარლამ შალამოვი სამი ნოველა (ორი პანია და ერთი ც მომცრო)
თქმა მართლისა	6	პაატა ჩხეიძე პრიზისი (ორი სპექტაკლი: რობერტ სტურუას „ასულნი“ და ალექსი ჯაყელის „პოკლენის ეფექტი“)
მსპრეს-ინტერვიუ	8	ქეთევან ჯერვალაძე „...ზნა ამაღლებით, ძლევის დიდებით...“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	9	ლევან გელაშვილი დინოზავრის ნინილა
ბიოგრაფიული პროზა	12	როსტომ ჩხეიძე ბალაქტიონის დაუნეარალი ქრონიკა (ბიოგრაფიული რომანიდან „მოციქული (თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკა)“ ეთერ თათარაძე ***ნამდვილ სიყვარულს ვიკვლევ და სხვა ლექსები
პოეზია	20	ანა ამირხანაშვილი კარგი ამბები საგზურამოდან (შეხვედრა ანდრო ბედუკაძესთან)
ლიტერატურული სმოვრება	22	ნიკა თევზაძე უცნობი ჰაშივი
უსსოეთის სმოვრებიდან	23	ლევან ვასაძე სრული ბედნიერება
მოგონებათა სივრდი	28	ეკა ბუჯიაშვილი „მე ბავიარა... საზვერება“ (როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის ნარდგინება)
რეპორაჟი	34	„დელოზა ბრძნობათა ბრძნობაა, შიმოქმედაზა — ბრძნობათა გვირგვინი“ (დარინა ყურუას ესაუბრება იზა ვეფხვაძე)
დიალოგი	38	ირმა მალაციძე, ლელა ცუცქერიძე, ლევან ლორია ნაპირი
ლიტერატურული სმოვრება	40	ვასილ კიკნაძე „ტირორისტული აქტის“ ფარსი (როგორ უპირებდნენ „მოკვლას“ აკაკი ხორავას)
სხვა რაპორით	43	ნინო ვახანია რას ნიშნავს: „ლაპარაკი“ (ნინო ნადირაძის ლირიკული აბრისი)
კრიტიკა	45	ნინო ქუთათელაძე პოეტური აღსარება
	46	ნანა კუცია ფატალურ-საკრალური სივრცე (ნინო ნადირაძის ცვილის ქვეყანა)
	48	ალექსანდრე კვინიხიძე ვიცნობდით საამაყო თანამეამაშულებს (ნინათქმა ზურა კაკუშაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევისათვის)
ახალგაზრდადო. ან კი თქვენი	49	ზურა კაკუშაძე ბრანის სამყარო
	49	ლევ რადიანი მამამოხენი (გივი მალულარია)
დაუვიწყარი სახელები	54	ბერნჰარდ შლინკი ტკპილი მუხუდო
უსსოური ნოველა	55	ელგუჯა მარღია ოთარ ჩხეიძის მონოლოგი
პოეზის ერთი ლექსი	70	ამერიკელთა თვალთ — II
ამ მთისა და იმ გარისა	71	



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 ნოემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ქეთევან ჯერვალაძე, ნინო პეტრიაშვილის ფოტო პრალის ისტორიული ცენტრი

ვარლამ შალამოვი

სამი ნოველა

(ორი პანია და ერთი ცომცრო)

კალიგულა

ბარათი მიღებულ იქნა „რურ“-ში* შებინდებულზე, ჯერ კიდევ საყვირამდე. კომენდანტმა აანთო ბენზინის ლამპა, ნაიკითხა ქალადი და საჩქაროდ გაეშურა განკარგულების გაცემად. კომენდანტს ამქვეყნად აღარაფერი უკვირდა.

„ცოტა ვერ არი, არა?“ — ჰკითხა მორიგე ზედამხედველმა და შუბლზე მიიღო თითი.

კომენდანტმა ცივი მზერა სტყორცნა ჯარისკაცს და იმას მისვე შეაფრიალა, ეს რა წამოვროშეო. თვალი მოარიდა უფროსს და გზას გახედა.

„მოჰყავთ, — თქვა მან, — თავად არდატიევი მოდის“.

ნისლში მოჩანდა ორი თოფიანი ბადრაგა. მათ მოსდევდა მზიდავი და სადავით მოჰყავდა ნაცრისფერი, დამჭლევებული ცხენი. კიდევ უკან კი, გაუქვალავ თოვლში, მოაბიჯებდა ზორბა, ზონზროხა კაცი. თეთრი ცხვრის ტყაპუჭი გაღვლილი ჰქონდა, ბარნულკა-ქუდი კეფაზე მოქცეოდა. ხელში ჯოხი ეჭირა და გამეტებით უთხლამუნებდა ცხენს გაძვალტყავებულ, ტურტლიან, ჩაცვინილ ფერდებზე. ცხენი ყოველ დარტყმაზე ჯანჯლარებდა და ჩანჩალით აგრძელებდა გზას, აღარ ძალუძდა აეჩქარებინა ნაბიჯი.

გასავლელ ჯიხურთან ბადრაგებმა შეაჩერეს ცხენი და არდატიევი ბანცალ-ბანცალით დანინაურდა. თავადაც გახვითქული ცხენით სუნთქავდა და სპირტის სუნით ააყროლა მის ნინაშე მოლტივით გამოჭიმული კომენდანტი.

„მზადაა?“ — ძლივს გასაგონად ჩაიხრინნა.

„მზად გახლავით!“ — მიუგო კომენდანტმა.

„ნათირი ემსაათში! — დაიღრიალა არდატიევი. — შენს კმაყოფაზე აიყვანე. ხალხსა ვსჯი — ცხენი როგორ შევიწყალო? ისე მოვარჯულე, რომა... მესამე დღეა არა მუშაობს, — ბუტბუტებდა იგი და მჯილს ურტყამდა მკერდზე კომენდანტს. — მზიდავის ჩაჯენა მინდოდა. გეგმა ხომ ჩაშლახე. გეგმა... მზიდავი ფიცლობს: მე რა შუაში ვარ, ცხენი არ მუშაობსო. მესამის, — სლოკინებდა არდატიევი, — მჯეერა... ვეუბნები, სადავე მომე-მეთქი. ხელი ვტაცე სადავეს — არ ინძრევა. ფურტყამ — არ ინძრევა. შაქარს ვუნვი — განგებ ნამოვილე შინიდან — არ უნდა. ახ შე გველაძუა! ახლა შენი შრომადღეები სად ჩამოვწერო? გზაც იქით ქონია — ნაცარქეჩებთან, კაცთა მოდგმის მტრებთან — კარცერში. კარცერში ვუკრათ თავი! ცარიელა წყალზე. სამი დღელამით — პირველ ჯერზე“.

არდატიევი თოვლში ჩაჯდა და ქუდი მოიხადა. სველი, აბურდული თმა თვალზე ჩამობობლოდა. წამოდგომა რომ სცადა, შებარბაცდა და უცებ ძირს გაიშხლართა.

ზედამხედველმა და კომენდანტმა სამორიგეოში შეათრიეს. არდატიევის ეძინა.

„შინ წავაბრძანოთ?“


„არ ივარგებს. ცოლს არ ეამება“.

„ცხენს რაღა ვუყოთ?“

„უნდა მოვაყუროთ. რომ გაიღვიძებს და გაიგებს, არ ჩაუსვამთო — დაგვხოცავს. მეოთხეში ჩასვი. ინტელიგენციასთან“.

* РУР (რუსული აბრევიატურა) — Рота усиленного режима. შალამოვის ერთ მოთხრობას სათაურიც ესა აქვს: „რური“, სადაც შენიშნავს, ეს „რური“ რურის ქვანახშირის აუზი არ გეგონოთ, ჩვენი რური — ციხეა ციხეში, ლაგერი ლაგერშიო.

.....
ორმა დარაჯმა, ტუსალთაგან, სამორიგეოში შეშა მოიმარაგეს ლამის გასათევად და ლუმელთან დაანყვეს.
„რას იტყვით, პიოტრ გრიგორიევი?“ — თქვა ერთმა მათგანმა და თვალით ანიშნა კარზე, რომლის მიღმა არდატიევი ხვრინავდა.
„იმას ვიტყვი, რომ არახალია, ძველია... კალიგულა!“
„ხო, ხო, გახსოვთ დერჟავინი?“ — აიტაცა მეორემ, ნელში გაიმართა და გრძნობამორევით წარმოთქვა:



კალიგულავ, შენი ცხენი სენატში ვერ გაბრწყინდება, მარტო კეთილის კეთებით შეიძლება გაბრწყინება...

თამბაქო გააბოლეს და მახორკის ცისფერი კვამლი ნება-ნება იფანტებოდა ოთახში.

მოუქცეველი

სათუთად ვინახავ ჩემს ძველ, დასაკეც სტეტოსკოპს. ეს გახლავთ საჩუქარი, რომელიც ლაგერის საფერშლო კურსების დამთავრების დღეს ნინა სემიონოვნამ, შინაგან სნეულებათა პრაქტიკის ხელმძღვანელმა, მომართვა.

ეს სტეტოსკოპი სიმბოლო და ნიშანია ჩემი დაბრუნებისა ცხოვრებაში, ალექსა თავისუფლებისა, ალექსა ნებისა, აღსრულებული ალექსა. თუმცაღა თავისუფლება და ნებაზე ყოფნა სხვადასხვა რამ არის. მე არასოდეს ვყოფილვარ ჩემს ნებაზე, მხოლოდ თავისუფალი ვიყავი მთელი ჩემი მონიფულობის წლებში. მაგრამ ყოველივე ეს უფრო გვიანდელია, ძალიან გვიანდელია იმ დღიდან, როდესაც ეს საჩუქარი მივიღე ოდნავ გაყურებული ტკივილით, ოდნავ გაყურებული სევდით — თითქოსდა ჩემთვის კი არა, არამედ ვილაც სხვისთვის უნდა ეჩუქებინათ ეს სტეტოსკოპი — სიმბოლო და ნიშანი ჩემი მთავარი გამარჯვებისა, ჩემი მთავარი იღბლისა შორეულ ჩრდილოეთში, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. მე ცხადივც ვგრძნობდი ყოველივე ამას — არ ვიცი, მესმოდა თუ არა, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, როდესაც ვათავსებდი სტეტოსკოპს ჩემს გვერდით, გაცვეთილ ლაგერის საბანქვეშ, წინათ ჯარისკაცისა რომ იყო, საბანი მეორე ან სულაც მესამე ვადისა იქნებოდა, ასეთებს აძლევდნენ კურსანტებს. მოყინული თითებით ველოლიავებოდი სტეტოსკოპს და თითები ვერა ხვდებოდნენ — ხეს ეხებოდნენ თუ რკინას. ერთხელაც ტომრიდან, საკუთარი ტომრიდან, — ხელის ცეცებით, კოვზის მაგივრად, სტეტოსკოპი ამოვაძვრინე. და ამ შეცდომას რაღაც ღრმა აზრი ჰქონდა.

ყოფილი ტუსალები, რომელთაც ლაგერი გაუიოლდათ — თუკი ვინმეს შეიძლება გაუიოლდეს ლაგერი — თავისი ცხოვრების ყველაზე ძნელ ჟამად თვლიან ლაგერისშემდგომ უფულებობას, ლაგერისშემდგომ წონილს, როცა ვერაფრით ვერ ხერხდებოდა ყოფა-ცხოვრებითი მდგრადობა — ის მდგრადობა, მათ რომ შეენია, რათა გაეძლოთ და გადარჩენილიყვნენ ლაგერში. ეს ადამიანები რაღაცნაირად შეეგუენ ლაგერს და ლაგერიც შეეგუა მათ, აძლევდა სარჩოს, ჭერსა და სამუშაოს. განთავისუფლდნენ და ჩვევები მკვეთრად უნდა შეეცვალათ. ადამიანებმა დაინახეს თავიანთი ესოდენ მოკრძალებული იმედების მსხვრევა. ექიმმა,

გვარად კალემბეტმა, ხუთწლიანი ვადა რომ მოიხადა ლაგერში, თავი ვერ გართვა ლაგერისშემდგომ თავისუფლებას და ერთ წელიწადში თავი მოიკლა. ასეთი ბარათი დატოვა: „ყვეყნები არ გვახარებენ“. მაგრამ ყვეყნებში არ ყოფილა საქმე. მეორე ექიმი, გვარად მილერი, მთელი ომი თავგამოდებით იმას ამტკიცებდა, გერმანელი არა ვარ, ებრაელი ვარო — ყოველ კუთხე-კუნჭულში ამას გაპყვიროდა, ყოველ ანკეტაში ამას ლაღადებდა. კიდევ იყო მესამე, ექიმი ბრაუდე — თავისი გვარის გამოისობით სამი წელიწადი იყურებდა ლაგერში და ექიმმა მილერმაც იცოდა, რომ ბედს ხუმრობა არ უყვარს. ექიმმა მილერმა მოახერხა დაემტკიცებინა, რომ გერმანელი არ ბრძანდებოდა. ექიმი მილერი ვადაზე გაათავისუფლეს. მაგრამ ლალი ცხოვრების ერთი წელი რომ იგემა, ექიმ მილერს ბრალად დასდეს კოსმოპოლიტიზმი. ოღონდ ექიმ მილერისათვის ბრალი ჯერ არ წაეყენებინათ. წიგნიერმა უფროსმა, გაზეთებს რომ კითხულობდა და მხატვრულ ლიტერატურასაც ადევნებდა თვალს, წინასწარი გასაუბრებისათვის მიიწვია ექიმი მილერი. რამეთუ ბრძანება არის ბრძანება, მაგრამ ვიდრე გიბრძანებენ, მანამდე რომ მიხვდეს, საით მიემართება „გენერალური ხაზი“ — დიხაჯ დიდი სიამოვნებაა წიგნიერი უფროსებისათვის. ის, რაც დანყო ცენტრში, აუცილებლად მიაღწევდა ჩუკოტკას, ინდიგირკას და იანას, და მთელ კოლიმასაც. ექიმ მილერს ეს მშვენივრად ესმოდა.

არკაგალას დასახლებაში, სადაც ექიმად მუშაობდა მილერი, ფეხსაღაგის ორმოში გოჭი ჩაიხრჩო. გოჭს სული შეხუთვოდა მძღერში, მაგრამ ამოათრის და ატყდა ერთი უმწვავესი დავიდარაბა; ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა საკითხის გადაჭრაში. თავისუფალ დაქირავებულთა დასახლება — ასამდე სული, უფროსები და ინჟინრები, თავიანთი ოჯახებითურთ, მოითხოვდნენ, რომ გოჭი გადაეცათ თავისუფალთა სასაბჭოთაოსათვის — ეს იქნებოდა ნუგბარი — ლორის დაბეგვილი, ასამდე პორცია დაბეგვილისა. უფროსობას ნერწყვი მოსდიოდა. მაგრამ ლაგერის მთლად უფროსი კუჩრენკო დაჟინებით მოითხოვდა, რომ გოჭი ლაგერში გაეყიდათ — და მთელი ლაგერი, მთელი ზონა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილავდა გოჭის ხვედრს. სხვა ყველაფერი გადააგინებდათ. დასახლებაში მიმდინარეობდა კრებები — პარტიული ორგანიზაციისა, პროფკავშირული ორგანიზაციისა, დაცვის რაზმისა.

ექიმ მილერს, ყოფილ ტუსაღს, დასახლებისა და ლაგერის სანიტარული სამსახურის უფროსს, უნდა გადაეწყვიტა ეს უმწვავესი საკითხი. და ექიმმა მილერმა გადაწყვიტა — სასარგებლოდ ლაგერისა. დაინერა აქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ გოჭი ჩაიხრჩო მძღერში, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლაგერის სამზარეულოში. ამგვარი აქტები კოლიმაზე ცოტა როდი ყოფილა. კომპოტი, რომელიც ნავთს აყვარებინა. „თავისუფალ დაქირავებულთა მალაზიაში გასაყიდად არ ვერგა, მაგრამ შეიძლება გაირეცხოს და მიეყიდოს ლაგერის სამზარეულოს“.

აი, სწორედ ამ აქტს გოჭის თაობაზე მოანერა ხელი მილერმა ერთი დღით ადრე კოსმოპოლიტიზმზე გასაუბრებამდე. ეს — უბრალო ქრონოლოგიაა, ისაა, რაც მცხსიერებაში რჩება, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტი, როგორც ნიშანდობლივი მოვლენა.

გამომიძებლთან საუბრის შემდეგ მილერი შინ არ წასულა, ზონაში შევიდა, ექიმის ხალათი ჩაიცვა, თავისი კაბინეტი გააღო, შპრიცი გამოიღო კარადიდან და მორფიუმის ხსნარი ვენაში შემოშაპუნა.

რისთვისაა მთელი ეს მონათხრობი — თვითმკვლელ-ექიმებზე, გოჭზე, მწვირეში რომ ჩაიხრჩო, ტუსაღთა სიხარულზე, საზღვარი რომ არ ჰქონდა? და აი, ახლავე მოგახსენებთ, რისთვისაც არის.

ჩვენთვის — ჩემთვისა და ასი ათასობით სხვათათვის, რომლებიც ლაგერში ექიმებად როდი მუშაობდნენ, ლაგერისშემდგომი დრო იყო გაბმულ-გადაბმული ბედნიერება — ყოველდღიური, ყოველწამიერი. ძალზე მრისხანე ჯოჯოხეთი დაგვრჩა ზურგსუკან, და ვერავითარი გაჯახიერება სპეცგანყოფილებებსა და კადრების განყოფილებებში, ვერავითარი ნონიალი, ვერავითარი უფლებობა საპასპორტო სისტემის ოცდამეცხრამეტე სტატისისა ვერ გვართმევდა ბედნიერების, სიხარულის ამ შეგრძნებას — იმასთან შედარებით, რაც ჩვენს გუშინდელსა და გუშინდინდელ დღეებში ვიხილეთ.

საფერშლო კურსების კურსანტისათვის მესამე თერაპიულ განყოფილებაში პრაქტიკაზე მოხვედრა დიდი პატივი გახლდათ. მესამე განყოფილებას ხელმძღვანელობდა ნინა სემიონოვნა — ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის დიაგნოსტიკური თერაპიის კათედრის ყოფილი დოცენტი.

მხოლოდ ორ სულს, ორ კურსანტს ოცდაათიდან შეეძლო ერთთვიანი პრაქტიკის გავლა მესამე თერაპიულ განყოფილებაში.



მხატვარი ბადრი გაგნიძე

პრაქტიკა, ცოცხალი დაკვირვება ავადმყოფებზე — ახ, რა უსასრულოდ შორსაა ეს წიგნებისგან, „კურსისგან“. წიგნებით ვერ გახდები მედიკი — ვერც ფერშალი და ვერც ექიმი.

მესამე განყოფილებაში გაამწესეს მხოლოდ ორი კაცი — მე და ბოკისი.

— ორი კაცი? რატომ?

ნინა სემიონოვნა იყო მოკუზული, მწვანეთვალე ბნირი ქალი, ჭალარა, ნაოჭებმოყრილი, უჟმური.

— ორი კაცი? რატომ?

— ნინა სემიონოვნას ქალები ეჯავრება.

— ეჯავრება?

— ესე იგი არ უყვარს. ერთი სიტყვით, ორი კაცი. ბედი ჰქონიათ!

კურსების სტაროსტამ, მუზა დმიტრიევნამ, მე და ბოკისი წარგვადგინა ნინა სემიონოვნას მწვანე თვალთა წინაშე.

— თქვენ აქ დიდხანია ხართ?

— ოცდამეცხრამეტიდან.

— მე კი ოცდათვრამეტიდან ვარ. ჯერ ელგენზე ვიყავი. იქ სამასი მშობიარობა მივიღე. ელგენამდე კი მშობიარობა არასოდეს მიმელო. მერე იყო ომი — ქმარი კიევში დამელუპა. და ორი ბავშვი. ბიჭები. ბომბი.

ჩემს ირგვლივ გაცილებით მეტს ამოხდომოდა სული, ვიდრე ომის ნებისმიერ ბრძოლაში, ყოველგვარი ომის გარეშე, ყოველგვარ ომამდე ამოხდომოდათ. და მაინც. უბედურება ნაირნაირია, ისევე როგორც ბედნიერება.

ნინა სემიონოვნა ავადმყოფის სანოლზე ჩამოჯდა საბანი განზე გასწია.

— აბა, დავინყოთ. აიღეთ ხელში სტეტოსკოპი, მიადეთ მკერდზე ავადმყოფს და უსმინეთ... ფრანგები პირსახოცს მიადებენ ხოლმე და ისე უსმენენ. მაგრამ სტეტოსკოპი უფრო მართებულია, ყველაზე საიმედოა. მე ფონენდოსკოპების თაყვანისმ-

ცემელი არა ვარ, ბატონკაცი ექიმი ხმარობს ფონენდოსკოპებს — ეზარება, რომ ავადმყოფისკენ დაილუნოს. სტეტოსკოპი... იმას, რასაც მე თქვენ გიჩვენებთ, ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ იპოვით. აბა, უსმინეთ.

კანშემორტყმული ჩონჩხი ნინა სემიონოვნას განკარგულებებს მორჩილად ასრულებდა. ჩემს განკარგულებებსაც ასრულებდა.

— უსმინეთ ამ კოლოფისებრ ბგერას, ამ ყრუ ელფერს. სამუდამოდ დაიმახსოვრეთ, ისევე როგორც ეს ძვლები, ეს გამომშრალი კანი, ეს ბრჭყვიალი თვალებში. დაიმახსოვრებთ?

— დავიმახსოვრებ. სიკვდილამდე არ დამავინწყდება.

— გახსოვთ, როგორი ბგერა იყო გუშინ? აბა, ისევ მოუსმინეთ ავადმყოფს. ბგერა შეცვლილა. ეს ყველაფერი აღწერეთ — ავადმყოფობის ისტორიაში ჩაწერეთ. თამამად. მტკიცე ხელით. პალატაში ოცი ავადმყოფი იწვა.

— საინტერესო ავადმყოფები ახლა არ არის. ის კი, რაც თქვენ ნახეთ — ესაა შიმშილი, შიმშილი და შიმშილი. მარცხნივ ჩამოჯექით. აი აქ, ჩემს ადგილზე. მარცხენა ხელი მხრებში ჩაავლეთ ავადმყოფს. მაგრად, უფრო მაგრად. რა ისმის?

მე ვუამბობდი.

— კეთილი. ახლა სადილის დროა. წადით, გამცემში დაგაპურებენ.

გათქვირებულმა კერძის დამრიგებელმა შურამ გულუხვად დაგვისხა „საექიმო“ სადილი. საავადმყოფოს დიასახლისის მუქი ფერის თვალები მე მილიმოდნენ, მაგრამ უფრო მეტად თავის თავს უღიმოდნენ, სადღაც შიგნით...

— ეს რატომაა, ოღვა ტომასოვნა?

— აა, შეგიმჩნევიათ. მე ყოველთვის სხვა რამეზე ვფიქრობ. წარსულზე, გუშინდელზე. ვცდილობ, რომ დღევანდელი არ დავინახო.

— დღევანდელი არაა ძალიან ცუდი, მაგრამ ძალიან საზარელია.

— წვნიანი კიდევ დაგისხათ?

— დამისხით.

მე რა მემუქთვალეობდა. გაკვეთილი ნინა სემიონოვნასთან, სამკურნალო ხელოვნების დაუფლება მთელ ქვეყნიერებას მერჩივნა.

ნინა სემიონოვნა ცხოვრობდა თავისი განყოფილების იმ ოთახში, რომელსაც კოლიმაზე „კაბინკას“ ეძახდნენ. პატრონის გარდა იქ არასოდეს არავინ შესულა. თავად ნინა სემიონოვნა ალაგებდა და ჰგვიდა იქაურობას. ის კი არ ვიცი, იატაკს რეცხავდა თუ არა. ღია კარიდან მოჩანდა ხმელი, ცუდად დაგებულ საწოლი, საავადმყოფოს პატარა ტუმბი, ტაბურეტი, ნათეთრი კედლები. კიდე იყო პატარა კაბინეტი „კაბინკის“ გვერდით, ოღონდ კარი იღებოდა პალატაში და არა — დერეფანში. კაბინეტში იდგა მაგიდა, მსგავსი სანური მაგიდისა, ორი ტაბურეტი, ტახტი.

ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც სხვა განყოფილებებში და მაინც რაღაცით არ ჰგავდა; აქ ყვავილები რომ არსად ჩანდა — არც „კაბინკაში“, არც კაბინეტში, არც პალატაში. ეგებ ნინა სემიონოვნას სიმკაცრე, მისი გაუცინრობა იყო დამნაშავე? მისი მუქი მწვანე თვალები ზურმუხტოვანი ცეცხლით ინთებოდა ხოლმე რაღაცნაირად აცა-ბაცა, უადგილოდ. საუბართან, საქმესთან დაუკავშირებლად ენთებოდა თვალები. მაგრამ ისინი თავისთვის როდი ცხოვრობდნენ — არა, თვალები ცხოვრობდნენ ნინა სემიონოვნას გრძნობებსა და ფიქრებთან ერთად.

განყოფილებაში არ სუფევდა მეგობრობა, თუნდაც მთლად ზედაპირული მეგობრობა — სანიტრებისა, მედღებისა. ყველანი, როგორც წესი, სამსახურში მოდიოდნენ სამუშაოდ, სამორიგოდ, და ჩანდა, რომ მესამე თერაპიული განყოფილების თანამშრომელთა ჭეშმარიტი ცხოვრება — ქალთა ბარაკშია, სამსახურის შემდეგ, მუშაობის შემდეგ. ლაგერთა საავადმყოფოებში, ჩვეულებრივ, ჭეშმარიტი ცხოვრება ეკვრის, ენებება მუშაობის ადგილსა და დროს — განყოფილებაში სიხარულით მიემუხრებიან, რათა მალე მოშორდნენ წყეულ ბარაკს.

მესამე თერაპიულ განყოფილებაში მეგობრობა არ სუფევდა. სანიტრებსა და მედღებს ნინა სემიონოვნა არ უყვარდათ. მხოლოდ პატივსა სცემდნენ. ეშინოდათ. ეშინოდათ საზარელი ელგენისა, კოლიმური საბჭოთა მეურნეობისა, სადაც ტყეშიც და მიწაზეც ტუსალი ქალები მუშაობდნენ.

ყველას ეშინოდა, შურა-დამრიგებლის გამოკლებით.

— აქ კაცის მოყვანა სახლავფორთო საქმეა, — ამბობდა შურა და გარეცხილ ჯამებს რახა-რუხით ისროდა კარადაში. — მე რა მიშავს, მაღლობა ღმერთს, მეხუთე თვეზე ვარ. მალე „ელგენში“ გამგზავნიან — გამათავისუფლებენ! დედიკოებს ყოველწელს ათავისუფლებენ: წყალნაღებულებს ეს ერთადერთი შანსი გაგვანია.

— ორმოცდამეფორამეტე სტატიას არ ათავისუფლებენ.

— მე მეთაე პუნქტი მაქვს. მეთაე პუნქტს ათავისუფლებენ. ტროცკისტები არა ვართ. აქ შარშან კატიუშკა მუშაობდა ჩემს ადგილზე. მისი კურო, ფედია, ახლა ჩემთან ცხოვრობს — კატიუშკა ბავშვიანად გაათავისუფლეს. გამოსამშვიდობებლად მოვიდა. ფედია ეუბნება: „გახსოვდეს, მე გაგათავისუფლეს“. ეს ხომ ვადის გასვლით არ არი, არც ამნისტიით, არც მწვანე პროკურორით,* მხოლოდ საკუთარი მარისფათით არი, ყველაზე საიმედო რომაა... და მართლაც — გაათავისუფლა. მგონი მეც გაათავისუფლა...

შურამ ნდობით მიგვანიშნა თავისი მუცელი.

— გაგათავისუფლა ალბათ.

— ჰოდა ეგ არი, რაც არი. ამ წყეულ განყოფილებას გავეცლები.

— და აქ რა საიდუმლოებაა, შურა?

— შენ თვითონ დაინახავ. მოდი აჯობებს, სამედიცინო წვნიანი მოგხარშოთ. ხვალ ხომ კვირადღეა. თუმცა ნინა სემიონოვნას ძალიანაც არ უყვარს ეს დღესასწაულები... ეგებ მაინც დაგვრთოს ნება.

სამედიცინო წვნიანი — ეს იყო წვნიანი მედიკამენტებისგან — ყველანაირი ძირძურები, განზავებული ფიზიოლოგიურ ხსნარში — და მარილიც აღარ უნდა, — როგორც ალტაცებით მაცნობა შურამ... კისელი მოცვისა და ჟოლოსი, ასკილი, ბლინურები.

სამედიცინო სადილი ყველას ეამა. ნინა სემიონოვნამ თავისი პორცია მოათავა და წამოგადა.

— შემოდით ჩემთან კაბინეტში.

შევედი.

— თქვენთვის ერთი პატარა წიგნი მაქვს.

ნინა სემიონოვნამ ხელი მოაფათურა მაგიდის უჯრაში და წიგნი ამოაძვრინა, ლოცვანს რომ წააგავდა.

— სახარებაა?

— არა, სახარება არ არის, — დინჯად წარმოთქვა ნინა სემიონოვნამ და მწვანე თვალები გაუბრწყინდა. — არა, სახარება არ არის. ეს — ბლოკია. აიღეთ. — უსუფთაო ნაცრისფერი პანია ტომი, „პოეტის ბიბლიოთეკის“ მცირე სერიიდან, მორცხვად და მოწინებით ავიღე ხელში. ჩემი მოყინული თითების უხეში, ჯერ კიდევ საბადოსდროინდელი კანით შევეხე წიგნის ყუას, მაგრამ ვერც ფორმა და ვერც სიდიდე ვერ ვიგრძენი წიგნისა. შიგ ქალაღდის სანიშნი იდო.

— წამიკითხეთ ეს ორი ლექსი. სადაც სანიშნებია.

— „მღეროდა ასული მგალობელთ გუნდში“... „ცისფერ, შორეულ საძინებელში“. ეს ლექსები ოდესღაც ზეპირად ვიცოდი.

— ოჰო! აბა, თქვით.

დავინყე, მაგრამ სტრიქონები მაშინვე დამავინწყდა. მეხსიერება უარობდა ლექსების „გაცემას“. სამყარო, საიდანაც საავადმყოფოში მოვედი, ულექსოდაც იოლას გადიოდა. ჩემს ცხოვრებაში იყო დღეები, არცთუ ცოტაოდენი, როდესაც ვერ ვიხსენებდი ლექსებს და არავითარი ლექსების გახსენებაც არ მსურდა. მიხაროდა ეს, როგორც გათავისუფლება ზედმეტი ტვირთისგან, რომელიც ჩემს ბრძოლაში ცხოვრების ქვედა სართულზე

* მწვანე პროკურორი — საბჭოთა ტუსალების ჟარგონზე ნიშნავდა ტყეს, ე.ი. გაქცევას ლაგერიდან.

საქვეყნო

ლებზე, ცხოვრების სარდაფებში, ცხოვრების სანაგვე ორმოებში არაფრად მჭირდებოდა. ლექსები იქ მხოლოდ ხელს მიშლიდნენ.

— ნამიკითხეთ წიგნში.

ორივე ლექსი ნავეუკითხე და ნინა სემიონოვნა ატირდა.

— თქვენ გესმით, რომ ბიჭუნა მოკვდა?! დიას, მოკვდა. ნადით, იკითხეთ ბლოკი.

მთელი ღამე, მთელი მორიგეობა, ხარბად ვკითხულობდი ბლოკს. „ასულისა“ და „ცისფერი საძინებლის“ გარდა იქ იყო „შელოცვა ცეცხლით და ბნელით“, სადაც ვოლოხოვასადმი მიძღვნილი ცეცხლოვანი ლექსები ბინადრობდნენ. ამ ლექსებმა გამოაღვიძეს სრულიად სხვა ძალები. სამი დღის შემდეგ წიგნი დავუბრუნე ნინა სემიონოვნას.

— თქვენ გეგონათ, რომ სახარებას გთავაზობდით. მე სახარებაცა მაქვს. აი... — მსგავსი ბლოკისა, ოღონდ არა უსუფთაო-ცისფერი, არამედ მუქი ყავისფერი პატარა ტომი ამოძვრა მაგიდის უჯრიდან.

— ნაიკითხეთ პავლე მოციქული. კორინთელთა მიმართ... აი, აგერ.

— ნინა სემიონოვნა, მე რელიგიური გრძნობა არ გამაჩნია. მაგრამ, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივისცემით ვეპყრობი...

— როგორ? თქვენ, ათასი სიცოცხლით რომ გიცხოვრიათ? თქვენ — მკვდრეთით აღმდგარი? თქვენ არ გაგაჩნიათ რელიგიური გრძნობა? განა ცოტა იხილეთ აქ ტრაგედიები?

ნინა სემიონოვნას სახე მოეჭმუჭნა, დაუბნელდა, ჭაღარა თმა გაეშალა, გამოუცურდა ექიმის თეთრი თავსაბურღიდან.

— თქვენ ნაგაკითხებთ წიგნებს... ჟურნალებს.

— მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალს?

— არა, მოსკოვის საპატრიარქოსას არა, არამედ იქიდან...

ნინა სემიონოვნამ აიქნია თეთრი სახელო, ანგელოზის ფრთას რომ ჰგავდა, მაღლა მანიშნებდა... საით? „ზონის“ მაგთულხლართს მიღმა? საავადმყოფოს მიღმა? თავისუფალ დაქირავებულთა დასახლების მიღმა? ზღვის გადაღმა? მთებს გადაღმა? საზღვარგარეთ? მინისა და ცის ზღვარს იქით?

— არა, — ვთქვი მე უჩუმარი ხმით და ჩემმა შინაგანმა გამოცარიელებამ შემაფრთოლა.

— განა ადამიანური ტრაგედიებისგან ხსნა მხოლოდ რელიგიაშია? — ფრაზები გორაობდნენ ტვინში და მის უჯრედებს ტკივილს აყენებდნენ. მეგონა, რომ ეს სიტყვები უკვე დიდი ხანია დამვიწყებოდა. და აგერ, ხელახლა გამოჩნდნენ სიტყვები — და რაც მთავარია, ჩემი საკუთარი ნების კარნახით. ეს სასწაულს ჰგავდა. კიდევ ერთხელ გავიმეორე, თითქოს ქალაქზე დაწერილს ანდა წიგნში დაბეჭდილს ვიმეორებდი: — განა ადამიანური ტრაგედიებისგან ხსნა მხოლოდ რელიგიაშია?

— მხოლოდ, მხოლოდ... თავისუფალი ბრძანდებით.

გამოვედი, სახარება ჯიბეში ჩავიდე, და რატომღაც ვფიქრობდი არა კორინთელებზე, არა პავლე მოციქულზე და არც ადამიანის მეხსიერების სასწაულზე, აუხსნელ სასწაულზე, ეს-ეს არის, რომ მოხდა, არამედ სრულიად სხვა რაღაცაზე. და როდესაც წარმოვიდგინე ეს „სხვა რაღაც“, მე მივხვდი, რომ ხელახლა დავბრუნდი ლაგერის სამყაროში, ლაგერის შეჩვეულ სამყაროში, „რელიგიური ხსნის“ შესაძლებლობა ძალზე შემთხვევითი და ძალზე არამინიერი იყო. სახარება ჯიბეში რომ ჩავიდე, ერთადერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში: დღეს ვახშამს მომიცემენ თუ არა-მეთქი.

ოლგა ტომასოვნა თბილი თითებით შემეხო იდაყვზე. მუქი ფერის თვალები უცინოდა.

— ნაბრძანდით, ნაბრძანდით, — თქვა ოლგა ტომასოვნამ და შესასვლელი კარისკენ მიბიძგა. — თქვენ ჯერ არა ხართ მოქცეული. ასეთებს ჩვენთან ვახშამს არ აჭმევენ.

მეორე დღეს ნინა სემიონოვნას სახარება დავუბრუნე და მან მკვეთრი მოძრაობით ჩამალა წიგნი მაგიდის უჯრაში.

— თქვენი პრაქტიკა ხვალ მთავრდება. მომეცით, ხელს მოგიწეროთ თქვენს ბარათზე, თქვენი ჩათვლის წიგნაკზე. და აი, თქვენ საჩუქარიც — სტიტოსკოპი.

1938 წლის შემდეგ პავლოვს უბოძეს ორდენი და ახალი სამსახური — თათრეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ნარკომის პოსტზე. გზა ნაჩვენები იყო — მთელი ბრიგადები გაემწესებინათ საფლავთა სათხრელად. პელაგრა და ბლატარები, ზადრაგა და ალიმენტარული დისტროფია, რამდენიც შეეძლოთ, ირჯებოდნენ. ნავიანიევი ჩარევა მედიცინისა ხსნად ევლინებოდა ვისაც გასწვდებოდა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რასაც გასწვდებოდა — გადარჩენილი ადამიანები სამუშაოდ კარგავდნენ ადამიანურ იერს. იმჟამინდელ ჯელგალას საბაღოზე „სიაში აღრიცხული“ სამი ათასი კაციდან სამუშაოზე გამოდიოდა 98 — დანარჩენი განთავისუფლებულნი იყვნენ მუშაობიდან ან ირიცხებოდნენ უსასრულო „ოპა-ოკებში“* ანდა დროებით ათავისუფლებდნენ.

დიდ საავადმყოფოებში შემოღებულ იქნა გაუმჯობესებული კვება და ტრაუტის** სიტყვები, რომ „წარმატებული მკურნალობისათვის საჭიროა ავადმყოფთა კვება და დაბანვა“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დიდ საავადმყოფოებში შემოღებულ იქნა დიეტური კვება — რამდენიმე სხვადასხვა „ტაბლა“. მართალია, პროდუქტები ნაირნაირი არ ყოფილა და ხშირად „ტაბლა“ თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მაგიდისგან, მაგრამ მაინც...

საავადმყოფოს ადმინისტრაციას ნება დართეს, რომ განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფთათვის დაემზადებინათ „სპეც-შეკვეთა“ — საავადმყოფოს მენიუს ფარგლებს გარეთ. ამ „სპეცშეკვეთების“ ლიმიტი მცირე გახლდათ — ერთი თუ ორი სამას ავადმყოფზე.

ოღონდ უბედურება ის იყო, რომ ავადმყოფი, ვისაც გამოუწერდნენ „სპეცშეკვეთას“ — ბლინურას, ხორცის კატელეტს ან კიდევ რაღაც სხვას, ასევე ზღაპრულს — უკვე ისეთ დღეში იყო, რომ ჭამითაც ველარაფერს ჭამდა და კოვზიდან რომ ალოკავდა ამა თუ იმ „კერძს“, ლონემიხილი, სასიკვდილოდ გამზადებული თავს განზე მიაბრუნებდა.

ტრადიციის მიხედვით, ეს მეფური ნასუფრალი უნდა მოეთავებინა მეზობელ სანოლზე მწოლიარეს ანდა იმ ავადმყოფს მოხალისეთაგან, რომელიც მძიმე ავადმყოფს უვლის და საინტრესს ესმარება.

* **ОП** და **ОК** — რუსული აბრევიატურებია: **Оздоровительный пункт** (გამაჯანსაღებელი პუნქტი) და **Оздоровительная команда** (გამაჯანსაღებელი გუნდი). შალამოვი თავის ნარკვევაში „მწვანე პროკურორი“ გვაუწყებს, რომ უკვე 1939 წელს დაუძღვრებულ მუშაკაცთათვის პირველად დაარსდა ეს ე.წ. „ოპა-ოკები“. მაგრამ რამდენადაც „გამაჯანსაღებას“ სჭირდებოდა რამდენიმე წელიწადი და არა რამდენიმე დღე, ამ დანახებულებებმა სასურველი ზემოქმედება ვერ მოახდინა სამუშაო ძალების აღდგენაზე. სამაგიეროდ, საოხუნჯო შაირი (**Частушка**) დაამახსოვრა ყველა კოლიმელს, ვისაც სჯეროდა, რომ ვიდრე ტუსალი ინარჩუნებს ირონიას, ის ადამიანად რჩება: „**Сначала ОП, потом ОК, На ногу бирку и пока!**...“

ტუსალს როცა მარხავდნენ, ბირკას ანუ პირადი საქმის ნომრიან საქმეს მარცხენა ფეხზე მიაბამდნენ ხოლმე.

** ვალენტინ ტრაუტი — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, კოლიმის ტუსალთა ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ქირურგი. „ბრაუდეს“ ფსევდონიმით ფრიად კოლორიტულ ფიგურად გამოიყურება შალამოვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოთხრობაში „უკანასკნელი ბრძოლა მაიორ პუგაჩოვისა“: კოლიმის ლაგერთა დაცვის უფროსი, გენერალ-მაიორი არტიემივი უამბობს ბრაუდეს 12 ტუსალს გაქცევისა და მათი გრანდიოზული დევნის ამბავს. ბრაუდე, შავი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული პიროვნება, უდრტივინველად წარმოთქვამს: ყველაფერ აჯობებდა, რომ თვითმფრინავები გამოგეძახათ, ორი-სამი ესკადრილია საკმარისი იქნებოდა, დაგებომათ და დაგებომათ... ანდა სულაც ატომური ბომბი გეთხლიშათო! თქვენ ხუმრობის გუნებაზე ხართ, მე კი რა მეხუმრება, ალბათ სამსახურიდან დამითხოვენ და სამართალშიც მიმცემენო, — ამბობს გენერალ-მაიორი არტიემივი და ენა კიდევ უყვივებს: თანამდებობიდან ხომ ხსნიან და დაცვის სამსახურიდანაც დაითხოვენ, როგორც გვამცნობს შალამოვი.

ეს იყო პარადოქსი, ანტითეზის დიალექტიკური ტრიადისა. სპეცშეკვეთას აძლევდნენ მაშინ, როდესაც ავადმყოფს აღარ ძალუძდა რამე ეჭამა. პრინციპი, ერთადერთი შესაძლებელი, რასაც ეყრდნობოდა „სპეცშეკვეთათა“ პრაქტიკა, ასეთი იყო: ყველაზე გამოფიტულს, ყველაზე დაძაბუნებულს.

„სპეცშეკვეთის“ გამოწერა ამიტომაც იქცა მოახლოებული სიკვდილის მრისხანე ნიშნად და სიმბოლოდ. „სპეცშეკვეთებს“ უნდა დაეზაფრა ავადმყოფები, მაგრამ დაჯილდოებულთა ცნობიერება უკვე ისე იყო დაბნელებული, რომ თავზარი მათ კი არ ატყდებოდათ, არამედ — დიეტური შკალის „პირველი“ ტაბლის მფლობელებს, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდათ სალი გონება და გრძნობები.

საავადმყოფოს განყოფილების გამგის წინაშე ყოველთვის დგებოდა ეს უსიამო კითხვა, რომელზეც ნებისმიერი პასუხი უზუნეოდ გამოიყურებოდა — „სპეცშეკვეთა“ დღეს ვის უნდა გამოვუწეროთ?

ჩემს გვერდით იწვა ახალგაზრდა, ოციოდე წლის ჯეელი, და კვდებოდა ალიმენტარული დისტროფიისგან, რომელსაც იმ წლებში ეწოდებოდა „პოლიავიტამინოზი“.

„სპეცშეკვეთა“ გადაქცეულიყო სწორედ იმ კერძად, რომელიც სიკვდილმისჯილს შეეძლო შეეკვთა სიკვდილით დასჯის დღეს, გადაქცეულიყო ადამიანის უკანასკნელ სურვილად, ციხის ადმინისტრაცია ვალდებული რომ იყო — უსათუოდ შეესრულებინა.

ის ჯეელი იწუნებდა საჭმელს — შვრიის წვნიანს, ქერის წვნიანს, შვრიის ფაფას, ქერის ფაფას, და როდესაც მანანის ფაფაც იუარა, „სპეცშეკვეთაზე“ გადაიყვანეს.

— რაც კი გაგიხარდება, მიშა, გესმის, რასაც კი ინატრებ, იმას მოგართმევენ, გაიგე? — ეუბნებოდა ექიმი, ავადმყოფის სანოლზე რომ ჩამომჯდარიყო.

- მიშა უმწეოდ და სიხარულით იღიმებოდა.
- აბა თქვი, რა გინდა? ხორცის წვნიანი?
- აარა... — თავი გააქნია მიშამ.
- ხორცის კატლეტი? ხორცის ღვეზელი? ოლაღები მურაბით?

- მიშა ისევ აქნევდა თავს.
- აბა თქვი, თავად შენა თქვი...
- მიშამ რალაც ამოიხრინა.
- რაო? რა თქვი?
- გალუშკი.
- გალუშკი?

მიშამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და გაღიმებული გადანვა ბალიშზე. ბალიშიდან თივის ნაფშენეტი ცვიოდა. მეორე დღეს მოუხარშეს „გალუშკი“.

მიშა გამოცოცხლდა, კოზი აიღო, ოხშივრიანი ჯამიდან გალუშკა ამოაძვრინა და გალოკა.

- არა, არ მინდა, უგემურია.
- იმავე საღამოს სული განუტევა.
- მეორე ავადმყოფი, ვისაც „სპეცშეკვეთა“ ერგო, გახლდათ ვიქტოროვი, კუჭის კიბოზე რომ ჰქონდათ ეჭვი. მთელი თვე უწერდნენ „სპეცშეკვეთას“ და სხვა ავადმყოფები ბრაზობდნენ, რომ არა კვდებოდა — ეს ძვირფასი ულუფა სხვა ვინმესთვის მიგეცათო. ვიქტოროვი კი არაფერს ჭამდა და ბოლოსდაბოლოს მოკვდა. კიბო არ აღმოაჩნდა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გამოფიტვა სჭირდა — ალიმენტარული დისტროფია.

როდესაც იწინერ დემიდოვს, ავადმყოფს მასტოიდიტის ოპერაციის შემდეგ, გამოუწერეს „სპეცშეკვეთა“ — მან უარი სტკიცა:

- ამ პალატაში მე ყველაზე მძიმე როდი ვარ. — კატეგორიულად იუარა და არა იმიტომ, რომ „სპეცშეკვეთა“ საზარელი რამ იყო, არა, დემიდოვი თავს უფლებას არ აძლევდა, აელო ასეთი ულუფა, სხვა ავადმყოფებს უფრო შეერგებათო. ექიმებს კი ოფიციალური გზით ენადათ სიკეთე დემიდოვისათვის.
- აი, რას წარმოადგენდა ეს „სპეცშეკვეთა“.

რუსულიდან თარგმნა
თამაზ ნატროშვილი

პაატა ჩხეიძე

პრიზისი

ორი სპექტაკლი ვნახე სექტემბრის თვეში. ალექსი ჯაყელის „პოკლენის ეფექტი“ და რობერტ სტურუას „ასულნი“. ეს სპექტაკლები ერთმანეთს დრამატურგის მომარჯვებითა და ესთეტიკით ჰგვანან.

ალექსი ჯაყელის „პოკლენის ეფექტი“ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიოს“, „ტარტიუფისა“ და „დონ ჟუანის“ ნაწყვეტებზეა აგებული და მიზნად ისახავს მაყურებელს უჩვენოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, ჩვენშიც უკიდურესად გაძლიერდა ისეთი ნაკლოვანებანი თუ ცოდვანი, რომლებიც დაცემის დღიდან თან სდევს ადამიანს, მოლიერიც გამობდა და სხვა დიდი მწერლებიც, მაგრამ კაცი მაინც მათკენ მიისწრაფოდა, ემონებოდა, მათში ჩაფლული ნეტარება და დღეს კი არათუ დაგმობილია, არამედ სწორედ გარყვნილებას, სნობობასა და ფარისევლობას ჰყავს ყველაზე მეტი დამცველი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ინსტიტუციების სახით.

სპექტაკლის ესთეტიკა თანამედროვეა, პოსტმოდერნული ან ეგებ პოსტ-პოსტმოდერნულიც. წინა პლანზე სანახაობა იწვევს, გარეგნული ეფექტები, განათება, მუსიკა, ქორეოგრაფია, პლასტიკა, ადამიანის გაორების ნატურალისტური ჩვენება (ვუალს აქეთ და ვუალს იქით) და სხვა.

ალექსი ჯაყელის მიერ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ჩამოტანილი სპაექტაკლი „სადა ხარ?“ ტიპური პოსტმოდერნული სანახაობა იყო, სადაც არათუ შეკვეცილი იყო დრამატურგია და სიტყვა, არამედ მთლიანად უგულვებლყოფილიც გახლდათ.

ამ დადგმას კი პოსტ-პოსტმოდერნისტული იმიტომ ვუწოდებ, რომ რეჟისორმა (მსახიობებთან ერთად) ამჯერად სცადა დრამატურგიაც შეენარჩუნებინა სიტყვაც და თავისთავად საინტერესო ქორეოგრაფიასა, მუსიკალურ გაფორმებასა და გარეგნულ ეფექტებთან ერთად, რამდენიმე კარგი მიზანსცენა, ემოცია და ფსიქოლოგიური წიაღსვლა შემოგვთავაზა. ამიტომ იყო, რომ მაყურებლები სპექტაკლმა აგვიყოლია და ის ტაშიც ბუნებრივი და გულწრფელი იყო, სპექტაკლის მსვლელობის დროს რომ გაისმა.

ალექსი ჯაყელი გვიჩვენებს, რომ არსი ადამიანურ ნაკლოვანებათა არ შეცვლილა, მაგრამ მას არამარტო ახალი გააზრება სჭირდება, არამედ ახლებურად ჩვენება, ახლებური ესთეტიკა, თანამედროვე აუდიტორიას კი არ უნდა ესაუბრო, ემუსაიფო, არამედ შეუძახო, უყვირო, გამოაფხიზლო და არა იმიტომ, რომ სძინავს, არამედ იმიტომ, რომ მშვიდად, გრძნობით ან თუნდაც პათეტიკურად ნათქვამს ვერ გაიგონებს უკიდურესად აჩქარებულ ყოფაში; გამაყრუებელი ხმაურითა და ნატურალისტური ხერხებით მიწოდებული კი უფრო მოეწონება და ეგებ ჩაფიქრდეს კიდევ.

დემოკრატიულ მოძრაობას ათასი ჯურის ტირანია რომ მოსდევს, ახალი არ არის, ჯერ კიდევ ანტიკურმა მოაზროვნებებმა იცოდნენ. რობერტ სტურუამ გადანყვიტა ეს ძველი ქეშმარიტება შეეხსენებინა ქართველი თეატრალისათვის და დაგვირდა: პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიის მიხედვით; სპექტაკლს „ასულნი“ ჰქვია,

ანუ ფანტაზია ამ დრამატურგის პიესების მიხედვით, თუმცა პოლიკარპე კაკაბაძის „სამ ასულს“ აქ ვერსად ნახავთ, ვერც სხვა პიესებს შეხვდებით ქართველი დრამატურგისა, რადგან სპექტაკლი მთლიანად განძარცვულია სიტყვისაგან. ეს გახლავთ რეჟისორ რობერტ სტურუას ფანტაზია, დიდი კომპოზიტორების მუსიკის ფონზე, ქორეოგრაფიისა და პლასტიკის და ხანდახან მძაფრი ხმაურის საშუალებითაც, რაც გვაფიზიკლებდა რუსთაველის თეატრში მისულ მაყურებელს და შეგვახსენებდა, რომ სკამზე გავსწორებულიყავით, და იმასაც, რომ სპექტაკლი მალე დამთავრდებოდა. ბატონი რობერტი იხსენებს თავის სპექტაკლებს, ჩვენც გვახსენებს, ჩავგვიყვინოს და უფლებას გვაძლევს, რაც გვინდა, ის ვიფიქროთ, ვივარაუდოთ, გამოვიცნოთ. მსახიობები? — ისინი რეჟისორის დავალებას ასრულებენ. მოძრაობენ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ხანდახან ამოიყვინებენ რალაცას, ცეკვავენ...

უნდა შეგახსენოთ, რომ მსახიობები, ყველანი, ქართული სცენის ნამდვილი ვარსკვლავები არიან და არა ის ახალგაზრდები, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ რომ ცეკვავენ... მაგრამ ისინი მართლაც კარგად ცეკვავენ.

სპექტაკლის ნახვა გვაფიქრებინებს, რომ სახეზეა კრიზისი!

არაფერს სკანდალურს არ ვამბობ, ეს არ არის ქართული თეატრის კრიზისი, ჩვენი თეატრების რეპერტუარებში არის სპექტაკლები, რომელთა ნახვაც არაერთხელ მოგენატრება და გაეშურები საყვარელი მსახიობების სანახავად და მოსასმენად, საყვარელი რეჟისორების დადგმის აღსაქმელად.

ეს გახლავთ რეჟისორ რობერტ სტურუას ფანტაზიის კრიზისი!

გთხოვთ ნურავინ გამიწინამტდებოთ და ნუ შემომძახებთ, როგორ უბედავო! თეატრის მაყურებელი ვარ, მისი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ და ვუბედავ.

ვიცი, რომ ამ ბოლო დროს იმდენი არათეატრალური საკითხის გამო შემოიხია ტანზე, რომ ვიდრე შიშველი დარჩენილა, უნდა შევუძახოთ.

რა ესაქმება რეჟისორ რობერტ სტურუას ფეისბუქის სალაყბოზე?!

და მე, როგორც მისი თაყვანისმცემელი, ინტერესით დაველოდები, როდის გაბრაზდება, თეატრს მიუბრუნდება და დაგვიმტკიცებს, რომ ჯერ ისევ არის ფხიანად.

ელექტრონული კომუნიკაციები პიროვნულს ვერასოდეს შეცვლისო, ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა ჩარლზ დიკენსმა, როცა ის-ის იყო ჩნდებოდა ელექტრონული კავშირის საშუალებანი. კრიზისი სწორედ მაშინ ჩნდება, როცა ელექტრონულ ეფექტებს გადავაბარებთ მთელ თეატრალურ დადგმას და ჩვენ კი კომპიუტერს მივუჯდებით და იქიდან ვმართავთ, როცა ტელეფონსა და სკაიპს გადავაბარებთ ადამიანურ ურთიერთობებს და მოვალეობებს, თუნდაც წვრილმანს დავივინყებთ.

ელექტრონულმა კომუნიკაციამ რადიკალურად შეცვალა ადამიანური ურთიერთობანი, გააადვილა, დააჩქარა, გამოაშრო, გამოფიტა და ზედაპირული ეფექტების ამარა დატოვა.

ყველაფერს იოლად მოაგვარებ, ტელეფონით, სკაიპით, ინტერნეტით, წერილს გამოაგზავნი, ხელშეკრულებას გააფორმებ, პირობებს განსაზღვრავ, ვადებს დათქვამ, მერე მშვიდად ჩაჯდები მაქანაში, ძაღლსაც ჩაისვამ, მთელ ევროპას გადმოივლი და ჩამოხვალ სამშობლოში, რომელიც მოგენატრა და სადაც სპექტაკლი უნდა დადგა, და გგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

და რატომ არ უნდა იყოს კარგად?! საქმიანმა და ანგარიშვანმა საფრანგეთმა თვითონ მას, ალექსი ჯაყელს ვერ დაუკარგა პიროვნული თვისებები; მან ხომ წლების მანძილზე



ალექსი ჯაყელი

რამდენჯერმე მიიწვია თავისთან, ლა ბოლში, ქართველი მსახიობები და რეჟისორები, საკუთარი საქმეები გადადო, დახვდა, უმასპინძლა, სპექტაკლები დაუდგა, დაადგმევინა, ფესტივალებში მიაღებინა მონაწილეობა, ამოგზაურა, დაათვალიერებინა, თავისი კომპანიის ხარჯზე და გამოისტუმრა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ელექტრონული კომუნიკაცია მოითხოვს. თეატრი თავის ადგილზე დახვდა, დაბინავდა, რეპეტიციები ჩაატარა, სპექტაკლები მოამზადა და კმაყოფილიც გახლდათ.

აბა რას წარმოიდგენდა ალექსი ჯაყელი, რომ თეატრის ხელმძღვანელობას აფიშების გაკვრა დაავინყდებოდა, ტელევიზიითა და რადიოთი რეკლამას არ წარმართავდა, თეატრის მცოდნეებსა და ჟურნალისტებს არ მოინვევდა, მოკლედ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, პიარი არ გაკეთდებოდა! თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სოსო ნემსაძე, პრემიერას არ დაესწრებოდა, სპექტაკლში მონაწილე სტუდენტთა პროფესორი, გიორგი შალუტაშვილი წამიერად შეეხმაურებოდა; მასწავლებელი, თემურ ჩხეიძე, დაჰპირდებოდა, ჩამოვალო, და ვერ მოიცლიდა.

აი, ეს კი კრიზისია, ოღონდ ადამიანურ ურთიერთობათა კრიზისი.

გგონიათ, ვინმეს ვაკრიტიკებ ან რაიმეს ვგმობ? არა, არ დაიჯეროთ! ჩვენ ყველანი ხომ ასე ვიქცევით, პიროვნული ურთიერთობები უკანა პლანზე გვაქვს გადაწეული, სცენის სივრცეში და ავანსცენაზე კომპიუტერი/ლემპტოპი/პლანშეტი გვიდგას დიდ პიედესტალზე.

ისე ვიქცევით, როგორც Facebook-ის ავტარი. გგონია, რომ მეგობარი შეიძინე, გულისნადებს გაანდობ, ნაფიქრალს გაუზიარებ, რჩევას ჰკითხავ, დახმარებას სთხოვ... ის კი, ახალი დროის ჭინკა, გაქრება!!! გგონია, დაცინის იქვე ჩასაფრებელი? — არა, წავიდა, აღარ ახსოვხარ, დაავინყდი... გაივლის დრო და შემოგეხმაურება.

ჰო, გულნაკლული გაბრუნდა საფრანგეთში ალექსი ჯაყელი.

გაივლის დრო, გული მოუბრუნდება, ისევ მიიწვევს, ისევ დახვდება, ისევ ჩამოვა, დადგამს სპექტაკლებს. მაგრამ პიროვნულ ურთიერთობებს რა ეშველება?

დიკენსს ეგონა, ელექტრონული კომუნიკაციები პიროვნულს ვერასოდეს შეცვლისო, და ამანაც, ელექტრონულმა, კი არ შეცვალა, აილო და სულაც გააუქმა პიროვნული ურთიერთობანი, მარადიული ღირებულება რომ გვეგონა და მეგობრობას, მოყვრობას, სტუმარ-მასპინძლობას ვუნოდებდით.

ქეთევან ჯერვალაძე

„...ზნე ამაღლებით, კლავის დიდებით...“

- რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- სამშობლოში უსამშობლობა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ალარ ვიცი. სულ უფროდაუფრო ცოტავედება ჩემი აქ.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- ცხოვრობდე ქვეყანაში, სადაც ერის „საუკეთესო ნაწილი“, პირადი კეთილდღეობიდან გამომდინარე, ავტოქთონების ამოძირკვით არ არის დაკავებული.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ბევრია: ანასტასია-ბევრელი, ავთანდილი, ასმათი, ფატმანი, სანათა, ალაზა... ბულგაკოვის მარგარიტა.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- აიეტი, ფარნავაზი... გიორგი ბრწყინვალე...
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- თოძი, კაკაბაძე, ნიჟარაძე, გუდიაშვილი, ახვლედიანი
- ქართველები; უცხოელებიც...
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ფალიაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, სულხან ცინცაძე, რევაზ ლალიძე... განსაკვირვებელი პოლიფონიის შემოქმედი, მისი უდიდებულესობა ქართველი — გლეხი და მწყემსი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- რეალობის შეგრძნებას: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- გააჩნია როდის, რომელ ქვეყანაში! საქართველოში — შვილებისთვის თავგანწირვას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე უფრო მომხიბვლელი?
- როგორ შეიძლება საქართველოში რომელიმე ადამიანური სათნოება იყოს მომხიბვლელი? უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ პატრონისთვის! მაგრამ გენეტიკაში თუ გაქვს, რას უზამ?
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- კითხვა-წერა, სივრცის ყურება. სოფლის საქმეც მიყვარს: მიწა, მცენარე, საქონელი. დღეს ერთი კარგი „გეორგი“ ათასობით ყალბ კულტმუშაკს გადაწონის.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ყველას რას ჩამოთვლი? მაგრამ მაინც გამოვყოფდი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ჯუმბერ ჭუმბურიძეს. ის ჩემთვის (და არა მხოლოდ ჩემთვის) წმიდა-თანმიდაა, ხატავით არის, აღსავლის კარის მეკარიბჭეა.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- დაუნდობელი ლოგიკა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- მეგობრობაზე მეტი რა უნდა დავაფასო? ეს ხომ განუკეთელი მთლიანობაა!
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- ზედმეტად მოკრძალებული ვიყავი და დიდხანს ვგრძნობდი თავს მონაფედ.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- როცა შენი კარგად ყოფნა ოჯახიდან მთელ საზოგადოებაზე განიფინება, ზე აღინევა და პირუკუ: „კაცსა კაცად აფასებდნენ, ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად“; „მეფე ხალხს და ხალხი მეფეს გულს სიამეს მიაფენდნენ“...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— თუკი ქართველი თავის ისტორიულ სამშობლოში მართლაც ინდივიდებისა და კოპტების დღეში აღმოჩნდება და ჩვენს სამშობლოს მეზობლები გადაინანილებენ.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— დღევანდელი გადასახედიდან — უგულო. ყველა საზოგადო სადარდებელს სხვის გულსა და მხრებს გადავულოცავდი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— „ფერუთვალავი მშვენიერება“.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?

— ყაყაჩო, მინდვრის ყვავილები, ქრიზანთემებიც...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ხობობი; მერცხლები! პაპაჩემის გომურში იკეთებდნენ ბუდეს და ვმეგობრობდით, მერცხლებზე ლექსებს ზეპირად ვუკითხავდი ხოლმე და ისეთი ემოციით მივმართავდი, მისმენდნენ...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გიორგი მერჩულე, დანიელ ჭონქაძე. მისი „სურამის ციხე“ ქართული ყოფიერების მარადიულ პარადიგმადაა ქცეული. ეს განსაკუთრებულად ჩანს და შეიგრძნობა დღეს, დასაძლევია... ქართველი კლასიკოსები. უცხოელებიც, მაგრამ უცხოელებს ჩემგან საძირკვლის გამაგრება რაში სჭირდებათ?

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— შესიოდე — „სამუშაონი და დღენი“ (არქიკა); ვერგილიუსი — „გეორგიკები“ — რომის იმპერიის ოქროს ხანაში დაინერა. ახლა ესენი გვჭირდება და, ცხადია, „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“; ყველა, ვისი კეთილი სიტყვაც და საქმეც იყო განუყოფელი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— შექსპირის კლეოპატრა, რალა არ მოიმოქმედა ეგვიპტის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— უსახელო გმირები, რომლებზეც დგას ერის არსებობა; ასევე: კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი ურუშაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ლევან რაზიკაშვილი, მიხა ხელაშვილი...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მათა წყნეთელი...მარო მყაშვილი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— მზაკვრობას, მძლავრებას, ტყუილს, უმეცრებას.

— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ორჯონიკიძე, შევარდნაძე (მაგრამ თან მებრალებიან), „ვინ არა ვტიროდეთ მათ?..“

— საომარი მოქმედება ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— განა რაიმე შეიძლება ალემატოს დიდგორს?

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ანჩისა და ჯავახეთის საეკლესიო კრებები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ახლა — შეგუების, თვალის დახუჭვის, რა ჩემი საქმეა; ადრე — კლასიკური მუსიკის დაკვრის, კლასიკური ბალეტის ცეკვის, ხატვის, სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ახლა: ილიას აწრდილივით ვიდგე მყინვარწვერზე, საქართველოს ყველა მტერი: შინაურიც და გარეულიც იქ იყოს, ჩემს



შეპყრობას ლამობდეს, მე კი ისინი, უკლებლივ, უფსკრულში გადავიყოლო — ამაზე ნეტარი გარდაცვალება ჩემთვის წარმოუდგენელია, წარმოუდგენელი! არც თვედორე ბერისებრს და ვინუნებდი... პანოც კი მიდგას თვალნინ: „უფსკრულსა შიგან გარდათხევა მტერთა?“; ბედნიერ ქვეყანას თუ ველირსებით, მაშინ პლატონისა და ლეთაბრივ მეჯოგე და მიწის მუშაკ სანდრო უნდილაშვილისებრს ვინატრებდი, — ნიგნებზე; რევაზ ინანიშვილის გუთნისდედისნაირსაც, სახალხო მთქმელის, მერცხალასებრსაც, როცა ხედავ, შენი სული სამწვერად როგორ ადის ზეცაში ...

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აკაკისებრი. უძღურების განცდის, როცა ყველაფერი იცი და ვერაფერს ცვლი. „მიმოიწვევი მადლისა და წარწმედის თვალუნვდენელ უფსკრულთა შორის“.

— ქმედებანი, რომელნიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

- სიყრმესა შიგან უმცირება. წრფელი სინანული.
- თქვენი დევიზი?
- „არა, არ შეიძლება, მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა!“
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ამოგვხდა სული! თქმა მეცოტავება, უნდა „ზედა ნიგნსა საფიცარსა შემომფიცოს“, აღმითქვას, პირობის ნიგნი უნდა მომცეს, რომ ჩვენს ესოდენ ტანჯვას, სისხლს დაადებს ფასს, ხუთზე მეტი ზნეკეთილი ქართველი ნამდვილად არსებობს, რომ საქართველო გადარჩება, აყვავდება: „...ზნე ამაღლებით, ძღვეის დიდებით, სამშობლო მიწის სიყვარულითა... დადგება ერად სხვა ერთა შორის“... „ღვთივცნობილობა“ თუ გაქრება, „ღვთისა მცნობელი“ როგორღა დარჩება მას ვინმე ქართველი, დედულეთში?..

ლევან გელაშვილი — სცენარისტი, ლიტერატურის მკვლევარი. დაიბადა თბილისში, 1984 წელს. 2001 წელს დაამთავრა თბილისის 147-ე საშუალო სკოლა. ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. მისი პირველი ნოველა „დატყვევებული ცხენი“ დაიბეჭდა, 18 წლისა რომ იყო. მას შემდეგ მისი რეცენზიები და ნოველები იბეჭდება პერიოდულ პრესაში. არის თბილისი ზანკის მიერ გამოცხადებულ კინოსცენარისტთა საკონკურსო პროექტის გამარჯვებული (მისი სცენარით გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი).


ლევან გელაშვილი

დინოზავრის ნინილა

ეს ამბავი კორპუსებით ახორხლილ ქალაქის ცენტრში მოხდა. ასანთის კოლოფა სახლების შუაგულში, სადაც საღამოობით ფანჯრებიდან ყვითელი სინათლე გამოდიოდა, სხვენზე ერთი მელოტი კაცი - უქნარა ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ უქნარას ტახტზე გორაობის გამო გვერდები ტკიოდა, მაინც სულ მხარეთეძოზე იყო წამოწოლილი და თავისთვის ღლინებდა. უქნარა კაცი, აბა, რისი უქნარა იქნებოდა, ერთი კარგი მამაპაპური ზოლიანი რეიტუზი რომ არ ჰქონოდა. ჩაიცვამდა თავის საყვარელ რეიტუზს, გადმოდგებოდა აივანზე და სიყვარულით მოიკითხავდა ნაცნობებს. მეზობლები უქნარას ხშირად რეიტუზიან კაცსაც ეძახდნენ. მონყალედ ყველა თითო ულუფას უხანალებდა და ასე თვიდან თვემდე გაჰქონდა თავი. უქნარა ყველას უყვარდა, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებიც რეიტუზიან კაცთან ხელცარიელები არასდროს მიდიოდნენ. ვინ რით ასაჩუქრებდა და ვინ რით. ზოგს ნამცხვარი ჰქონდა გადახვეული ხელსახოცში, ზოგს ფავა მოჰქონდა ჯამით, ზოგსაც ხორცის ღვეზელი ეჭირა ხელში.

უქნარა კაცი ისეთი უქნარა იყო, თავის სიცოცხლეში სახლი არასდროს დაულაგებია. ეს ერთგვარად მისი საგვარეულო ტრადიციაც იყო, რადგან ქრისტეს შობამდე რომელიღაც წელს, როცა მისი წინაპარი ამ ადგილას დასახლდა არცერთ მის პაპის პაპის პაპის პაპის არ დაულაგებია ქუჩა-უჭაღი. ათადან და ბაბადან უქნარას საგვარეულო მუდამ ასე იყო. არც უქნარა იწუხებდა თავს, არიქა სახლი დავალაგო, ნავაგვი ვიძირებო. არხეინად წამოგორებულყო და დროის მდინარეებს მიჰყვებოდა. რისი გაკეთებაც ზეგ შეეძლო, არასდროს გააკეთებდა ხვალ. ისეთი უქნარა იყო, ოცი წლის წინათ გამოყენებული, ან უკვე განადგურების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ნივთებიც კი ეყარა სახლში.

ერთხელ უბნის ბავშვებს თამაშის დროს ბურთი შეუფარდათ სხვენზე. მიუკაკუნეს უქნარას, ბურთი დაგვიბრუნეო. მაგრამ



რეიტუზიან კაცს დაეზარა ტახტიდან ადგომა, და ნითელქუდას ბებოს მსგავსად ოთახიდან დაუძახა: ურდული ჩამოსწიე და კარი გაიღებო. ბავშვები ოთახში შევიდნენ. უქნარა მითითებებს განაგრძობდა — შემოდით, შემოდით და თქვენ თითონ აიღეთ ბურთიო. ბავშვებმა ბევრი ეძებეს, ათასი ნივთი გადააბრუნეს, მაგრამ ბურთი ვერ იპოვეს. ძალიან ეზარებოდა უქნარას ადგომა მაგრამ იძულებული გახდა ძებნაში ისიც ჩაბმულიყო. ქვაბების და ათასი ხარახურის ქექვის შემდეგ უქნარამ ბურთი იპოვა. ბავშვებს გაუხარდათ და ჟრიამულით გარეთ გაავარდნენ. შინ ისევ სინწყნარემ დაისადგურა. უქნარამ ამოისუნთქა და ყვის ფხანით ტახტზე წამოგორდა. მოათვალიერა მიყრილ-მოყრილი ოთახი და ის-ის იყო ჩაძინებას აპირებდა, რომ ანახლად კუთხეში თეთრი ბურთივით რაღაც დაინახა. კი დაინტერესდა, ნეტავ რა არისო, მაგრამ დაეზარა ადგომა და მალე ჩაეძინა კიდევც.

დაესიზმრა, რომ დინოზავრის მხრებზე იჯდა, ამოჭერილი ლაგამი ცალი ხელით მაგრად ეჭირა და დააგეღვებდა კორპუსებიან ქალაქში. ყველას შიშის ზარს სცემდა. მოედანს რომ მიუახლოვდებოდა, დინოზავრს ყალყზე შეაყენებდა, რომელიც

საზარელი ხმით დაიღრიალებდა და კუნაპეტი თვალებით გადახედავდა ყველას. ხალისობა უქნარა, ადამიანების შიშნარევი სახეებს რომ ხედავდა. ზემოდან უყურებდა თავის მეზობლებს: აი ეს კოჭლი ალიკაა, მანქანებით რომ ვაჭრობს, ეს ტაქსისტი გარიკაა, მუხლები რომ უკანკალებს, ეს კი, ფუი ამის სახელიც დამავიწყდა, პროვადერი კომპანიის დირექტორია. ეს კი... ჰე, ჰე ჰეე... უყურებდა უქნარა ხალხს და სასაცილოდ არ ყოფნიდა – ნეტავ დაგანახათ რას გეგხართ თქვე საცოდავებო – შესძახებდა და ისევ დებს ჰკრავდა თავის დინოზავრს, მორჩილი ფინიასავით რომ ჰყავდა გახედნილი. მოხდენილად შეიმავრებდა თავს უნაგირზე, თითქოს ბავშვობიდან მის ხელში გაზრდილი ყოფილიყო, და ისევ გაიქროლებდა ქუჩებში.

უქნარამ რომ გაიღვიძა, სალამო ხანი იყო. ცხოვრებაში სიზმარი არასდროს უნახავს და ცოტა უჩვეულო ხასიათზე დამდგარიყო. ქუჩიდან ბალიშის ბერტყვის, დომინოს ქვების თამაშის და ბავშვების ხმები შემოდიოდა. უქნარა აივანზე გადმოდგა და თავის საყვარელი ჭიქიდან წყალი დალია. ყვითელი თბილი შუქები ნელ-ნელა ინთებოდა ასანთის კოლოფა სახლებში. შორს კი ცათამბჯენები და ზეცამდე ანვდილი ზესივრცული კორპუსი-ქალაქი მოჩანდა. მერე უქნარასთან ბავშვები მივიდნენ და ვახშამი მიუტანეს, ქალებმა მოიკითხეს და მურაბა მიანოდეს. – ჰაიტი! უქნარ, როგორ ხარ? უქნარ! შე ძველო! – დაუძახა ტაქსისტიმ გარიკამ, როდესაც მანქანას ავტოფარეხში აყენებდა. უქნარას არაფერი ისე არ ეზარებოდა როგორც ცხოვრება, მაგრამ ეს მისალმება და მოკითხვები ძლიერ უყვარდა და თითონაც არავის დაზარდებოდა, დიდი ხალხისით მოიკითხავდა ყველას. შებინდებისას რეიტუზიანი კაცი აივანიდან ისევ ტახტისკენ გაემართა, რომ ფეხი რაღაცას ნამოკრა, ეს ძალიან მომხდარა და ამაში გასაკვირი არაფერი იყო, მაგრამ ძალიან ეუცხოვა მრგვალი მაგარი საგანი. დახედა და თეთრი ბურთი დაინახა. სწორედ ის, დაძინებამდე რომ დაღალანდა. ხელში ალბა უნდოდა, მაგრამ ეძძიმა. მაინც ასწია და მიხვდა, რომ ეს იყო დიდი კვერცხი. მიუჯაკუნა, ყურიც მიადო და, ნაჭუჭის მტვრევის ხმა რომ გაიგონა, გაოცებულმა შეხედა. სანახევროდ გატეხილი კვერცხიდან დინოზავრის ერთი ციდა ნიწილა გამოიჩეკა. დინოზავრის ნიწილა ვარდისფერი იყო. ქორფა, სათუთი კანი ფაფუკი ბუსუსებით ჰქონდა დაფარული. ფეხზე მყარად ვერ დგებოდა, უქნარამ თითი შეაშველა, ნიწილა ცერზე შეასკუბდა და ბარტყივით დაალო პირი, თითქოს ეუბნებოდა, მშია, მშიაო, თან უცნაურ ხმებს გამოსცემდა. უქნარამ იქვე მაგიდაზე დაყარა პურის ნატეხები ხელისგულით მიანოდეს და ნიწილამ შესასწა. მუხლი რომ გაიმავრა, უქნარას ცერა თითიდან სკუპ-სკუპით ჩამოვიდა და ოთახში ტანტალი დაიწყო.

უყურებდა უქნარა და გული სიხარულით ევსებოდა. უქნარამ ცხოვრებაში პირველად სიცოცხლის ხალისი იგრძნო. მეორედ დაიბადა, ცა ქუდად არ მიანდა და დედამინა ქალამნად. მაღლა ვარსკვლავებს ეთამაშებოდა და დაბლა მთის მწვერვალებს. სალამოხანს თავისი საყვარელი რეიტუზი სადღაც მოისროლა და პენენიკად გამოწყობილი დინოზავრის გასასეირნებლად ეზოში გავიდა. მეზობლები გარს შემოეხვივნენ, – უქნარ, ეს რა საყვარელი არსებაა, ყველა თავზე ხელს უსვამდა და ალერსიანი ღმილით აჯილდოებდა პანანა დინოზავრს. ზოგი კამფეტს სთავაზობდა, ზოგიც — შოკოლადს. დინოზავრი სიამოვნებით გეხლებოდათ ყველაფერს, რასაც მისცემდნენ, მაგრამ სული უკანკანებდა ხორცის დანახვაზე. – მეტი არ ავიდგა გვერდები, მე ეს გაგიყო – შეუბღვირა პუტკუნა ვანომ, როდესაც მის შაურმაზზე გაიწია დინოზავრმა. – ვანო, ნახე რა საყვარელია, ვანო... ვანო... ვანო... უყურე? რა ნაზი კანი აქვს და ნაღვლიანი თვალები – შემოეხვივნენ მეზობლები გარშემო, ვანოს დასანახად ზოგი ხელს თავზე უსვამდა, ზოგი კისერზე ეფერებოდა. ერთ ნუთში ყველა ვანოს წინააღმდეგ ამხედრდა; მერე ბავშვებმა ვანოს შაურმა ძალით წაართვეს და დინოზავრს მიუტანეს, რომელსაც, როგორც იტყვიან, ერთ ლუკმად არ ეყო.

– ბოროტებაზე დავგეშავ, სიკეთით აღვზრდი, შვილი მე არ მყავს და ძირი. ღმერთმა ამის თავი მარგუნა და ხომ არ მოგვლავ? – ამბობდა უქნარა. ლანგებზე მოეფერებოდა და კამფეტს ჩაუდებდა პირში, დინოზავრი ყელს ჩაიკოკლოზინებდა, მერე კრუსუნით მიეხუტებოდა უქნარას და მჯეებს ულოკავდა.

დინოზავრის ნიწილა ყველას შეუყვარდა. საჭმელი მიჭონდათ მისთვის, სანახავად მიდიოდნენ, ეფერებოდნენ და მზრუნველობას იჩენდნენ. მეზობლებმა პატარა ხის ფიცრული სახლიც გაუკეთეს და უქნარას სხვენზე საგულდაგულოდ დაამაგრეს. ამ პანა სახლში დაიწყო ცხოვრება დინოზავრის ნიწილამ.

მიუჩუბული დინოზავრი ხორცის სუნზე აფუთფუთდებოდა, მაგიდის და სკამის ფეხების ღრღნას იწყებდა და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. ხან სადღაც დაიმალებოდა, ძეხნისაგან დალილი უქნარა ხელს ჩაიქნევდა და ტახტზე მიეგდებოდა, ზუსტად ამ დროს ტანსაცმელებში გახლართული დინოზავრი ფხაკაფხუკით გარდერობიდან გამობოზდებოდა. თვალი სულ ეშმაკობისკენ ეჭირა. ხიფათიანი და ონავარი იყო.

ერთხელ უქნარამ დინოზავრმცოდნე მოიყვანა, პროფესორმა ყურადღებით დაათვალიერა დინოზავრი, მერე ველოსიპედის მსგავსი ფერადნარჩოიანი სათვალე გაისწორა და თვალი გააქნია – შავი ხახა აქვს, ავი იქნებაო.

უქნარა მუხლებზე დაისვამდა დინოზავრს და ალერსიანი ხმით ეუბნებოდა: მუდამ ერთად ვიქნებით, ერთმანეთს ვერაფერი დაგვაცილებს, რამ უნდა დაგვაშოროს? ღმერთი მონყალა არ დავიფანტებით. – ბუტბუტებდა უქნარა და გულში იხუტებდა, როგორც პანანა ნიწილას. ისიც ალტაცებით წამოიყვილებდა და თავმომწონედ მოიღერებდა ყელს.

დინოზავრი განსაკუთრებით ბავშვებს შეუყვარდათ. უფროსებით ერთად დინოზავრის მოსანახულებლად ხელცარიელები არასდროს მიდიოდნენ. ვინ რით ასაჩუქრებდა და ვინ რით. ზოგი ნამცხვარი ჰქონდა ხელსახოცში გადახვეული, ზოგი ერთი ჯამი ფაფა ეჭირა ხელში, ზოგსაც - ხორცის ღვეზელი. დინოზავრი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა მათ, ფეხებს ულოკავდა და როდესაც ყელს ჩაიკოკლოზინებდა სიხარულისგან, კუნტრუმ-კუნტრუმით დაიწყებდა ხტუნვას. – ნეტა როგორი გაიზრდება ეს დინოზავრი? იკითხავდნენ ხოლმე ბავშვები და მის მომწვანო გაუხეშებულ კანს ათვალერებდნენ, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ძალიან ქორფა და ნაზი იყო.

დინოზავრის ნიწილა ყოველდღიურად იზრდებოდა. უქნარას ეჩვენებოდა, რომ ძილი უფრო სწრაფად იზრდებოდა. დინოზავრს ბუსუსები გასცვივდა და გაიზარდა. კანის ფერი ვარდისფერის ნაცვლად მუქი მწვანე გაუხდა. ქაცები, ძვლოვანი ჯავშანი და ხელიკმენჯა სახსარი გაუმარგდა. უქნარამ შეამჩნია, რომ როდესაც დინოზავრი ხორცის სუნს იყნოსავდა, აიჯაგრებოდა ხოლმე, ჭაობისფერ ქაცს გაშლიდა, საქორჩრე მენამულისფრად შეემოსებოდა. მერე ოთახში ტყაპატყუპით ტროკიალობდა.


დინოზავრის ნიწილას ბავშვები ძალიან უყვარდა. მათ მოტანილ ნუგბარს დიდი სიამოვნებით ახრამუნებდა და მათი სათამაშოების, პატარა სპილოს, ჟირაფის თუ დინოზავრის, ხილვისას სიცილისგან ისე გადაფიჩინდებოდა, თითქოს იმ ნამებში მშვენიერების მიმართ დაჩლუნგებული გრძობა იღვიძებდა მასში. დინოზავრი სწრაფად იზრდებოდა. ერთი ციდა დაიბადა, მაგრამ ახლა უკვე ორ მეტრამდე იყო.

თუ უქნარა სალამო ხანს გასასეირნებლად არ გაიყვანდა, აივანზე გადმოდგარი ყელყელობდა. მედიდურად გადახედავდა მეზობლებს და გულის სიღრმიდან დაგუდული მძიმე გრუხუნით ხმა აღმოხდებოდა. როცა მომივდებოდა, საიდანლაც მოსული ბურუსი დაუნისლავდა გონებას, სულში ჩაღვრილი თბილი გრძობის მარცვლები ლუყურტი წყალივით ამშორდებოდნენ. აიფოფრებოდა. მერე სახლში დაიწყებდა ბორიალს და დაეძებდა რაღაც გაუგებარს და გამოუცნობს, სულს რომ უშფოთებდა. ვერ უჩერდებოდა გული ერთ

ადგილას. – ხორცი გაქვს? მამ რატომ ხმაურობ? – დატუქსავდა ხოლმე უქნარა და ერთს გემოზე მისცხებდა კიდეც.

დინოზავრს მონადირე ძაღლის მსგავსად ადვილად ნანადირევი ფრინველის ხორცი არ უყვარდა. ჯამზე დადებულ გამზადებულ საკვებს უგერგილოდ ჭამდა. ხშირად დასდევდა ქუჩის ძაღლებსა და კატებს, და როგორც კი კბილს გაკრავდა, თავს ანებებდა.

დინოზავრი რომ ნამოიზარდა, უფროსებმა აითვალწუნეს. – რის მაქნისია? რაში გამოგვადგება? – იკითხა ნოქარმა. მაგოდენა დინოზავრი ქალაქში როგორ შეიძლება, – დაიროხროხებდა და შეუბღვერდა კოჭლ ალიკას, რომელიც ძველებურად სიყვარულით იყო განმსჭვალული დინოზავრისადმი. ბავშვები ისევ სტუმრობდნენ დინოზავრს. ნუგბარი მიჰქონდათ და მოფერების ნაცვლად მის გამაგრებულ ტყავს აქლიკებდნენ. ჯერ სიყვარულით დასცინოდნენ, მერე უწყნაროდნენ, რა ღორივით ჭამო. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა თავში უტყაპუნებდა, ანვალბდნენ და მის მიმართ ათასგვარ ონავრობას იჩენდნენ. ერთხელ ვანოს თამაღობით, კუდზე სარეცხის სამაგრი მიაბეს და, როდესაც დინოზავრი ჩიკორივით დაბზრიალდა, რათა საკუთარი კუდი პირით დაეჭირა. ამის დანახვაზე ბავშვებიც და უფროსებიც სიცილით დაიხოცნენ. დრო გადიოდა, დინოზავრი იზრდებოდა და გულჩათხრობილი ხდებოდა. ნენიკა, კუმტი და ნალვლიანი თვალებით უყურებდა გარშემოყოფთ. ფიცრული სახლი სულ კბილებით დაღრღნა და სადღაც მოისროლა. რაც უფრო იზრდებოდა დინოზავრი, მის მიმართ უფროსების ცინიზმიც და აგრესიაც მატულობდა. უქნარა ხშირად შინ კეტავდა და აღარ გაჰყავდა ეზოში გასასეირნებლად.



მხატვარი ვასო იდელი (ბახიაშვილი)

რეიტუზიან კაცს თავის გარშემო ნელ-ნელა ადამიანები შემოექსაქსა და მხოლოდ დინოზავრი დარჩა. ნახევრად მშვიდ უქნარას თუ რამე საჭმელი მოეპოვებოდა დინოზავრის გამოსაკვებად არ ჰყოფნიდა. ხშირად დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამდა. ბავშვებიც სულ უფრო და უფრო იშვიათად სტუმრობდნენ და დინოზავრთან ხის ფესვები და მზესუმზირა მიჰქონდათ.

დინოზავრს მეზობლებმა ზურგი შეაქციეს და მიივიწყეს. – მაგ უბედურს ეგ დინოზავრი მოუღებს ბოლოსო. – ტუტუცი ეგა! ნამდვილი უქნარააო, – ჩაილაპარაკებდნენ ზიზლით და მიხურავდნენ ფანჯარას, საიდანაც სხვენზე გადმომდგარი დინოზავრი მოჩანდა. სათოფზე არ ეკარებოდნენ. შეიძულეს და საუბრის დროს ზოზლით თუ მოიხსენიებდნენ. ათასგვარ ჭორებს უფრცვლებდნენ; ვირუსი აქვსო... ისეთი დაავადება სჭირს, თვალეში თუ შეხედავ, დაბრმავდებიო. ზოგი იმასაც ამბობდა, მხოლოდ ადამიანის ხორცი იკვებებაო. – მეხი კი დაეცა მაგასა და მაგის პატრონს! – ნაულაპარაკებდნენ გამვლელები ერთმანეთს, როდესაც აივანზე დაინახავდნენ დინოზავრს და ჩქარი ნაბიჯით ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. დინოზავრი კი იდგა სხვენზე და ფართოდ გახელილი კეთილი თვალებით ცნობისმოყვარედ ათვალეირებდა გარემოს.

დროდადრო თითქოს ასავრენად იზიდებოდა, დინოზავრი ნელში გაიჭიმებოდა ხოლმე, თავს ნაიგრძელებდა და უცნაურ ხმას გამოსცემდა. მერე ჩასაფრებულ კატასავით მოიბუ-

ზებოდა, ანაზდად ისეთ ნახტომს გააკეთებდა, იფიქრებდი, რალაც დაინახა და მისდევსო. უტყქერდა უქნარა დინოზავრს და ნალველი შემოანვებოდა. ერთ დღეს უქნარამ დინოზავრმცოდნე მოიყვანა. უყურა, უყურა სათვალთანა პროფესორმა დინოზავრს, შემდეგ თავი გააქნია – გენეტიკას ვერ შეცვლი, სისხლში რაც აქვს, იმას ვერ დაუშლი. დინოზავრიაო! ამ სიტყვების გაგონებაზე შიშით შეხედა უქნარამ დინოზავრს. მერე მისი მსხვილი და გარქოვანებული ბრჭყალები შეათვალეირა. – ბუნებაში გაიყვანე, იქა ამის სამყოფელი – დაამატა ბოლოს დინოზავრმცოდნემ. მაგრამ სად ნაიყვანდა უქნარა დინოზავრს? მისი ფანჯრიდან მოჩანდა კორპუსები, კორ-

პუსების იქით კორპუსები და კიდეც კორპუსები. გრძნობდა უქნარა კაცი, რომ დინოზავრის საქციელში იყო რალაც ვერანობა, ხშირად დაფიქრდებოდა ხოლმე ამაზე, მერე ნალვლიანი სახით და ამღვრეული თვალებით სადღაც უსასრულო ნერტილს გაუშტერებდა მზერას.

როდესაც დინოზავრი გამოძღვებოდა, აღერსიანი და მოსიყვარულე ხდებოდა. მიუცუცქვებოდა რეიტუზიან კაცს და ღანვებს ულოკავდა. მერე გამოცქრილდებოდა გარეთ, ჩამოსკუპდებოდა აივნის მოაჯირზე და კუნაპეტი, ნელიანი თვალებით ცაზე მენამულ ღრუბლებს მიაჩერდებოდა და ასე იჯდა შებინდებამდე. ან ეზოში ბავშვებს უყურებდა, ბურთს როგორ თამაშობდნენ და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. თითქოს ქომაგობს მოთამაშებსო. მისი ხმის გაგონებაზე ყველა სხვენს მიაშტერდებოდა, ქალები დარაბებს ხურავდნენ, დედები ბავშვებს სახლში კეტავდნენ, ქუჩაში მოსიარულები კი ნაბიჯს უჩქარებდნენ.

– ხომ მაძლარა ხარ? – ხშირად ჰკითხავდა უქნარა დინოზავრს, თითქოს ეშინოდა, მე არ შემეჭამოსო. საჭმელს უხვად დაუდებდა თეფშზე და სხვა ოთანში გადიოდა, თან კარს საგულდაგულოდ კეტავდა, ეგე მანდ არ შემომივარდესო.

ერთხელ დინოზავრმა სახლში ბავშვების დანატოვარი სათამაშოები ყურადღებით დაათვალეირა. პატარა ჯარისკაცებს და ცხოველთა ფიგურებს დიდხანს უყურა. თავის ბრჭყალებით ფეხზე დააყენა პატარა სპილო... ცხენი... და დრაკონი. ფართოდ გახელილი თვალებით ცნობისმოყვარედ შეხედა დრაკონს, მერე უცნაური ხმები გამოსცა და თითქოს მშვენიერების მიმართ დაჩლუნებულ გრძნობა საერთოდ გაუქრაო, კუნაპეტი თვალეში მილულა. უქნარა კარის ჭუჭრუტანიდან მალულად აკვირდებოდა, თუმცა სათამაშოებს ვერ ხედავდა, მიხვდა, რომ მხეცი რალაცამ შეძრა, ცოტა ხნის შემდეგ დინოზავრმა ჯარისკაცის ფიგურები შეჭამა. სულ ხრამა-ხრუმით დააქუცმაცა და მძიმე, უგემურ ლუკმასავით ნაძალადევად გადაყლაპა.

უქნარა დინოზავრის მხრებზე იჯდა და ქალაქში დაჯირითობდა. შეშინებული ხალხი უზარმაზარი მხეცის დანახვისას თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ვისაც სად შეეძლო, იქ იმალავდა. უქნარა ზემოდან დასცქეროდა მათ – ეს ლამაზაა, ახალგაზრდობაში ისეთი ღამაში ქალი იყო, პოლიციის უფროსი ჰყვარებდა. ეს თავუშაა, სამოგზაუროდ იმიტომ დადის, რომ ფოტოები გადაიღოს. აი მისი დაქალიც სადარბაზოში

როსტომ ჩხეიძე

გალაკტიონის დაუნერელი ქრონიკა

რომ შერბის, პატარა დინოზავრის ფოტოები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, მაგრამ როდესაც დინოზავრი გაიზარდა, ყველა მისი ფოტო დაუყოვნებლივ წაშალა. ელვისებურად გაიქროლა დინოზავრიანმა უქნარამ ქუჩები, სკვერები, მადრევენები, გზები, მთვარის შუქზე განათებულ გაშლილ მინდორზე გავიდა. იმ ლექსის სტრიქონი გაახსენდა, კოჭლი ალიკა რომ ამბობდა ხოლმე: აქ ქურდი კოლა პროფესორის გვერდით მარხაო. ამ ლექსის თქმისას უქნარა მიხვდა, რომ სასაფლაოზე იყო. უქნარამ სიჩუმესა და სიბნელები ავისმანიშნებელი იგრძნო. დინოზავრი შეშლილი ავისუფლივით მიქროდა. უცებ შედგა, უქნარა ძირს ჩამოაგდო და ალესილი კბილებით სწვდა. ის იყო უქნარა გაქცევას აპირებდა, რომ იგრძნო, დინოზავრის ყბებში მოქცეულიყო. — მა შენ უნდა შემჭამო ჩემ ხელში გავრდილო? — ესლა მოასწრო ეთქვა უქნარას და უკანასკნელად დაინახა მთვარის შუქზე ალესილი კბილები.

შუალამე იყო, გაოფლილმა უქნარამ რომ გაიღვიძა. — ეს რა საშინელი სიზმარი იყო, თქვა ათრთოლებული ხმით. იმ ღამეს თვალი აღარ მოუხუჭავს, ოთახში მიყრილ-მოყრილი ნივთები მოათვალიერა. კვერცხის სანახევროდ გადახსნილი ნიკორიკო ნაჭუჭი თავახდელი ქვაბივით ეგდო და ოთახის მტკრით ივსებოდა. გათენებამდე უქნარა მძინარე დინოზავრის ფშვინვას უსმენდა.

დრო გადიოდა. ერთხელ უქნარა კაცი მღელვარე მოგონებებმა გაიტაცა. შეხედა მძინარე დინოზავრს და მოეჩვენა, რომ დაპატარავდა. დიახ! დიახ! რაც უფრო დაჟინებით აკვირდებოდა, მითუფრო რწმუნდებოდა ამაში. უქნარა მიხვდა რომ თვითონ შინაგანად გაიზარდა, მაგრამ დინოზავრი დაპატარავდა. ის ყოველდღიურად უფრო და უფრო პატარავდებოდა. დღე დღეს მისდევდა და თვე თვეს. დინოზავრის დაპატარავების უწყვეტობა არ ჩერდებოდა. ის სიხალისე დაკარგა, რაც ჰქონდა, აღარც სიცილისგან გადაფიჩინდებოდა, ხოლმე, აღარც ჭამდა და არც აივანზე გადიოდა. მარტოობასა და სიჩუმეში უმოძრაოდ იყო. ორმეტრიანი დინოზავრი წონასა და ზომაში ყოველდღიურად იკლებდა. შეშინებულ უქნარას ღამე არ ეძინა. გაცოცხლებული აკვირდებოდა და გულის სიღრმეში გამოუცნობ სიხარულს გრძნობდა.

ერთ დღეს უქნარას გულმილეული და ტანწვრილი მოეჩვენა დინოზავრი. სწორედ იმ საღამოს დინოზავრს ქაცვი მოსძვრა და ხეშეში მაგარი ტყავიც აექერცლა, თითქმის ისეთივე გახდა, როგორიც დაიბადა — ფაფუკი ბუსუსებით და ვარდისფერი ნაზი კანით. ჭამას მოუკლო და ერთი ციდა გამოიყურებოდა. მეორე დღეს დინოზავრი ახალშობილ წინილას დაემსგავსა. ძლივს დადიოდა, მაგრამ დასახმარებლად უქნარასკენ ერთხელაც არ გაუხედავს. რის ვაივავლახით კვერცხის ნაჭუჭისკენ მიბობდა, შიგ ჩაძვრა და ზემოდან ნაჭუჭის ნატეხი დაიფარა. თითქოს ამით შეცვალა ის ფაქტი, რომ ამქვეყნად არსებობდა. კვერცხი ოთახში ისე იდო, როგორც ადრე; შეუმჩნეველად, ინტერიერში კამუფლირებული ათასი ხარახურის იქით, ადამიანურ თვალს მოფარებულნი.

— მშვენიერების გრძნობის უნარმა გამოარჩია ადამიანი ცხოველისგან, — ჩაილაპარაკა ერთხელ უქნარამ, როდესაც დინოზავრმცოდნე ესტუმრა და თვითონაც გაუკვირდა, ეს რა ჭკვიანური რამე ვთქვიო. ამ სიტყვების გაგონებაზე დინოზავრმცოდნეს გულიანად გაეცინა. მერე ველოსიპედი-სათვალე გაისწორა და ისე, რომ არაფერი არ უთქვამს, უქნარას ოთახიდან გავიდა.

ის დღე იყო და ის დღე, პენენიკად ჩაცმული უქნარა აღარავის უნახავს. წინანდებურად თავისი საყვარელი ზოლიანი რეიტუზით გადმოდებოდა ხოლმე აივანზე და ალერსიან ღიმილს შეაგებებდა სამსახურიდან შინ დაბრუნებულ მეზობლებს, ყველა სიყვარულით მოიკითხავდა. ისინი კი თითო ულუფას უნაწილებდნენ, ბავშვები ისევ ხშირად სტუმრობდნენ და ვახშამი მიჰქონდათ.

დინოზავრი აღარავის გახსენებია.

1955 წლის 9 თებერვალს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მოხვედრილიყო გალაკტიონ ტაბიძე თუ ბაზარში, კარგად ვეღარც კი გაარკვევდა.

ასეც ჩაინიშნავდა დღიურში:

— პირდაპირ ბაზარი გეგონებოდათ.

პრეზიდიუმის წევრები ერთმანეთს წასეოდნენ იმ განიშნატივითა და დაუნდობლობით, რაც ამ გარემოს სჩვეოდა და აღარც არასდროს მოიშლებოდა, ვიდრე მწერალთა კავშირი იარსებებდა — მედგრად მდგარი თუ სულდალაფული. არსი ესაა მისი და დანიშნულება და სხვაგვარად ანკი როგორ იქნებოდა. და ამიტომაც ამ დანესებულების აგონიის წუთებშიც შენარჩუნდებოდა ის გავეშება, რაც აგერ გალაკტიონის თვალწინ კიდევ ერთხელ თამაშდებოდა, მდუმარედ მიმჯდარი და ალიაქოთში ჩაკარგული რომ ისმენდა ყვირილს, ანჩხლობას, ერთმანეთს რომ არ აცლიდნენ და ერთობლივად ლაპარაკობდნენ — ნერვიულად, გაუგებრად, ხმამაღლა და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ისმოდა. დიდი რამ მიხვედრა არა სჭირდებოდა, რომ ერთმანეთს იოტისოდენა პატივსაც არა სცემდნენ, და ან არ ესმოდათ ერთმანეთისა და ან კიდევ განგებ განგაშებდნენ.

ალექსი გომიაშვილი გასარტყმელადაც კი ნაინევედა ბესო ჟღენტისაკენ.

— შენ მანდ წყნარად იყავი, ხუტა, — ეტყოდა ვილაც... იოსებ ნონეშვილს, ვინც შეურაცხყოფილი დარჩებოდა ამგვარი მიმართვით: სულ ხუტა რომ გაკერიათ ენაზე, ხე ხომ ხუტა არა ვარო.

პრეზიდიუმის სხდომის ფონი ასეთი ხელშესახები დრამატული შტრიხებით იმიტომაც წარმოისახებოდა, რათა გათვალსაზირობებულიყო, თუ რანაირ ატმოსფეროში მომხდარიყო საველე აბულაძეზე თავდასხმა: სიმონ ჩიქოვანის, აკაკი ბელიაშვილის, კარლო კალაძისა და ალიო მირცხულავასი.

ისინი თავს დაესხმოდნენ კიდევ ერთ პიროვნებას — თედო სახოკიას.

და გალაკტიონს მოუხდებოდა ეთქვა სიმონ ჩიქოვანი-სათვის:

— თედო სახოკიას უფლება აქვს... თქვენ ამოდ ესხმით თავს მწერალთა ძველ გვარდიას.

ნეტა რითი გამოიხატა ეს თავდასხმა?

თანაც ასე ერთობლივი?

წინასწარვე შეთანხმებულიყვნენ თუ?..

სავლე აბულაძისათვის თავი არ გამოეფო გალაკტიონს, ანკი რატომ გამოიძებდა, მაგრამ, აი, თედოზე ნათქვამი სუსხიანი სიტყვები გულს დაუსერავდა და საჯაროდ რაიმეს თქმას თუ მოერიდებოდა, მერე მაინც უსაყვედურებდა სიმონ ჩიქოვანს.

თედო სახოკიას უფლება აქვსო...

ნეტა ისინი რის უფლებას ართმევდნენ 86 წლის თედო სახოკიას?

გალაკტიონს კიდევ უფრო ხნიერი ეგონა, ყველაზე მოხუციც კი მწერლებს შორის — 90 წელს გადაცილებული.

— მაინც რომ ყოჩაღად იჭერდა თავს.

უკვირდა მისი ეს სიყოფილე, წლების ასე ლაღად, უდრტვინველად ტარება.

მისი გარდაცვალება არანაკლებ გააკვირვებდა. ორ სხვადასხვა ჩანაწერში დაუბრუნდებოდა გაზეთში გამოქვეყნებულ სამგლოვიარო ცნობას:

წინა დღით განმორებოდა წუთისოფელს. და ორივე ჩანაწერში აღინიშნებოდა ის უკანასკნელი თვალის მოკვრა, ტრამვაიში მჯდარი გალაკტიონის მხერაში რომ გაიღვებდა რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი სილუეტი. ერთი კვირის წინათ მოეკრა თვალი?

თუ ერთი თვის წინათ? ერთგან ისე ჩაინიშნავდა და მეორეგან — ასე.

ცოცხლად რომ მიაბიჯებდა, ორივე ჩანაწერშია აღბეჭდილი, ოღონდ ერთგან იმ გარემოებასაც აღიდგენდა მხსიერებაში, რომ თედოს სიცოცხლის ფერი აღარ ჰქონდა.

და უფრო დაბეჯითებითაც გაიმეორებდა:


— დიახ, მიდიოდა ძალიან ცოცხლად და მკვირცხლად, სიცოცხლისა კი არა ეტყობოდა რა.

და აჰა კიდევც... ნეტა იმ წამსვე დარჩენოდა ეს შთაბეჭდილება, თუ თედოს გარდაცვალებას რომ შეიტყობდა, მერეღა შეეცდებოდა იმ სურათის ამოტივტივებას გონების თვალწინ და მის ყოველმხრივ განსჯას?!

მაინც უკვირს მისი აღსრულება. მერე რა, რომ 90 წელსაც კი (გალაკტიონის წარმოდგენაში) გადაშორებია. მერე რა, რომ სიცოცხლის ფერი აღარ ადევს. ხომ დააბიჯებს კვლავაც ცოცხლად და მკვირცხლად. გამყოლიც არა სჭირდება, არამცთუ ხელის შემშველებელი. და განა რა მოხდებოდა, რომ არამცთუ ერთ კვირასა თუ ერთ თვეს ევლო წუთისოფელში იმ დღის შემდეგ, წლებიც ჩვეული სილაღით გადაეკეცა?!

მაშ ეს გაკვირვება რისა უნდა იყოს? რაც გულისხმავს ჩავარდებოდა გალაკტიონი და მოინდომებდა სალიტერატურო ცხოვრებისათვის თვალისა და ყურის მიდევნებას, თუ ვინმეს სახელი ჩაებეჭდებოდა ცნობიერებაში, მათ შორის თედო სახოკიასიც, და ეს იმის მიუხედავად, ემიგრაციაში უწევდა ყოფნა თუ სულაც ციმბირის კატორღაში. ყველა საქვეყნო და სამწერლო საქმეში გარეულიყო, ყველგან დაეწინა თავისი კვალი და უმიხოდ უკვე ძნელი წარმოსადგენი გახლდათ რაიმე წამოწყება. სკანდალური ეპიზოდიც უკავშირდებოდა მის სახელს, მაგრამ ეს სკანდალი — აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძეც რომ აღმოჩნდებოდნენ იმ ამბის პერსონაჟები — კარგა ხნის მივიწყებული იქნებოდა, თედო სახოკიას მჩქეფარე, დაუოკებელი ბუნება რომ არა, და კიდევ ის უჩვეულო ცნობისწადილი, ყველგან და ყველაფერში თხემით ტერფამდე რომ უნდა გადაშვებულყო ხოლმე და მისი პიროვნება ამიტომაც ინვევდა საყოველთაო ინტერესს.

პირადადაც გაიცნობდა გალაკტიონი. და თუმც თედო ყველასთან სამეგობროდ განწყობილიყო, არამცთუ თანატოლებთან, ბევრად უფროსებთან და ბევრად უმცროსებთანაც არ უძნელდებოდა გულითადი ურთიერთობა, გალაკტიონის სულეიერი ჩაკეტილობა თვითონ თედოსაც არ მიუშვებდა ახლოს.



მხატვარი კარლო ფაჩულია

ასეა თუ ისე, ძალიან კი შესწევოდა გალაკტიონი ამ სახელს, უმიხოდ ვეღარც წარმოედგინა ცხოვრების მდინარეება და ეგონა, რომ სულ ასეთნაირად გაგრძელდებოდა — თედო სახოკია იქნებოდა და იქნებოდა... ბიბლიური წლებით გაბრწყინებული? ვითომ რატომაც არა. გერონტი ქიქოძეს თუ ნიკო ნიკოლაძე ეჩვენებოდა მათუსაღად, გალაკტიონ ტაბიძეს — თედო სახოკია.

და გაიოცებდა, მის სახეზე სიკვდილის აჩრდილს რომ შენიშნავდა.

და კიდევ უფრო გაიოცებდა, როდესაც ამ აჩრდილის გამოცხადება რეალობად იქცეოდა.

სიცოცხლის ჟინითა და მჩქეფარებით ვერ დაეთრგუნა სიკვდილი და ვერ გაეძევებინა თავისი არსებიდან, თუმც იმდენს მაინც შეძლებდა, რომ ადვილადაც არ დამორჩილებოდა და ძველებური სიმკვირცხლით ჩაველო რუსთაველის პროსპექტზე.

— ცუდ დროს გარდაიცვალა.

ნეტა კარგი დრო რაღაა სიკვდილის კლანჭებში მოხვედრილი ადამიანისათვის?

მაგრამ გალაკტიონს თავისი პასუხი მოეძევებოდა:

— ზამთარია, პარტყრილობებია.

აჰა... აი, თურმე რა. ჯერ ზამთარი, ისედაც გრძნობა-ემოციათა შემოჭველი, და ეს პარტყრილობაც რომ დამთხვევია?!

ოოო, ეს კი

ნიშნავს, რომ თედოსათვის შესაფერისად ვეღარ მოიცლიან და მისი გარდაცვალება ისე ჩაიკარგება, თითქოს გამოჩრჩეული პიროვნება კი არა, რიგითი მოქალაქე გამოსთხოვებოდეს სანუთროს.

გალაკტიონიც იქნებოდა, ეს გარემოება აინუნშიც არ ჩაეგდო.

როგორ — აღსრულო და... ბედმა ისე გიმუხთლოს, შენი დაკრძალვა გამორჩეულად არ აღიბეჭდოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში?!. რაღაც გრანდიოზული თუ არ იქნება სამგლოვიარო პროცესია, მთლად ნაცრისფერ დღეთა ჯარსაც ხომ არ უნდა შეემატოს!.. და დაენანებოდა თედო სახოკია, ნუთუ ამდენხანს იმიტომ იცოცხლა, რომ მაინცდამაინც პარტყრილობის დროს დასდგომოდა თავს მიქელ-გაბრიელი?! „ნეტა მე ასეთ დროს არა!..“

წამოემუღებოდა მოგონებანიც.

და ფურცელსაც ძალდაუტანებლად წაეთანებოდა ხელი, რათა ეს შემოჯარული ფიქრები უკვალოდ არ გამქრალიყო და საუბისნიგნაკო მონახაზად ჩაინიშნულიყო, რათა ადრე თუ გვიან ლიტერატურულ პორტრეტად გამოკვეთილიყო, ანდა სულაც ბიოგრაფიულ ქრონიკად, თუნდ ისეთად, ზაქარია ჭიჭინაძისათვის რომ მიეძღვნა და უმცროს თანამოკალმეებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდათ, ცოტა გაშლავდა აკლია დაწურულ თხრობას, თორემ გული რომ დაუდოს, მზამზარეული სადისერტაციო ნაშრომიო.

ვითომ თედო სახოკიას კი არ დაშვენდებოდა სადისერტაციო ნაშრომის დაწურული ვერსია?

მითუმეტეს, პიროვნული თვისებებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ზაქარია ჭიჭინაძე და თედო სახოკია — ისიც

თავშენიერი გახლდათ ყოველგვარ ქართულზეც და ადამიანებზეც და ესეც, არავისთვის არაფერი რომ არ ეშურებოდათ და, სიკეთედ დაღვრილი, უამრავ ადგილას აღბეჭდავდნენ საკუთარ კვალს ისე, რომ აღარც ახსოვდათ და არც არაფრად აგდებდნენ: აბა, სხვაგვარად როგორ?!. თითქოს ეს მათი პიროვნული თავისებურება და ხიბლი კი არა, საერთოადამიანური ხასიათი და სტილი ყოფილიყოს.

საუბისნიგნაკო მონახაზიო...

ამ მონახაზში უპირველესად ეს ფრაზა მოგჭრით თვალს:

— ის და აკაკი წერეთელი მტრები იყვნენ.

როგორ თუ... მტრები?

რალაც გაუგებრობა ან რალაცას აჭარბებს გალაკტიონი თუ?..

— როდესაც თედომ გამოსცა აკაკი წერეთლის ნაკვესები, აკაკიმ იოხუნჯა: თურმე მოლა მასრადინა ენამჭვერი კაცი იყო, მაგრამ სიკვდილის მერე ყველაფერს მას აწერენო... რაც მოლას სიკვდილის მერე დაემართა, მეც სიცოცხლეშივე იგი მემართებო. აგერ „ვინაც“ სახოკიაო... და სხვ. ეს იყო 1895 წ. აკაკი გარდაიცვალა 1915 წ. თედომ მას მერე კიდევ იცოცხლა 40 წელიწადი... ხუმრობაა?

ესეც ის სკანდალური ამბავი, უნებლიეთ რომ გაეხვეოდა თედომ, მონდომებით ანთებულს, ჩემთვის სათაყვანო პიროვნებას სიამოვნება მივანიჭო, ასე უცნაურად რომ შემოუტრიალდებოდა ჩანაფიქრი და საქმე სულაც სასამართლო დავამდე მივიდოდა, დავამდე — „ივერიის“ რედაქციასთან, თორემ აკაკი წერეთლის ენამწარობის შუაგულში რომ მოჰყვებოდა, ამას კიდევ რა უშავდა.

არა, მთლად მტრობაც არ ჩამოვარდნილა მათ შორის, ანკი ეს როგორ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ იმჟამინდელი საზოგადოებრივი განწყობილება სწორედ ასე აღიქვამდა ამ უნებლიე შეხლას, გაბუჟავდა და ასე გაზვიადებულს გადმოსცემდა შთამომავლობას, ასე რომ, გალაკტიონის თავის მხრივ არაფრის მიმატება არა სჭირდებოდა.

რიცხვებით თამაში რას ნიშნავს ამ ჩანაწერში, ბოლომდე გასაგები არ არის, და უსათუოდ გაიშლებოდა ფსიქოლოგიურ პორტრეტსა თუ ბიოგრაფიულ ნარკვევში, ისევე როგორც ის ფრაზები, მნიშვნელოვნად რომ მოსჩვენებოდა გალაკტიონს, რაკილა უპირველესად სწორედ ისინი ჩაენიშნა.

ერთხელ, 1924 თუ 25 წელს, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში გალაკტიონი გახუმრებოდა რალაცას და იმას სულმუდამ ახსოვდა.

ნეტა რა ხუმრობა იყო ამისთანა?

ან რითი გამოიხატებოდა, რომ თედოს არაფრისდიდებით არ ავინყდებოდა ის მეგობრული შელაღობება?

ეგებ იმას კიდევ მალევე დავინყნოდა, მაგრამ გალაკტიონს ეჩვენებოდა, გულში ჩაიდოო?

რა აძლევდა ამ ეჭვის საფუძველს?

აგერ მომდევნო სტრიქონშივე აღნიშნულია, რომ ერთ სალიტერატურო საღამოზე, გალაკტიონის საღამოზე, თედო სახოკია პრეზიდენტში იჯდა, მაგრამ სიტყვა კი არ უთქვამს.

კი მაგრამ, რა მოხდა მერე — განა აუცილებლად ნაწყენი უნდა იყო პიროვნებაზე, მისადმი მიძღვნილ სალიტერატურო თავყრილობაზე სიტყვით რომ არ გამოხვიდე?

სახელგამის წინ რომ შემოხვდებოდა, ეტყოდა: გალაკტიონმა ითმინა, ითმინა და ბოლოსო!..

ამ ფრაზის გაცნობა ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ თედო გალაკტიონის მხარესაა, ამხნეებს, აგულიანებს. მაგრამ გალაკტიონი რაკილა დაეჭვებულა, არა და არ მაპატიია ის შეხუმრებაო, თედოს ღიმილი „რალაც სხვაგვარი“ ეჩვენება და ცოტა არ იყოს ნაწყენი დასძენს:

— შეხუმრებოდა, რალა.

ისე ამის ხუმრობა ხუმრობაა და იმისი — არა?

მოიცა, ეს რალა წერია?

ფოტო მინდოდა გადაგველო, — გაიხსენებს გალაკტიონი. და მერე?

— გაიქცა ვერის ბაღში.

ნეტა რატომ უნდა გაქცეოდა თედო ერთობლივ ფოტოსურათს? და თანაც ვისთან ერთად — ადვილად რომ ვერ ჰგულობდა ვერავის თავის გვერდით. მართალია ფოტოს გადაღებაზე სული უკანკანებდა გალაკტიონს და ცალკე იქნებოდა თუ ჯგუფური გადაღებისას, შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა, მაგრამ, აი, ვინმესთან ერთად კი დიდად არ ექაშნიკებოდა და მხოლოდ ყველაზე ახლობელ ანდა დიდად პატივსაცემი კაცის გვერდით დადგომას თუ დათანხმდებოდა. ამჯერად — სულაც თვითონ მოუწოდებოდა, მაგრამ თედოს რა დაემართა, რომ არ იყაბულა ეს შემოთავაზება, ის კი არა, სირბილთაც გაეცალა? ნეტა მანამდე გალაკტიონმა ხომ არ გაალიზიანა თავისი ხუმრობით, „მნათობის“ იმ ეპიზოდისა არ იყოს? ან ეგებ აკაკი წერეთლის ის სიტყვები გაახსენა: მოლა ნასრედინად მაქციაო, — თანაც ტუჩის კუთხეში ჩაყვებილი ღიმილით?

რამდენიც გინდა იფიქრე და იმარჩიე, ფოტო კი გადაუღებელი დარჩა და...

ისე რარივ გწყდება გული, ეს ფოტოსურათი რომ არ არსებობს: თედო სახოკია და გალაკტიონ ტაბიძე გვერდიგვერდ.

მეორე მსოფლიო ომის (გალაკტიონის ჩანაწერში „დიდ სამამულოდ“ მოხსენიებული) დროს თბილისში ზემოდან ჰაეროთი გადმოაგდებდნენ ყუმბარას და თედო აღელვებული რომ გამოეჩქარებოდა რუსთაველის პროსპექტზე და გალაკტიონს გადაეყრებოდა, უჩვენებდა რალაც ნატენს:

— აი, მე თვითონ ვნახე.

ყუმბარის ნატეხი აღმოჩნდებოდა, ყველას რომ უჩვენებდა გზაში.

უკანასკნელად მეცნიერებათა აკადემიაში დაინახავდა, კორნელი კეკელიძეს რომ მივარდებოდა და გადაეხვეოდა. ერთმანეთს რამდენჯერმეც გადაჰკოცნიდნენ. გალაკტიონი ახლოს იდგებოდა, მაგრამ თედო ვერ შეამჩნევდა. რა მოხდა, არა? ადვილი შესაძლებელია, მართლაც ვერ შეგნიშნონ, მაინცდამაინც განზრახ თვალის არიდება სულაც არ არის აუცილებელი... მაგრამ რაკილა კარგად მოგვეხსენება გალაკტიონის ეჭვიანი ბუნება, სულ უბრალო შემთხვევისათვისაც რომ შეიძლება რალაც კუდი გამოეხდა, აღარ გიკვირს მისი ის აფორიაქება, მალე რომ არც გადაუვლიდა და შინ დაბრუნებული კვლავაც ეჭვებით იქნებოდა შეპყრობილი:

— შეიძლება, არც უნდოდა ჩემთან შეხვედრა. რატომ? რისთვის? რა დავუშავე? აჰ, ალბად, მის იუბილეებში რომ არ ვიღებდი მონაწილეობას, ის ახსოვს-მეთქი.

მერეა, ტრამვაიდან რომ მოჰკრავდა თვალს, ცოცხლად და მკვირცხლად მომავალს, ოღონდ სიცოცხლისა რომ არა ეტყობოდა რა.

მერეა, სამედიცინო განცხადება რომ შემოეფეთებოდა და გაიოცებდა.

„როგორ, ესეც?!.“

მერეა, დასაკარგავად რომ დაენანებოდა მისი პიროვნება და ღვანლი.

„ისევე მე თუ!..“

მაგრამ ორიოდ გაფანტულ შენიშვნას არ გაცდებოდა გალაკტიონის ჩანაფიქრი, ზოგიერთსაც — მხოლოდ მისთვის გასაგებს.

მაგრამ ისეთ სურათს გვიტოვებდა, ისეთი გაელვება გადმოჰქონდა ყოფილობიდან ფურცელზე, გამლალა რომ აკლდა, თვალსაჩინო მასალით შეესება და... ბიოგრაფიული რომანის ძარღვიც სხვა კი არაფერი ყოფილა, ძარღვი, ძალდაუტანებლად რომ ამოიხვევდა ეპიზოდებსაც და პორტრეტ-სილუეტთა ნყებასაც, რომლის შუაგულშიც ამჯერად ის კაცი უნდა

მოქცეულიყო, სიკვდილამდე ცოტათი (ერთი კვირით? ერთი თვით?) ადრე ცოცხლად და მკვირცხლად რომ მიაბიჯებდა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, თუმც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

და გაოგნებულიყო გალაკტიონი — ჯერ ამ ხილვით და მერე ამ ხილვის ახდენით, თითქოს აჩრდილი ხელშესახებად დაენახოს, წუთისოფელში წამიერი მობრუნების შემდეგ კვლავ თავის სამუდამო სამყოფელში რომ უნდა ჩაძირულიყო.

ეს უჩვეულო წამია, ფსიქოლოგიური პორტრეტისა თუ ბიოგრაფიული ქრონიკის შესაქმნელად რომ უბიძგებდა, მაგრამ... მაგრამ...

თუმც მთავარი ძარღვის უშურველად გადმოცემა რა — ცოტაა?!

თითქოს ანდერძად გვიტოვებდეს მასზე ნაგებობის დაშენებას.

გაშლა და თვალსაჩინო მასალით შევსებაო...

ამ მხრივ თვითონ თედო სახოკიაც საკმაოდ იზრუნებდა, და ეს მიუხედავად იმისა, რომ — თუნდ გალაკტიონ ტაბიძისაგან განსხვავებით — საკუთარი თავის შუქზე სულაც არ შეპყრებდა ყველასა და ყველაფერს. ის ყველა და ყველაფერი უფრო აინტერესებდა, იმ ყოფითი რეალობის ნიუანსობრივ აღდგენა-შემონახვას ესწრაფოდა, მხატვრულ წარმოსახვებზე არანაკლებად რომ მიაჩნდა, იმ პიროვნებათა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტთა მიუკერძოებელ შესრულებას ლამობდა, მის საუკუნეს რომელნიც ქმნიდნენ და არა მხოლოდ დიდებულ სახელთა, იმათიც, სადაც-სადაც რომ მიკარგულიყვნენ თუ მიყურებულყვნენ, მაგრამ თავ-თავიანთი ხიბლი და პენი დასდევდათ, თავისებური კოლორიტით აღბეჭდილიყო მათ მიერ გამოვლილი ბილიკები და უიმათოდ ბევრი რამ მოაკლდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სამხერლო-კულტურულ პროცესებს. და ამ მოკლებას თუ ვინმე ვერ შეეგუებოდა, მათ შორის ერთი უპირველესთაგანი სწორედ თედო სახოკია, უნებურად თავის ბიოგრაფიულ ქრონიკას რომ ქმნიდა, მიმოფანტულს ეთნოგრაფიულ-მემუარისტულ, კატორღულ-სათავგადასავლო თუ ესეისტურ თხზულებებში... ამას კი ძალდაუტანებლად ემატებოდა სხვათა მოგონებანი თუ ეპისტოლეები, ხან სად რომ უნდა გამოჩენილიყო თედო სახოკიას ფიგურა და ხანაც — სად.

ყველაგან ის იყო, ყველა მოვლენის შუაგულში მოქცეული, საზოგადოებრივ-პოლიტიკურის თუ კულტურულის, და ანკი როგორ ასცდებოდი?!

მასალა მასალად და... რაღაცას ხომ უნდა შეეკრა ეს დაფანტული ფურცლები და სტრიქონები?

აბა, გალაკტიონი რას ინიშნავდა უბის წიგნაკში?

ლეგენდებში გადასულიყვნენ ილია ჭავჭავაძეც, აკაკი წერეთელიც, იაკობ გოგებაშვილიც, ალექსანდრე ყაზბეგიც, ვაჟა-ფშაველაც, ივანე მაჩაბელიც... კიდევ იყვნენ ლეგენდათა ბინადარნი და მათი ამბავი ნაწერებსლა უნდა მოეტანა — მემუარებს, დღიურებს, ეპისტოლეებს, მარგინალურად შერაცხილ ჟანრებს, XX საუკუნის მკითხველის თვალწინ რომ უნდა მოეპოვებინათ მოქალაქეობა, მაგრამ თუნდ კვლავინდებურად ლიტერატურის გერებად დარჩენილიყვნენ, ისევ მათ თუ მოეჭიდებოდი ამ პიროვნებათა სულიერი პორტრეტების რაც შეიძლება მეტი სისავსითა და ცხოველმყოფელობით აღდგენისას.

კიდევ ძალიან წაგადგებოდნენ.

მეგზურობას გინევდნენ.

გარდასულ სურათთა გამთლიანებაში გეხმარებოდნენ.

მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა, კიდევ რაღაც იყო აუცი-

ლებელი XIX საუკუნის სულის შესაგრძობად, მის ცოცხლად განსაცდელად, მისი მაჯისცემის მოსასმენად, მისი სუნთქვის მისაყურადებლად, მის განუმეორებელ ფერთა ბოლომდე გასათვალსაჩინებლად.

საამისოდ კი ის ადამიანები თუ შეგენოდნენ, რომელთაც ან უკვე ლეგენდებში დაბინადრებულ პიროვნებებთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ, ესაუბრათ მათთან, კიდევ ეკამათათ, მაგრამ მათ სიდიადეს რომ ცნობდნენ, მათი ადამიანური თვისებანიც არანაკლები სიზუსტით სცოდნოდათ.

ცოტა არ ყოფილა ასეთი ადამიანი, არაერთ საგულისხმო რეალიას რომ გამცნობდა და გარდასულ საუკუნესთან მიგაახლოებდა, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩეოდა ორი პიროვნება, როგორც ყველაზე კოლორიტულნი და ყველაზე მეცხრამეტე საუკუნისდროინდელნი: თედო სახოკია და შალვა დადიანი.

ასე დარჩებოდნენ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნაში და ასეც დაწყვილდებოდნენ ესეიში „მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები“, ხასიათებით ასერიგად განსხვავებულნი, მაგრამ სულიერად კი გადაჯაჭვულნი, ეს გზამკვლევი ესეი სამუდამოდ რომ შეაღწევადათ: ერთს — ახოვანს, მხრებში გამლილს, ლალს, აუჩქარებელს, მუდამ მომღიმარს, ბედნიერს, ადამიანებთან ურთიერთობაში რბილს, დამთმობს, ხათრიანს... და მეორეს — ტანმორჩილს, მუდამ საქმიანსა და მოფუსფუსეს, მტკიცესა და დაუთმობელს, შეუპოვარს, გულჩათხრობილსა და შეჭირვებულს, ერთი შეხედვით ასეთი რომ მოგეჩვენებოდა, მაგრამ როგორ ერთბაშად უნდა შეცვლილიყო, როცა დაგინახავდა და გაგიღიმებდა, და კიდევ განათებდა გულს თბილი სხივი რაღაც შორეული და გაუცნობიერებელი იმედისა... და წამსვე გაგიქრობდა იმ ცრუმთაბეჭდილებას, თითქოს ეს კაცი გულჩათხრობილი და შეჭირვებული ყოფილიყო.

შალვა დადიანის დაუმთავრებელ მემუარებში „რაც გამახსენდა“ ჯერ არსად გამოჩნდებოდა თედო სახოკია, არ ჩახატებოდა მისი პორტრეტი შალვასებური რელიეფურობითა და კანთიელობით.

სამაგიეროდ, შალვა დადიანის პორტრეტი ჩახატებოდა თედოსებური რელიეფურობითა და კანთიელობით ვრცელ გალერეად ნაგულისხმევ ესეების ციკლში „ჩემი საუკუნის ადამიანები“.

დადიანების ოჯახი თედოს 1892 წელს გაეცნო — ალექსანდრე როინაშვილის ფოტოგრაფიის ბინაში იდგნენ და აქ იყრიდნენ თავს ქართველი საზოგადო მოღვაწენი თუ ჩვენი ლიტერატურის მსახურნი. სალაპარაკო თემა სხვა რა იქნებოდა, თუ არა: ჩვენი თეატრი, მწერლობა, ხელოვნება, ქართველი ერი და მთლად საქართველო.

— განუწყვეტელი ძიება იყო იმისი, თუ ვის რაგვარი მალამო უნდა დაედო ჩვენი ხალხის ეკონომიკურისა და ეროვნული იარებისათვის; აღუნიშვნელი არა რჩებოდათ ჩვენი სამშობლო თეატრის სცენაზე დადგმული ესა თუ ის პიესა, მსახიობთა თამაში, სამხერლო ასპარეზზე გამოსულ მოასპარეზეთა მიერ კალმის ხმარება და სიკისკასე.

შეგებარება, ისეთი ცხოველმყოფელი გარემო წარმოიხატება, ნამდვილი დუღილი აზრისა და სწრაფვის, ურთიერთშთაგონება და ურთიერთშეგულიანება თავდადებული გარჯისათვის.

სწორედ იმხანად ამ ოჯახის უფროსის — ნიკო დადიანის — მეთაურობით უნდა დაარსებულიყო ქართული მუსიკის, როგორც ჩვენი კულტურის ერთი თვალსაჩინო დარგის, შესწავლისა და გავრცელების საზოგადოება.

ვის მიიწვევდა საზოგადოების დამაარსებელი მდივანად?

თედო სახოკიას, ვისაც მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდა საამაყოდ, ამ ჯგუფის იდეათა გავრცელებისათვის ზრუნვაც რომ მიენდო.

თანამემნედ ვის შეურჩევდნენ?

შალვა დადიანს, ვისაც თედო „პატარად“ მოიხსენიებს, თითქოს თვითონ იმჟამად უკვე ასაკოვანი გახლდათ — სულ ექვსი წლით იყო შალვაზე უფროსი, ესაა და ეს.

თუმც თანამემნის ასაკის ხაზგასმა იმისათვის დაუსაჭიროებია, ეს რომ აღნიშნოს:

— 18 წლის ქაბუკის სერიოზულობას რომ უყურებდით, იტყოდით, უკვე დაასაკებული, მომნიფებული ადამიანიო.

ეს ოჯახი უპირველესად რითი მოხიბლავდა თედოს, სულ აქეთ რომ მოუწევდა გული?

წმინდა, დაყურსული ქართულით.

ნიკო დადიანის ოჯახში ანკი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, და თედო ალტაცებასა და ეპითეტებს არ იშურებს ამ პიროვნებისადმი, და ფენომენალურ მცოდნედ და ქართული მეტყველების მათემატიკად რომ მოიხსენიებს, ასეთ მარჯველიტერატურულ ფორმულასაც მოუსადაგებს:

— თვითმპყრობელი ამ მეტყველების საიდუმლო გასაღებისა.

ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანს ქართული სიტყვის თვითმპყრობელად რომ მოიხსენიებდა, თედო დაესესებოდა ამ შეფასებას, ოღონდ „სიტყვას“ მისი მეტაფორული შესატყვისით ჩაანაცვლებდა, იდუმალებაზე რომ გადაიტანდა აქცენტს, რალაც ისეთის განცდა-შეგრძობაზე, რაც თითო-ოროლა ადამიანის გარდა ხელმოუწვდომელი რჩებოდა, რადგანაც მარტოდენ შესწავლა არა კმაროდა, თვით ფენომენალური ცოდნაც ვერ გიმეფელიდა, ის იდუმალი მადლი თუ არ გებოძებოდა უფლისაგან, თუნდ გასაღებადაც სახელდებული.

ძველი ამბები ხშირად გაისმოდა ამ ოჯახში, ზოგი უშუალოდ ნახაბი თავკაცის მიერ, ზოგიც გაგონილი, ახლა ცოცხალი, მდიდარი ფერადებით მოქარგული ენით, ოსტატურად გადმოცემული ყურს რომ უტკობდა ნორჩ მსმენელთ — შალვასა და მის დას, ხარბად რომ დასწავებოდნენ მამის მონაყოლს და აღარც ამოეშლებოდათ მეხსიერებიდან.

მამას ჩონგურიც აუცილებლად უნდა გადმოეღო ხოლმე და მის ასულს კი ზედ დაემღერებინა ხალხური თუ პატრიოტული ლექსები.

ამ ოჯახის ერთ თავისებურებასა და არაჩვეულებრიობას არც თედო გამოტოვებდა, შვილებს ნიკო დადიანი სასწავლებელში რომ არ მიაბარებდა. ამის თაობაზე კი თედოსაც არაერთხელ სმენია ნაცნობთაგან დაუფარავი საყვედურის კილოთი ნათქვამი ნიკოზე: თვით ბრძენი და ნასწაველი შვილებს უსწავლელად ტოვებსო. ვის გაუგონიაო! კაცმა შვილებს გიმნაზიაში არ ასწავლოსო!..

თედო მაინცდამაინც არ ამტყუნებდა ამ ადამიანებს, რადგანაც იმჟამად სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ რუსული გიმნაზიების გარეშე სწავლის შექმნა. მოგვიანებით კი შალვას ნაცნობთაგან ბევრს ალბათ მართლაც არ ეცოდინებოდა — და ვერც დაიჯერებდა — რომ „გუშინდელის“ შემოქმედს რუსული გიმნაზიის კარიც კი არ ენახა. და თუ ვინმემ, თედომაც ჩინებულად იცოდა, რომ ნიკო დადიანს საკუთარი სკოლა ჰქონდა, არსებითად განსხვავებული იმ დროის ოფიციალური სკოლისაგან.

— სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ეს სკოლა ორი რჩეულისთვისღა არსებობდა...

ამ ორ რჩეულთაგან ქალი, სოხუმში გათხოვილი, მფარველ ანგელოზად მოეკლინებოდა საქართველოს ამ განაპირა მხარის ყოველგვარ ქართულ საზოგადო საქმეს, და არამცთუ რუსთხელმწიფის დროს, არამედ ახალმონესეთა რეჟიმის პირობებშიც.

ხოლო ვაჟი...

— შალვა დადიანის... სახელი მანამდე მოიხსენიება, სანამ იქნება სახელი ჩვენი თეატრისა.

ნიკო დადიანის ის უცნაური ბედი რალა იყო, ბევრის თქმის შემძღმე, ბევრის დატოვებისთვის თითქოსდა ყოველმხრივ მომზადებულმა... კნინილა რომ მოგვცა?

რატომ ხდება წუთისოფელში ასეთი აუხსნელი მოვლენებიც, დიდ საქმეთათვის შობილი ადამიანები, რომელთაც ბუნებრივად მიუდით ცხოვრება და ხელს არაფერი უშლით, არსებითად უნაყოფოდ გადაეგებიან და ახალ თაობას თავიანთი სიბრძნის პანანინა ნაწილსლა აკმარებენ?

რალაც არ ჰყოფნით, რალაც მუხტი აკლდებათ, რათა თავიანთი გონებრივი სრულყოფილება შესაფერისადაც გაამჟღავნონ და შთამომავალთა თვალშიც ისევე გამოიყურებოდნენ, როგორც თანამედროვეთა ალქმაში, ალტაცებულნი რომ მისჩრებოდნენ და ყოველდღე მოელოდნენ მათგან რალაც განსაკუთრებულს, ერთბაშად რომ დაიქუხებდა და გაამართლებდა დიდი ხნის მოლოდინს...

მაგრამ მოლოდინი მოლოდინად რჩება.

და ნიკო დადიანის ბედის უცნაურობას რომ უკვირდებოდა თედო, ასე ახსნიდა:

— ალბათ შვილს უანდერძა თავისი სათქმელი, გარნა უთქმელად საფლავში ჩატანილის თქმა.

ასე მოუქებნიდა გამართლებას მისთვის ძვირფასი პიროვნების ბედისწერაში შეჭრილ ტრაგიზმს, გულში მდულარე განცდების ამოფრქვევას რომ არ განებებს და გტოვებს ყელზე საბელმოჭერილს.

მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ მამის ანდერძმამაგი შვილს გულდასმით წაეკითხა და პირნათლადც შეესრულებინა.

და თედო მონმედ მოიხმობდა შალვა დადიანის პიესებსა და მოთხრობებს, დახვენილი ქართულით დაწერილს, სხარტად, როგორც საერთოდაც ეხერხებოდა წერა და გამოკვართვა ნააზრ-ნაფიქრისა.

ნიკო დადიანის უცნაური ბედიო...

კულტურის უწყვეტობის შემანარჩუნებლად ხომ მაინც წარმოდგება მისი პიროვნება.

ქართული ენის მომხიბველობისა და იდუმალების უწყვეტობის შემანარჩუნებლადაც.

და თუ შთამომავლობისათვის ველარ დაეტოვებინა, გარშემო ხომ აფრქვევდა უხვად და ეს მადლი აგერ თედო სახოკისაც განეცადა, ენასაც რომ დახვეწდა ნიკო დადიანის გარემოში მყოფი და ქვეყნისათვის თავგანწირვის უნარსაც გაიხვავებდა — საამისოდ ცოტა ხანსაც იკმარებდა, რადგან ისევეაც უხვად მომადლებოდა ეს თვისებანი.

ასე დარჩებოდნენ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნაშიო...

ყველაზე მეცხრამეტესაუკუნისდროინდლებად.

და კიდევ:

წმინდა მოციქულებად, უხვად რომ უნაწილებდნენ ახალ თაობელთ მადლს იმ გარდასული საუკუნისა, საიდანაც მოემგზავრებოდნენ. და მართლაც რაოდენ ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ!..

ამ ესეიში ვახტანგ ჭელიძე ორჯერ უბრუნდებოდა თედო სახოკის გარეგნობის აღწერას, მის ასკეტურ შესახედაობას, სიმკაცრეს უფრო, ვიდრე სილაღეს, მის გაუცინრობას, მაგრამ როდესაც გაიცინებდა?!

— ძალიან უხდებოდა; განუსაზღვრელ სიკეთეს აფრქვევდა მისი თვალები მაშინ: თითქოს გეფერებოდა, გამხნეებდა, გულს იმედიდა და სიხარულით გივსებდა...

რამდენჯერ სტუმრებოდა შინ, სადაც თედო განსაკუთრებულ ალერსიანობას იჩენდა ხოლმე. ერთხელ საგანგებოდაც დაიბარებდა და უამბობდა ერთ ისტორიულ ამბავს, რომელიც ვახტანგს აინტერესებდა.

ნეტა რა ამბავი იგულისხმება?

მოგონების ავტორი მინიშნებით, ქვეტექსტითაც არაფერს გაგვიმხელდა, მაშინ როდესაც თითქოს არაფერი ედგა

წინ მის გამჭვლავლებას თუნდ ერთი ფრაზით... ბოლოსდაბოლოს ვის ან რას შეეხება ის ეპიზოდი. და მიჩნდება ეჭვი, რომ ივანე მაჩაბლის საიდუმლოებით მოცული გაუჩინარების ნამდვილი ვერსია უნდა ეცნობებინა მისთვის, მარტოდენ რამდენიმე კაცის ხსოვნა რომ ინახავდა.

ვახტანგ ჭელიძეს ამ ვერსიის გამოქვეყნება რომ სდომებოდა, კიდევ დაურთავდა „ივანე მაჩაბლის ცხოვრებას“ ბოლო თავად, ზედ მის ზღვარზე კი არ შეწყვეტდა თხრობას და ღია ფინალს კი არ ამჯობინებდა.

და რაკილა იქ თავს შეიკავებდა, მის მინიშნებასაც აერიდებოდა XIX საუკუნის მოციქულებისადმი მიძღვნილ ესეიში.

თუმც თედო სახოკიას მოყოლის სტილს კი საგანგებოდ წარმოსახავდა — იმ დღის შთაბეჭდილებითაც და არაერთი შეხვედრის წყალობითაც.

მოყოლის სტილს — თავისებურსა და უჩვეულოს, სახიერსა და ექსპრესიულს.

სხაპასხუპით ლაპარაკი არა სჩვეოდა, თუმც — ამბის დამუხტულობის კვალობაზე — შიგადაშიგ აჩქარდებოდა ხოლმე, და მსმენელს რომ შეჰყურებდა, იგი გრძნობდა, სულ სხვა რამეს ხედავს — ის სურათები უცოცხლდება თვალწინ, რასაც ახლა ჰყვებაო; და სურათების მონაცვლეობის მიხედვით სახეც ისე ეცვლებოდა, თითქოს პირველად შეჰყურებდა ამ სურათს, და ზოგჯერ ხელითაც მიგიითებდა უნებურად, აბა შენც შეხედეო...

ერთხელ სამნი ეწვეოდნენ შინ — ვახტანგთან ერთად გიორგი შატბერაშვილი და ოთარ ჩხეიძე.

სალამო ხანია, ცივა.

გაიხარებდა მასპინძელი მათი დანახვისას, დაფაცურდებოდა, ლუმელს გააჩაღებდა, მალ-მალე მივიდოდა კუთხეში, სადაც მოკლედ დაჭრილი შემის ნაპობები ელაგა. აიღებდა ნაპობს და ცეცხლს შეუკეთებდა.

ნაბიჯები დამოკლებიაო, — ესენი ერთმანეთს გადახედავდნენ, თუმც სწრაფად კი დადიოდა და... შთაბეჭდილება გრჩებოდა, ხაზგასმულია ეს სისწრაფეო. შენს მოსაჩვენებლად? ცხადია, არა. თედო და... რაიმეს მოჩვენებითობა?! და სამივე უტყუარი ფსიქოლოგიურ ალლოთი ამოიცნობდა მიზეზს: საკუთარ თავს არ უტყდება, ძნელია სიბერესთან შეგუებაო.

გადმოულაგებდათ მასალებს თავისი ლექსიკონისათვის, რომელიც გამოუცემელი დარჩებოდა და თავისთვის კი ქართულ-ქართულ სიტყვარად იხსენიებდა. მაშინ უკვე რომ გამოსულიყო „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ სამი ტომი, იმას ადარებდა და სიამაყეს ვერა ფარავდა, როდესაც რომელიმე სიტყვა „განმარტებითი“ არ აღმოჩნდებოდა და მას კი შეეტანა თავის ლექსიკონში.

ეს სიამაყე და სიხარული გივი ხვედელიძის, ექიმისა და მრავალმხრივ განათლებული კაცის, მოგონებიდანაც შემოგვანათებს, საშვილიშვილოდ გადადგმულ პირველ დიდ ნაბიჯად მონათლული გამოცემისა და თავისი ქართულ-ქართული სიტყვარის შედარება თვალნათლივს რომ გახდოდა მისთვის, განმარტებითი ლექსიკონის ჯერჯერობით გამოცემულ სამ ტომს... სამიათასამდე სიტყვა რომ აკლდა.

შემდეგ რამდენიმე სიტყვასაც მოიხმობდა, ქართულ განმარტებით ლექსიკონში რომ არ შეიძლებოდა მათი შეტანა.

მემუარისტს მათგან მხოლოდ ერთი დაამახსოვრდებოდა: დუხტი.

— ქიზიყსა და შიგნით კახეთში შამილთან ომის ხანაში ბევრი რუსის პოლკი იდგა, — აუხსნიდათ თედო, — ამის გამო კი მოსახლეობაში დარჩა ბევრი რუსული სიტყვა დამახინჯებული სახით. ასეთია ეს „დუხტიც“, რომელიც ქიზიყში გამოიყენება და არის იგივე რუსული „Духоть“.

თუმც მოვალედ მიიჩნევდა თავს იქვე დაერთო: მიუხედავად ასეთი წვრილმანი თუ მსხვილმანი ნაკლისა, „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“ უდავოდ დიდი კულტურული

მოვლენაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე გამოცემა უკვე ნამდვილად უნაკლო იქნებაო.

რარიგ ეშურებოდა თავისი ლექსიკონის დამთავრებას. იმ დღეს კი, მის კაბინეტში:

სტუმრები დიდხანს შერჩებოდნენ, არაფრისდიდებით არ უშვებდა ამ სამ მეგობარს, რუსთველური და ყაზბეგური ძმობა-ურთიერთობა რომ აგონდებოდა მათთან შეხვედრისას, და ისე მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა, ესენი რას წარმოიდგენდნენ, უკანასკნელი შეხვედრა თუ უნდა ყოფილიყო მასთან!

* * *

— შევუდგეთ ქრისტეს!

უკვე გამქრალიყო ეს გამოთქმა საერო მეტყველებიდან, უფროსთაობელთაგან ეგებ კიდევ ახსოვდა ვინმეს, მაგრამ ხსენებას ყველა გაურბოდა ათეიზმის მძვინვარების ხანაში და ეს ხატოვანი გამოთქმაც სადაც მიყრუვდებოდა თუ მიზინარდებოდა, უკვე დასაკარგავადაც გამზადებული.

თედო სახოკილა უნარჩუნებდა სიცოცხლეს. ისლა ინახავდა.

მის ბაგეებს თუღა მოსწყდებოდა. შევუდგეთ ქრისტესო...

ოდესღაც კი გაისმოდა ხშირად ეს შესიტყვება, რაიმე ქველ, სასიკეთო საქმეს წამოიწყებდა თუ არა კაცი, ამ სიტყვებით უნდა გაემხნეებინა საკუთარი თავიც და გარემომოყვანიც, თუნდ სულ უბრალო სიკეთეც ყოფილიყო, ყველაფერს შვენიოდა ამ ხატოვანებით მოშარავანდებაც და ყმანვილთა გულსა და გონებაში ჩაბეჭდვაც, რომ მათაც მაცხოვარი დაეგულეზინათ გვერდით და ცდილიყვნენ წვრილმან თუ მოზრდილ სიქველეთა აღსრულებას ამ შეგრძნებით გულმოცემულნი.

ახალ ღმერთებს მოენდომებინათ უფლის ჩანაცვლება, ახალი წინასწარმეტყველნი მოვლენილიყვნენ ახალი რჯულის საქადაგებლად და დასამკვიდრებლად და ახალი სამყაროც მოეტანათ — მიწიერ სამოთხედ აღთქმული, ყოფით სინამდვილეში სულ უფრო და უფრო რომ დემეგვანებოდა ჯოჯოხეთს და ველარც გაგეგო, საბჭოთა იმპერიის მოქალაქე იყავი თუ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ იმ ნაწილის პერსონაჟი, ჯოჯოხეთს რომ წარმოსახავდა უღრმესი გზებითა და ექსპრესიით, მაგრამ თურმე თვით დანტეს მხატვრული წარმოსახვაც ვერ შესწვდებოდა ისეთ გულისშემძვრელ სურათებს, რაც ნითელი იმპერიის შუაგულში დატრიალდებოდა და საქართველოც ამ ცეცხლისა და ვაების მონაწილე შეიქნებოდა, ღმერთგანდევნილი რეალობის, შანთი რომ სდევნიდა სიტყვასაც — უფლისადმი აღვლენილს, მზერასაც — უფლისაკენ მიმართულს, და ჩუმ ლოცვასაც, ბაგეებზე გადაბრენილს.

შევუდგეთ ქრისტესო...

ამ ხატოვან გამოთქმასა და მის განმარტებას ვერ იპოვნით თედო სახოკიას „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა“ სამტომეულში, თუმც ძალიანაც ეცმადუნებოდა ხელი ვრცელი ექსკურსისათვის, მაგრამ გაელვებასაც არავინ დაანებებდა 1950 წელს, და თავისთვის მანაც გაიმეორებდა და ამითაც გასდებდა იდუმალ ხილს მონყვეტილსა და ნისლში ჩაძირულ ქვეყნიერებასთან, რომლის დაკნინებულ ასლსა შეჰყურებდა.

ჯერ ის რა იყო და... ისიც სანატრელ-საოცნებოდ გადაქცეოდა — მისი აღდგენა ხომ წინსვლას ნიშნავდა უკეთესი მერმისისაკენ, რომლის დადგომაც არც არასოდეს ეეჭვებოდა სულიერად გაუტეხელს, ეგაა, თვითონ ვერ მოესწრებოდა, თორემ...

შევუდგეთ ქრისტესო...

ხშირად კი უხდებოდა ამის განმეორება, რაკილა გამუდმებით ქველ და სასიკეთო საქმეზე ეკიდა ხელი და სჭირდებოდა საკუთარი თავის გამხნეებაც და იმ საქმის დალოცვაც.

შვილიშვილს ჯერ მხოლოდ სიტყვებზე ებრუნებოდა გონებაში ეს რიტუალური დასაწყისი, ეს აუცილებელი ფორმულა, ვიდრე გაცნობიერებდა და შეიგრძნობდა მის მადლს და თვითონაც აწყვეტოდა მის იდუმალ რეკვას, ოდესმე ძალიანაც რომ დაისაჭიროებდა გამხსნელ ფორმულად მემუარული ჩანაწერებისა პაპაზე.

არასოდეს ყოფილა თედო სახოკია შესაფერისად დაფასებული, მაგრამ არც გაქრობით გაქრებოდა მისი სახელი, დროდადრო რომ გადაიღვებდა მოგონებებსა თუ ნარკვევებში და ამასობაში საკმაო მასალაც მოიყრიდა თავს, წიგნებიც შეემატებოდა ერთმანეთს, მის პიროვნებასა და ღვაწლს რელიეფურად რომ წარმოსახავდა, და ეს პიროვნული ბუნება საგულისხმო ფსიქოლოგიური დანაშრეებით გადაგვეშეგებოდა თვალწინ, განსაკუთრებით მაინც ვახტანგ ქელიძე რომ შექმნიდა თედო სახოკიას მართლაც მონუმენტურ სახეებს, მაგრამ, ცხადია, ვერაფერი შეცვლის შუქია აფრიდონიძის მიერ წარმოსახულ კოლორიტულ პორტრეტს, ბავშვის თვალთა დანახულ პაპის სახეებს, მცირე მინიატურათა მოზაიკად რომ დალაგებოდა და ბედნიერად მიგნებული სახელწოდებით — „მოგონება მოუგონელი“ — გამთლიანდებოდა.

როგორ აფიციებენ ყოველ წესიერ სასამართლოში მოწმეს, რა ტრადიციული რიტუალი უნდა აღსრულდეს?

რომ მან უნდა თქვას სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. ეს სიტყვები და ბიბლიაზე ხელის დადება კმაროდა, რათა მოწმეს ნდობოდნენ, ნდობა კი მოწმეს ბევრს ავალებდა.

თითქმის ასე გახლდათ მემუარისტის საქმეც?

წესითა და კანონით დიახაც, მაგრამ იშვიათად წარმოდგებოდნენ ხოლმე მოგონებათა ავტორები იმ მოწმის როლში, თავი რომ ეგრძნოთ უჩინარ მსაჯულთა წინაშე — ღვთისა და ერისა. ამიტომაც მოგონებულის ნაცვლად ხელთ გვრჩებოდა მოგონილ-შეთხზული, გამოგონილი.

„მოგონება მოუგონელი“ სწორედ ამ სულისკვეთებით განმსჭვალულა და სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო თედო სახოკიას გარემოდან ამოზრდილი ადამიანისაგან, ვისაც არც შეეძლო და არც სურვილი ჰქონდა უჩინარ მსაჯულთა მზერას გარიდებოდა მესხიერების ტალანებიდან მრავალმხრივ საგულისხმო რეალიათა ამოკრებისას, იმ თითქოსდა წვრილმანებისა, სახიერად რომ გვიცოცხლებს დიდბუნებოვანი პიროვნების პორტრეტს.

მოგონებათა ჩანიშნავა-აკინძვა კი ამ და მხოლოდ ამ ხატოვანი გამოთქმით თუ დაინწყებოდა:

— შევუდგეთ ქრისტეს!

თვითონაც იტყოდა ხმაბალა შუქია აფრიდონიძე, ვიდრე ფურცელზე გადაიტანდა და პირველ მინიატურას, შესავლად ნაგულისხმებს, ასეც დაასათაურებდა, და პაპის ხმაც მოესმოდა, იდუმალ მუსიკად რომ მოელამუნებოდა სმენას და აგრძნობინებდა, არსადაც არ წავსულვარ, ისევ შენთან ვარ ნუგეშად და გზის გამძღოლად.

კვლავ ჩემთანაა, კიდევ უფრო ჩემთანო, — დაიბეჯითებდა შვილიშვილი და იმ ჭეშმარიტებასაც ძალდაუტანებლად აღმოაჩენდა, ეგებ ადრეც ნაგრძნობს, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარაც გამოივლიდა გულისგულს:

— და არა მხოლოდ ჩემთან, — ჩვენთანაც!

უბრუნდებოდა ეს ძვირფასი, აუცილებელი, გასაშინაგნებული საღვთო ფორმულა საზოგადოებრივ ცნობიერებას, ჯერ მხოლოდ უნდა გადაეღვია, მაგრამ ისე გაეკვსა, ველა-რაფერი ამოშლიდა ჩვენი შეგნებიდან, გარდასულ ჟამთანაც რომ უნდა დავეკავშირებინეთ და იმ მომავლისა და უკეთეს საქართველოსთანაც, რომელზე ოცნებაშიც დალევდა სულს თედო სახოკია, სულს — დაუმცხრალს, დაუმშინებელს, ანთებულსა და გავარვარებულს, არად რომ ჩააგდებდა რვა ათეულ წელზე მეტ ტვირთს, თავისთავად დამდრეკსა და ჭირ-

თა უფრო ჭირს, რაც მას ჯერაც შორს ეგულებოდა, რადგანაც კვლავაც ერთდროულად მოსჭიდებოდა რამდენიმე საქმეს და თავსაც კვლავინდებურად ამ სიტყვებით იმხნეებდა:

— შევუდგეთ ქრისტეს!

და იდუმალებიდან ამ საღვთო ფორმულას რომ შეგვავაგონებს, იმასაც გვაგრძნობინებს და შეგვახსენებს, რომ, ვინ იცის, რამდენი რამ დაგვიკარგავს და გაგვეკრობია ხელიდან და ეგებ ჩვენს თვალწინ არსებულ სიძვირფასეთ მაინც მოვუფრთხილდეთ როგორმე და დაუდევრობით ნულა გავატანთ დროის ქარსა თუ ქარაშოტს თუ ბედუკულმართობის ტრაგეზმს.

დიდ განზრახვას დიდი სტილიც უნდოდა, დიდ სტილს დიდი ჯაფა, გულმოდგინე, თავაულებელი შრომა უნდოდა, ჰქონდა უნარი თავგამეტებული შრომისა და შრომობდაო, — ამ აკორდზე დააბოლოებდა ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანს ვასილ ბარნოვზე, როგორც ყველაზე შესაფერისზე, ევროპული რანგის რომანისტი დიტირამბად რომ გამოდგებოდა:

— ამიტომაც არ აღვსებულა იმისი ცხოვრება სათავგადასავლო ამბებითა, უცნაური შემთხვევებითა, წარმტაცი მოულოდნელობებითა. ეს სხვა ცხოვრებაა, თავდადებული შრომის ცხოვრებაა, ცხოვრებაა ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა.

ერთმანეთს გამიჯვნია თავდადებული გარჯა და სათავგადასავლო ამბებით აღსავსე ბიოგრაფია?

ორ საპირისპირო პოლუსზე აღმოჩენილან?

უმეტესწილად სწორედაც ასე მომხდარა, მაგრამ გამო-ნაკლისთა არსებობაც არავის გამოურიცხავს ანუ — ურთი-ერთგანმსჭვალვა თუ შეთვისება-გადაჯაჭვა ამ ორი პოლუსისა უეცრად ისეთ ჰარმონიადაც რომ შეიძლება წარმოგვიდგეს, გვეგონოს, თავდადებულ შრომასა და სათავგადასავლო ამბებს უერთმანეთოდ არც გაეძლებათ.

ისეთი ფილიგრანული ოსტატი ოქრომჭედლობისა, ფლო-რენციელი ბენვენუტო ჩელინი რომ გახლდათ, ისეთი თავდადებული მშრომელი და საკუთარი სტილის დამამკვიდრებელი საი-უველირო ხელოვნებაში, ბევრი არ მოიძებნება საერთოდაც, არამცთუ იტალიაში, მაგრამ გულისშემძვრელი და მღელვარე ამბებით ისე გადაჭედოდა და გადავსებულა მისი მემუარული ყაიდის წიგნი, სწორედ ამ ჟანრის — სათავგადასავლო რომანის — გმირს შემუშრდება, და კიდევ — რაინდული რომანისა: ახ, ნეტა ჩვენც გვრეგებოდა ბედისაგან ამდენი ფათერაკიო!..

თუმც რად გვინდა XVI საუკუნის იტალია თუ ბენვენუტო ჩელინი, განა ჩვენში კი მოვისაკლისებთ ისეთ ბიოგრაფიას, სათავგადასავლო რომანის პერსონაჟსაც რომ შეეხარებება?

რა — უცნაური შემთხვევები აკლია?

თუ ათასგვარი მღელვარება-ფათერაკები?

თუ წარმტაცი მოულოდნელობანი?

და იმავდროულად ეს იყოს თავდადებული შრომის ცხოვრება, ცხოვრება ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა.

და გარემოებათა წყალობით თუ იდუმალი კანონზომიერებით ეს პიროვნება ვასილ ბარნოვის ნამონაფარი აღმოჩნდეს, შემდგომ უკვე მისი უმცროსი მეგობარი და მის კვალზე დამდგარი, თავგამეტებული გარჯით რომ ერკინებოდა ულ-მობელ ბედისწერას.

...არა, ხან მაინც რა ჰარმონიულად ერწყმის ხოლმე ერთი-მეორეს ორი პოლუსი!..

აქეთ — სათავგადასავლო რომანის გმირის თავბრუდამხვევი თავგადასავალი.

იქით — ლიტერატურაში თხემით ტერფამდე ჩაძირული კაცის რუდუნება.

და ამ პოლუსებს ამთლიანებს თედო სახოკიას მონუმენტური სახეება.

ტრამვიდან ათვალერებს გარემოს გალაკტიონ ტაბიძე, ღრმა ფიქრებსა და წარმოსახვებში გახვეწულა, მაგრამ გარშემოც არაფერი გამოჩნდება, ის კი არა, მგონი ზურგიდანაც ხედავს ყოველივეს მსხვილმან-წვრილმანიანად... თუმცა, აბა, ვის დაუდგენია დაბეჭდვით, წვრილმანი რა არის ან რა არის მსხვილმანი ამ ნუთისოფელში?!

„საცა სამართალია, ამ პროსპექტს განა ჩემი სახელი არ უნდა დაერქვას? „მშვიდობის წიგნი“ უკვე დანერვილია და მსოფლიო დიდებაც აპა, ხელის განვდენაზე... ამ შენობაში მშვენიერად მოთავსდება ჩემი ერთ-ერთი მუზეუმი... იმ ხიდს რომ გალაკტიონისას დაუძახებენ, რად უნდა ლაპარაკი... იმ აღმართსაც... იმ შესახვევსაც... იმ ხესაც... გალაკტიონოლოგიის დანყებას წინ აღარაფერი უდგას, ისეთი დიდი მოძრაობის, რომელიც შეძრავს კაცობრიობას...“

ფანტაზიის გაქანებას წინ რა დაუდგება და ოცნებებში ლივლივ-ნავარდს.

მოიცა, ეს ვინ არის... ეს ბერიკაცი, ასე ჭაბუკურად რომ მოარღვევს ხალხს, თითქოს ცხრა ათეული წელი მის მხრებზე სიმძიმე კი არა, სულაც ფრთები იყოს... ვერ უყურებ თედო სახოკიას? მოგანდომებს, რომ შენც დიდხანს, რაც შეიძლება დიდხანს შერჩე ნუთისოფელს — თუ ასე მხნედ და ყოჩაღად იქნები, ასე ლაღად თუ ივლი, რატომაც არა, საუკუნესაც ქვეშ მოიგდებ... სახეზე სიკვდილის ნიღაბი რომ აფარებია?... მაგრამ ნიღაბი მაინც ნიღაბია, და თუნდ გარეგნულად სიცოცხლისა არა გეტყობოდეს რა, სულიერ გამძლეობას ასე ადვილად რა ჩაგიკლავს — ერთი კვირა და ერთი თვე კი არა, წლები უნდა გატეხო და საუკუნესაც ასე გადააბიჯო.

და გალაკტიონი კვლავ თავის ფიქრსა და ოცნებას ასდევს.

„ოოო, ეს დიდი მოძრაობა შეძრავს კაცობრიობას...“

ამ მოძრაობის მხურვალე მონაწილედ უთუოდ ითვალისწინებდა თედო სახოკიასაც, ვისი სახელიც არაერთხელ გაიხმინა მის უბის ნიგნაკებში ამა თუ იმ საღამოსთან დაკავშირებით, გამომსვლელად მასაც რომ ვარაუდობს; ხოლო 30-იან წლებში ერთ პროგრამას რომ შეადგენდა, გრანდიოზულ პროექტს, საღამოების მთელს წყებას 6 თებერვალს რომ დაიწყებოდა და 30 ივნისს რომ დასრულდებოდა სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, თავმჯდომარეთა მოსალოდნელ სიასაც დაურთავდა და: პროფესორ ივანე ჯავახიშვილთან, პროფესორ ივანე ბერიტაშვილთან, სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან, დოცენტ ასლანიშვილთან, ელენე ჩერქეზიშვილთან, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასთან, ალექსანდრე აბაშელთან, მოსე თოიძესთან, გერონტი ქიქოძესა და ილია ალაძესთან, — ერთად მოიხსენიებდა თედო სახოკიას გვარ-სახელსაც.

თედო სახოკია ფეხაჩქარებით მიეშურება, დამოკლებული ნაბიჯებით, მაგრამ სისწრაფეს ეს რას დააკლებს. ასე სიარულს ვერ გადაეჩვევა, ანკი რატომ უნდა გადაეჩვიოს, როდესაც უამრავი რამ აქვს მოსასწრები — ამდენი რამ მოსაძიებელი, შესაკრები, დასაწერი... რედაქციები და გამომცემლობები მოსავლელი... ამდენი ადამიანი მოსახალხურბელი, გასამხნეებელი... დღის განრიგი უცვლელი უნდა დარჩეს — ყველას და ყველაფერს თავ-თავისი ყურადღება, თორემ მირბის, მიჰქრის ნუთისოფელი, წამია წამთა წამისა და წამწამისა მსწრობელი, გადაეღვებოსას ჭირთა უფრო ძნელი სიბერეც რომ უნდა დაგატყდეს თავს, თუკი იქამდე მიატანე, მაგრამ ვისთვის ჭირია უფრო ძნელი, შენს მხრებზე შესაძლოა ისე ჩამოიფიფქოს, ოდნავადაც ვერ მოგდრიკოს...

დიდხანს სიცოცხლეს მოგანდომებს, — შენატრის გალაკტიონი და გულს ისალკლდევებს, რადგანაც საკუთარი თვალთ აქვს სანახავი და ბოლომდე შესატკობი, თუ როგორ შეიძვრის ახალდაწყებული დიდი მოძრაობის — გალაკტიონოლოგიის — წინაშე მთელი კაცობრიობა.

— შეეუდგეთ ქრისტეს! — შეაგულიანებდა თედო სახოკია, გალაკტიონს ეს ჩანაფიქრი მისთვის რომ გაეზიარებინა.

ჩვენი ფოსტა

კარგა ხანია ბატონი როსტომისა და რედაქციისთვის არაფერი გამომიგზავნია დასაბეჭდად. სამაგიეროდ, იტალიურად ვთარგმნე გალაკტიონის სამი ლექსი და ეს თარგმანები, აი, სულ რამდენიმე კვირის წინათ დამიბეჭდეს იტალიური ლიტერატურული ჟურნალის „სემიჩერკიო: რივისტა დი პოეზია კომპარატა“ 50-ე ნომერში (Semicerchio: rivista di poesia comparata). ქართულად რომ ვთარგმნოთ, იქნება: „ნახევარწრე: შედარებითი პოეზიის ჟურნალი“. დაბეჭდვას წინ უძლოდა ქართული ენისა და ლიტერატურის ერთი ჩემთვის უცნობი იტალიელი სპეციალისტის მიერ თარგმანებისა და მცირე წინასიტყვაობის შემოწმება. ეს ჟურნალი ხომ დასაბეჭდად წარდგენილ მასალებს ანონიმ რეფერის უგზავნის ხოლმე.

ორი შენიშვნაც მომიცა ბატონმა რეფერემ: ერთი ერთ სიტყვას ეხებოდა ლექსში „ქარი ჰქრის“, მეორე ქართული სახელების ტრანსლიტერაციას. დღემდე არც ერთს ვიზიარებ და არც მეორეს, მითუმეტეს, როცა არც ჩემი იტალიელი მეგობარ-ნაცნობების 97 პროცენტი არ ეთანხმება რეფერის აზრს იმ ერთ სიტყვაზე. მაგრამ მინდოდა დაბეჭდილიყო და დაყვავული რეფერისეულ ორ ჩასწორებას. მინდა ეს თარგმანები თქვენ გამოგიგზავნოთ და გაჩვენოთ, ამიტომ თან ვურთავ წერილს PDF ფორმატში. თარგმანებს მცირე შესავალიც წაუშემდევარე, სადაც გალაკტიონის ბიოგრაფია მოვეყვიე საქართველოს ისტორიის კონტექსტის გათვალისწინებით. არც კოლხეთის ხსენება დავიშურე ქალაქ ვანის მითითებისას. მინდოდა სწორედ ბიოგრაფია მომეყოლა და ჩამერთო ისეთი მონაკვეთები, რომლებიც იტალიელ მკითხველს, რომელთაც სლავები ვგონივართ სამწუხაროდ, გალაკტიონთან ერთად საქართველოსაც გააცნობდა ოდნავ მაინც და გადაწყვეტინებდა, თავისი ფსევდო-ცოდნა, თითქოს ქართველები სლავები ვიყოთ და კირილიცას ვიყენებდეთ, გადაემონებინა საფუძვლიანად.

„სემიჩერკიო“ სიენას უნივერსიტეტის ჟურნალია (<http://semicerchio.bytenet.it/pagina.asp?id=1&lang=en>), საკმაოდ კარგი და პრესტიჟული. იტალიელი მეგობრები, ვინც ბიოგრაფიის გაშალაშინებასა თუ ლექსების თარგმანში დამეხმარნენ, მათი უარის მიუხედავად, თანავეტორებად და თანამთარგმნელებად მივუთითე. მართლა ბევრი რამ მირჩიეს, რა და როგორ მიმეწოდებინა იტალიელი მკითხველისთვის. კარგია, რომ ეს ჟურნალი თარგმანებს დედნითურთ ბეჭდავს, ქართული ანაბანის დანახვა უმალ შეარყევს სამწუხაროდ ნაკლებად გათვითცნობიერებული უბრალო იტალიელი მკითხველების მცდარ სტერეოტიპებს ჩვენზე. ნათარგმნი სამი ლექსი შემდეგია: „ვერხვები“, „თოვლი“ და „ქარი ჰქრის...“ ვიმედოვნებ, რომ რედაქციისთვის საინტერესო იქნება და, ინებეთ, აი, გიგზავნით.

ნიკა შაშვიანი



ეთერ თათარაიძე

* * *

ნეტავი, ახალგაზრდობავ,
ცოტახანს მოგიყვანაო.

ხალხური

წახვალ, წესად არ გაქვის
თავმობრუნვა უკვენ,
გაღვულ საგდოლიან კარ,
ფიქრებ გულს სჭამს მხუთველ,
ალარც ცოტა' ხან მოხვალ,—
ნეტა გაბრუნ უკვენ...

* * *

ჰო, ზუგრაზე გიამბობდ,
დიდხანი, ველარ ავზობახდ,
ხალიზ რადამ აღარავ,

გუშიც საზღვარს გადმოხკვეთდ
დიდოეთითა თუშუეთ
მომდინარა' სალარა'.

სიმღერა მთა-მთის წვერებს
მე'დებოდა-დ წალღეკავდ
შაქარ-ყინულს სადარა'.

უშენოდ ფიქრიც დი'ღალ,
მსმენელ გამიქრ სამზეოს,
ნადინ-ხალიზ აღარავ...

ჰო, ზუგრაზე საობარ
ცხვა დროისად იყოს.

* * *

ხითა-ხეზე მავალო
კუდბუთქუნა' ციყვო,
კდითა-კდეს მოსრიალე
სისვფერ-ფენილ ფხლიკვო.

ჩივილ-ჩივილით მფრენო
შავჩოხიან შაშვო,
ლურბელ-ლურბელ მავალო
არწივო,ფრთა-მფრაშო.

წყლითა-წყალს გამავალო
პირწყლით ნამსვებ თევზო,
ცხემლითა ცხემლს ნასხამო
ჭრელ წინდა'ის დეზდო.

კარისყურის მამულო,
სანატროვ, არ მბეზრო.
ნეტაი თქვენთან მამყოფ!..

* * *

სიყვარულისად გავჩინდ,
ქვა-ქვიშასთან დავესახლ,
ვიარ ვმამაშ'ლებელმ,
ქარი-დ თავსხმა დამეძაგრ.

მთელ სამზეო გიგურგურ,
მთელ სამზეო მიყრინ,
დღე-ღამეებ შენდ ვასწორ,
გვერდნაქცევარმ მიღრინ.

სიყვარულიზდ გაჩენილ
ყინულ მიწას მიმრი.

* * *

ერთხელც იქნების, განყდებ
თმენა-თმენის ბანარ,
ერთხელც იქნებ, დამჯუღვიღ
გი'წსნების ბასრ კანარ.

ერთხელც იქნებ, დასხლტების
ნამაგრალ ფეწ ფხანალს,
ერთხელც იქნების, გახყრის
ნაკეტ კარებ ლანანს.

ერთხელც იქნებ, თირთო შუ'ვ
ადამისძის ჭაჭანს,
ერთხელც იქნების, აშლის
ქარ შავ ცხენის ფავარს..

* * *

მე იმამ მოვკვდებივ,
როცა შენ მოხკვდებივ.

ხალხური

ჰოად მეაც ი'მამ მოვკვდ,
როცა გულს ჯელ დი'კრიფ,
ჰოა-დ ქვად ი'მამ ვიქცი,
ბოლო ჯერს რო დი'გმინ.
გულამორთმულ დავდივარ,
სულმ უშენოდ მი'წყინ.

მე კაი ხნის სულრთმულ ვარ,
ჩემ წილ მზე შენ დი'ფინ..

* * *

არ გე'ტეხივ სიცვიე
მოდალბულ დღეებს,
განაყვითლარ-ნაშიშვლარს
გაზაფხულ შველს ტყეებს.

არ გე'თელივ, დამიჯერ,
ბოროტრულ დღეებს,
ბაღამის მემრ ბაღავ მა'ქვ
ნალოც თასით მწდეებს...

* * *

ნამდვილ სიყვარულს ვიკვლევ,
ვიკვლევა - დ ვერ შევეყარ,
მაგის კვლევნა - კვლევნაში
ათას ხიფათ შემეყარ.
სი წავიდავ, - ვის არ ვხკითხ,
იმედ მეკარგ - შემეცვალ,
„ანგარებამ შეჭამავ“! -
ზეციით ძახილ შემეპარ.

სადღაც შორს დარჩა დავა-კამათი, რამდენად გამართლებული იყო ისე წერა, იმ ენობრივ-სტილური მანერით, როგორც ეთერ თათარაიძე წერდა, თითქოს მწერალი ირჩევდეს სტილს და არა სტილი მწერალს, თითქოს ენის სტიქია არ ითრევდეს შემოქმედს და იმ ბილიკებზე არ დაატარებდეს, რაც პოეტისათვის ყველაზე ბუნებრივია, მის გულისძგერას გათანაბრებული.

და მაინც, ძნელია პასუხი გაეცეს კითხვას: რას ვისმენთ ეთერ თათარაიძის ლექსში, სიტყვის მუსიკას თუ მუსიკის სიტყვას? ბგერას მოაქვს ეს უჩვეულო ხმა, ეს მელოდია, ეს ჰანგი, თუ მელოდია ქმნის ბგერას?

აქ არის ტექსტი და კიდევ რაღაც, რასაც სახელს ვერ დაარქმევ, იმიტომ, რომ არ არის მაინცდამაინც საგნობრივი, კონკრეტული, ხელმოსაჭიდი, მაგრამ, სამაგიეროდ, საგულისხმოა, რეზონანსულია, საგრძნობია.

ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს არის ჩვეულებრივი თუშური კილო და არა ამ კილოს პოეტური კვინტესენცია, მიგნებული, დამუშავებული და გამოყენებული ექსკლუზიური უფლებით.

დიალექტში უთუოდ დევს გარდასახვის პოტენციალი. დიალექტი თავისთავად გარდასახვაა, გადასვლაა, გადახვევაა, გარდათქმაა, სვადქმნადობის აქტია, თავისუფალი თამაშია, რომელიც სხვა წესებს უარყოფს და თავის წესს ამკვიდრებს, სალიტერატურო ენის საზღვრებს ტოვებს ერთი მხრიდან და მეორე მხრიდან შემოდის ამავე საზღვრებში.

რიტმიც იკვეთება სტრიქონებში, მკვეთრი და ნახევრად ხშული ტონალობით. ეს არ არის ჩვეულებრივი რიტმი. ღიად დაწყებული სტრიქონი ბოლოში იკეტება, როგორც წესი, თანხმოვანზე ბოლოვდება, ინტერვალი მოკლდება, მაშინ როცა კლასიკურ პოეზიაში (განსაკუთრებით ხალხურში) ხმოვანი აგრძელებს და აბოლოებს სტრიქონს.

წახვალ, წესად არ გაქვის
თავმობრუნვა უკვენ,
გაღვულ საგდოლიან კარ,
ფიქრებ გულს სჭამს მხუთველ,
ალარც ცოტა' ხან მოხვალ,—
ნეტა გაბრუნ უკვენ...

ფორმისა და შინაარსის მთლიანობა — ეს-ეთიკური ეფექტი.

ეს ეფექტი იტევს იმ სიღბოსა და სიბოძს, რაც თუშებსა და თუშეთს ახასიათებს, რაც არის აქაურ მთაში, ბალახში, სიბით ნაშენებ სახლებში.

ძნელია იმის გაგება, რაც იგრძნობა. არც არის საჭირო ლექსის ყველა დეტალი გაიგო. იქნებ ვერგაგებული უფრო მეტია, ვიდრე გაგებული, ისე, როგორც უთქმელი უფრო მეტია, ვიდრე თქმული.

გამყინვარებულ სოფელს
ცრემლღვრით უფალ შემე'ფარ..

ვაიმეე, ჩემ უფალო,
ვა ჩვენ თავსა-დ ქვაა...

* * *

სიბერემონარევალ,
ჩემ ულონო დედო,
აახლ შენ სიდა-დ ან მე სიდ,
ჩემ უთქმელა' დედო.

მშვიდად მიმყოფ, უფალო,
ნერა-მწერელვ, ყბედო..
არ დამილონვ, ი'სრეც ბევრ
დარდ განაკენეტ მყავის,
მაგის თავს წისქვილის ქვაა
დაბრუნდა-დ ბევრ ცხვაიც.
ბევრიდ წყალ აქვ შორითაჲ
ნაზიდ საცერ - ცხავით.

არ გამინვალვ, უფალო
ი'სრეც ნატანჯ მყავის...

* * *

მბილა' ეკალიი, მბილა', -
სიტყვით მინას ჩაგანვენს,
სახეს ღიმოლ ნაფენარ
თავზე ავ მებს დაგატებს.

მბილა 'ეკალიი, მბილა', -
ღიმით დილეგს დაგამწყვდეგს,
ფერა'ობ-ფერა'ობას
თავზე სიკვდილს დაგალენს...

* * *

რა' გითხრ, ვითომ ნავინყო,
განამეტარ ფერდაო,
გულში ჩანაფუთარო,
სუ თან მტანელ სევდაო.
ძილ-ღირღალში ჩვენებად
გამონაცხად ელდაო,
მოსვენების მკარგველო,
ჩქამ-ჩაგდებით მღერღავო...

რა' გითხრ, ჩემ ტკმელ თუშეთო...

* * *

— უმწვრეთლოი-დ უმჯერლო
ბალებ მეჯავრებიან,
რ'ასაც ეტყვ რო არ მიზდის,
გლენცენ-გეჯაბრებიან.
აქთა' ბალებების მშობლებ
სოფელს ეტანჯებიან.

— მითა, გუდა ძირში რო
მაგრ უნდ ჩი'ზეკოს.

— ჰო, მართალი, ჩვენ შვილებს
თავა ვაფუჭებთ,
სწავლა-რიგების კვალად
ზეცას ვაქუხებთ.

— ვერ ვიც, მე კი, კარგა'ნო,
უმჯერლონ მაჯავრებენ.

* * *

ბერდია'ც

ყველა'თად ვარ შენანყენ,
ჩამომეშველ, უფალო,
ჩემ გულ ყველა'თად მლეი,
უსაგდოლო - უკარო.
ზოგ ბოლმიან თვალთ მჭამს,
რა'ს მიბღვერენ, უფალო,
ზოგ შიშველ დანას მამჭვამს,
ანაღესარს, უტაროს.
ცხვათ რა'ში უნდ დავემდურვ,
საახლობლო უკანო...

კიდევ ერთხენ გამამყარ,
სულს მიმკურნალ, უფალო,
ჩამომეშველ გულდამმერალს,
ბნელს გამარიდ, უფალო.

* * *

აქებსა-დ აქორა'ებს,
ქალოო, მსკერს აგდებიებს,
რა'იც რო გინდ მართალ იყვ,
აუგს არ გათქმევიებს.
ცის ძირითაჲ ცის წვერამდ
სუ შვილების ჯდენაჲ,
სუ იმათ მონად ყოფნაჲ,
ყველა'ის თმენაჲ
ერთხენც კი მომედინებ
ი'მათ წიხლის ქნევაჲ,
ერთხენც იქნებ ნაქებართ
ციტა მინისკ ფრენაჲ.

ქება-ქორებას ცვეთაჲ
კა არ არის, არ...

* * *

აი, ჯავირ თვალ მოგკარ:
მწვანე მოლზე ფეწამოსს
მზეს წრიალით უფენდ,

ი'ქავ გაშლილ სრავალსთან
თავნილ-წინო-ბაინოთ
მონაფრენ გუნდს უქმევდ.

რ'ა ხარ, რა' ხარ, ეთერო,
სუ საქმეში განახლართ,
შენ ვინ განახევდ უქმედ...

მიანც ტკმელ იყვ ბალებობაჲ.

* * *

ნერა-კითხვის ხალიზ სუ
ერთიანად წამერთვ,
სადარდოზე სადარდო,
ცრემლს-ცრემლ ერთკვადს დამერთვ.
ნალულუნარა' გულში
ყირვნის ლოლო ჩამერთვ,
ყლორტებ ნაყარალა' ხეჲ
ფესვით ფესვამდ ჩამეწმვ.

ხვალეზე საკაო ფიქრს
კელეპტარო, ამენტ!

* * *

ომიი ღეს წუთისოფელ,
იბძოლება-დ იცხორებ,
თვალს მიულულვ, ი'მამივ
ხკანკალება-დ იცხორებ...

ომიი, ომ-ომ სამხეოჲ -
თუ იომებ, იცხორებ.

* * *

მზე-მთვარიზდ ზნე ვის შუ'ცვლი
ან ვის გლოად დამსხდარან,
ოკეანე ვის დუ'შრი,
ოცნებებში დამშვრალან.
ზვავ ვის გუ'ჩერებავის,
მთის ფერდებ რო დამსქდარან,
მწვერვალებ ვის მუ'გლეჯავ,
გულმშვიდად რო დამსხდარან...
ერთადერთ მაგათ მომრევ
დრო-ხანაი, მასხარა'ნვ.

* * *

გორზე გორვ-გორვით გაჩინდ
ძილნაკლულა' მზეჲ...

* * *

ამოვალის, ჩავალის
ღამენათენ, ფერნაკლულ,
პირმირგველა' მთვარეჲ...

* * *

არ, არ, მოსწრებაზე ვარ,
ფერა'ობას სულს ამოგჯდ,
ჩემ უტკმელეს თუშეთო...

* * *

რიჭვნიით ვზივარ ღამ დღეთა-დ
ქვა-ქვიშას ვაცლ ფიქრებს...

* * *

თავითა რო გაგეჩინ,
რა ჭკვიანად ვიცხოვრებდ,
ჩემ უტკმელეს უფალო...

პარტი ამბები საბურამოდან

* * *
 სი წამიხვედ, სუ ჩემ გულს
 ნახვევარო-დ ნაჭუჭკო...

* * *
 ფეკს დოლაბებ მემბების,
 შენკ მოსვლას რო ვეპირებ...

* * *
 ჩიტ ჩინს თავჩანაქინდრალ,
 რა'ზე ფიქრობს, ნეტარ...

* * *
 დღედა' ღონენალებო,
 ნაბიჯნამძიმ წლებო...

* * *
 თუ ფიქრს გახყვებ, დაგკარგავს,
 მუ'ბრუნებლად ნაგიყვანს...

* * *
 ფიქრსაც ღონე გამოსცლი,
 დარდს გულის ხვრა სცოდნი...

* * *
 ადამიანს ვეროდის
 ვერ უცვეთავ სამზეო...

* * *
 მე შენ ველარ გიცნობა-დ
 შენდ მეთვ გავედ უცხო...

* * *
 შენდ ზედ ლევა-ზედ ღლობას
 ღონეს გამიწყდ ქანც...

* * *
 სიბერეში, გაქსონდეს,
 უფრ დაგვჭირდებ ერთმანეთ,
 ღმერთ თუ დაგვაბერებს...

* * *
 რა'გვერც ცა ელვით იხევ,
 ჩემ გულ ელდით სქედების...

* * *
 სამება შემომხედავს,—
 ერთ იმედ ღეს მყავის...

მუზეუმის დირექტორი უნივერსიტეტში. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაური და იშვიათი ამბავია, მაგრამ, მეორე მხრივ, რატომაც არა, უნივერსიტეტი ხომ ის ადგილია, სადაც კულტურის ყველა სფერო აინტერესებთ.



ვახტანგ სართანია, სერგო ვარდოსანიძე, ანდრო ბედუკაძე

4 ნოემბერს **წმინდა ანდრიას სახელობის უნივერსიტეტს** სტუმრობდა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი **ანდრო ბედუკაძე**. მართლაც, სად უნდა მიენვიათ ბატონი ანდრო, თუ არა წმ. ანდრიას სახელობის უნივერსიტეტში.

სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუმრები ხაზგასმული პატივისცემით შეხვდნენ კაცს, რომელიც უკვე ოცდასამი წელია, რაც საქართველოს უმთავრეს მუზეუმს ხელმძღვანელობს. თითქმის მეოთხედი საუკუნე — კულტურისა და სულიერების ძეგლის სამსახურში. ეს იოლი არ არის. ამ ხნის განმავლობაში იყო მრავალი სიძნელე, მატერიალური გასაჭირი თუ სხვა დაბრკოლებანი, მაგრამ იყო ბრძოლისა და შრომის სურვილიც. საბოლოოდ, გაკეთდა ძალიან კარგი საქმე, საგურამოს მუზეუმი არათუ გადარჩა, არამედ პირვანდელი სახე და იერი დაიბრუნა, საშვილიშვილოდ გამაგრდა შენობა, გალამაზდა ბაღი და შემოგარენი. ამ საქმის ზოგად ეროვნულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ** და ქართველოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ტარიელ ფუტყარაძემ**.

„საგურამოში დავიბადე და გავიზარდე და კარგად ვიცი, რას ნიშნავს ილია ჭავჭავაძის სახლი და რაოდენ ძნელია მისი მოვლა-პატრონობა. ამ ძნელ საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი ბატონმა ანდრო ბედუკაძემ“, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ვახტანგ სართანიამ**. მან ისაუბრა აგრეთვე იმ აღმშენებლობით პროცესებზე, რაც მიმდინარეობს არამარტო მუზეუმში, არამედ მთელ საგურამოში.

პროფესორმა **ამირან გომართელმა** ყურადღება გაამახვილა ჟურნალ „საგურამოზე“, რომელსაც ბატონი ანდრო რედაქტორობს. კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ საინტერესო გამოცემის აკადემიური სტილი ზუსტად თანხვედბა ილია ჭავჭავაძის იდეურ სულისკვეთებას, რასაც ადასტურებს წინ წამოწევა ისეთ მოღვაწეთა ნააზრევსა, როგორებიც არიან აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ფაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ წერეთელი და სხვანი.

მიხეილ ლოლაძემ — ბიზნესმენმა, მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრმა — დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტები, რომლებიც ბიზნესმენტა დახმარებით ხორციელდება საგურამოში.

პროფესორმა **ელდარ ნადირაძემ** მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა უწოდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 20-ტომეულის გამოცემას, რომელსაც ანდრო ბედუკაძე უდგას სათავეში.

ჰუმანიტარული მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა **თამარ კირკიტაძემ** სტუდენტების სახელით მადლობა გადაუხადა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებსა და მის დირექტორს იმისათვის, რომ ისინი თავდადებით ემსახურებიან ეროვნული კულტურის საქმეს.

პროფესორმა **ლევან ბრეგვაძემ** გაიხსენა გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც საქართველოში ყველაფერი ინგრეოდა და მათ შორის მუზეუმიც, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვიდა ანდრო ბედუკაძე დირექტორად და მან შეძლო გაეერთიანებინა კულტურული საზოგადოება ამ ეროვნული ძეგლის გადასარჩენად.

ანსამბლ „**ქართული ხმების**“ მომღერალმა **ზურაბ ლოლაძემ** წამოაყენა წინადადება, ანდრო ბედუკაძე კიდევ ერთხელ მოზრძანდეს უნივერსიტეტში და წაიკითხოს ლექცია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ანდრო ბედუკაძემ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისა და დაფასებისათვის. თქვა, რომ თავის თანამშრომლებთან ერთად კვლავაც განაგრძობს ბრძოლას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ღირსეული მოვლა-პატრონობისათვის. მან ერთი სასიხარულო ამბავიც გაამჟღავნა — **მომავალი წლიდან საგურამოში იწყება დავით გურამიშვილის მუზეუმის მშენებლობა.**

ნიკა თევზაძე

უცხოზი ჰაშეკი

იაროსლავ ჰაშეკი (1883-1923) დიდი ჩეხი მწერალია, რომელმაც შექმნა უკვდავი რომანი „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი და მისი თავგადასავალი მსოფლიო ომში.“ ჰაშეკზე სსრკ-ში ბევრს წერდნენ. საბჭოთა კრიტიკა ჯიუტად ცდილობდა შვეიკის ავტორი ბოლშევიკად წარმოეჩინა. ეს იდეა გატარებულია ჰაშეკისადმი მიძღვნილ უამრავ მონოგრაფიაში, რომელიც სსრკ-ში გამოიცა, ასევე იური ოზეროვის ფილმში „დიდი გზა.“

როგორი იყო ნამდვილი ჰაშეკი?

ბოჰემური ინტელიგენტი

იაროსლავ ჰაშეკის ბიოგრაფია როგორც კარგი სათავგადასავლო რომანი, ისე იკითხება. დღემდე ჰაშეკზე უამრავი ანექდოტია შემორჩენილი. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ მისი მეორე ცოლი ალექსანდრა ლვოვა, არც მეტი, არც ნაკლები, თავად ლვოვის ქალიშვილი იყო. ზოგიერთი მემუარისტი წერს, რომ რუსეთში ყოფნისას ჰაშეკმა, რომელიც მაშინ ბოლშევიკური პარტიის წევრი გახლდათ, ერთ მონაზონთან რომანი გააბა. მონაზონსაც მწერალი ისე შეუყვარდა, რომ მონასტერი მიატოვა და მას გაჰყვა. ჰაშეკთან ერთად თეთრებთან ბრძოლებშიც მონაწილეობდა. ერთ-ერთი შეტაკებისას ჰაშეკს მკერდით გადაეფარა და გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა.

ესაა ერთ-ერთი იმ ლეგენდათაგანი, რომელიც ჰაშეკზეა გავრცელებული. უნდა ითქვას, რომ ასეთ ლეგენდებს მწერალი თვითონვე თხზავდა და ავრცელებდა, — წერს ჩეხი მკვლევარი ზდენეკ გორჟინი.

იაროსლავ ჰაშეკი ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა. როგორც მწერალმა-სატირიკოსმა სახელი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე გაითქვა. იმავდროულად ჰაშეკი პოლიტიკითაც იყო დაინტერესებული. სრულიად ახალგაზრდა ანარქისტებს მიემხრო, მაგრამ გული მალევე აუცრუვდა. ფაქტობრივად ყველა მაშინდელი ჩეხური პარტია მოიარა, ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ: „პოლიტიკა დიდი თამაშია და ყველა პოლიტიკოსი ხალხის მოტყუებით გადის ფონს.“ ჰაშეკიც საკუთარ პარტიას ქმნის. ესაა ან უკვე ლეგენდად ქცეული „ზომიერი პროგრესის პარტია.“

— აღნიშნული ორგანიზაცია პრალის ერთ-ერთ ლუდხანაში შეიქმნა. ჰაშეკიც მის ლიდერად ერთსულოვნად აირჩიეს, — წერს ზდენეკ გორჟინი.

ლუდი ჰაშეკს მართლაც ძალიან უყვარდა. შეეძლო ლუდხანებში მთელი დღეები ევლო. მისი ერთ-ერთი მეგობარი, მწერალი ზდენეკ კუდეი წერს:

— ჰაშეკთან ერთად ერთ ღამეში პრალის ორმოცდაათამდე ბარი შემოვიარეთ.

ლუდით გახურებულ ჰაშეკს საინტერესო იდეები ებადებოდა. ხან პრალის ხიდის მოაჯირზე ყირას აკეთებდა, ხანაც ფარნის ბოძზე აცოცდებოდა და მამალივით ყიოდა. ლუდხანათა ხშირ სტუმარს ხშირადაც მოსდიოდა ჩხუბი. შედეგად შექიფიანებულ მწერალს პოლიციაშიც წააბრძანებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება კინაღამ საბედისწეროდაც დამთავრდა:

— ჩვენს ქუჩაზე ვინმე კარელ კროუპა ცხოვრობდა. ცუდი კაცი არ ყოფილა, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ გალოთდა, — წერს კუდეი.

კროუპას ცუდი სიმთვრალე ჰქონია, ამიტომაც დალევდა თუ არა, ყველა ერიდებოდა. მხოლოდ მისმა ექესი წლის შვილმა — ვანეკმა — გაბედა და მთვრალ მამას ლუდხანაში მიიკითხა, შინ წამოდიო. გაცოფებული კროუპა შვილს ყელში სწვდა:



იაროსლავ ჰაშეკი

— როგორ მიბედავ! ირგვლივ მყოფნი ბავშვს გამოესარჩლნენ. ამან კროუპა კიდევ უფრო გააცეცხლა:

— რა თქვენი საქმეა! ჩემი შვილია და რასაც მინდა, ვუზამ! ამ სიტყვებზე ბავშვს ქეროში ხელი ჩაავლო, ასნია და მაგიდაზე დაადლო, შემდეგ ქამარი შემოისხნა:

— ყველას თვალწინ გავროზგავ!

მედუქნე თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. კროუპას ვერაფერს უბედავდა, პოლიცია კი არსად ჩანდა, მხოლოდ ჰაშეკმა გაბედა და გამხეცვულ ლოთს უთხრა:

— კარელ, რაებს სჩადი! როგორ შეიძლება ბავშვს ასე მოექცე?

— ნადი, შენი! — დაიღრიალა კროუპამ და ქამარი შემართა.

ჰაშეკმა ისკუპა და მასთან გაჩნდა. მწერალმა ქამრის ბოლო ჰაერშივე დაჭირა. სურდა მთლიანადაც გამოეტაცა, მაგრამ ვერ შეძლო. კროუპას ძალდატანებით მისი ხელი ნელ-ნელა მაგიდაზე უმწეოდ დაეშვა.

— სხვის საქმეში ერევი, აი შე...

კროუპას ვეებერთელა მუშტი ჰაშეკის თავზე დაეშვა. მწერალი ჩაიკეცა. ვილაცამ შეჰკვივლა:

— მოკლა! მოკლა!

მოვიდა პოლიცია. გამხეცვებული ლოთი ციხეში წაიყვანეს, ჰაშეკი კი ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოხვდა.

— ბენეზე გადარჩა, — წერს კუდეი.

ლუდხანებში სიარულის გარდა მოგზაურობაც უყვარდა. ფეხით მოიარა მთელი ჩეხეთ-სლოვაკეთი, უნგრეთი, ავსტრია, იმყოფებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში.

— ფაქტობრივად მანანწალობანას ვთამაშობდით, — წერს კუდეი, — ამ დროს ჰაშეკს საინტერესო იდეები მოსდიოდა ხოლმე თავში.

წიგნში „ორნი მხიარულად მიაბიჯებენ“ კუდეი აღწერს, თუ როგორ ჩაიცვა ჰაშეკმა კაბა. ქალის როლს ისე ოსტატურად თამაშობდა, ერთ-ერთმა გამველმა არშიყობაც კი დაუნყო.

— იგი ადგილობრივი მღვდელი გახლდათ, — წერს კუდეი. ჰაშეკმა არშიყობა შეიფერა. მღვდელი ყოყმანობდა, ეტყობოდა კუდეის იქ ყოფნა დისკომფორტს უქმნიდა. ჰაშეკმა ეს შენიშნა და გაიცინა:

— ზდენეკი ჩემი ძმია!

ამ სიტყვებზე თავი კეკლუცად გვერდზე გადაწია. მღვდელმა ჰაშეკი და მისი მეგობარი შინ დაპატიჟა და მეფური სუფრა გაუშალა. კუდიმ დრო იხელთა, ჰაშეკს იდაყვი ნაპკრა და ჩასჩურჩულა:

- მგონი შეუყვარდი!
- მერე რა?
- ამ ღამეს ფრთხილად იყავი...

მართლაც შუალამზე მღვდელი ჰაშეკის ოთახში შეიპარა და სიყვარულის ახსნა დაიწყო. ჰაშეკი იცინოდა. მღვდელმაც თავი ვერ შეიკავა, გადახეცა და კოცნა დაუპირა.

— ჰაშეკმა ფეხებს შუა მთელი გამეტებით ამოსცხო, — წერს კუდიმ.

მღვდელი დაეცა. სანყალი ახლავდა მიხვდა, რომ მის წინაშე მამაკაცი იდგა.

მსგავსი თავგადასავლები ჰაშეკის ცხოვრების განუწყვეტელი თანმხლები იყო. ამიტომაც მას ბოჰემური ინტელიგენციის მტკიცე რეპუტაცია ჰქონდა:

— ყველას და ყველაფერს დასცინის! ცხოვრება მისთვის თამაშია, — ამბობდნენ მასზე.

ბევრი იმედოვნებდა, რომ ქორწინება ჰაშეკს კალაპოტში ჩააყენებდა. მისი მეუღლე იარმილა მართლაც შესანიშნავი ადამიანი გამოდგა, ლამაზი, განათლებული, ნიჭიერი. ჰაშეკიც ძალიან უყვარდა.

— ალერსით იაროსლავჩიკს ვეძახდი, — იგონებდა შემდგომში იარმილა.

ქალი გულმოდგინედ ცდილობდა ჰაშეკი „ჭკუაზე მოეყვანა.“ ყველაფერი ამო აღმოჩნდა. მეუღლე კვლავ ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა, მთელს დღეებს ლუდხანებსა და ბარებში ატარებდა. ზოგჯერ ფრიად საინტერესო იდეებიც მოსდიოდა თავში:

- ახალ მოთხრობას ვწერ, მისი მოქმედება საგიჟეთში ხდება.
- რაო? — იარმილა ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა.
- თუკი საგიჟეთში არ მოვხვდები, ამ ნაწარმოებს ვერ დავწერ.
- მეორე დღეს ჰაშეკი ხიდთან მივიდა და წყალში გადახტომა დააპირა. ბუნებრივია, პოლიცია უმალ მასთან გაჩნდა. შეკითხვაზე, რას აკეთებო, ჰაშეკმა მიუგო:

- იმპერატორმა ნაპოლეონმა მიბრძანა, თავი მოიკალიო.
- ჰაშეკი საგიჟეთში წააბრძანეს. იქ მან ორი დღე დაჰყო. ექიმთა კომისიის დასკვნა კატეგორიული იყო: პაციენტი ჯანმრთელია. ჰაშეკიც გამოუშვეს. სასამართლომ წვრილმანი ხულიგნობისათვის ჯარიმა დააკისრა.

— ამგვარ ოინებს გამუდმებით სჩადიოდა. კარგა ხანს ვითმენდი, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, — იგონებს იარმილა. ბოლო-ბოლო ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ჰაშეკი, ისევე როგორც მისი თაობის მამაკაცთა უმრავლესობა, ჯარში გაიწვიეს. ამან მის შემდგომ ბედზე უზარმაზარი გავლენა იქონია.

— ჰაშეკს ავსტრო-უნგრეთის იმპერია სძულდა და მისთვის ბრძოლის არავითარი სურვილი არ გააჩნდა, — წერს გორჟენი.

მწერალი რუსებს ტყვედ ჩაბარდა. მალე რუსეთში ჩეხი ტყვეებისაგან ლეგიონის შექმნა დაიწყო. ჰაშეკიც ლეგიონერი ხდება. მას კიევში გამოძავალი ჟურნალის „ჩეხოსლოვაკენ“ რედაქტორად ნიშნავენ. მალე რუსეთში თებერვლის რევოლუცია ხდება. 1917 წლის ოქტომბერში კი დროებითი მთავრობა დაამხეს. რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურა დამყარდა.

— კომუნისტურმა იდეალებმა არაერთს აურია ტვინი. ჰაშეკიც გამოაკლისი არ ყოფილა, — წერს ჩეხი მწერალი-დისიდენტი კარელ მიხალი.

ჰაშეკი ბოლშევიკური პარტიის წევრი ხდება. ასე დაიწყო მის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი.

წითელი კომისარი

როდის გახდა ჰაშეკი ბოლშევიკური პარტიის წევრი? მწერალი ამის თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს იძლევა. პრალაში გამართულ ერთ-ერთ ლექციაზე (1921 წელი) თქვა:

— ბოლშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან ვარ. პეტერბურგში საგანგებოდ ჩავედი, რათა ზამთრის სასახლის იერიში მიმელო მონანილეობა!

როგორც ჩანს, ეს ჰაშეკის ერთ-ერთი მორიგი „ხუმრობაა.“ ორიოდ თვის შემდეგ უკვე სხვა ლექციაზე მწერალი იტყვის:

— ბოლშევიკური პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ!

მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ ჰაშეკი პარტიის წევრი 1918 წელს გახდა. იმხანად ჰაშეკი კიევში იმყოფებოდა. იგი უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების უშუალო მომსწრე იყო. მალე რუსულმა წითელმა არმიამ კიევი დაიკავა. ჩეხური ნაწილები ანტიბოლშევიკურად იყვნენ განწყობილი, რადგანაც თავიანთ მტრად გერმანელებს აღიქვამდნენ. ბოლშევიკებმა კი გერმანული დაზვერვის დახმარებით გადატრიალება მოახვედრეს. ჰაშეკი, რომელიც ბოლშევიკური იდეებით იყო მოხიბლული, თავისიანებს არ აჰყვია. იგი მოსკოვში გაემგზავრა, რათა ლენინის პარტიის წევრი გამხდარიყო. ბოლშევიკებმა კი ჩეხური ლეგიონები ციმბირში გადაისროლეს.

— ძმობა, ერთობა, თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა! ჰაშეკი ამ ლოზუნგებმა მოხიბლა, — წერს კარელ მიხალი.

მალე ჰაშეკს სამარაში აგზავნიან. აქ ჩეხოსლოვაკიური ლეგიონი დგას. ბოლშევიკურ ხელისუფლებას ჩეხების გადმობირება სურს თავის მხარეს. ჰაშეკიც თანამემამულეთა შორის მხურვალე აგიტაციას ეწევა, აქაოდა წითელი არმიის მხარეს გადმოდითო. აგიტაცია უშედეგო გამოდგა:

— ჰაშეკმა მხოლოდ 120 ლეგიონერის გადმობირება მოახერხა, — წერს მიხალი.

მალე ჩეხური ლეგიონი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა. ჰაშეკი თავის 120 გადმობირებული ლეგიონერთა და წითელი არმიის ნაწილებით მათ წინ აღუდგა.

— ამრიგად, ჰაშეკს იარალი თავის ყოფილ მეგობართა წინააღმდეგ უნდა აღემართა, — წერს მიხალი.

მწერალმა ეს არ ისურვა. მან ფრონტი მიატოვა და სამარას გაეცალა. ჩეხურმა ლეგიონმა ქალაქი დაიკავა. ჰაშეკსაც ბრალი ღალატში დასდეს. ჩეკა მწერალს აპატიმრებს:

— მას ტრიბუნალი ემუქრებოდა და სასწაულით გადარჩა, — წერს გორჟენი.

ჰაშეკი სასწაულით გადარჩა — რატომ? ეს დღემდე მოცინად რჩება. ზოგი ამტკიცებს, მწერალს რამდენიმე გავლენიანი ჩეხი კომუნისტი გამოესარჩლაო. ასეა თუ ისე, ჩეკა იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა. ამ ამბის შემდეგ ის თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში მონაწილეობდა. მუშაობდა ბოლშევიკურ გაზეთებსა და ჟურნალებში. ზოგიერთი მისი არაკეთილმოსურნე ამტკიცებდა, თითქოს წითელ ტერორშიც მონაწილეობდა. ფაქტებით ეს არა მტკიცდება:

— პირიქით, ჰაშეკი მასობრივ მკვლელობებს წინ აღუდგა. მან რამდენჯერმე დაიცვა მონასტრები აოხრებისაგან, ისხნა რამოდენიმე ინტელიგენტი, რომელსაც ჩეკა დახვრეტას უპირებდა, — წერს მიხალი.

თავის მოთხრობებში ჰაშეკი აღწერს კონფლიქტს წითელ მეთაურ ერიოხიმოვთან, რომელთანაც ჰქონდა შეხლა-შემოხლა ბუგულმაში. ერიოხიმოვმა ბუგულმაში სისხლის ტბა დააყენა. ჰაშეკი მის თვითნებობას წინ აღუდგა. საქმე კინალამ ხელჩართულ დაპირისპირებამდე მივიდა. მწერალს მხარი დაუჭირა პეტერბურგის საკავალერიო პოლკის ნაწილის მეთაურმა, რომელიც მაშინ ქალაქში იმყოფებოდა. ერიოხიმოვიც იძულებული შეიქნა ბუგულმა დაეტოვებინა, თუმცა ჰაშეკს სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში უჩივლა. მსგავსი კონფ-

ლიქტები მწერალს არაერთი ჰქონდა. ჩეკამ, როგორც „არაკეთილსამედო“, მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა. ჰაშეკს დაპატიმრება დამუქრა.

გადიოდა დრო. ჰაშეკიც მიხვდა, რომ იდეალები და სინამდვილე ერთმანეთისაგან ისეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. ძმობის, ერთობისა და თანასწორობის ნაცვლად რუსეთში საშინელი სისხლისღვრა გაჩაღდა. ამ დროს იწყება მისი რომანი ალექსანდრა ლვოვასთან. — ეს ქალი რომ არა, ალბათ შევიშლებოდი, — იგონებდა შემდგომ ჰაშეკი. ლვოვასთან ვნებიანმა სიყვარულმა მას წამში დაავინყა ყველაფერი. „შურინკა“ — ასე ეძახდა ქალს ალერსით. თავის მხრივ ლვოვასაც ძალიან უყვარდა. შურა ასწავლიდა ჰაშეკს, თავი როგორ დაეჭირა, რა ეთქვა და რაზე გაჩუმებულიყო.

— ვერა ხედავ, რა ხდება! ადამიანის სიცოცხლეს კაპიკის ფასი ადევს! ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა და დავილუპებით, — უთხრა შურამ.

— დუმილი არ შემიძლია, — აღმოხდა ჰაშეკს, — ღმერთო ჩემო, ნუთუ რუსეთში ყველა შეიშალა?!

— ჭკუით რუსეთს ვერას გაუგებ, — შურამ გაიღიმა, — ასე რომ, დამშვიდდი, ყველას ნუ ენდობი. ვილაც-ვილაცების გამოსარჩლებლასაც თავი დაანებე! დაფიქრდი, იქნებ ამის ღირსნი არ არიან?

— ეეჰ! — ჰაშეკმა ისე ამოიოხრა, გეგონებდათ გულღვიძლი ამოაყოლოა.

შურა ამაოდ არწმუნებს თავის შეყვარებულს, რომ საშინელი ქარბორბალა დამთავრდა, კოლჩაკი დაამარცხეს, ბანდებსაც მალე გაანადგურებენ, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებაო. ჰაშეკსაც სურს თამაშიდან გავიდეს, თავისი მყუდრო ბუდე აიშენოს. მალე ჰაშეკმა და ალექსანდრა ლვოვამ ერთად დაიწყეს ცხოვრება. ჰაშეკი ირკუტსკში სახლს ყიდულობს. მან და ლვოვამ სამოქალაქო ქორწინება გააფორმეს. იდგა 1920 წელი.

— ეჰ, შურა, შურა! რუსეთში ისეთი საშინელება მოხდა, რომ ნორმალური ცხოვრება აქ საუკუნეები აღარ იქნება.

— აბა რას ლაპარაკობ! — შეიცხადა ქალმა, — ომი მთავრდება! მალე ნითელ ტერორსაც გააუქმებენ და...

— ჰო, ნითელ ტერორს გააუქმებენ, ნეპსაც შემოიღებენ, მერე რა? სადაა სოციალიზმი? განა ამის გამო ღირდა სისხლისღვრა?

— მამ შენ აზრით...

— ჩემი აზრით, მეფის ტირანია ბოლშევიკურმა შეცვალა, — შეანწყვეტინა ჰაშეკმა, — ახლა რუსეთში პარტიული დიქტატურაა, რომელიც მალე ერთი კაცის დიქტატურად გადაიქცევა.

— რაო?

— საფრანგეთის რევოლუციის დროსაც ასე იყო! ძმობა, ერთობა, თანასწორობა მოინდომეს. შემდეგ ამას გილიოტინა და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. რევოლუციაც თერმიდორის გადატრიალებით დამთავრდა. შემდეგ ნაპოლეონი მოვიდა.

— რუსეთშიც ნაპოლეონი მოვა?

— აუცილებლად, — ჰაშეკი ჩაფიქრდა, — უშუალოდ ვინ იქნება, ვერ გეტყვი! მხოლოდ ის ვიცი, რომ აქ საშინელება დატრიალდება! რუსეთი უბედური ქვეყანაა, დამიჯერე!

— არ შეგიძლია შენთვის წყნარად იყო? რა გაკლია? სახლ-კარი გაქვს, სამსახურიც, იყავ შენთვის, სხვის საქმეებში ნუ ჩაერევი, — შურამ ქმარს აკოცა და ჩაეხუტა, — გაიგე?

გაქცევა რუსეთიდან

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. წყნარად ცხოვრების უფლება ჰაშეკს არ მისცეს. მალე ირკუტსკის ქალაქის საბჭოს წევრად აირჩიეს. მისგან მოითხოვდნენ, რათა ადგილობრივ გაზეთებში სტატიები გამოექვეყნებინა. ჰაშეკი იძულებულია დათანხმდეს. ცოლს ამის შესახებ უთხრა:

— იცი რა? თუკი ასე გაგრძელდა, ან თავს მოვიკლავ, ან რაღაც უბედურება მოხდება.

— რაო?

— ამ საგიჟეთის ყურება აღარ შემიძლია! ღმერთო ჩემო, ნუთუ მთელი რუსეთი შეიშალა?

— ალბათ შეიშალა, — დაეთანხმა ლვოვა, — იქნებ პარტიიდან გახვიდე?

— ეს შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამას ლალატად ჩათვლიან და არ მაპატიებენ.

— აბა რას აპირებ?



— რუსეთიდან უნდა გავიქცე. წამოხვალ ჩემთან ერთად?

— რასაკვირველია, — წამოიძახა ლვოვამ და გადაეხვიდა.

რუსეთიდან გაქცევის გეგმას ჰაშეკი გულდასმით ამუშავებდა. მან არსებული ვითარება დეტალურად გაანალიზა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა შეიქმნა. 1920 წლისთვის ჩეხეთში პოლიტიკური კრიზისი მნიშვნელოვანად კლანდონულ მალაროელთა გაფიცვა. ჰაშეკმაც თავის მეგობარ ჩეხ ბოლშევიკებს მიაკითხა:

— გამაგზავნეთ ჩეხეთში, კლანდონულ მალაროელებს დავრაზმავ და პროლეტარულ რევოლუციასაც განვახორციელებ!

ჰაშეკის ამ წინადადებას თავდაპირველად უარით უპასუხეს. კომინტერნი მართლაც აპირებდა ჩეხეთში ბოლშევიკური პუტჩი მოეწყო და ამ მიზნით მემახტეთა გაფიცვის გამოყენებასაც აპირებდა, მაგრამ გამოდგება კი ამ საქმისათვის ჰაშეკი? მასზე არაერთგვაროვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ერთნი დადებითად ახასიათებდნენ, სხვები ბურჟუაზიულ ინდივიდუალისტად მოიხსენიებდნენ. ჩეკა მას „არაკეთილსამედოდ“ მიიჩნევდა. ჰაშეკიც სასოწარკვეთამ შეიპყრო. როცა ლვოვას გულისნადები გაუზიარა, მან ურჩია:

— იულებ, მარცინიაკს მიმართე!

მარცინიაკი ჰაშეკის მეგობარი იყო. ჩეკას შეფს ფელიქს ძერჟინსკის ახლოს იცნობდა. ჰაშეკმაც მას მიაკითხა. მარცინიაკმა ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

— ხვალ მოსკოვში მივემგზავრები, წამოხვალ?

— კი ბატონო.

— მარტო შენ არ მჭირდები, შურაც წამოვიდეს, კარგი?

— შურა რაში გჭირდება?

— რაკი გეუბნები, ესე იგი მჭირდება!

— კარგი, კარგი.

მაღე მარცინიაკი, ალექსანდრა ლვოვა და ჰაშეკი მოსკოვს გაემგზავრნენ. მარცინიაკმა ჰაშეკი და მისი ცოლი თვით ძერჟინსკის შეახვედრა. ფელიქს ედმუნდოვიჩი ჰაშეკის პიროვნებით მოიხიბლა:

— კეთილი, მე რეკომენდაციას მოგცემთ, — ალუთქვა ჩეკას შეფემა.

მაღე ჰაშეკი და მისი ცოლი კომინტერნში გამოიძახეს. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ჰაშეკსა და შურას ყალბი პასპორტები მისცეს, შემდეგ აუხსნეს, თუ ჩეხეთში რა უნდა გაეკეთებინათ, ვის შეხვედროდნენ. ჰაშეკი ცრემლებს ძლივს იკავებდა. მამ ყველაფერი დამთავრდა, ბოლო-ბოლო თავს დააღწევს ამ საგიჟეთს, რასაც საბჭოთა რუსეთი ჰქვია.

ჩხეთში დაბრუნება

ჩეხეთში დაბრუნებისთანავე ჰაშეკმა უმალ თავისი ძველი მეგობრები მოიკითხა. ზოგი ომში დაღუპულიყო, ზოგიც დაინვალიდდა და ძველებური ხალისი აღარ ჰქონდა. ზდენეკ კუდეის ძველი შემართება შეენარჩუნებინა. ის და ჰაშეკი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ცოცხალი ხარ, ძმაო? ცოცხალი!

ჩეხ კომუნისტებთან ჰაშეკის ურთიერთობა ვერ აენყო. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჰაშეკს ბოლშევიზმზე გული კარგა ხანია აუცრუვდა. მართალია კომუნისტურ გაზეთში „რუდე პრავო“ რამდენიმე პამფლეტი გამოაქვეყნა, მაგრამ ამით ჩეხ კომუნისტებთან მისი ურთიერთობა დამთავრდა.

— ჰაშეკს ძალზე მწარე ენა ჰქონდა. არავითარ დისციპლინას არ სცნობდა. შეედლო ლენინისათვის „თავგადაცხელებული უტოპისტი“ ეწოდებინა, ან რომელიმე ჩვენი ლიდერი გაემასხარავენა, — წერს ჩეხი მწერალი-კომუნისტი ოლბრახტი.

შედეგად ჰაშეკი კომპარტიის მიღმა აღმოჩნდა. „რუდე პრავო“ აქვეყნებს წერილს, სადაც ჰაშეკს „რენეგატად“ მოიხსენიებენ. ჩეხი კომუნისტები მწერალს საჯაროდ ემიჯნებიან. ამავე დროს მწერალი ჩეხი ლიბერალური წრეებისათვისაც უცხო გახლდათ. „წითელი კომისარი“ — ეს იარლიყი მას კარგა ხანს არ შორდებოდა. პოლიტიკურ პოლიციას ჰაშეკი, როგორც „არაკეთილსამედო“, აღრიცხვაზე აჰყავს. ბევრმა ნაცნობმა შეაქცია ზურგი. ჰაშეკიც სრულ სიცარიელეში აღმოჩნდა.

— ნუგეში მისთვის მხოლოდ სპირტიანი სასმელი იყო, — წერს ალექსანდრა ლვოვა.

ჰაშეკიც მეტ დღეებს ლუდხანებსა და რესტორნებში ატარებდა. შინ გვიან ღამით გაღეშებული ბრუნდებოდა, კიბეზე რის ვაი-ვაგლახით ადიოდა. მეორე დღეს გაზეთების რედაქციებს ჩამოივლიდა, რათა მორიგი პამფლეტი გაესაღებინა. ავანსს აიღებდა თუ არა, ფულს ღვინოში ხარჯავდა.

— ალექსანდრა ლვოვა მის გამოხდომებს მოთმინებით იტანდა, — წერს კუდეი.

ჰაშეკიც დაბლა-დაბლა მიექანებოდა. ახლა ფხიზელს იშვიათად თუ ნახავდით. ზოგიერთის აზრით, უკვე მოთავებული ალკოჰოლიკი იყო, თუმცა საბედნიეროდ ეს მთლად ასეც არ ყოფილა. საბედისწერო მიჯნამდე ცოტა, მაგრამ მაინც უკლდა. ალექსანდრა ლვოვამ კუდეის სთხოვა ჰაშეკს მოლაპარაკებოდა. კუდეიმაც პირდაპირ უთხრა:

— მისმინე, იარდა, ნუთუ ვერ ხედავ, რომ თუკი ასე გააგრძელებ, დაიღუპები!

— ვხედავ, — ამოიხრა ჰაშეკმა, — მაგრამ რა ვქნა? სპირტიანი სასმელი ახლა ჩემთვის ერთადერთი ნუგეშია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაფერი ბლევია, კომუნიზმი, ლიბერალიზმი. ჩვენი ცხოვრებაც აბსურდია.

— შენ კიდევ შეგიძლია რაიმე ღირებული შექმნა.

— აკი ვქმნი კიდევ! ვატარებ ლექციებს საბჭოთა რუსეთზე, ვაქვეყნებ მოთხრობებს ჩემ ბუგულმულ თავგადასავლებზე, პუბლიკას ვართობ, მეტი რა გინდა?!

— შენ შეგიძლია მაღალი დონის ნაწარმოები შექმნა, რომელსაც უცხო ენებზე გადათარგმნიან და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკად იქცევა! — კუდეი ნამით გაჩუმდა, — ოღონდ სმას თავი უნდა დაანებო და საქმეს ჩაუჯდე, გესმის?

— მესმის, — ჰაშეკი ჩაფიქრდა, — მაშ საქმეს ჩაუჯდე? კეთილი, მაგრამ პრალაში ამას ვერ შეგიძლებ.

— რაო?

— აქ მეტისმეტად ბევრი მეგობარი მყავს, — ჰაშეკმა ამოიხრა, — აქაური ლუდის ბარები და რესტორნებიც მეძახიან. პრალიდან სადმე სოფელში უნდა წავიდე, იქ მშვიდ გარემოში რომანსაც ჩაუჯდე...

— კი, მაგრამ ამას ფული დასჭირდება! — შესძახა კუდეიმ, — შენი კი ჯიბეში ერთი გრომიც არ გიჭყავის!

— ფულს ვიშოვი, — ჰაშეკმა გაიღიმა, — მთავარი მონდომებაა! მეც მინდა, რომ აქაურობას გავეცალო, სადმე მყუდრო ადგილას დავსახლდე და რომანს ჩაუჯდე! ძალიან მინდა, გესმის?! ამიტომ ყველაფერი კარგად იქნება.

ყოფილი ცოლი ყოფილ ქმარს ეხმარება

მაღე მწერალმა თავის პირველ ცოლს იარმილას მიმართა. იარმილამ მის წერილს თბილი მეგობრული წერილით უპასუხა. ჰაშეკი თავის ყოფილ მეუღლეს შეხვდა, იხილა თავისი შვილი რიჰარდიც, რომელიც დედასთან დარჩა.

— იარმილა, — ჩუმად წარმოთქვა ჰაშეკმა, — შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შეუძლია დამეხმაროს.

— რაშია საქმე?

— თუკი პრალაში დავრჩები, დავიღუპები. ახლა აქაურობას უნდა მოვშორდე, გესმის? პრალის რესტორნებსა და ბარებს აუცილებლად უნდა მოვშორდე და სადმე სოფელში გადავსახლდე!

— ჰმ, — იარმილა ჩაფიქრდა, — სულ ესაა?

— არა! დადგა დრო, ჩემს მთავარ ნიგნს ჩაუჯდე. ყველა მწერალს აქვს ხანა, როდესაც თავისი ძირითადი ნაწარმოები უნდა შექმნას. ადრე საამისოდ მზად არ ვიყავი. ახლა ვგრძნობ, რომ ეს მომენტი დადგა. მინდა შვეიციაში დავწერო. გახსოვს პირველი მოთხრობები, ჯერ კიდევ ომამდე რომ გამოვაქვეყნე? ახლა შვეიცია მთელი რომანის გამირი იქნება.

იარმილამ ყოფილ ქმარს ფული მისცა. მაღე ჰაშეკი და ალექსანდრა ლვოვა პატარა სოფელ ლიპნიცეში გაემგზავრნენ.

მსოფლიო აღიარება

ლიპნიცე მყუდრო სოფელია. ძველისძველი ციხე-კოშკი, დუქანი და მდინარე — აი მისი ღირსშესანიშნაობები, თუმცა ჰაშეკზე სოფლის მყუდროებამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია:

— დილაუთენია დგებოდა, ვარჯიშობდა, შემდეგ მდინარეში ბანაობდა. ისაუზმებდა თუ არა, რომანს ჩაუჯდებოდა, — იგონებს ალექსანდრა ლვოვა.

ჰაშეკი გატაცებით მუშაობდა. ახლა წვეთსაც აღარ სვამდა, არც ეწოდა, ჯანსაღი სპორტული ცხოვრებით ცხოვრობდა, სახტუნელა შეიძინა და დღეში ორჯერ ხტუნაობდა. სპორტი და წერა — ახლა მთელი მისი ფიქრები ეს იყო.

— საოცრად ბედნიერი იყო, — იგონებს ლვოვა, — ალბათ იმიტომ, რომ შვეიცის სახით საკუთარი თავი იპოვა.

ღამის ცხრა საათზე ჰაშეკი მუშაობას ამთავრებდა. ამის შემდეგ საღამოს ვარჯიშზე მიდიოდა, სახტუნელათი ხტუნაობდა. შემდეგ ის და ალექსანდრა ლვოვა საუბრობდნენ:

— რაზე იქნება შენი რომანი? — შეეკითხა ლვოვა.

— აბა რა გითხრა?! — ჰაშეკი შეიშმუნა, — მსურს ყველა ბრიყვი ვაცინო.

— რაო?
 — ვაჩვენო, რომ იმპერია აბსურდია, იმპერიული სახელმწიფო და მისი არმია აბსურდია, შვეიციც თავისი იდიოტიზმით ამას ნათლად წარმოაჩენს.
 — იდიოტიზმი?
 — ის ყველა ბრძანებას ზუსტად ასრულებს, იმდენად, რომ არა მხოლოდ ამ ბრძანების აბსურდულობას წარმოაჩენს, გიჩვენებს, რომ იმპერია იდიოტიზმია. იმპერიის სახელმწიფო მანქანა-იდიოტიზმია!
 1921 წელს რომანის პირველი ნაწილი გამოიცა. წარმატება გრანდიოზული იყო. ჩეხეთში დიდი თუ პატარა შვეიკზე ალაპარაკდა. რომანი უმალ ითარგმნა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად. იაროსლავ ჰაშეკი მსოფლიოში ცნობილი მწერალი გახდა.
 — ჰაშეკმა ჩეხური ლიტერატურა მსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა, — წერს ზდენეკ გორჟენი.

ცნობილი მწერალი

„შვეიკი“ დიდი ტირაჟით გამოიცა და უცხო ენებზეც ითარგმნა. ჰაშეკიც მდიდარი კაცი შეიქმნა. ახლა საშუალება ჰქონდა ლიბნიცეში პატარა სახლი შეეძინა, სადაც მეუღლესთან ერთად დასახლდა.
 — პრალაში დაბრუნებაზე ჰაშეკმა უარი განაცხადა, აქაოდა ბოჰემა კვლავ ჩამითრევს და შვეიკს ვერ დავამთავრებო, — წერს ალექსანდრა ლვოვა.
 ცოლ-ქმარიც ლიბნიცეში დარჩა. ჰაშეკი კვლავ სპარტული ცხოვრებით ცხოვრობდა და „შვეიკზე“ მუშაობას განაგრძობდა, თუმცა ახლა სადილზე ერთ-ორ კათხა ლუდს დალევდა, შემდეგ კვლავ რომანს ჩაუფდებოდა.
 — ყველა ჩეხური გაზეთი ჰაშეკსა და შვეიკზე წერდა. მალე შვეიკზე სპექტაკლიც შექმნეს. მან სრული ანამლაგით ჩაიარა, — წერს ზდენეკ გორჟენი.
 მდიდარი და სახელოვანი კაცი ყველას უყვარს. ახლა ჰაშეკს მიაკითხეს ძველმა მეგობრებმაც, ვინც ცოტა ხნის წინათ ზურგი შეაქცია. ახლა დახმარებას სთხოვდნენ. მწერალიც ყველას ეხმარებოდა, ზოგს ფულს ასესხებდა, ზოგსაც სადმე ერთ-ორ სიტყვას შეაწევდა.
 — დიდ მწერალს უცნაურობები ახასიათებს. ჰაშეკიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. გაიჩინა საკუთარი მკერავი, რომელიც ტანისამოსს მხოლოდ მისთვის კერავდა, — წერს ალექსანდრა ლვოვა.
 მალე ჰაშეკს ლიბნიცეს დუქნის მეპატრონე მოადგა და სთხოვა, იქნებ შენმა მკერავმა ჩემი შვილისათვის ტანისამოსი შემიკეროსო. ჰაშეკი დათანხმდა, ფული, რასაკვირველია, თვითონ გადაიხადა. მედუქნე ამაოდ ემუდარებოდა, მე გადავიხდიო. ჰაშეკს არაფრის გაგონება არა სურდა:
 — რაკი მაღლი ვქენი, მარლიც უნდა მოვაყარო, — ასე მიუგო იაროსლავმა, — იგონებს ალექსანდრა ლვოვა.
 ეს ამბავი მთელ ლიბნიცეს მოედო. ჰაშეკსაც გლეხები ერთიმეორის მიყოლებით აკითხავდნენ. ზოგს შვილისთვის ტანისამოსის შეკერვა სურდა, ზოგი ქალიშვილს გასათხოვრად ამზადებდა. ჰაშეკი ყველას ეხმარებოდა, თავის მკერავს შეკვეთას აძლევდა და ფულს, რასაკვირველია, თვითონ იხდიდა.

ალსასრული

1922 წელს ჰაშეკის ჯანმრთელობა გაუარესდა. თავისი გავლენა იქონია მრავალწლიანმა ბოჰემურმა ცხოვრებამ. ციმბირის სანგრებში გატარებულმა წლებმა. უკვე აღარ შეეძლო სწრაფად სიარული, სახტუნელათი ხტუნაობა, ვარჯიში. ექიმების დიაგნოზი უღმობელი გახლდათ: გულის რევმატიზმი. ჰაშეკს ეს არ აშფოთებდა:

— ერთი რამისა მეშინია, — უთხრა ცოლს, — რომ „შვეიკის“ დამთავრებას ვერ შევძლებ.
 — რაო?
 — საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ჯანმრთელობა გამიუარესდა. არ ვიცი, წერტილი როგორ დავსვა, გაიგე?
 ჰაშეკი რომანზე მუშაობას განაგრძობდა. კვლავ დიდხანს და გატაცებით მუშაობდა. მალე „შვეიკის“ კიდევ რამდენიმე ნაწილი გამოქვეყნდა, მაგრამ ჰაშეკს ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუუარესდა. მწერალი ლოგინად ჩავარდა. ხელში კალმის დაჭერა აღარ შეეძლო. ჰაშეკმა მდივანი დაიქირავა. ახლა თავის რომანს კარნახობდა.
 — 1923 წლისათვის მწერლის ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა, — წერს ზდენეკ გორჟენი.
 ჰაშეკი რომანს მაინც არ ეშვებოდა. რამდენჯერმე გონება დაკარგა. მოიყვანეს ექიმი. მან ჰაშეკს ნემსი გაუკეთა და გონს მოიყვანა. მწერალიც რომანზე მუშაობას განაგრძობდა.
 — არ ვიცი, წერტილი როგორ დავსვა, — წერს ჰაშეკი. ეს უფრო აშფოთებდა, ვიდრე კარს მომდგარი სიკვდილი.
 მძიმედ ავადმყოფი ჰაშეკი „შვეიკის“ კარნახს განაგრძობდა. 1923 წელს სიკვდილმა სამუდამოდ დაადუმა. რომანი, რომელმაც ჰაშეკს მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი, დაუმთავრებელი დარჩა.

უკვდავი ტიპი

— დამასაფლავეთ ლიბნიცეში, სოფელში, სადაც დაუვინყარი წლები გავატარე. ნურავითარ ძეგლს ნუ დამიდგამთ, ნურც ქუჩებს დაარქმევთ ჩემს სახელს, — წერდა ანდერძში ჰაშეკი.
 მწერალი მთელმა ჩეხეთმა გულწრფელად დაიტირა. ჰაშეკს უკანასკნელი სურვილი შეუსრულეს, დამარხეს ლიბნიცეში, მისი სახელი არ უწოდეს არცერთ ქუჩას.
 მალე „შვეიკი“ ეკრანიზებულ იქნა.
 — საზოგადოებას ანვალდება ერთი შეკითხვა: როგორ დამთავრდება შვეიკი? — წერს ზდენეკ გორჟენი.
 ცოტა ხნის შემდეგ ჰაშეკის მეგობარმა კარელ ვანეკმა „შვეიკის“ გაგრძელება დაწერა. თითქოს წერტილი დაისვა, მაგრამ საზოგადოება აშკარად იმედგაცრუებული დარჩა. ვანეკის ქმნილება სრული მაკულატურა გახლდათ და არაფერი საერთო არ გააჩნდა იმ შედეგთან, რაც ჰაშეკმა შექმნა.
 — მალე შვეიკს ფილმი ფრანგებმა და გერმანელებმაც გადაუღეს, — წერს ზდენეკ გორჟენი.
 1939 წელს ჩეხოსლოვაკია ჰიტლერელთა მიერ იქნა ოკუპირებული. ჩეხეთს უმძიმესი დღეები დაუდგა. ჩეხმა მწერლებმაც კვლავ გააცოცხლეს შვეიკი და ჰიტლერელებთან საბრძოლველად გაუშვეს. 1944 წელს ინგლისელები იღებენ მორიგ ფილმს შვეიკზე, სადაც იგი ნაცისტებს ებრძვის. 1942-43 წწ-ში სსრკ-ში გამოდის ფილმები შვეიკზე, სადაც ჰაშეკის გმირი ნაცისტთა მიერ ოკუპირებულ ჩეხოსლოვაკიაში ჰიტლერელებს ებრძვის. შვეიკი ნაცისტურ მობილიზაციაში ხვდება და თავისი „იდიოტიზმით“ ფაქტობრივად საბოტაჟს ეწევა.
 — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკია უკვე საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ მოექცა, — წერს კარელ მიხალი.
 კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ჰაშეკი ლენინის ერთგულ მიმდევრად გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა ჩეხი მწერალის დისიდენტები თავიანთ ნაწარმოებებში შვეიკს უკვე კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის არმიაში აგზავნიდნენ.
 — შვეიკი ებრძოდა ავსტრიელ დამპყრობლებს, ნაცისტებს, ებრძოდა რუს ოკუპანტებსაც — წერს კარელ მიხალი.
 დიდი მწერალი უკვდავია. ასევე უკვდავია მის მიერ შექმნილი პერსონაჟიც.

ლევან ვასაძე

სრული ბედნიერება

რა არის იგი? ბედნიერებით
გამონვეული უბედურება...
გალაკტიონი

ამ ქვეყანაზე ის არ არსებობს და ეს ყველამ იცის თავისი გულის სიღრმეში. მაგრამ არის მდგომარეობა, ძალიან მიახლებული მასთან. აი, ორმოცდამეორე ზაფხულია ჩემი ცხოვრებისა და ისევე ჭალაში ვარ, დედაჩემის დედულეთში და ჩემი ბავშვობის სამოთხეში. ჭალას მერე დარყა, სინაგური და პერევია, იქ დროებით მთავრდება ჩემი სამშობლო, უფრო სწორად, ქართველის უფლება საკუთარ სამშობლოში ცხოვრებისა.

მეც იმ ქართველთაგანი ვარ, ვისაც ესეთები ეკრძალება ანი და ჯერჯერობით, მეც ვფიქრობ ხოლმე, რა დავაშავე ამისთანა. მშობლის უამრავი ნათქვამი არ შემისრულებია, აი, მაგალითად, პატრიარქის რამდენი დავალება შემიშვია ერთ ყურში და გამომიშვია მეორედან, დედა-მამასა და ბაბუა-ბებიებზე რომ არაფერი ვთქვა. ყველა ქართველმა უნდა წეროს დღიური თავის ოჯახზე და მოგონება თავის წინაპარზე. ჰო-და იქნებ ეგ მაინც ვცადო ამ საღამოს ჩემი სამშობლოს გულის გასახარებლად, მეტი რა შემიძლია.

მახსოვს, ჩემი ნათესავი, შოთია აბაშიძე, სოფლის ნამდვილი ინტელიგენტი, ხუთი შვილის მამა, ჭალის სკოლის დირექტორი და სოფლის სიძის, ბაბუაჩემი ლევანის დიდი მეგობარი, ამ ჩვენს აივანზე ზის, ყავარჯენზე აქვს დიდი ხელები ჩამოდებული და თბილი, განუმეორებელი, ზემოიძვრული კილოთი მიყვება მამამისის ბავშვობის მოგონებას. აივანთან კაკალი შრიალებს და „ლამფის“ ფიცარზე მერცხლები წნავენ ბუდე. შოთია ბაბუას მამა თორმეტი წლის არის, პერევის მხრიდან აბაშიძეთა ტყეებს პირველი ოსები შემოჩვევიან და ჩეხავენ. მამის მამა და ბიძა ცხენებზე ამხედრდებიან, რომ გაყარონ. მამა ბიძას გახედავს და ეტყვის, მაგხელა კეტი ნუ მოგაქვს, არ შემოგაკვევს კაციო.

დალამდა და აგვისტოს გვაღელვ ყვირილამ წაიღო ნიაკით. ჩვენი წინაპრების აშენებული ასოცდათხუთმეტი წლის იმერული სათავადო სახლის უზარმაზარ ხის აივანზე ვზივარ და ჩემი შვილები, დისშვილები და დეიდაშვილისშვილები ეზოში დახუჭობანას თამაშობენ. უმცროსი ილია ხან ნიკოლოზს უდგას გვერდზე დახუჭვისას, ხან გიორგის, ხან თათას, ხან კატოს, ხან მიშოს, უაღრესად კმაყოფილია, რომ მონაწილეობს თამაშში, თუმცა მისი არსი ბოლომდე არ ესმის და დათვლისას თავისას ტიტყვებს. „გიპოვე, დაგინახე, სტუკა, მე დაგასწარი, არა მე დაგასწარი“ — ისმის ბავშვების ბედნიერი ხმები. ჭრიჭინებს სიმინდის ჭალები, ცაზე ვარსკვლავები ჯერ არ დანთებულა, იქნებ ღრუბლის ბრაღია. ახლა დედაჩემს ჩვენი ასი წლის წითელი ხისა და სპილოსძვლის ნარდზე ვეთამაშე და წავაგე, მანამდე მისი მომზადებული პამიდვრის მწნილით და მსუქანი, იმერული მჭადით ვივარდებოდა სოკოსა და ლობიოზე, სამარხვო დღეა, ოთხშაბათი. მანამდე მეძინა კითხვით მოთენთილს, მანამდე მდინარეზე მყავდა ბავშვები და ილია წყალში ხელომ მეჭირა და ის მედგრად კანკალებდა და წყლიდან არ ამოდიოდა — „ყვირყვილაში“ მინდაო. მანამდე ვისადილეთ ჩვენი დიდებული წინაპრების ზალაში და გვიეკო ბიძიას ნაჩუქარი იმერული წითელი ღვინო დავლიეთ თითო ჭიქა მე და ჩემმა სიძემ, ჩემი დეიდაშვილის, მარიკა ჟღენტის ქმარმა, გაა ნაცვლიშვილმა. ღვინო ალბათ ძველშავის, საფერავის და იზაბელას ნაზავი იქნებოდა,

ვერც კუბაჟს რომ ვერ დაარქმევ და ვერც ეკლექტიკას. ღვინოს ხილვებით მოჰქონდა ამბები მასში მონილე ჯიშების მშობელი კუთხეებისა, ამბები ნაირნაირი და მაინც ყოველთვის ერთ-სურნელოვანი საქართველოსა და მე მათ ძლივს ვლანდავდი სიძესთან დინჯი საუბრის დინებისას გრილ ზალაში. მანამდე დილის ლოცვა ნათქვამზე ცოტა ვივარჯიშე, ისე, რომ ძველი რეგბის ტრავმა არ მტკენოდა, ვეტირანული დაუდევრობით ლელობურთელურ სიბერეში მოტეხილი მხარი. რაც მთავარია, ჩემი საყვარელი ბებია, თავადის ქალი მარიკა აბაშიძე და ყველასათვის, ვინც ჩვენი ოჯახის ახლობელია, ბუბა, ოთხმოცდათერთმეტი წლის, ჩვენს ამ საგას, როგორც ყოველთვის ხელმძღვანელობს და გენერალისიმუსობს. მესაუბრება თითოეული ჩემი შვილის ხასიათზე, ფეხბურთზე, ტენისზე, ლონდონის ოლიმპიადებზე, გულგრილად და გულგაცრუებულად — ქართულ პოლიტიკაზე. მიაჩნია (და ვეთანხმები) რომ ოჯახის გარდა ჩემი მთავარი საქმე ლექსების წერაა.

ხვალ წინო ჩამოდის უფროსი შიო-ირაკლით (იკათი) და ნაბოლარა თვალეზობილა მარიამით და შაბათკვირას დედა ფიქრობს (და მეც იმედი მაქვს), რომ მამა ჩამოვა. ჩემი და თათა და ჩემი სიძე ლევანი იქნებ ვერა, მაგრამ მარიკას ძმა, ჩემი ძმასავით საყვარელი დეიდაშვილი, ბესო ჟღენტის, ბესო ჟღენტის შვილიშვილი, ალბათ ნამდვილად ჩამოვა და მამინ გივიკო ქამუშაძის ნაჩუქარ ღვინოსაც ნაღდი მუშტარი გამოუჩნდება ერთი-ორი დღით, სანამ სამშაბათს მარიამობისათვის დავიმარხებოდეთ ორი კვირით. ბესოს ჩემსავით უყვარს ჭალა, თუმცა მწარედ იტანდა იმ გაჭირვებულ წლებს, როდესაც უნებდა ბაბუაჩემის ნამოყვანი მოსავლის ასაღებად. „ხუთი ოჯახი უყურებს ამ ყანას!“ მხნე არ გუშენებდა იტყოდან პროფესორი ლევან ჭანტურიშვილი, თუმცა იმ უდენო და კუპონებიან წლებშიც კი ძნელად გასარკვევი იყო, სად მთავრდებოდა ჩვენი ქალაქური ოჯახის გასაჭირი და სად იწყებოდა ბაბუს დაუოკებელი ენთუზიაზმი ჭალის მიმართ. „კარგი რა, ბაბუ, რა ხუთი ოჯახი!“ ეტყოდა დარდიმანდი ბესო, ჩაღუნავდა თავს და დაქოქავდა თავის „სემს.“ ერთხელ ჩასულზე ასეთი კურიოზიც მოხდა. სანამ ბესო ზღაზღვით მანქანას აყენებდა ეზოში, ბაბუმ ენერგიულად შეაბიჯა სიმინდის ყანაში. გამოცდილი პროფესორის თვალმა, როგორც მერე გაირკვა, მცდარ დასკვნამდე მიიყვანა ის მოსავლის ოდენობაზე. „დავიღუპეთ“ — ეუბნება მანქანასთან საწყლად ატუზულ ბესოს და ჩემს სიძეს, ლევანს, ყანიდან რიხიანად მობრუნებული ბაბუ — „ცუდი მოსავალია!“ „უჰ, აგაშენა ღმერთმა!“ — პასუხობს, როგორც მერე აღმოჩნდა, ტყვილა გამხნეებული ბესო, რომელიც ჩვენი ტოლი, ჩვენი შორეული ბიძის, ნიკულა აბაშიძის მოუხსნელი ჭურის იმედზე უფროა, ვიდრე ჩვენი ყანისა.

მახსოვს, ერთხელ ბესოს ვეკითხები, უცხოეთიდან მონატრებულზე, რა ხდება ჭალაში-მეთქი. რა ხდება და, გვიკომ და დათუნამ (ნიკულას მამამ) დაწერე 800 ლიტრა მყავე იმერული ღვინო და პაპუნასთან (შოთიას ძმასთან) ერთად თითონვე დალიეს მთლიანად. დათუნას ინსულტმა ხია, გვიკოს ფეხი გაუშავდა, მარტო პაპუნაა კენჭითო. მერე ერთ ღამეს მორიგი ნიოკი ატყდა ჩვენს კუთხეში, გვიკო წნევით კვდებო. შედიან იმთ ზალაში და გვიკო ფეხებით ტაშტში და თავზე „გრელკით“ ზის და მიბნედილი უსმენს ხანაც თავისი მეუღლის, ნინიკო დეიდას წყევლა — კრულვას და ხან პაპუნას მიერ ნინიკო დეიდას გასაგონად განკუთვნილ გვიკოსადმი გამამტყუნებელ ბურტყუნს, „არ უნდა დაგელა ი ღვინო ამდენი, გვიკო,“ — გეგონება პაპუნას ეგეთივე წილი არ ჰქონდეს ამ საქმეში. მომაკვდავი, ჯვარი სწერია, გვიკო, რომელიც სკამზე მჯდომი მაინც უფრო მაღალია, ვიდრე იქვე ფეხზე მდგომი პაპუნა, ეუბნება ცოლს: „რა გინდა, ნინიკო, დამანებე თავი, აბა, მეც და პაპუნასაც ერთნაირი წნევა უნდა გვექონდეს?“

გვიკო ბიძიას ქალიშვილი, ჩემი გარე ბიძაშვილი ეკა, და მისი მეუღლე ნიკუშა ენუქიძე შვილებით ახლა ლონდონში ცხოვრობენ. ჰოდა გვიკოც დადის ყოველწელს იმ ლონდონში, რო-

* ნიგინიდან „მოგონებანი“

გორც „სროკზე“ შვილიშვილების სანახავად. ვერსად ეტევა იმ მჭიდრო ლონდონში და სანამ დღისით შვილი და სიძე სამსახურში არიან და შვილიშვილები სკოლაში, გვიკო სიგარეტით ხელში გადაჰყურებს ლონდონს ფანჯრიდან. რას იფიქრებდა საბჭოთა დროს, თბილისიდან რუსეთში სამუშაოზე წასული გვიკო ბიძია, რომ მრავალი წლის მერე შვილიშვილების სანახავად მოუწევდა ამ სიმორხეზე სიარული. საღამოს მობრუნებული უღმობელი ეკა გვიკოს ეჩხუბება, ხომ გეუბნებოდი, ინგლისური უნდა გესწავლა, მამაო. ერთხელ სუფრაზე შემომჩვილა გვიკომ: „კაცო, ვერ გევიგე, რომაც მესწავლა ის ინგლისური, რაზე დეველაპარაკო იმ ჩემ დალოცვილ მეზობელს ლონდონში, ბებიათქვენი როგორ ბრძანდება, თუ მოსავალი როგორი გაქვთ წრეულს — თქო?“ ერთხელ გვიკოს შვილიშვილს კუბრივით შავი კლასელი მოუყვანია შინ გასაცნობად, სახელად უმი. „რაგვარი ხარ შენა, შვილო?“ — უკითხია გვიკო ბიძიას და სტუმრის უჟმური პასუხის მერე ამოუხრავს და უთქვამს, ე ბოვში მართლა უმი ყოფილაო.

გვიკო ბიძია თბილისში ინსპექტორს გაუჩრებია რეიდში, მანქანასთან მისულა, „ჩესტი“ აულია და: ინსპექტორი კლდიაშვილიო. რას გადაგვეკვიდე, ბიძია, ამ ქამუშაძეებს ეს კლდიაშვილებიო.

ამ ნიავეს და ჭრიჭინებთან ლამეში არა ჩანს არსად მაყვალის, თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, რა ბევრია ის ირგლივ სოფლის ნამოქცეულ ყორეებზე. ჟოლოც (აქეთ: შავი თუთა) ბევრია და თეთრი თუთაც, რძენარევი თხილი მთლად მოილია ბავშვების შემოსევით და კაკალი ჯერ ზედმეტად ქორფაა, კომში ჯერ არაფერს ჰვავს, მაგრამ უამრავია ნითელი, ყვითელი და ნითელ-ყვითელი ტყემალი ჩვენს ეზოში, ტკბილი და გრილი, ოდნავ მომჟივო და ჭყინტი, ბერტყე და ჭამე რამდენიც გინდა, რაც დარჩება, სატყლაპედ და სატყემლედ გაწეული გარჯისაგან ქვევრში ჩაყვრი და ბაბუაჩემის წესით ჭაჭას მოვხდი, თუ მოვასწარი წასვლამდე. ლეღვისათვის ადრეა და ამიტომ ის ჭასთან ხელუხლებელი დგას. ლოღნაშოს ვერ ჩამოვუსწარი, შავი და თეთრი ქლიავი არის, მაგრამ ნაკლები, ვიდრე ადრე გვქონდა. დედაჩემის ჩარგულ ბრონეულთაგან ხუთიდან ოთხმა გაიხარა და დღეს გადავწყვიტეთ, რომ შემოდგომას კიდევ ჩაერგოთ ქვედა სახლის აივნის გასწვრივ მიწდორზე. არა მგონია, ნაყოფმა სიტყვითი ზემო იმერეთში ივარგოს, მაგრამ მისი ყვავილობა ხომ ყველაფერს სჯობია და იქნებ მისი ხათრით მაინც ჩამოვიდეთ ორიოდ დღით გაზაფხულზეც. უზარმაზარი, ხის ზომისათვის არაპროპორციული ვაშლები მოუსხავს დედაჩემი ნუკას დარგულ რამდენიმე ძირს და მათ მწვანე ლოყები უკვე შეფაკლივით აგვისტოს მზებზე. დღეს თათუკა სუპერმარკეტის ბურბუმელას („ხლოპიკებს“) ახრამუნებდა და მე ავუსხენი, რომ ეგ რაღაც ქიმიანა და რომ აქაური ხილი სჯობია, რომ ის განსწმენდს მას და გააძლიერებს. დიდი, ჭკვიანი, ოდნავ თავლოყანი თვალებით მიმენდა, მერე დავინახე ეზოში მოაბიჯებდა და უზარმაზარ, ნახევრად კუხე ვაშლს კბეჩდა აქეთ-იქიდან. გუშინ ჩამოსულზე კატომ მითხრა (ეტყობა, შეშინებული დედაჩემის დარიგებულმა): პოლიმ „კბილი გამკრა“, ამცრეს და ათი დღე წყალში ვერ ჩამოვალაო, მერე მდინარეზე ცოტა მეტუტებოდა, რომ ჩვენ ყველა ვბანაობდით, ის კი თავის ნაბლისფერ თმას ისწორებდა დინების ნიაზე და გამოუვალობისაგან რიყის ქუნწ ქვიშანაგზე რაღაცას აშენებდა. თათამ თავისი ბიშონ ფრისი, გუნდა, წყალში ანვალა და მერე ქვიშისა და მცენარეებისაგან მის განმენდას გადაყვა. გუნდა კი, გუნდას ნაცვლად ვირთხას დროებით დამგვანებულს, სანყლად კანკალეზა გადასული მზის ნაკლებად მცხუნვარე სხივებზე.

დილას ჩემი შორეული ბიძის, ზურია პაპუნჩი აბაშიძის გაუპარსავი და გაღრეჯილი თავი გამოჩნდა ლობის თავზე, შემოვიპატიჟე და გვერდში დავიჯინე. ზურია მორცხვად იჯდა და იღიმებოდა.

„შემოგეჭერი!“ — მითხრა გაჭირვებით.

„შემომეჭერი არა. ძროხა გყავს?“ ვკითხე სიჩუმის შესავსებად.



ლევან და ილია ვასაძეები

„ძროხა კი არა, კამეჩი“ — გონებაზეზღუდული კაცისათვის გასაოცრად მარჯვედ ამიგდო სიტყვა ბანზე სიყვარულით და დამახასიათებელი უბოროტო ღრეჯვით. მერე ცივ საზამთროს ერთად ვჭამდით და ზურია სიამოვნებისაგან ფეხს აქანავებდა. რაღაც ნამეტანი ჰემინგუეისავით ამენყო ზურიაზე ეს პასაჟი, ცოტა კილო უნდა გავუთრიო.

„გელა, არ გინდა საზამთროო?“ ზემომერულად გოუნელა ჩვენი სახლის ეზოში მოხელოსნე ნათესავს. გელამ გაკვირვებით გამოხედა, საიდან უზის ასე ნებიერად ბატონ ლევანს ეს ჩვენი სოფლის ზურიაო, ის კი არ იცის ალბათ გელამ, რომ მე და ზურია ერთად გავიზარდეთ, შავმორევაში მგელაობით, შუშაში ხელაობით, ზალიკაშვილთა კუთხის ორღობეში კუკუდამალობანით, შოთია აბაშიძის მარად დაუმთავრებელი სახლის სხვენში ჯახჯახობით და ან დალუპულ კაკლებში ფეხბურთით, სადაც მაშინ უკვე, თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებად, ჩამორჩენილი ზურია დაცვაში იდგა და ჩემი და გუდრონივით შავი ცუტცას ერთმანეთის ხმაჩახლეჩილ გინებას დაფჩენით უღიმოდა.

(კაკლების ნახსენები დალუპვა მოგვიანებით ლევან ბაბუს, როგორც ქართული გეოფიზიკური ძიების სკოლის ერთერთი მამამთავრის, წინასწარმეტყველების ახდენად მომეგლინა: ხშირად მეუბნებოდა, რომ ყვირილის ხეობის ჩრდილოდასავლეთ ქედზე, რომელიც ჩვენს სოფელს აბაშიძეების კუთვნილ ქარხიან მუხნარებად და „რაგატკით“ დათესილი სიმინდის ყანებად დაჰყურებს და რაჭაში გადადის, დარიშხანის მდიდარი საბადო უნდა ყოფილიყო. ეს დაკვირვება ჩემთვის გაუგებარი მეთოდით გააკეთა და მერე იმითაც დაადასტურა, რომ ნვიმიან დღეებში ზოგჯერ იქიდან მომავალ დელეს ჩვენს ორღობეში, მისი აზრით, დარიშხანის სუნიც კი ჩამოჰქონდა. ამ დელეს ერთ-ერთმა მოდიდებამ კი, როგორცა ჩანს, საბადოს ერთ-ერთი ძარღვი მოაშიშვლა 90 — იანებში და ნელი და უწონო სიკვდილი ჩამოუტანა ჩვენი კუთხის იმ კაკლებს, რომლებიც მისი კალაპოტის სიახლოვეს იდგნენ.

მაგრამ მაშინ მთელი საქართველო ხმებოდა, ყვითლდებოდა და კვებოდა და ვგონებ ჩემთვისაც და ჩვენი სოფლის მცხოვრებთა ცნობიერებაშიც გიგანტური კაკლების დალუპვაც ამ გამოუვალობისა და გარდუვალობის ნაწილად აღიქმებოდა.

თუმცა გარსია მარკესის მაკონდოში ბოშა მელკიადესისაგან ნაყიდი მაგნიტით წელზე გამობმული, ოქროს მადიებელი ხოსე-არკადიო ბუენდიასაგან განსხვავებით, ჩვენს სოფელს მსოფლიო მასშტაბის მეცნიერული ავტორიტეტი ჰყავდა სიძედ ლევან ბაბუს სახით. და მე მაინც, როგორც ახალგაზრდა გეოფიზიკოსს, რომ მომესმინა ჩემი ბაბუისა და მასწავლებ-

ლის სიბრძნისათვის, იქნებ სოფლის საკეთილდღეოდ ის საბადოც აღმოჩენილია და ჩვენი ბიბლიური სილამაზის კაკლებიც გადამერჩინა. მაგრამ რა ვიცოდი, მაშინ რომ: „არა არს წინაისწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა“ — (მათე 13:57) აზროვნების მოდელი, რომელიც დღემდე უამრავ შეცდომას მაშვენიებს ჩემიანების მიმართ და რომელიც ხშირად მალიზიანებს და მოუთმენელს მხდის, როდესაც ჩემი არ სჯერათ ჩემიანებს).

გარეგნობით ზურია ძმასავით ჰგავს ჩემს თბილისელ და გონებამახვილზე გონებამახვილ ძმაცაცს, იკა წერეთელს, რომელიც წარმოშობით ასევე ზემო იმერეთიდანაა, უფრო ჭიათურის მხრიდან. მისი დიდი ბაბუა თათარხან ყმების ჯანყის დროს სახლის დაცვისას სახლთან ერთად დანვეს. ასე რომ, იკაც აბაშიძე-წერეთლების მრავალსაუკუნოვანი ასავალ-დასავალის შვილია. ასავალ-დასავალისა, რომლის მსგავსი შექსპირსაც კი არ ალუნერია მონტეკისა და კაპულეტის მაგალითზე. ვინ იცის, რომელი თაობის ნათესაობა აკავშირებს თბილისელ, ვაკელ ახალგაზრდა „კრასავეც“ იკას ჭალელ ბედმავ ზურისათან, მაგრამ რომ აკავშირებს და თანაც ძმასავით, ამას წყალი არ გაუვა, ისევე, როგორც ყვირილის კალაპოტს.

აგერ, ვიდრე ამას ვუკაკუნებდი კომპიუტერზე, ნაცვლად იმისა, მენამუსა და კალმით მენერა და მერე არ დამზარებოდა და გადამეკრიფა, ბავშვებიც ნაიყვანეს ქვედა სახლში დასაძინებლად. ჭრიჭინების ხმა დაობლდა ეზოში და ვნატრობ, იქნებ ჩვენებურ ციციანთელას მოვკრა თვალი, თუმცა ეგ საქმე უფრო ადვილი იგნისშია, ვიდრე აგვისტოში. დედაჩემი ახლა ბომბორა ნიკოლოზს, რომელიც დღეს სურვილისამებრ ძველ სახლში იძინებს ბებიასთან, მაუგლის უკითხავს რუსულად და, მისი თქმით, ეს ნიკოლოზზე უფრო ძილისმომგვრელის გავლენას ახდენს. აქვე ილიას ძიძა მერი უყვება ტკბილ რაჭულ კილოზე ზღაპარს და მხრებგანიერი ილია რულით ენახება ძიძის ხმას. თათა, გიო და ჩემი დისშვილი მიშო მუჯირი თავთავიანთ ნიგნებს კითხულობენ. გიო „სამ მუშკეტერს“ კითხულობს და თათა, არ მახსოვს, რას. გიომ დღეს აგრუხუნა ეზოში თავისი კვადროციკლი, რომლის მსგავსს მექანიზმებსაც პროფესიონალი ექსტრემალივით ატარებს ორი წლიდან, და მორიდებით მიკითხა, ყვირილაზე ხომ არ წამოვიყვანო. ვუთხარი, დღეს პირველი დღეა და არ გინდა-მეთქი (გეგონება რამე განსხვავება იყოს) და მანაც — კარგი, მამაო. გიოს ვუთხარი, ვიდრე ჭალაში ვართ, იქნებ შაქარი, ნამცხვარი და კანფეტი არ ჭამო-მეთქი. ხილი? ხილი და თაფლი რამდენიც გინდა-მეთქი. კარგი, მამაო. დღე არ გავა, რამდენჯერმე არ მოვიდეს და არ მითხრას: „მიყვარხარ, მამა.“

დღეს ჩვენი ეზოს მონატრებული მსუყე გოგრა გავსინჯე და მისი შემწვარი თესლიც, მსხვილი, უხეში მარილით, რომელიც, მაღლობა ღმერთა, ჯერ კიდევ იყიდება საქართველოში. მოხარული გოგრა თაფლით ვიბია. ჩვენებური მომწარო ნაბლის თაფლი არ იყო ჩაიზე, ხვალ მოვიკითხავ. კვირადღეს გოჭს შევწვავთ თონეში, ნინოს გაუხარდება. სამივე ტალავერთან ჩაყრილმა შარშანდელმა ვაზმა გაიხარა, ვენაცვალე რეზიკო ლორთქიფანიძეს, კარგად დავურიგებოვარ. ორ წელიწადში ნიშანსაც მოგვცემს. რეზიკოს ვთხოვე, იქნებ სხვიტორში აკაკის სახლ-მუზეუმს დავეხმაროთ ვენახის გაშენებაში-მეთქი. ტრაქტორს ვერ შევიყვანთ, ციცაბოებია, ხელით უნდა ვქნათო. ვნახოთ, რა გამოვა. მამაჩემის ადრე ჩაყრილმა ციქცამ და ადესამ წლეულს კარგად მოისხა უკვე და შუა ტალავერის სახლისკენა ნაწილი თითქმის მთლიანად გადაბურა. იმედია, ოქტომბერში ჩამოვიყვან ბავშვებს შაბათ-კვირას პატარა რთველზე.

ჩვენი ჭის მთელს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და გემრიელი წყალი დოქის თიხასაც და გრაფინის და ჭიქის შუშასაც ერთნაირად ორთქლავს და, როდესაც ვსვამ, რა დიდებული სიტყვაა, მიქარწყლებს, სწორედ მიქარწყლებს ჩემი წინაპრების ცხოვრების უკეთ არ შესწავლის დანაშაულს. ვუცქერ სახლის აღმშენებლის, ბებიაჩემის ბაბუის, დეკანოზ ერეკლე აბა-

შიძის სულმნათ სახეს, მის მეუღლეს დარიას, მის თვრამეტი წლის ასაკში ჭლეკით ნაღებულ ქალიშვილს მარიაშს, ბებიაჩემის მამას ივლიანეს მუნდირში და აპრეხილი იმერული უღვაშით, მის მეუღლეს, ჩემს დიდ ბებიას ლიზიკოს, რომელსაც ვაყამ თბილისში, მთანმინდაზე ჩვენს სახლში სტუმრობისას ლექსი მიუძღვნა, მას შემდეგ რაც თექვსმეტი წლის ლიზიკო ბებია მგოსანს ნაქეფარზე დილაადრიან ვარდები მოუტანა:

ლიზას

**ყვავილები შემომძღვენი,
თვით ყვავილმა ახლად შლილმა,
ვით არ გითხრა მე მაღლობა,
გულმოკლულმა ქართლის შვილმა.**

ეს ხელნაწერი მერე ერთმა ნათესავმა ითხოვა და ნაილო ჩვენი ჭალის სახლიდან და ბებიას ეჭვი ჰქონდა, რომ ის მის შთამომავალთა სახლში ინახებოდა. ერთხელ დედაჩემმა მათ სთხოვა კიდევ, არც ჩვენ გვქონდეს ეგ და არც თქვენ, მოდით ასლები გადავიდით და ორიგინალი ხელნაწერთა ინსტიტუტში დავდოთ, მაგრამ მიუგეს: ვერ ვიპოვეთო. ეტყობა, დაეკარგათ. ბებია ამბობს, იმ ნათესავის დედასაც ლიზა ერქვა, რომელიც ვაჟას ჩვენი თბილისის სახლში სტუმრობისათვის ნამდვილად აღარ იყო „ყვავილი ახლად შლილი“, რადგან უკვე ოცდაათიოდე წლის ქალბატონი ბრძანდებოდაო. მაგრამ დედა იძახის, ეტყობა მის შთამომავლებს ამ ლექსის მათდამი კუთვნილება უფრო სჯეროდათო. ამიტომ დავანებოთ თავი, ნუ შევანუხებთ იმ ოჯახს, ასე სჯობიაო. მე კი ვერ ვითმენ და მაინც ვწერ ამაზე აქ და ვდარდობ: რამდენი ასეთი საიდუმლოა დამარხულ-დაკარგული ჩვენს კულტურაში ჩვენივე პიროვნული თვისებების გამო? იქნებ თამარის საფლავიც ასე დაიკარგა და მიწასთან ჩვენი ცხოვრების წესიც?

ჩვენი ზალის კედლებზევე ვხედავ ივლიანე ბაბუას ძმას ანტონს (ქუცას), დახვრეტილს ოცდაჩვიდმეტში, ისევე როგორც უამრავ აბაშიძეს. ერთ-ერთ ფოტოზე აბაშიძეთა სიძე, გოლიათი ვლადიმერ ჯავარიძეა გადაღებული, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს თბილისელ-რაჭველ მეგობარს, ბანკირ ბადერი ჯავარიძეს, ეტყობა, მის წინაპართა რომელიმე შტოს განეკუთვნება. დახვრეტილი ქუცას მეუღლემ, ნინიკამ, შემდეგ სახლის გაყოფა მოუწოდოდა მისი მამათილის ოჯახს და შეძლო კიდევ მისი ნახევარი კარგა ხნით წაერთმია საბჭოთა სასამართლოს ძალით და ღობით გაეყო ეს სიკეთის სავანე.

მოხუცებული ნინიკა მე მახსოვს 2 წლისას, როგორ მანვლიდა ამ აივნის გამყოფი ღობის იქიდან გაუქურრავ თხილს და „გენაცვალეს“ მეუბნებოდა. ნინიკასთან სასამართლოებს შეაღია 11 წელი ბაბუაჩემმა, აბაშიძეთა სიძემ, თვითონაც ოცდაჩვიდმეტში მამადახვრეტილმა, უპარტიო პროფესორმა, ლევან ჭანტურიშვილმა. და როდესაც ყველა სასამართლო მოიგო, მერე იყიდა ნინიკას შვილობილისაგან სახლის მეორე ნაწილი 3 ათას მანეთად, თავისი არაპარტიული პროფესორის დანაშოგი ხელფასით.

სურათებზე ვუცქერ ივლიანეს, მარიაშისა და ქუცას ბიძაშვილს, ერეკლეს ძმის, გიორგის, შვილს, მიხაკო აბაშიძეს, რომელსაც ეკუთვნოდა სამოქალაქო ომისას დამწვარი ჩვენი სახლი შევჩენკოზე, თბილისში, და რომლის მიერ მანამდე ნაქირავებ სახლშიც იქვე, მთანმინდაზე, სასამართლოსთან ახლოს სტუმრობდა მაშინ ვაჟა-ფშაველა.

როდესაც სახლი დაგვეწვა, ნანგრევების წმენდისას მის საძირკველში ოქრო იპოვეს მუშებმა. იპოვეს და დაცხეს ერთმანეთს. მერე მილიცია მოვარდა და მათაც დაცხეს ერთმანეთს. უამრავი ხალხი შეკრებილა. ორი სათლის მსგავსი რამ ყოფილა, ნიკოლოზის ოქროს მონეტებით სავსე. მერე ვილაც ახალგაზრდები მოსულან ავტომატებით და „ძევიტებით“, ხაზინაში მიგვაქეს ესაო. ეს ყველაფერი მეზობლებმა მოგვიყვეს გვერდზე მდგომი სახლიდან, რომელიც საბედნიეროდ დანვას

გადაურჩა, აი გენიალური მუხეზური ფილმი, „ქორწილი“ რომაა გადაღებული, რომელშიც გოგი ქავთარაძე შარლ აზნავურის „ex pas“-ზე იპარსავს პირს. მე ვეძებე მერე ის ოქრო, მამაჩემმა კი მიჩნია, ტყვილა ნუ ინვალებო, მაგრამ არ დავუჯერე. ოქრო ოქროდ იმდენად არ მალელებდა ახალგაზრდა კაცს, რამდენადაც ქვეყნისა და ოჯახის ნაცარტუტად ქვეყნისას სივრცეში გაეღვებული ჩემი წინაპრების განძი, გადარჩენილი ბოლშევიკებისაგან კონფისკაციას და შემთხვევით დაკარგული ჩვენი ოჯახისათვის მიხაკო აბაშიძის უეცარი ინფარქტის გამო 56 წლის ასაკში ჭიათურის მატარებელში. მაგრამ აბა რას ვიპოვიდი იმ წლებში. ალბათ ცოცხალი რომ დავრჩი, იმის დასტურია, რომ მის კვალზეც კი არ ვიყავი გასული.

მიხაკოს გარდაცვალების შემდგომ წლებში მისი ძმის, ჩემი დიდი ბაბუის, ივლიანესათვის მის ნაცნობს, ვინმე კარზე კაპანაძეს რჩევა გაუზიარებია: ივლიანე, გაყიდე ეს სახლი ცენტრში, ქვეყნის ფულს მოგცემენ, უნივერსიტეტი რომ შენდება, იქეთ რომ ვაკე ადგილია, ხალხი სახლებს იშენებს და იქ გადაიყვანე ოჯახით. ივლიანე ბაბუას კი მიუგია: რა მიინდა იმ ტყეში, მგლებს ხომ არ შევაჭმევინებ შვილებსო.

ჭალის ზალაშივე ვუცქერ იმავე კედელზე მიხაკოს ცოლს ვარას, ახლა ვარაც და ბაბუც ერთ საფლაოში წვანან ბაბუს დედასთან, პოლინასთან ერთად, ვაკის სასაფლაოზე. როდესაც კიკეთში ავდივარ და როდესაც ნამუსი მყოფნის, მივდივარ მათ საფლაოზე და ვენაბები კვიპაროსების შრიალს, ვფიქრობ ჩემს წილ თბილისზე, დამახინჯებულზე ბოლო წლებში, ჩემს წილ საქართველოზე, ჩემს წილ მარადისობაზე.

ერთხელ ერთი წლისას მამა და ბაბუ მასეირნებენ თურმე მთანინდაზე ციგით. ადრეული გაზაფხულის საღამოა, მთანინდაზე თოვლი დევს და ძერჟინსკზე ქალი ყორივარდებს ყიდის ჩანთით. ბაბუ მიესალმება და ჰკითხავს, საიდან ბრძანდებითო. ოქროყანიდან, ბატონოო. მერე სახლში როგორ წახვალთო. აგერ მალე ფუნქიკულიორის ბოლო მატარებელი გავა და უნდა ავუსწროო. და მერე ეს მთელი ჩანთა ყორივარდებით? ალბათ ველარ გავყიდი და დამიჭკნებაო. უჰ, მე ვეძებდი სწორედ და, რა კარგია, რომ შემხვდით, მთლიანად მომეცითო, ეტყვის ბაბუ. მამაჩემს ციგის თოკი უჭირავს და უცქერს, როგორ იხდის მისი სიმამრი თავისი ხელფასის დიდ ნაწილს ოქროყანელი ქალის დასახმარებლად. ქალი მადლობას ეტყვის ბაბუს და წავა. ბაბუ ქალს წამოენევა და ნაყიდ ყორივარდებს მასვე აჩუქებს. როდესაც ჩვენი სახლისაკენ ეშვებიან ნიაღვრის ქუჩით, აი, რომელზეც ვერიკო კითხულობს: ტაძრამდე თუ მიმიყვანსო, ფურგონიანი „მასკინი“ დაცურდება ჩემი ციგისაკენ, რომელიც ახლა ბაბუს უჭირავს. რეგისტრი მამაჩემი სიმწრით გვერდიდან დაეჯახება მანქანას, ყინულივით გადაასრიალებს მას და გადავარჩენს მეც და ბაბუსაც.

მასხენდება ამავე ჭალის ზალაში რატომღაც არმყოფი ბუბას და თამრიკო, დაღუპული 70-იან წლებში კიბოთი, მისი და ბუბას ძმა ირაკლი, 60-იანი წლებიდან ჩვენი ოჯახიდან ჭალის ერთადერთი მუდმივი მკვიდრი 80-იან წლებამდე და ჩემი ბავშვობის დიდი შთაბეჭდილება. ძალოსანი, კეთილი ბაბუა, დაბრუნებული სოფელში ურბანიზაციის ეპოქაში თავისი ენდოკრინული დაავადების გამო, რომელიც მისი ნერვულ სისტემაზეც ახდენდა გავლენას ნაწილობრივ, რაც ბუბას მიერ მკაცრად ინიღბებოდა, და სოფელში ჩვენი სტუმრობისას მშვენიერად ეტეოდა ოჯახური ყოფის სიკეთეში. მასხენდება თამრიკო ბუბას დაღუპული შვილი, დედაჩემის დეიდაშვილი აჩიკო ჩხენკელი, ჩამესმის დედაჩემისა და ბებიაჩემის ხმები: „რა ბჭი იყო აჩიკო“, გადაყოლილი ჩვენი დროების შხამს, რომელსაც ქართველებმა რატომღაც „ნამალი“ ვუნოდეთ, მასხენდება პირველი შემოფოთება ოჯახში აჩიკოს მდგომარეობის გამო, როგორც მამაჩემი, იქიდან მობრუნებული, ყვება, თუ როგორ ზის გაშტერებული თვალებით აჩიკო და არავის არაფერზე პასუხობს. მგონი თამრიკო ბუბა, ბუბას და, მოუსწრო კიდეც ამ უბედურებას და, მგონი, მაგან მოუსწრაფა სიცოცხლე გაგარინის მოედნის სამოთახიან ბინაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ჩემი დედის დეიდაშვილები, ახ უფრო დეიდები, აჩიკოს დები მიაა და ნინო (ნიკა) — ჩემი ბავშვობის სიკეთე.

როდესაც თამრიკო ბუბა გარდაიცვალა, ნიკა (ფერაძე), წმინდა გრიგოლ ფერაძის ძმის შვილიშვილი, დედ-მამამ ჩვენთან წამოიყვანეს გასაზრდელად, როგორც ჩემი უფროსი და. მე, ნიკა და თათა ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ნიკა მერე ჩემთვის მამინ დიდად ავტორიტეტულ გამრტყემელ გიორგი გურგულიას გაყვა ცოლად და მერე გაშორდა, ვიდრე მე სახლდამწვარი და უდენწყალო თბილისიდან ამერიკაში გახიზნული ვიტანჯებოდი სწავლით, ფასეულობათა აღრევითა და სიმარტოვით.

მასხოვს მანამდე აჩიკოს გამოსწორებაზე მრავალწლიანი ტანჯვა ჩვენი ოჯახისა, ისეთივე განწირული, როგორც მთელი თაობა გოსპლანის მიერ ურ-



დეკანოზი ერეკლე აბაშიძე

ბანიზებული და ხელოვნურ ფუნქციას ვერაყოლილ ქართველთა უმეტესობისა. ტრაგედია, რომლის ესკალაციაცა და აქსელერაციაც ოთხმოცდაათიანებში მოხდა საბჭოთა კავშირის დანგრევით, ბოლო თაობის უშრომელი სიმდიდრისაგან, მრუშობასა და ამპარტავნებაში ჩავარდნილი, მინასა და ღმერთს დაცილებული ერის დაგროვილი, ჩამავებული სისხლის გამოდინებით, ნაწილობრივ ქართველობადავინყებული რეგიონებიდან ქართველების დროებითი გამოდევნით დანარჩენ საქართველოში მათი ისევ სახლში დაბრუნებისათვის მოსამზადებლად.

ამ ჭალის საღამოთი მონაქროლ ოჯახის აღწერაში არც არის და არც შეიძლება იყოს ჩემი წარმომავლობის შესატყვისი სიმეტრია. ჯერ მარტო რად ღირს ვასაძეების გვარი ოზურგეთის სოფელ ასკანაზე ან უკვე შეზრდილ სოფელ მზიანში, რომელსაც კომუნისტებამდე ფიჩხიჯვარი რქმევია. ვასაძეების ხაზით ჩემი ბაბუის ბაბუა, გიორგი ვასაძე, ას ოთხი წლისა გარდაიცვალა. უზმოზე ბუზის (თაფლის) არაყს დაჰკრავდა და რიხიანად იტყოდა: „ღმერთო, ნუ მომკლავ ფხიზელსა!“ და გადიოდა ყანაში სამუშაოდ და ნადურის სამღერლად. მეტი ღომის ღომი იყო ძლომის წყარო ჯალაბისათვის. ინდუსტრიულ და ურბანიზაციის გზაზე შემდგარ საქართველოში მისი ერთ-ერთი შვილიშვილი, ეპიფანე, კარგი მეცნიერი გახდებოდა, თუმცა თბილისში პირველად ჩამოსულზე გალაგინსკზე ყველა ტრამეის გაჩერებაზე თითო ბილეთს იყიდა წესიერების ერთგულებაში, რომელიც მთელი ცხოვრება მისი კრედო იქნებოდა. მაგრამ მანამდე მის მამასა და გიორგის ვაჟს, ჩემს დიდ ბაბუას, იოსებს უნდა ეცხოვრა შვილმრავლად და უშვილიშვილოდ ფიჩხიჯვარში. იოსებ ბაბუამაც გიორგი ბაბუას მსგავს ასაკს მიაღწია, მაგრამ ისე გარდაიცვალა, შვილიშვილს ვერ მოესწრო, თუმცა მას და ესმა ბუბიას (მე ჯვარი მწერია) ჩემსავით ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყოლიათ: სევასტი,

თედორე, გრიგოლი და ეპიფანე და ოლა, ნინა და დარია. ოლა, ნინა და დარია ისეთი ლამაზები ყოფილან, მთელი გურია-სამეგრელოდან მოდიოდნენ მათ სათხოვნელად, ისინი კი შინაბერებად დარჩენილან მოძალებული ლიბერალიზმისა და შეყუჟული ოჯახური მორცხვობის ეპოქაში.

სევასტი მეომრად დაღუპულა სამშობლოს სამსახურში პირველ მსოფლიო ომში, თედორეც უოჯახოდ დარჩენილა იმ ტრაგიკულ წლებში. მისი გარე ბიძაშვილის, აკაკი ვასაძის მსგავსად, მასაც კავშირი ჰქონია თეატრისა და კინოს ხელოვნებასთან, თბილისის კინოსტუდიაში მუშაობდა თურმე. თედორეს შედარებით კარგი ბინა ჰქონია პლენხანოვზე. ანონიმური წერილის საფუძველზე საჩხრეკად შემოსულან, ძეგნის გარეშე ნიგნის თაროსთან მისულან და წინასწარ ჩადებული პროკლამაციები ამოუღიათ. დაუბატიმრებიათ და იმ დღიდან გაუქრიათ უკვალოდ. უმცროსი გრიშაც უცოლოდ დარჩა ამ ტრაგედიაში, იგი კარგად მახსოვს, როდესაც მამაჩემმა მოგვიანებით აღადგინა გურიაში ჩვენი სიარული, მე მას მოვესწარი. საახალწლოდ ნასუქარ ბურვას ჩამოგვიტანდა თბილისში და ჩემს მთანმინდელურ და რუსთაველელურ ბიჭურ გამყოლობაზე ხარობდა — ხან ლალიძეში დამპატივებდა და ხანაც აჭარულეებში.

ეპიფანე ბაბუამ კი, რომელიც ქართული ბიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, ორმოცდაათ წელს გადაცილებულზე ითხოვა ბებია, თამარ ყიფიანი.

ბაბუა მამას ეუბნებოდა: „შვილო, ნიგნების, პურისა და წყლის ფული ყოველთვის გექნება და მეტი არც გინდა.“ როდესაც ეპიფანე ბაბუა გარდაიცვალა, მე თხუთმეტი წლისა ვიყავი. ვერის კომუნალური ბინის მეზობელმა, რუსმა კომუნისტმა, ცრუმორწმუნეობის გამო სასტიკად იუარა მიცვალებულის გამოსვენება მისი ბინის გავლით, არადა სხვა გზა არ იყო, რადგან მას სადარბაზო მიერთებული ჰქონდა. ამიტომ მთამსვლელმა მამაჩემმა და მისმა მთამსვლელმა ძმაკაცებმა, ზალიკო ქიქოძემ, ტარიკა ლუკაშვილმა, შალიკო ქირიკაშვილმა და სხვებმა (ვიქტორ რობინსკი და დევი თარხნიშვილი უკვე დაღუპულები იყვნენ, ერთი — პამირში და მეორე — ზამთრის უშბანზე), ბაბუას სასახლე თოკებზე შეკიდეს და შუშბანდის აივნებიდან პირდაპირ ეზოში დაუშვეს. მახსოვს, ვერის ცაზე მოქანავე კუბო. გალაკტიონის: „კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში.“ არც აგრესია, არც გადაბრუნებული სიტყვა იმ უღმრთო, შეშინებულ მეზობელს, თვინიერება თბილისის, სიმშვიდე მისი წესისა, ან დაკარგული — ტელევიზიით მოყაყანე ქაჯების ბედლამში.

ეპიფანე ბაბუას და თამარა ბებიას ჯერ მამიდაჩემი ნანა გაუჩნდათ ტყუბი ძმით, რომელიც მალე დაეღუპათ, და მერე უკვე მამაჩემი გაჩნდა. თამარა ბებია კი მანამდე დაიდ სამამულო ომში ლენინგრადის ბლოკადა გამოიარა და პირველი მეუღლე, ენათმეცნიერი, ვალენტინ სტებლინი, შიმშილით ხელში ჩააკვდა ბლოკადისას. მახსოვს, როდესაც ბებუის მეშუარს ვკითხულობდით მეც და ჩემი და თათაც, გავბრაზდით ვალენტინზე, რომელმაც ბლოკადის სრულ ჩაკეტვამდე ლადოგაზე ბოლო გემით ქალაქში შებრუნება გადაწყვიტა პატრიოტულად, თავიც დაიღუპა და ბებუაც კინალამ შეინირა. მერე მივხვდი, ეს რომ არ მომხდარიყო, არც მამაჩემი გაჩნდებოდა და არც მე, რა საოცრებაა ადამიანის ბედი, რუსი კაცის თავდადებას საკუთარი ქალაქისათვის განაპირობა ჩვენი ქართული ოჯახის არსებობა. ვიდრე ვალენტინი შიმშილით დაიღუპებოდა და ბებუა ლაზარეთში მოხვდებოდა, სადაც მას შიმშილით სიკვდილისაგან უცნობი რაჭველი მზარეული გადაარჩინდა, ისინი თავიანთ მეგობრებს, ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის ავტორის, დიმიტრი მენდელეევის ქალიშვილებს სტუმრობდნენ ხოლმე ბინაში. ერთ-ერთი ძალზედ ინტენსიური დაბომბვისას, როდესაც საფარში გაქცევას ველარ ასწრებდნენ და ყველას ეგონა, დაიღუპებოდნენ, დებს უთქვამთ, ჩვენი როიალის გადასაფარებელზე ბოლო ხელმოწერა ცარციით

ჩვენში ყველაზე ახალგაზრდამ გააკეთოს და ჩვენ, თუ დღეს გადავჩრით, მასაც ამოვქარავთო. წილი ბებუის ხედომია და მას, როგორც ჩანს, მეუღლის სახელი წაუწერია.

ათი წლის წინათ მშობლებსა და ცოლ-შვილთან ერთად პეტერბურგს ვსტუმრობდი იმ ადგილების სანახავად. მამამ მითხრა, ლევან, იქნებ ის გადასაფარებელი ვიპოვნოთო. მე თავიდან ავუხირდი, კარგი რა, მამა, ამ 5-მილიონიან მეგაპოლისში სად ვეძებო გადასაფარებელი-მეთქი. კარგიო, გაყურება მამა. შემრცხვა და გიდს ვკითხე, ქალაქში დიმიტრი მენდელეევის სახლ-მუზეუმი ხომ არ გაქვთ-მეთქი? კოი. სად-მეთქი? აგერ, ამ შენობაშიო, რომელთანაც იმ მომენტში ჩვენი მანქანა იდგა. ეს რა არის-მეთქი? 12 კოლეგიის ყოფილი შენობაა, ადრე იმპერიის მთავრობა იჯდა, ახლა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტიაო. პირველივე კარში შევედით და მუზეუმი ვიკითხეთ. პირველსავე შიდა კარებზე მიგვითითეს. მე ავუხსენი, რასაც ვეძებდი. მუზეუმის კუშტმა „სტარუშკებმა“ მითხრეს, გადასაფარებელი კი გვაქვს, მაგრამ შეუძლებელია ეგ იყოსო. რატომ-მეთქი? რატომ და ეს ნივთები მუზეუმს 1922 წლიდან ეკუთვნისო. მერე აღმოჩნდა, „სტარუშკებმა“ არ იცოდნენ, სტალინმა ბლოკადის დროს ბრძანება რომ გასცა მცირე სახლ-მუზეუმთა ექსპონატების დროებით ოჯახებში დაბრუნება-მოფანტვის თაობაზე, რათა ექსპონატთა ნაწილის გადარჩენის ალბათობა გაზრდილიყო. ანუ 1943 წელს გადასაფარებელი და სხვა ნივთებიც დროებით ისევ მენდელეევის ქალიშვილთა სახლში იყო. მე გავჯიუტდი. დამათვლიერებინეთ გადასაფარებელი-მეთქი. რალას იზამდნენ განერვიულებული „გრუზინის“ დანახვაზე, შემიყვანეს და მანახეს. უამრავი ნაქარგი გვართ შემკული გადასაფარებლის ცენტრში მენდელეევის სიძის, რუს პოეტებში გამორჩეული პოეტის, ალექსანდრე ბლოკის ხელმოწერა ვნახეთ. მამაჩემმა სწორად თქვა, რადგან ბებუის ხელმოწერა ერთ-ერთი ბოლო იყო, ის უფრო კიდისაკენ იქნებო. ასეც აღმოჩნდა, ოღონდ თამარ ყიფიანის ნაცვლად, როგორც ჩვენ გვეგონა, ბებუის ხელით წარწერილი **В.Стеблин** ვიპოვეთ. ანუ ბებუამ უკიდურესი თავმდაბლობა გამოიჩინა იმ ღამეს და საკუთარის ნაცვლად მეუღლის გვარი დანერა. ასე რომ, როდესაც მამამ მანქანაში მთხოვა, გადასაფარებელი ვეძებოთო, ჩვენ იმ მომენტში მისგან სულ დიდი 50 მეტრში ვიმყოფებოდით, და მხოლოდ მამის ნებაზე შვილის დამორჩილებამ განგვიცხადა ეს სასწაული.

როდესაც ბლოკადის მერე თამარა ბებუა თბილისში შინ დაბრუნდა, იგი საკუთარმა დამ ვერ იცნო, მათხოვარი ეგონა და საჭმელი გამოუტანა. მისი მემუარი „ბლოკადის დღიური“ ეღუარდ შევარდნაძემ სანკტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლისთავზე ვლადიმერ პუტინს აჩუქა, ნეტა რომელიმე თუ წაიკითხა, ზრდილობისათვის მაინც. ჩემი მშობლების მეგობარმა, ცნობილმა ლიტერატურულმა კრიტიკოსმა და ესეისტმა, ზაზა აბონიძემ, რომელმაც ეს მემუარი გამოსცა, თავის წინასიტყვაში ის ანა ფრანკის დღიურს შეადარა, მე კი ბებუას დანეროლს ბევრად ვამჯობინებდი, ბუნებრივია. მე და მამაჩემის კლასელსა და ბავშვობის მეგობარს, თემურ ბაბლუანს, გვინდოდა კრიზისამდე ფილმი გადაგვეღო ბებუის წიგნის მიხედვით, მაგრამ ჩემი თავმოუბმელობის გამო შევაფერხე ძია თემური, რომელიც ახლაც პარიზში ცხოვრობს და მელოდება, როდის მოვაბამ რამეს თავს.

ჩემი დიდი ბებუის, გურული ესმა გაგუას ძმა, თბილისის ცნობილი კბილის ექიმი, ისიდორე გაგუა, თუ დედაჩემის უახლოესი მეგობრის, პოეტ პაოლა ურუშაძის ბაბუა, აპოლონ ურუშაძე, უფრო კბილის დაავადებათა ექიმად იყო განთქმული, ისიდორე ბაბუა ცნობილი იყო თავისი უზადო ტექნიკით დაზიანებული კბილის შეკეთებისა.

პატარა მამაჩემი ზოგჯერ ისიდორე ბაბუას სამუშაო კაბინეტში სტუმრობს და ინსტრუმენტებით თამაშობს. ხშირად იქ უცნაურ კაცს ხედავს, გარეგნობით ლოთს. ზაფხულობით, როდესაც ქალაქი ოხმივარში იხრჩობა, ის ყოველდღილით კუს ტბის ფერდობებზე შეგროვებული ძალყურძენასაგან დამზადებულ

წვენს ეზიდება ისიდორესთან ბოთლებით. ისიდორე ყოველთვის მადლობას ეუბნება, ფულს უხდის შრომაში და, როდესაც კაცი მიდის, ხელსაბანში ღვრის ნაყიდ წვენს.

„რატომ აკეთებ ამას, ისიდორე ბაბუა, პირდაპირ ფული მიეცი მაგ კაცს“ — ეუბნება მამა.

„არ შეიძლება, შვილო, კაცი გაფუჭდება მაშინ“.

ერთხელ ისიდორეს ნაცნობები შესწივლებენ, მამა გაგვიგჟდა, იძახის თავზე ლიტრიანი ბოთლი მადევს და ვერ ვიშორებო. მომიყვანეთ, მე მოვარჩენ მავასო. კარს რომ გაუღებს, ეს რა გადგას თავზეო. შენც ხედავო? — გაუხარდება ნათესავს. აბა რაო. ა, კაციო. მოდი ერთი, დაჯექი სავარძელში, იქნებ რამე გიშველოო. ატკენს თავს და: ვერა, არ გცილდება, ხვალ გამომიარე, ისევ ვცადოთო. მეორე დღეს დასვამს, ისევ ატკენს ინსტრუმენტით თავს და ზურგს უკან დამალულ ლიტრიან ბოთლს დაანარცხებს იატაკზე. ეს იყო, რომ გტანჯავდა, ამის ისე და ასეო? ნათესავი შვეებით მოისვამს თავზე ხელს და ეტყვის: უფ, გიშველა ღმერთმა, ისიდორე, როგორც შენ მიშველეო, — და ოჯახს დაუბრუნდება.

უცნობელო ისიდორეს სომხის ქალი გაუჩნდება საყვარლად.

ქართველთმოდულე ნიკიტა ხრუშჩოვი საქართველოში მატარებლით შემოდის ადღერის მხრიდან. მატარებლის ერთ-ერთი დაძვრისას ნიკიტას ცოლს კბილი ჩამოუტყდება ჩაის სტაქანზე. ისიდორეს უბრძანებენ, გორთან დახვდეს ბოლშევიკთა და მის ცოლს, რომელსაც არ სურს განთქმულ თბილისში უკბილოდ შემოსვლა. ისიდორეს ბორმანქანას სატვირთოთი აფრენენ გორამდე. ხრუშჩოვის ცოლი ისიდორეს ჩასმული ხელოვნური კბილით კმაყოფილი დარჩება და იმ დღიდან ისიდორესთან მთელი საბჭოთა კავშირის ფუნქციონერთა ცოლების რიგები დადგება, „ხრუშჩოვის ცოლის კბილის ექიმთან.“

ისიდორეს რამდენჯერმე გაქურდავენ კარის გაუტყვავად კბილის ოქროსათვის იმ სახლში, რომლის ადგილზეც ახლა გამოფარული ტელეგრაფის შენობა დგას რუსთაველზე.

ნიაზ დიასამიძის დას, გუგულის, რომელიც ნათლიაჩემის, ჯემალ თოფურაძის, თავის მხრივ ნოდარ დუმბაძის სიძის, უბედური დედა იყო (უბედური, იმიტომ, რომ ნათლიაჩემი ახალგაზრდა დაიღუპა, ზუსტად ისე, როგორც მისი მოთხრობის „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ გმირი) მამაჩემისთვის ერთხელ უთქვამს, ისიდორეს სტუდენტობაში გაკეთებული „პლომბა“ ერთადერთია, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვავო.

ცალკე მოთხრობა უნდა დედაჩემის მამის, ბაბუ ლევანის მამას, წარმოშობით აცანელ ჭანტურიშვილთა ვაჟს, სიო ჭანტურიშვილს, რომელიც მოსკოვში სწავლისას გაიცნობს თავის მომავალ მეუღლეს, ურალელი კაზაკი ალმაზოვების ჯიშის, ვოლგისპირელ სამარელ ქალს, პოლინა პოპოვას. სიო ბაბუ დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა ფოტოსურათზეც არის და იოსებ გედევანიშვილის თავმჯდომარეობით შექმნილი სრულიად საქართველოს თეატრის მოღვაწეთა საზოგადოების დამფუძნებელ კრების ფოტოზეც.

სიო ბაბუას დამოუკიდებელ საქართველოში ჯერ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ დანიშნავენ, მაგრამ, ეტყობა, ვერ იგუებს პოლიტიკასა და მის უსიამოვნო გარემოს და მშობლიურ გურიას დაუბრუნდება. იქაც არ მოასვენებენ და გურიის ერობის თავმჯდომარედ აირჩევენ. ვიდრე ოცდაჩვიდმეტში დახვრეტდნენ, ოცდაერთში შესთავაზებდნენ გიორგი მაზნიაშვილთან ერთად თურქეთში გასვლას და მერე საფრანგეთში ემიგრირებას. ამ საუბარს ლანჩხუთში, მამამისის სამუშაო კაბინეტში, რვა წლის პავლე შეესწრება, ლევანისა და დიმიტრის უფროსი ძმა. „არა, ბატონებო“, უთქვამს სიო ბაბუას კოჯრის ცუდი ამბის მომტანი ჩოხოსნებისათვის და ჩაფიქრებულს პაპიროსისათვის მოუკიდებია, „ჩემს ბიჭებს ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ, მე მათ ვერ გავაფრანგებ, დამხვრიტონ.“ ეს სიტყვები



ლევან და ნინო, შიო, ირაკლი, გიორგი, თამარ, ნიკოლოზ, ეკატერინე, ირინე და მარიამ ვასაძეები

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოსკოვიდან ოჯახით ინგლისში გადასახლებულს ჩამესმა და, მის გმირობასთან რა მოსატანია, მაგრამ მაგიტომაც დაგვრუნდი კიკეთში, სადაც სიო ბაბუა 1929 წლიდან აგარაკობდა ცოლ-შვილით.

როდესაც სიო ბაბუას მეექვსედ და საბოლოოდ დასაპატიმრებლად მოვლენ, ლევან ბაბუ 16 წლისაა. 1937 წლის 30 დეკემბერია, სისხლის გეგმა თითქმის შესრულებული აქვთ. სიო ბაბუა ღამე იქვე ვერაზე, თავის დასთან უნდა დარჩენილიყო, როგორც იქცეოდა ხოლმე, როდესაც შეყვინდებოდა სტუმრობისას. მაგრამ უთქვამს: დიმას (შუათანას, იმ დროს უკვე 20 წლის ვაჟს!) სიცხე აქვს, გადარჩებოდა, წლის გეგმა შეასრულეს და 1 იანვრიდან მკვეთრად დავარდა ჟღერის სტატისტიკა. ჩემ ბაბუს, ლევანს, 16 წლისაა, ეძინა, როდესაც მოვიდნენ. მიყვებოდა, როგორ ესიზმრა, რომ მკერდზე დათვი დააჯდა. ცივ ოფლში განურთულმა თვალები გაახილა და ტყავის ქურქებიანი კაცები დაინახა, მდუმარე მამა და აღლვებული დედა, რომელიც თბილეს ულაგებდა მას აკანკალებული ხელებით.

მერე პოლინა ბებია სოლოლაკში ბერიასთან შევა ვედრებით, სამი ბიჭი მყავს, როგორ მოვერიო გზაზე მათ დაყენებას ეს რუსის ქალი, თუ დავეკრივი საქართველოშიო.

«Как фамилия?» — ჰკითხავს ლავრენტი თავაუნეველად სამუშაო მაგიდიდან.

«Чантуришвили.»

«Давно надо было его расстрелять. Следующий!» —

კაცზე, რომელსაც მწერლობისა და მსახურების მეტი არაფერი უკეთებია სამშობლოსათვის. ბებია არ ნავა ამ ტრაგედიის მერე სამოქალაქო ომის მშობლებთან და მეუღლის სსოვნის პატივსაცემად თბილისში დარჩება სამივე ვაჟით, მარტოდმარტო, «враг народа»-ს ქვრივი. სამივე პროფესორი გახდება, პავლე — ბიოლოგიის, დიმიტრი — ფილოლოგიის, ლევანი — მყარი სხეულის ფიზიკის. სამივე გაზრდის პროფესორის ხელფასზე დიდ ოჯახებს ქვეყნისათვის, პავლე პერესტროიკისას აღესრულება, დიმიტრი — სამოქალაქო ომის ზამთარს, ლევანი — ვარდებიანი მკვლევების მოსვლის მერე, აქ, ჭალაში, ამ ზალაში, ამ ტახტზე, სადაც რამდენიმე წლის მერე შვილთან ერთად სტუმრად ჩამოსული გიზო ნიშნიანიძეც დალევს სულს ჩვენს ხელში, თამადაობისას.

ეკა ბუჯიაშვილი

„მე გავიარე... საზვერეები“

(როსტომ ჩხეიძის
ახალი ბიოგრაფიული რომანის
წარდგინება)

როდესაც სააკაშვილი და ძმანი მისნი უმიზეზოდ და გარდაუვალად გადაეკიდნენ, ერთმა მათმა თანაგუნდელმა ჩემს ინგლისის სახლში სტუმრობისას, ჩემდა გასაოცრად, გულახდილად მითხრა: ლევან, შენ ყველა მთავრობა და ხელისუფლება მოგიძულეს ადრე თუ გვიან, ნუ-თუ არ გესმის, ჩვენგან რა გწყინსო. მართალიც იყო. ახლა მეცინება, როდესაც ჩემზე გაუგებარი თუ გასაგები მიზეზით გადაკიდებული ტელევიზიები და პრესა „რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს“ მეძახიან, ხან ჩემი სახელით ყალბ ვებ — გვერდებს ხსნიან სოციალურ ქსელებში, სადაც მე არასოდეს ვყოფილვარ სინამდვილეში, ჩემი სახელით ხალხს „უმეგობრდებიან“ და ჩემივე სახელით ყალბ განცხადებებს ავრცელებენ. ხან პრეზიდენტობის სურვილს მატარებენ, ხან — ვითომ ჩემს მიერ ნათქვამი „ჩემი მართლმადიდებელი ხალხის“ გადარჩენის მესიანიზმს, ხან — პრემიერობის ამბიციებს, ხან კი — შავრაზმელობას, ხან — საიდანდაც ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩემს თავს დამტყდარი „ცნობადობით“ მოამაყებთ და, რა ვიცი, კიდევ რას.

ერთი-ორჯერ ვთქვი კიდევ, ყველაფერი ტყუილია-მეთქი, მაგრამ ვინ გიგდო ყური. ისეთივე მიზანდასახულობით გრძელდება ეს უცნაური ნაკადი ცილისწამებისა და მის გამო ინტერნეტში ჩემი ალტკინებით გინებისა ანონიმისტთა მიერ. მაგ ჭუჭყისაგან ყვირილაში ბანაობა თუ მიშველის.

ვკითხე კიდევ ერთხელ ჩვენი სოფლის სიძეყოფილ ჩემს ბავშვობის მეგობარს, ჩემი უფროსი ბიჭის ნათლიას, გიორგი მარგველაშვილს, რა ვუყო ამ ჯანდაბას-მეთქი, და მან მითხრა, რაც უნდა თქვა, უფრო ჩაგითრევენ, დაანებე თავიო. ჰოდა მეც ვიფიქრე, რომ ყველაფერი ლოგიკურია, მე რა ცოდვილიცა და უღირსიც უნდა ვიყო პიროვნულად, ამას იმხელა მნიშვნელობა არა აქვს ამ აურზაურში. უბრალოდ მე ჩემი წინაპრების შთამომავალი ვარ, ისინი — ვინც მე და ჩემს წრეს ებრძვიან — თავისი. მე ყველა მხრიდან (ვასაძეების, ჭანტურიშვილების, აბაშიძეების და ყიფიანების) 4 დიდი ბაბუა და დიდი ბაბუის ძმა მყავს დახვერცილ-გადასახლებული საბჭოთა კავშირის მიერ, ხოლო თანამედროვე დასავლური ლიბერალიზმის მეხოტბეთა და საბჭოთა კავშირის მაგინებელთა მშობლები და ბებია-ბაბუები ძალიან ხშირ შემთხვევაში კომპარტიის პრივილეგირებული ფუნქციონერები იყვნენ, ან ისინი, ვინც საბჭოთა პერიოდში ვერ გაიქაჩა და გაქაჩვის სურვილი კი ნამეტნავად ჰქონდა. თან ხშირად ქართულზე გადაკეთებული გვარებით. და რომ წარმოვიდგინოთ, ხვალ ამ დასავლურ ლიბერალიზმს, რომელშიც ასე ბანაობენ და ხორხოცობენ მათი შვილები, ჩანაცვლებს რამე ჩინური ეკონომიკური-უტოპიზმ-კონფუციანიზმი, მაშინ, ეჭვიც არ შეგეპაროთ, სწორედ მათივე შვილები იქნებიან, ვინც პირველი აგინებს დედის სისხლს დასავლურ ლიბერალიზმსა და მათ მიმდევრებს, ანუ საკუთარ მამა-ბაბუებს და ამ რამე ჩინური ეკონომიკური-უტოპიზმ-კონფუციანიზმის დაულალავ აპოლოგეტებად მოგვევლინებიან, დახვედებიან მას ცუმპა-რუმპითა და გადაღებული ტრანსპარანტებით, რომლებზეც ავერ უკვე მერამდენე დამკრობლის მეხოტბე ლოზუნგთა საღებავის შრე ფარავს წინა შრეებს. ჩვენი შვილები კი კვლავ იქნებიან, სახსრით თუ უსახსროდ, ამ კაინიტებისა და მათი გოშია ჟურნალისტთა მიერ დევნილი, მაგრამ ვერდამარცხებული, მშვიდი, მეოჯახე ადამიანები, რომელთაც აქვთ ბაბუებისაგან ნაანდერძევი საიდუმლო გასაღები იმ ჭალის ბაღში, სადაც სუფევს სრული ბედნიერება და... მაღლობა ღმერთს ამისათვისაც.

ჭალა

P.S. ამ წერილს უცნაურობა დაეებდა. წელიწადზე მეტია, რაც ის როსტომ ჩხეიძეს გაუგზავნე ელფოსტით და მაკვირვებდა მისი დუმილი. ვიფიქრე, ეტყობა ძალიან გაუთამამდი ამ ლიტერატურულ ჟურნალს, ვის რაში აინტერესებს ჩემი ოჯახის ისტორია-მეთქი. ბატონ როსტომს კი სინამდვილეში ჩემი წერილი არ მიუღია თურმე და ჩემი დღემილი აკვირვებდა, სად დაიკარგა, რატომ აღარ გვენსო. რომ არა ზაზა აბზიანიძის შუამავლობა, რომელსაც გაგებდე და ვკითხე: რა ხდება-მეთქი? ალბათ არც დაიძლეოდა ეს ორმხრივი მორცხვობა და ასე დაიკარგებოდა ეს წერილიც და ჩვენი მიმოწერაც.

ამის შემდეგ, ორიოდე დღის წინ ჩემს კაბინეტში ვმუშაობდი კიკეთში და ხუთი წლის ილია მენვია, როგორც ამბობს, თავისი თოფების სანახავად. ციოდა და ბუხარი დავუნთე. მკითხა, მამიკო, ეს ბოლი სად მიდისო. ცაში-მეთქი. მერე ცა რომ გაფუჭდესო? ცრემლით გამეცინა, ჩავიხუტე და ვუთხარი ცა ადამიანების სახლების გათბობით არ გაფუჭდება-მეთქი.

ეს მისი მე-16 ბიოგრაფიული რომანია. „დევების სტუმარი“. მწერალი კვლავ ჟანრის ერთგული რჩება და ამჯერად ვაჟა-ფშაველას სამყაროში შეგვიძღვება.

პალიმფსესტურ სამყაროში, რომელშიც უამრავი შრეა, ერთმანეთზე ნაფენილი.

— როგორც არქიმედე იტყოდა, ისევე საინტერესოა, რას ირჩევს იგი საყრდენ ნერტილად, რათა შემდეგ გადაატრიალოს მთელი სამყარო და ამღვლეწაროს ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებაც და მკითხველის ცნობიერებაც.

გრიგოლ რობაქიძე კი იმას ამბობდა, რომ ვაჟა გენიალური უბრალოებით წერდა და, ამავე დროს, გარკვეული ინტელექტუალური მზაობა და ძალისხმევა იყო საჭირო იმ შრეებთან ჩასაწვდომად, მითოსის, ლეგენდის, ზღაპრის პირველწყაროს სახით რომ შემოიჭრება მის შემოქმედებაში.

იგი შემთხვევით არ ირჩევს თავის სიმბოლოდ ხარს.

ხარი ხომ ლუკა მახარებელთანაც სიმბოლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაჟა მწერლობას ერთგვარ ღვთისმსახურებად, წმინდა ხელობად გაიზარებდა.

ამ წიგნში იგი სწორედ ასე წარმოგვიდგება — შუამავლად ღმერთსა და კაცს შორის.

როსტომ ჩხეიძეს კი აქვს უნარი, საოცარი კრძალვით მიუდგეს ყველაფერს, რაც მანამდე დანერვილა თავისი გმირის შესახებ, იმგვარად გაიზაროს და ისე მიიტანოს ეს ყველაფერი მკითხველამდე, რომ უკვე ნაცნობი მასალაც კი სხვაგვარად აღიქვას მან და ახლებურად დაინახოს მრავალ განზომილებაში დახატული ვაჟა-ფშაველა, — ასე გახსნის ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში გამართულ შეხვედრას **მაია ჯალიაშვილი** და ამ ახალ ბიოგრაფიულ რომანზე სასაუბროდ (რედაქტორი **ამირან არაბული**, მხატვარი **ვაჟა ორბელიძე**) სიტყვას **თემურ ქორიძეს** გადასცემს:

* * *

„ცეცხლი აკაკი, გმირი ვაჟა, ბრძენი ილია“... ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ გალაკტიონის ამ კლასიფიკაციაში ვაჟა-ფშაველას ადგილი განსაკუთრებულია.

გმირობა ზნეობრიობის მწვერვალია. ალბათ ამიტომ იყო, რომ საქართველოს უპირველესი ლირიკოსი ვაჟას ადგილს სწორედ ზნეობრიობის მწვერვალზე წარმოიდგენდა.

მსგავს კანონზომიერებას ამკვიდრებს როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანიც. ვაჟა-ფშაველა აქ დიდ დროსა და სივრცეში მოძრავი გმირია. მისი

ყოველმომცველი ჭვრეტა ერთნაირი ინტენსივობით აღიქვამს სამყაროს სამივე გარსს. ის დევების ქორნილში მოხვედრილი „ვინმე ყმაცაა“ და უსულო საგნებისთვის „სულის ჩამდგმელი“ სასწაულმოქმედიც; ვაჟა ათ-ათი კაცის სანთლით მძებნელი დაუოკებელი შეთქმულია, რუსთველთან და გურამიშვილთან თავმდაბლად მოლაპარაკე მელექსეა, ჭეშმარიტების ტრფიალი და სამართლიანობის ქომაგია.

როსტომ ჩხეიძე არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ძერწავს თავის ვაჟა-ფშაველას. რომანში თანდათანობით იკვეთება გმირის გამოსახულება, მისი ენერგიული პორტრეტი, მძაფრი და შთამბეჭდავი სულიერ-ფსიქოლოგიური ვნებები, განცდები, ფიქრები, ხილვები, ნისლში გახვეული მწვერვალების და წყვილიაღმა ჩაკარგული უფსკრულების მოლანდებანი.

როსტომ ჩხეიძის ვაჟა-ფშაველა კოსმოსის ცენტრში დგას. მის გარშემო მწყობრად მოძრაობენ ხილული თუ უხილავი სამყაროები. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა გმირის სრულყოფა, მითუფრო ისეთი გმირისა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ქვეყნიერების რეალურ და სიურრეალურ განზომილებებს.

ეს ის მასშტაბია, რომლითაც ნამდვილად შეიძლება ვაჟა-ფშაველას შეცნობა.

როსტომ ჩხეიძის რომანი გმირის უაღრესად სანდო და სარწმუნო ძეგლია, ვაჟას შემოქმედების შესატყვისი ქმნილებაა. ეს ქმნილება მოიცავს ყველას და ყველაფერს, რაც უშუალოდ თუ ირიბად უკავშირდება ვაჟა-ფშაველას. აქ არის უკლებლივ ყველა, მთელი ქართული მწერლობა, ილია, აკაკი, ვაჟაზე თავგადაკლული თამაზ ჩხენკელი და შორეულ ირლანდიას დანატრებული იეიტი და ჯოისი... აქ არის მითი და სინამდვილე, ძალიან, ძალიან ძველი ამბები და ახალ-ახალი თავგადასავლები, დიადი სიკვდილი და არანაკლებ დიადი სიცოცხლე.

და ყოველივე ამის შემდეგ მე სულ უფრო ხშირად წარმომესახება რუსთველის პირისპირ ჩაფიქრებული როსტომ ჩხეიძე; იქვე იღანდება ძველი ელადა და ახალი რომი, ფეხზე წამომდგარი მთელი მსოფლიო, რომელიც მზურვალედ შეეგებება თავის დაგვიანებულ, მაგრამ მაინც განუშორებელ მესაიდუმლეს.

სერგო კლდიაშვილს ჩაუნიშნავს უბის ჩანაწერები:

— ვახტანგ რაზიკაშვილმა დანერა წიგნი მამაზე და მას სულ ცოტა მეტი განათლება რომ ჰქონოდა, გაცილებით კარგი საკითხავი იქნებოდაო.

მაგრამ იგი ვერ ახერხებს თავისი ფიქრის რეალიზებას და, ხშირ შემთხვევაში, თავს იკავებს ისეთი დეტალების გამომჟღავნებისაგან, რომლებიც, მისი აზრით, შეურაცხყოფა მამის სახელს.

სერგო კლდიაშვილი გულისწყვეტი ამბობს, რომ ვახტანგ რაზიკაშვილი ამით დათვურ სამსახურს უწევს ვაჟა-ფშაველას და ასახელებს იმ დეტალებსაც, რომელთა გამჟღავნებაც შეეძლო, რათა მათ მიხედვით ემსჯელა ამ დიდი მწერლის სულის შრეებზე.

ამ ამბავს შეხვედრაზე ამირან არაბული გაიხსენებს, რედაქტორი როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანისა, რათა ამ წიგნში სწორედ ეს მხარე გამოირჩიოს და აღნიშნოს, რომ „დევების სტუმარი“ არ მოიცავს არცერთ მოგონილ ფრაზას ვაჟა-ფშაველას შესახებ, არცერთ ყალბ დეტალს, და ავტორი ისეთი ნიუანსებზე ამახვილებს ყურადღებას, სულ სხვაგვარად რომ დაგვანახებს ერთი შეხედვით ჩვენთვის კარგად ნაცნობ მწერალს:



როსტომ ჩხეიძე, თემურ ქორიძე, მაია ჯალიაშვილი

განსაკუთრებულად კი გამოარჩევს მიგნებას, რომლითაც ბატონი როსტომი გველისმჭამელ მინდიას ავტორთან აიგივებს.

— ჩვენ გვახსოვს ბესიკ ხარნაულის ლექსის სტრიქონი: „გველისმჭამელი შემოქმედის ბედზე დავწერე“.

სწორედ ამ სტრიქონს განავრცობს როსტომ ჩხეიძე და ძალზე საინტერესოდ ავითარებს ამ თვალსაზრისს.

წლების წინათ დავწერე წერილი სიუჟეტურ მსგავსებაზე ლექსს — „მთას ვიყავ“ — და „გველისმჭამელს“ შორის და აღვნიშნე, რომ 1890 წელს დაწერილი ლექსი 1901 წელს დაწერილი პოემის ერთგვარ სქემად, მიკრომოდელად წარმოგვიდგება. ამიტომ ჩემთვის კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა თვალსაზრისი მინდიასთან ვაჟს გაიგივების შესახებ, — აღნიშნა ბატონმა ამირანმა.

თვითონი როსტომ ჩხეიძე კი წიგნში უპირველესად ფორმას გამოარჩევს:

— თუ სხვა რომანებს ქვეთავებდა ვწერდი, ეს წიგნი 4 ნაწილისგან შედგება და იწყება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების წიგნით.

უამრავმა ადამიანმა მოინახულა იგი.

დაუფასებელი ვაჟა ნამდვილად არ ყოფილა თანამედროვეთაგან, თუმცა ყველა მაინც ვერ გაიაზრებდა შესაფერისად მის სიდიადეს.

— ნამიყვანეთ, ფშავეში ნამიყვანეთო, — ასე შესთხოვდა თითოეულ მათგანს, მაგრამ ექიმებს აეკრძალათ ადგილიდან მისი დაძვრა იმის შიშით, რომ სნეულებისგან დაუძღურებული და დასუსტებული მწერალი მგზავრობას ველარ გაუძლებდა.

სანდრო შანშიაშვილიც ესტუმრება.

ის სანდრო, ეროვნული აჯანყების სურვილს აყოლილი ვაჟა სამოქმედო გეგმას რომ უსახავდა და შესთხოვდა:

— ათი სანდო კაცი შეიგულე, შანშეო.

მოგვიანებით, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოქმედების გეგმას ვადევნებთ თვალს, ვასკვნით, რომ ზუსტად აგრძელებს ვაჟა-ფშაველასეულის საომარ პროგრამას, ფრაგმენტებად, ანარეკლებად რომ არის შემონახული.

— ათი კაცი შეიგულე შანშეო, — უკანასკნელ წუთებამდე კი მიჰყოლოდა ეს სურვილი და განწყობილება, ტკივილი ვერმემდგარი აჯანყებისა, მძიმე კვალად რომ დაჩნევია მინდიასებურ სულს.

თუმცა:

ვაჟა რომ გავაიგივოთ მინდიასთან, სულიერადაც და გარეგნული ყოფითაც, გასაკვირი არ იქნება. მე ერთი ასეთი მოსაზრებაც გამიჩნდა — თავისებური ანალოგი გოეთეს

„ახალგაზრდა ვერტერის ვნებებთან“ — როგორც გოეთემ გადააბარა თავის პერსონაჟს თვითმკვლელობის სურვილი, ასე მოაკვლევინა თავი ვაჟამაც მინდიას და გაათავისუფლდა ამ ტრაგიკული სულისკვეთებისაკენ სწრაფვისაგან.

შემდეგ თავში შემოდის ბიოგრაფიული ამბები, ბოლოს კი — ვაჟას საგმირო ეპოსი, ჩვენი დროის „ილიადა“, გადაძახილი რუსთველთან, კამათი აკაკი წერეთელთან; რომ ვაჟას ენა არ არის რომელიღაც დიალექტი, ეს ის ზოგადქართული ენაა, რომლითაც საუბრობდა რუსთველი და რომლის აღდგენასაც ესწრაფვის მწერალი.

დაბოლოს:

ამ ბიოგრაფიული რომანის ეპილოგი, სხვა დანარჩენებისგან განსხვავებით, საკმაოდ ვრცელია და მოიცავს პიროვნების, ერისა და კაცობრიობის ვაჟასეულ გააზრებასაც, რასაც საგანგებო სტატიაც უძღვნა მწერალმა და მსოფლიო მოქალაქეობის უპირველეს საფუძვლად ეროვნულობა და პატრიოტიზმი დასახა. აქვე შემოდის უილიამ ბატლერ იეიტსი, ალუდა ქეთელაური კი გააზრებულია როგორც ჯეიმზ ჯოისი, რომელმაც წერა არ იცის, თორემ შინაგანი აღნაგობით არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. — თქვა ბატონმა როსტომმა.

ამირან არაბული კი ამგვარ მარჯვე მიგნებად მიიჩნევს სათაურსაც:

— „დევების სტუმარი“ იმ გზამკვლევის ფუნქციასაც ითავსებს, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ფარული თუ ზედაპირული დეტალების სიღრმეებში რომ უნდა ჩაგვახედოს და კიდევ ერთხელ შეგვაგრძობინოს ის საკვირველი მხატვრული სამყარო, რომელსაც, რაც დრო გადის, არათუ აკლდება, პირიქით, უფრო და უფრო ემატება ემოციური ზემოქმედების ზეგარდმო სული.

ენას გინუნებ, ფშაველოო, — აკაკის მიენერა ლექსად ვაჟასათვის.

აი, ილიას კი ეთქვა, ისეთი ვინმე გამონდა ქართულ ლიტერატურაში ჩვენ, მე და აკაკიმ კალამი უნდა დავდოთო.

„ილია ჭავჭავაძემ ვაჟას ყოველი ლექსისა თუ პოემის ნაკითხვისას აკი „ვეფხისტყაოსანიც“ წამოაგონებოდა ხოლმე. და თუმც იმას არ გადაამეტებდა, მის გვერდით მაინც იხსენიებდა: რუსთაველის შემდეგ მაგისტრანა პოეტი აღარ გვეყოლიაო“, — ამას იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს თავის ავტობიოგრაფიულ ნიგნში „ჩემი წარსულიდან“.

...იდრიკებოდა ვაჟა ამ შეფასების ქვეშ, მორიდებისგან ოფლსაც კი ასხამდა და ერთი ხმა ჩასჩურჩულებდა, პირდაპირ არ მიელო ეს სიტყვები, მართლა მწვერვალისთვის კი არ მიგიღწევიაო, მეორე ხმა ეხლებოდა პირველს: ილიას რა, რაიმე შეიძლება ეშლებოდესო?!”

ამ ამონარიდს ნიგნიდან შეხვედრაზე ვახტანგ ბახტაძე ნაკითხავს.

მიხეილ ანთაძე კი ამ საკითხს საგანგებოდ გამოარჩევს და იტყვის:

— როსტომ ჩხეიძე ისეთ საფრთხილო და მოსარიდებელ თემას წამოწევს, როგორცაა მიზეზი აკაკის დაპირისპირებისა ვაჟასთან.

ამ საკითხის განხილვისას ავტორი ძალზე გაბედულ და ღრმა ანალიზს აკეთებს: რომ აკაკი, ვისაც შინაგანი ლტოლვა ჰქონდა რუსთველთან შეტოლებისა, ვაჟას სახით კონკურენტს ხედავდა და ილიას დამოკიდებულება მის მიმართ კიდევ უფრო უმძაფრებდა ამ განცდებს.

მიხეილ ანთაძე „დევების სტუმარს“ ქართულ პატრიოტიზმით აღსავსე ნიგნადაც მიიჩნევს — სახელმძღვანელოდ მათთვის, ვისაც სურს, სწორი მიმართება ჰქონდეს თავის ნაციონალურ იდენტობასთან, რადგან ამ იდენტობის ერთ-ერთი დიდი ნიშანსვეტი სწორედ ვაჟა-ფშაველა გახლავთ.

ვაჟა-ფშაველა, ვისი განათლებითაც ბერლინიდან ახალ-ჩამოსული გრიგოლ რობაქიძეც აღფრთოვანებულიყო და გაკვირვებული იჩივებდა მხრებს:

— ჰეგელის „ლოგიკა“ დაიმონმა ისე საგულისხმოდო...

არა, კი შევეკამათე, მაგრამ... იმანაც რომ არ დამითმოო.

ვაჟა-ფშაველა, ვინც მთაში მთის კაცი იყო, ბარში ნამდვილი დენდი და ჯენტლმენი, თბილისში სულაც ხელჯობით დადიოდა და წარმოუდგენელ მასშტაბებს ეტოლებოდა მისი აზროვნება.

— ამ ბიოგრაფიულ რომანში თითქოს მწერლის სტილიც განსხვავებულია, არა მხოლოდ ფორმის, არამედ თხრობის თვალსაზრისითაც. მე ასე მგონია, რომ სხვა თხზულებებში შინაგანი პოლემიკა მეტია, აქ კი უფრო ერთიანია, უფრო მონოლითურია თხრობა, ალბათ ვაჟას პიროვნებიდან გამომდინარეც, — ეს ნიკოლოზ სანებლიძეა, — ვინც თავის გამოსვლაში იმასაც დასძენს, რომ ილიაც, აკაკიც და ვაჟაც ქართული სამყაროა, ერთი დიდი სამყარო, სხვადასხვა კუთხიდან დანახული. სწორედ ამ სამყაროს მეკვიდრები ვართ ჩვენ, და ამ ნიგნის გასრულებისას ვიფიქრე, რომ როცა თუნდაც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ან მის შესახებ ასეთ რომანს კითხულობ, შეგიძლია თამამად თქვა, რომ ჩვენ გვაქვს ევროპული რანგის ლიტერატურა და ვართ ევროპული განათლების მქონე ადამიანები.

აი, ვახტანგ ბახტაძე კი შეხვედრაზე ცალკეულ ამბებსაც რომ გაიხსენებს ვაჟას ბიოგრაფიიდან, მის სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და პოზიციასაც რომ ისაუბრებს და მითოსური სამყაროს გმირებსაც შეეხება, საგანგებოდ გამოარჩევს საკითხს „ფშაველას ხევისურეთის დეკლარაციის“ შესახებ, ვაჟას საკუთარი ხელით რომ შეუდგენია მთიელთა ყველა წადილისა და სწრაფვის გათვალისწინებით; მის თითოეულ მუხლს კი, მოქნეული ხმლის ძალით, გვარიანად შეუფიქრებია ხელისუფლება.

დაასარულ კი იმასაც იტყვის, რომ ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროსთან და მასთან დაკავშირებულ უზარმაზარ ფაქტობრივ მასალასთან შეჭიდება, ამ ყველაფრის ლიტერატურულ ტექსტად ქცევა და ასე შთამბეჭდავად, ასე ექსპრესიულად და საინტერესოდ მიტანა მკითხველამდე დევებთან შეჭიდებას ჰგავს, რომელთაც ტოლი არ დაუდო ბატონმა როსტომმა, რადგან მას, როგორც მწერალს, სწორედაც რომ დევების ღონე აქვსო.

— ვაჟას შესახებ უცნობი ამ რომანში არაფერია. რაც დაბეჭდილია, იმაზე მეტი რა შეიძლება ვიცოდეთ მასზე, თუმცა ბევრი რამ ნიგნში ახლებურადაა გააზრებული და არაერთი მიკარგული დეტალია წამოწეული, — ასე უპასუხებს ბატონი როსტომი მანანა გაბაშვილის შეკითხვას, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი დეტალებით რომ დაინტერესდება.

თემურ ქორიძეც გამოეხმაურება ამ შეკითხვას:

— მაგალითად, ეჭვი არავის ეპარებოდა ვაჟას პატრიოტიზმში, მაგრამ ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისი ამგვარი სწრაფვა ეროვნული მოძრაობის აღდგენისაკენ; ისიც, თუ როგორ დეტალურად საზღვრავდა სამოქმედო გეგმებს... და სურვილიც, სიკვდილამდე მიყოლილი სურვილი ათი სანდო კაცის შეგულებისა, სიმბოლურ მნიშვნელობას რომ იძენს.

ჩემთვის საგულისხმო იყო ვაჟას საუბრები ნიცშეზეც... თან ეს ყველაფერი ისე აქვს მონოდებული როსტომს, თითქოს თავიდან აღმოაჩინებებს ამ მწერალს და დაგარწმუნებს, რომ ყველაფერი იქით მიდის — მოვა ის დროც, როცა თავი მოეყრება ამ ყველაფერს და რუსთველამდე მიგვიყვანს და მე ველოდები როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს შოთა რუსთველზე.

— გადამჩხვავთ თქვენ სადმეო, — ამოთქვამს ბატონი როსტომი და შემდეგ ამ ახლებურად გააზრებულ და წამოწე-

ულ მიკარგულ დეტალებს შორის დაასახელებს ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმებს, რომლებიც სოლომონ ყუბანეიშვილს საგანგებოდ აქვს ჩამოთვლილი თავის წიგნში. ყურადღებას კი გაამახვილებს პირველ პუბლიკაციაზე, რომელიც ლუკა რაზიკოვის სახელით გამოაქვეყნა მწერალმა.

მოგვიანებით ვაჟას თავის ჩანაწერებში აღუნიშნავს:

— ეს „რაზიკოვი“ თავიდან ძალიან მჭრიდა ყურს, მერე კი ისე მივეჩვიე, მომეწონა კიდევცო.

თუმცა საბოლოოდ ვაჟა-ფშაველამდე მივიდა და ასე ასცდა ქართული ლიტერატურის ისტორია კიდევ ერთ მაგალითს, ამსახველს იმდროინდელი ეპოქის ტრაგიზმისა — ქართველობა ლამის ირლანდიელთა ხვედრს რომ იზიარებდა, და თუ ისინი ენას კარგავდნენ, ამათ გვარსა და წარმომავლობაზე ეთქვათ უარი.

სწორედ ასეთი ფსევდონიმით შემორჩენოდა ქართულ ლიტერატურას ვასილ ბარნოვად ქცეული ვასილ ბარნაველი და შეიძლება თვით ვაჟაც რაზიკოვად დამკვიდრებულიყო სამწერლო ცხოვრებაში.

ბატონი როსტომი საგანგებოდ გამოარჩევს აჯანყების თემასაც, ასე რომ ესწრაფოდა ვაჟა, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გაჩუმებას არჩევდა:

— ამ ამბავმა თავის დროზე ვაჟას თანამედროვენი დააბნია, მოგვიანებით კი მკვლევარები. წარმოიდგინეთ, რა საგულდაგულოდ ამზადებს აჯანყებას, მთის დაძახილს ელოდება ბარი, სუნთქვაშეკრულია ყველა ამ მოლოდინში — ან დაიღუპებიან, ან, ბოლოსდაბოლოს, გაარღვევენ საბედისწერო წრეს — და აი, გადამწყვეტ წუთს ვაჟა გაყურებულია, ის ვაჟა, ვინც გამოიწვია მთელი ეს მოძრაობა.

სწორედ იმხანად ბეჭდავს მისი ძმა, ბაჩანა, ლექსს „მთამ რა თქვა“, დანეროლს იმ სულისკვეთებით, რასაც ეფუძნება ვაჟა-ფშაველას აჯანყების გეგმა, თუმცა ვაჟა ლექსადვე ეხმიანება და ამბობს, რომ მთამ სინამდვილეში სულ სხვა რამ თქვა;

რომ არ შეიძლება აჩქარება და შესაფერის დროს უნდა დაელოდონ, თორემ კვირტი ჩანასახშივე შეიძლება ჩაკვდეს. გაოგნებულია ყველა.

რამ, მაინც რამ შეცვალა ვაჟა ასე ერთბაშად?!

საქმე ის არის, რომ მან დაინახა ერთი რამ:

მისი თავდაპირველი სურვილი იყო, აჯანყება გადაბმოდარეგოლუციას.

ამ იდეას ისე მოეცვა მთელი მაშინდელი საზოგადოება, თვით იაკობ გოგებაშვილი და აკაკი წერეთელიც კი აყოლილიყვნენ.

ერთადერთი, ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა ყოველგვარ რევოლუციას დანაშაულებრივ მოვლენად, და თუმცა ძალიან აფასებდა მას ვაჟა, ამ საკითხში ვერა და ვერ შეთანხმებულიყვნენ.

და აი, ხდება წინამურის ტრაგედია და იგი მთელი სიცხადით აცნობიერებს, რომ არ შეიძლება რევოლუციას დააფუძნო ეროვნული იდეები;

რომ ეს ისეთი ბოროტებაა, რომელსაც სიკეთე ვერ მიეზღება; და რომ არ შეიძლება ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძესთან ერთად დადგე...

და კიდევ ემიჯნება მათ!

— მე კი ამ შეხვედრაზე ალუდა ქეთელაურისა და მუცალის ბრძოლაც კი სხვა ემოციითა და და სიმძაფრით დავინახე, — იტყვის თემურ ნადარეიშვილი, — გამარჯვების ცნება დავინახე სხვაგვარად.

ალუდა რომ იმარჯვებს, არ უხარია, პირიქით, ტირის.

ლაო-ძის თვალსაზრისი გამახსენდა ახლა გამარჯვებულის ქმუნვის შესახებ, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანიც“ — ერთის გამარჯვება ხომ მეორის მარცხს ნიშნავს, სულიერს, ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს... და ადამიანური საზოგადოება სრულყოფილი რომ იყოს, ასეთი რამ მას არ უნდა სჭირდებოდეს;

სხვისი უბედურების ხარჯზე ბედნიერებას არ უნდა მოიპოვებდეს.

მე თუ მკითხავთ, ალუდა ქეთელაურის ტირილია ჭეშმარიტი გამარჯვება;

გამარჯვება საკუთარ თავზეც და ზოგადად ადამიანის არასრულყოფილ ბუნებაზეცო.

და კიდევ:

თემურ ნადარეიშვილი თემურ ქორიძესაც შეეხმიანება:

— უილიამ ფოლკენერი ამბობს, რომ ადამიანი თავისი გასული ცხოვრების შედეგია, და რომ შეგიძლია შედეგიდან ნახვიდე მიზეზისაკენ.

როსტომ ჩხეიძის შემოქმედება ის შედეგია, მართლაც რომ შეიძლება მიიყვანოს იგი რუსთაველამდე და გახდეს მიზეზი კიდევ ერთი ბიოგრაფიული რომანის დაწერისა, რომელშიც მწერალი თავისი ნიჭითა და ოსტატობით შეძლებს აღადგინოს, თუ რამ შექმნა „ვეფხისტყაოსანი“.

— გადამჩხვავთ, ნამდვილად გადამჩხვავთო, — ამჯერად თემურ ნადარეიშვილს მიადევნებს ბატონი როსტომი, შეხვედრა კი ასე გასრულდება:

* * *

— ძმადნაფიცები ვართო, — გიგლა ბარამიძე იტყვის.

— პირდაპირი გაგებითაცო, — დასძენს როსტომ ჩხეიძე.

ბატონი გიგლა კი ათწლებლების წინანდელ ამბავს გაიხსენებს, მეგობრები სწორედ რომ ყოფილან სტუმრად იორამ ღუღუშაურთან, ახალი დროის მინდიასთან. იქაურ სანახებმოვლილთა და შთაბეჭდილებებით დატვირთულებს მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილი რომ გამოაცილებს, დამშვიდობებისას თავის სახელოსნოში ნადირის ტყავგადაფარებულ ბიუსტსაც უჩვენებს სტუმრებს და...

— არ დამაინყდება შთაბეჭდილება, ვაჟას ამ ბიუსტმა რომ დატოვა, და როსტომის სიტყვები:

— ის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია და მოვა დრო, როცა რამე სერიოზულს დავწერ მის შესახებ.

— ახლა რა გიშლის-მეთქი, — ვკითხე.

— ახლა მზად არ ვარო.

და აი, გავიდა წლები და ეს წიგნი ვაჟა-ფშაველას შესახებ დაიდო.

წიგნი, რომელიც თავის სიტყვას იტყვის ქართულ ლიტერატურაში.

თვითონ ბატონი როსტომი კი:

— მართლაც სულ მანუხებდა ვაჟა-ფშაველა, ვის შესახებაც არაერთი საგულისხმო ნაშრომი გამოქვეყნებული. თამაზ ბიბილურსაც უნდოდა ბიოგრაფიული რომანის დაწერა მასზე, ბოლო ათი-თხუთმეტი წელი ცხოვრობდა კიდევ ვაჟათი, მაგრამ ვერ მიიყვანა ბოლომდე.

მეც სულ მინდოდა რაღაც დამეწერა მასზე, მაგრამ ვერა და ვერ ვახერხებდი.

და აი, გალაკტიონზე რომ დავწერე წიგნი, ამან მომცა ბიძგი... თუმცა კარგა ხანს კიდევ ვერ ვბედავდი.

ვერ ვინყებდი...

ხუთი თებერვალია.

ჩემი პატარა ბიჭის დაბადების დღე და გადავწყვიტე, მის სახელზე, პატარა ოთარ ჩხეიძის სახელზე დამეწყო წერა. ამას უნდა შთავგონებინე და შთამაგონა კიდევც.

ძალიან კი გამიჭირდა.

შემიძლია ვთქვა, რომ არცერთი წიგნი არ გამჭირვებია ასე.

ხომ ამბობენ, სული საზვერებს გადისო.

მე უკვე აღარ მეშინია, რადგან მაქვს განცდა, რომ ამ რომანის წერისას, ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროსთან, მის საგმირო ეპოსთან ზიარებისას, რამდენიმე ასეთი საზვერე უკვე გავიარე.

„დედობა ბრძნობათა ბრძნობაა, შემოქმედება — ბრძნობათა გვირგვინი“

(დარინა ყურუსას ესაუბრება იზა ვეფხვაძე)

სკოლაში იმდენად გამოირჩეოდა მსახიობური ნიჭითა და ტექსტის თხრობის მისეული მანერით, რომ მასწავლებლები ხშირად სთხოვდნენ მონათხრობის გამოცდას: „საოცრად ვმშვიდდებით, რომ გისმენო...“ — უბნებოდნენ. არც არასდროს დაზარებია გამეორება. თხრობის გამორჩეული მანერა და გასაოცარი მეხსიერება მისი ცხოვრების სავიზიტო ბარათად იქცა. თუმცა მხოლოდ ამაზე არ გაჩერებულა. სტუდენტობის წლებშივე დაინტერესდა მისი ასაკისთვის შეუფერებელი საქმიანობით — არქივებში ქექვით. ეროვნული არქივი პირად არქივად აქცია, პირადი არქივი კი მალე წიგნებად იქცა და მის მშობლიურ კუთხეს მრავალი საინტერესო წიგნი უსახსოვრა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხარაგაულის რაიონულ გაზეთში ჯერ ჟურნალისტად და მერე პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა მუშაობა. ათი წლის მანძილზე ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი იყო, ასევე კულტურის, განათლების, სპორტისა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი. არის ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, ამავე თეატრის რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი... არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეცაა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ქალბატონებს ეხმარება. ლიტერატურული კონკურსის „ოდენი“ დამაარსებელი და ორგანიზატორიცაა.

მის მიერ სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლები გულწრფელ ემოციას აღძრავს, რაც მსახიობისადმი სიყვარულსა და პატივისცემას ბაღებს მაყურებელში... არის სამაგალითო, მზრუნველი დედა და მუდამ სხვებზე მოფიქრალი მეგობარი.

უფლის მიერ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ეს ქალბატონი იზა ვეფხვაძეა.

— რთულია მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს სთხოვო რომელიმე მათგანს პრიორიტეტი მიანიჭოს და მხოლოდ ერთზე ისაუბროს. მითუმეტეს, როცა ყველა ერთმანეთთანა დაკავშირებული. თითოეულზე ცალ-ცალკე საუბარი შორს წაგვიყვანს. და ვიდრე საქმიანობაზე საუბარს დავინიშნებდეთ, თქვენზე გვითხარით. როგორია ქალბატონი იზა, როგორც შემოქმედი და როგორც დედა?

— ძალიან საინტერესო კითხვაა, ლოგიკური და ჩემთვის მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ეს ორი რამ — შემოქმედება და დედობაა ის, სადაც შემოქმედება თავგანწირვა, ბოლომდე დაცლა, დაუღლელობა. ორივე გრძნობა უსასრულოა და უსაზღვრო, ორივე მთელ გულს, სულს, თავდადებას მოითხოვს. ორივე გაბეზრებულს, ორივეს გამო ღირს არსებობა. დედობა გრძნობათა გრძნობაა, შემოქმედება — გრძნობათა გვირგვინი...

— როგორია ქალბატონი იზა მეგობრებისა და ახლობლებისთვის?

— მუდამ მათზე მოფიქრალი, მზრუნველი. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, როცა ადამიანებს, მითუფრო მეგობრებს, ახლობლებს, თუნდაც სულ მცირე სიხარულს ვანიჭებ, მინდა მათთვის ბოლომდე დავიხმარო, მაგრამ როგორ გამომდის ეს, მათ უფრო იცინას. ცხოვრების გზაზე მეგობარი არასოდეს დამიკარგავს, არასოდეს მეგობრისთვის გული არ მიტკენია, მათგანაც არ მიგრძნობია გულისტკენა. მარტო საკუთარი, ერთი ცხოვრებით ვერ ვიცხოვრებ. ძალიან ცოტაა ერთი ადამიანის წილი სიხარული, განცდა. ცხოვრება რომ სრულად შეიგრძნო, სხვათა ცხოვრებითაც უნდა იცხოვრო, მაშინა ლამაზი და საინტერესოა სიცოცხლე.

— გზა ბავშვობიდან წარმატებულ ქალბატონამდე...

— საბავშვო ბაღში ყველა სურათი წინათან მაქვს გადაღებული, წინის მიმართ ბავშვობიდანვე განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა, სკოლის წლები კომპიუტერული ზეობის პერიოდს დაემთხვა, განსაკუთრებული აქტიურობისა და ორგანიზა-

ტორული ნიჭის გამო, სკოლის კომპიუტერის კომიტეტის მდივანი ვიყავი, ბევრი საინტერესო იდეის და წამოწყების სულისჩაღმა მოვახერხე. აბიტურიენტობისას რეპეტიტორი, მეტად ცნობილი პროფესორი, ქალბატონი მანანა ასათიანი, ტექსტის ერთხელ მოყოლის შემდეგ, ხშირად მთხოვდა: კიდევ მომიყვი, საოცრად ვმშვიდდებით. მაშინ აღმოვაჩინე პირველად, თხრობის ჩემეული მანერა და კარგი მეხსიერება რომ მქონდა. სტუდენტობაც წარმატებული გამოდგა, ვწერდი მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს, ჩანახატებს, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა პრესაში. უნივერსიტეტიც წითელ დიპლომზე დავამთავრე. სწორედ სტუდენტობისას დავინიშნე მასალების შეგროვება ჩემს რაიონზე, მთელ დღეებს ვატარებდი არქივებში, ბიბლიოთეკებში. მაშინ ჩემს ტოლ ახალგაზრდებს უკვირდათ ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი ქექვა არქივებში, ძიების უცნაური ჟინი, ეს ზოგჯერ მეც მოცუბდა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლო. სტუდენტობისას ზღვა მასალა შევაგროვე ჩემს რაიონზე, რაც მოვიანებით გამოვეცი წიგნად „ხარაგაული“, ვფიქრობ, რომ ჩემი წარმატების სათავე სტუდენტობის წლებშია, როცა ბევრი უძილო ღამის ხარჯზე მიზეზითა აღმოჩენისა და გამარჯვების სიხარული და მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდი, რა იყო ის უცნაური სიყვარული ხარაგაულის მიმართ, რომლის წარსული ისტორიის ფურცლებიც, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელ სიამოვნებას მგვრიდა... ახლა კი ზუსტად ვიცი, რა არის ეს გრძნობა — გულისგულში ჩაბუდებული, უცნაური ძალით რომ მიგაჯაჭვავს ადგილის დედას...

— როგორ ახერხებთ ამდენი მნიშვნელოვანი და ერისთვის სასიკეთო საქმის განხორციელებას? რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ მრავალმხრივი შემოქმედი?

— ყველაფერი ამქვეყნად მხოლოდ უფლის ნებით ხდება, მთავარია, საკუთარ თავში იპოვო ის, რა მისიაც დაგაკისრა უფალმა და ამ გზიდან არ გადაუხვიო, მე ძალიან ახალგაზრდა მივხვდი, რა უნდა მეკეთებინა, და დავდექი იმ გზაზე, საიდანაც არ უნდა გადამეხვია და არც გადამიხვევია. ამ გზაზე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადამიანი, მიზანი კი — მათთვის სიკეთის, სიამოვნების, სიხარულის, ბედნიერების მინიჭება. როცა ადამიანი კეთილ საქმეს ჩაიფიქრებს, უფალი ეხმარება ამ საქმის ბოლომდე აღსრულებაში, მთავარია, გულით გინდოდეთ, გულით აკეთებდეთ. ყველა საქმეში გულს და სულს ვებდ, ამისთვის არასოდეს ვითხოვ მაღლობას, თავგანწირვას, მაღლობელი მე ვარ, როცა კეთილი საქმის გაკეთების საშუალება მეძლევა, ჩემი ლოცვა აუცილებლად მთავრდება სიტყვებით: „უფალო, მომეცი ნიჭი ადამიანების გახარებისა...“ როცა ითხოვ, მოგეცემა კიდევ, მე მხოლოდ ჩავიფიქრებ ხოლმე კეთილ საქმეს, დანარჩენი, მეც არ ვიცი, როგორ კეთდება. სიყვარული არის ჩემი ყველა წარმატების საიდუმლო. უსაზღვროდ მიყვარს ყველა ის საქმე, რასაც ვაკეთებ.

— თეატრზე ვისაუბროთ... რა გახდა მიზეზი ხარაგაულში ლიტერატურული თეატრის დაარსებისა და როგორ აგრძელებს დღესთვის არსებობასა და საქმიანობას?

— როცა ხარაგაულში საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ვიყავი, ბიბლიოთეკასთან ლიტერატურული სალონი დავაარსე, რომელიც უმოკლეს ხანში გახდა ცნობილი, იმდენად გაიზარდა მისი შემოქმედებითი საქმიანობის სფერო, რომ სალონური სივრცე ვეღარ იტევდა ამ იდეებს, დიდებულ სტუმრებს, რაღაც უფრო მასშტაბურის საჭიროება დავინახე და სწორედ მაშინ გადავწყვიტე ლიტერატურული თეატრის დაარსება, პირველი ლიტერატურული სპექტაკლი შოთა ნიშნიანიძეს მიუძღვნე, ბატონი შოთა სიტყვააუნენი კაცი იყო, მაგრამ სალა-

მოს შემდეგ თავისთან მიხმო და მითხრა: ვერ ვიტყვი, რამდენი საღამო უძღვნიათ ჩემთვის სიყვარულით, მაგრამ ასეთი გულწრფელი, ალალი, მართალი, გააზრებული საღამო არ მახსენდება, მე გავოცდი შენი მეხსიერებით და სიყვარულით, რითაც ჩემი შემოქმედება წარადგინო. ბატონმა შოთამ მომცა ის სტიმილი, რამაც დიდად განსაზღვრა ჩემი შემდგომი საქმიანობა. გაბედულება მომემატა, შემდეგ უკვე ჩემი თეატრის სტუმრები იყვნენ: ლევან სანიკიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ მამფორია, რეზო ჭეიშვილი, ოთარ ჩხეიძე, ოტია იოსელიანი, ლაშა თაბუკაშვილი, ზურაბ კუხიანიძე, მიხეილ ქვლივიძე, გიზო ნიშნიანიძე, ედიშერ მაღალაშვილი, გივი გეგეჭკორი, კარლო საკანდელიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი... ყველა იმედიან სიტყვასა და სიყვარულს მიტოვებდა, უსაზღვროდ მაძღობელი ვარ... ამჯერად თეატრის რეპერტუარშია 50-ზე მეტი სპექტაკლი, რომლებიც თითქმის 600-ჯერ მაქვს ნაჩვენები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. გაისად თეატრი 20 წლისა ხდება. მინდა საიუბილეო საღამოზე ძალიან ლამაზი ლიტერატურული სპექტაკლი ვაჩვენო მაყურებელს.

— **წარმატებით განხორციელდა ლიტერატურული თეატრის მიერ წამოწყებული პროექტი „მთების ძახილი“. დუშეთსა და ფასანაურში გაიმართა გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედა“, მესტიასა და თიანეთში — მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი „საქართველოს შიშველი სატყვარი“, უშგულში — ოტია იოსელიანისადმი მიძღვნილი „ჩვენი ოტია“... საიდან წარმოიშვა ამ პროექტის იდეა და გავრძელებდა თუ არა მომავალშიც?**

— იდეა მე მეკუთვნის, დიდი სურვილი მქონდა მთიან სოფლებში ადამიანებთან მისვლისა, ისინი ყველაზე მიტოვებულად გრძნობენ თავს და კარგად ესმით მადლიანი სიტყვა. მიტოვებულია საქართველოს მთა. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული ვაჩუქეთ იმ ადამიანებს იქ ჩასვლით, რამდენი სიხარულის ცრემლი დაიღვარა, რამდენი დადებითი ემოცია. მადლობა კულტურის სამინისტროს, რომ მხარი დამიჭირა ამ იდეის განხორციელებაში. ორი წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად მოვიარეთ საქართველოს მთიანი რეგიონები, თუმცა დარჩა რამდენიმე, სადაც აუცილებელია მისვლა. მერმის ზაფხულზე უსათუოდ გავაგრძელებთ ამ პროექტს.

— **თქვენი ყოველი გამოსვლა სცენაზე მაყურებელში გულწრფელ ემოციას და თქვენდამი უდიდეს პატივისცემას ბადებს. გასაოცარია ორსაათიანი სპექტაკლის ტექსტის ასე შეუცდომლად მიტანა მაყურებლამდე. როგორ ახერხებთ ამას?**

— გაუცემელი კითხვაა, იმიტომ, რომ უზრალოდ პასუხი არ მაქვს, ეს მეც არ ვიცი. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრა, ისაა, რომ ყველაფერი სიყვარულმა მათქმევინა... დიახ, საოცარმა სიყვარულმა შემოქმედებისა და ადამიანებისადმი მათქმევინა ჩემი ყველა სპექტაკლი. ბუნებით ძალიან შრომისმოყვარე ვარ, საოცარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ყველა სპექტაკლის მომზადებისას, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რასაც სახელად სიყვარულს დავარქმევდი.

— **უკვე ცხრა წელია ტრადიციად ქცეულ ლიტერატურულ კონკურს „ოდენის“ ხელმძღვანელობთ. როგორია ეს ცხრანობიანი ისტორია?**

— ეს კონკურსი იმის გამო დავაარსე, რომ შემოქმედი ადამიანებისათვის ასპარეზი გამეფართოებინა და კიდევ მეტი მწერლური ნიჭის მქონე აღმოეჩინა, მეპოვნა ისეთები, რომელთაც სურდათ საკუთარი შემოქმედება სამზეოზე გამოეტანათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს გავუხსენით გზა ამ კონკურსით. მომავალ წელს კონკურსი 10 წლისა ხდება. საიუბილეო წელს, ფიქრობთ, განსაკუთრებულად მასშტაბური და საინტერესო იქნება ჩვენი „ოდენი“.

— **წელს 23-24 აგვისტოს ჩატარდა აღნიშნული კონკურსი და დიდი გამოსხაურება ჰპოვა საზოგადოებაში. იქნებ დანერგვით მოგვიხრობთ მის შესახებ...**

— დიახ, წელს კონკურსი განსაკუთრებული მასშტაბისა იყო, რამდენიმე წელი კონკურსი მხოლოდ რაიონის შემოქმედ



ნინო კევქვაძე

ადამიანებს აერთიანებდა, წელს კი მთელი საქართველოს მასშტაბით 37 შემოქმედი მონაწილეობდა მასში. ჟიურის თავმჯდომარე ბატონი როსტომ ჩხეიძე იყო, რაც ჩვენი კონკურსისთვის დიდი პატივი გახლდათ. მინდა აღვნიშნო ჟიურის წევრების: ნინო ვახანიას, ნანა კუციას, მანა ჯალიაშვილის, ელგუჯა თავბერიძისა და ივანე ჯავახიძის გულდადებული მუშაობა და მიუკერძოებლობა, ასე ძალიან გაიშვიათებული. საკონკურსო თემა — „ნაპირი“. უღამაზესი ნაწარმოებები დაინერა, კონკურსის ერთ-ერთი მონაწილის — ფრიდონ მალრადის — თაოსნობით, უკვე წიგნად გამოვიდა კონკურსანტთა ნამუშევრები. საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ: ირმა მაღაციძე, ლელა ცუცქერიძე და ლევან ლორია. ჟიურიმ ასევე შეარჩია 6 საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ დაიბეჭდება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ელგუჯა თავბერიძეს, რომელიც კონკურსის დაარსების დღიდან დღემდე ჟიურის უცვლელი წევრია, მაშინ ბატონ ელგუჯას მხრიდან ეს დიდი მხარდაჭერა და გამხნევება იყო, მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ხარაგაულისადმი მიძღვნილი ყველა ჩემი წიგნის გამოცემაში.

ძალიან დიდად საზოგადოების ინტერესი კონკურსისადმი, რადგანაც სრული ობიექტურობაა. იმედი მაქვს, მომავალი საიუბილეო „ოდენიც“ წარმატებული იქნება.

— **დაბოლოს, თქვენი საქმიანობის კიდევ ერთი მხარე — წიგნები.**

— დიახ, გამოცემული მაქვს 8 წიგნი, 4 ტომი ხარაგაულზე, ასევე ცნობილ ხარაგაულელებზე „მოგონებების კრილოსანი“ და „მარადისობის მგზავრი“, „გალაკტიონის ნატერფალები“, რომელიც გალაკტიონის ხარაგაულში პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდს ეძღვნება და წიგნი „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“, რომელიც ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა 26-საუკუნეობანი იუბილით შთაგონებული მალე ეს წიგნი ივრითზე ითარგმნება. გამოსაცემად მზად მაქვს წიგნი „არის ასეთი სოფელი“, რომელიც საოცარ სოფელზე — ფარცხნალზე მოგვითხრობს. ამ სოფელმა საქართველოს მეცნიერებას, ხელოვნებას, კულტურას კამკაშა ვარსკვლავები შესძინა. მინდა ვთქვა, რომ წლების განმავლობაში მომეცა შესაძლებლობა, ამ სოფელში ევგენი ხარაძის, არჩილ ხარაძის, ანა და რუსუდან ხარაძეების სახლ-მუზეუმები გამეხსნა და ასევე გალაკტიონ ტაბიძის ოთახ-მუზეუმი იმ სახლში, სადაც გალაკტიონი ცხოვრობდა. უკვე დიდი ხანია მაქვს იდეა მისი გადაქცევისა სოფელ-მუზეუმად. მჯერა, ეს ოცნებაც ოდესმე რეალობად იქცევა. მსურს სამომავლოდ სეროულად გამოვიყენო წიგნები ცნობილ ხარაგაულელებზე, რათა არ დაიკარგოს იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელთაც წარუშლელი კვალი გაავლეს ჩემი მშობლიური ხარაგაულის მიწაზე.

კონკურსის „ოდენი“ გამარჯვებულნი



ირმა მალაცძე

ნაპირი

...ამოდ ვცდილობ შენი ზაფხულის ცელქი ათინათივით მორბენალი მზერის დაჭერას!

— ჩამხედე თვალებში!

— თვალს ნუ მარიდებ!

ნახე მლაშე სითხეში როგორ იხრჩობა ჩემი ხავსმოდებული, მოლოდინით აღსავსე მზერა! სადაცაა მცოცავი სურო ცრემლებად გადმოიღვრება და ლურჯი ტატუთი სხეულს მოხატავს.

— შემომხედე!

— თვალი გამისწორე!

რას უმზერ ასე დაჟინებით? ცის დასალიერს? ვარსკვლავს კაშკაშას? ან იქნებ იმ ნაპირს, უკაცრიელს, სადაც თავს იყრინ სხვა გზააბნეული მზერანი, ლაღობენ რძისფერ ქაოსში და არად დაგიდევენ ჩვენს მუდარას:

— შეჩერდი!

ნუ ატრიალებ ასე სამყაროს! თავბრუ დამეხვა დედამინა ხომ ისედაც ბრუნავს — ნუ დააჩქარებ მის მოძრაობას. ამას მოჰყვება კატაკლიზმი, მიწისძვრები, აპოკალიფსი... ნუთუ ვერ გრძნობ, როგორ კარგავს ჩემი სხეული სითბოს და მეღვრება უხილავ ჯვანად.

— კმარა! შეაჩერე საგანთა ბრუნვა და ამ ბრუნვით ტკობა!

— ხმა ამოიღე! ჩუმად ნუ ხარ!

ვერ ვუძლებ ამ სიჩუმის ხმაურს — სმენა დამიხშო დუმილის სასტიკმა გრგვინვამ. რომ დაგიძახეთ, უბრალოდ მოიხედე! ნუ აირეკლავ შენს სახელს ლითონის ფარით. და მიპასუხე: ნუთუ ასე ძნელია წარმოთქმა იმ სამი მთავარი სიტყვის?!

— გულში ჩამიკარი!

მომეფერე! შემეფსე უშენობით დაღლილი სიცარიელე. საით გარბიხარ სწრაფი ნაკადულივით! საით მიილტვი? ისევ იმ შენი ნაპირისაკენ, სადაც თავს იყრინა გზააბნეული გულები, რათა ერთურთი გაართონ შიშისმომგვრელი მდუმარებით?!

— სად ხარ?

აქ არ ხარ. სად დაეხეტება შენი გონება? უნდა გიპოვო, უნდა გიხსნა საკუთარი თავის ტყვეობისაგან. ყველგან დაგძებნი. ოკეანის ფსკერზე — იქნებ ნიუარის აკვანში გძინავს და წყალმცენარეები გაქვს არტახებად გადაჭდობილი, რომ ღელვისას ტალღამ არ გაგიტაცოს და არ გაგრიყოს იმ უკაცრიელ ნაპირზე...

თუ იქ არ იქნები (სად წახვიდოდი), ფულუროში გნახავ — ხის გულში, სადაც შენი გულისცემა გრდემლივით გრგვინავს პულსზე ჩიტები ფრთხებიან და თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ შეშინებულნი.

არც იქ ხარ? მაშინ იმ ვარსკვლავს ავხედავ, დაბადების დღეზე რომ გაჩუქე ლამაზად შეფუთული (შენ არ იცოდი, რომ დაბადების დღე გქონდა იმ დღეს)... იქნებ იქ იყო — მთვარის ლაბადაში გახვეული.

აღლევებულ ყანაშიც დაგძებნი, იქნებ იქ ხარ — თავთავებით წვივდაუსხული, ჭიანჭველებთან მასლაათს შეჰყევი და ჩაგეძინა.

თუ იქაც არა, მაშინ... საკუთარ თავში დაგძებნი. მგონი თვალების კარი დამრჩა ღია და შემოიპარე. ახლა ალბათ უგზო-უკვლოდ დაეხეტები ჩემი ლაბირინთების ობმოდებულ დერეფნებში და გარეთ გამოიღწევას ამოდ ცდილობ.

თუ ჩემშიც ვერ გნახე, მოგონებების დღიურიდან ფურცელს ამოვხეც და ქალაღდის გემს გავაკეთებ. სწორედ იმ ფურცლით, რომელზეც სიყვარულში გიტყვებოდი და საუკუნო ერთგულების პირობას ვდებდი. მერე ჩავჯდები ქალაღდის გემში, სტრიქონებს შორის მოვიკალათებ, მელნით დამესვრება თალხი ტილოს კაბა, მაგრამ არად დაგიდევ. ნიჩბად კალამს გამოვიყენებ და თავგანწირვით მოვუსვამ. ზღვა აზვირთდება, აბობოქრდება, დაეძვრება ჩემს ფარატინა ხომალდს. გზად ზღვის ჯადოქარს შევეუვლი. ვთხოვ — ხმა ამომართვას და შენში შთაბეროს. თუმც იუარებს. არც ზღვა დაუშვებს მივალნიო იმ უკაცრიელ ნაპირს, სადაც თავს იყრინა გზააბნეული, დაბნეული, ციფრებსა და ფორმულებში, გეომეტრიულ ფიგურებსა და გადაღბნილ ნახატებს შორის გაბნეული სულები.

მაგრამ ზღვამ არ იცის, რა ძალა აქვს ჩემს სიყვარულს! ვერც ჩემი ცრემლების სიმლაშეს იგრძნობს, თავადაც მლაშე. მე მას გადავლახავ, ბროლივით დავამსხვრევ პირქუს, დუჟ-მორეულ ზვირთებს, უკაცრიელ ნაპირს მივადგები და სტრიქონის ლუზას ჩავუშვებ.

და რა თქმა უნდა, გიპოვი!

შეგაცბუნებს ჩემი დანახვა. გაცდები, რომ შენს საიდუმლო ნაპირს მოვადექი! მოგაგენი! ნაპირს, სადაც თავს იყრინა შენი მონათესავე სულები, სადაც ყველა დუმს და თავადერილი, უსასრულოდ აკვირდება ქარის ნისქვილების ბრუნვას. მოვალ და თქვენს ნაპირს მყუდროებას დაჯურღვევ. აგინენავთ თქვენი სამყაროს კანონზომიერებებს, მესამე პირს პირველი ჩავანაცვლებ, გაგაღვიძებ და ჩაგჩურჩულებ:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს... ჩვენს სამყაროში...

შენც შემოხვალ, შემოაბიჯებ, ზურგსუკან კარს დახურავ, მერე მზერას გამისწორებ და პირველად გავიგონებ საოცნებო სიტყვებს:

— მიყვარხარ, დედა!

...იქ, იმ ნაპირზე...

P.S. ექიმის კაბინეტი. იატაკზე მიმობნეული სათამაშოები. ბიჭუნა გულმოდგინედ ეძებს და ბოლოს ძველ სათამაშო ავ-

ტომობილს ირჩევს. გაცვეთილ, საღებავაქერცილილ ავტომობილს. თვალბრწყინ ახლოს მიაქვს, ბორბალს ატრიალებს და ალმაცერად აკვირდება.

- ექიმი: — თვალის კონტაქტი როგორი აქვს?
- დედა: — თვალს არ მისწორებს, მზერას მარიდებს.
- ექიმი: — სახელზე რეაგირებს?
- დედა: — არა, თითქოს არც ესმის, როცა ვუხმობ.
- ექიმი: — ლაპარაკობს?
- დედა: — არა, ხმას არ იღებს. ერთთავად დუმს.
- ექიმი: — მოფერება უყვარს?
- დედა: — გამიზნობს, ჩახუტება არ უყვარს. სახეს მარიდებს.
- ექიმი: — კომუნიკაცია?
- დედა: — არანაირი. სულ მარტოა, ყველასგან ცალკე.
- ექიმი: — მბრუნავი საგნები უყვარს?
- დედა: — თავადაც ხედავთ.
- ექიმი: — სავარაუდოდ აუტიზმია. ძალიან ვწუხვარ!

ლელა ცუცქირიძე

ნაპირი

შეულოცე ამ პატარა, მშობარა ლელეს, საცაა, გული საგულედან ამოუხტება. გზარეული თიკანივით მოხტის მთებიდან, ეჭვანივით მოანკარუნებს ვერცხლისფერ თევზებს, სლიპინა ქვებზე უსხლტება ფეხი. რა სიზმრის ბინდმა დაუარა ჟრუანტელად აშლილ კრაველში, რამ შეამინა...

ვითომ ადიდდა, თავის თავიდან გადმოვიდა, ჯერ ნაპირები ჩაილოკა, უნაპირო და ამღვრეულ მდინარედ იქცა. მერე მტაცებელივით მოიგდო ზურგზე ჯადოსნური ზარდახშებივით საგულდაგულად გამოჩორკნილი ოდა-სახლები.

როგორც კი ურდულს ჩამოსწევდი, გამოაღებდი, იატაკზე — კლავიშებზე ინყებდნენ დაკვრას უხილავი ნაბიჯები.

ყველაფერი სულს იბრუნებდა. მერცხლებს ბუდიდან ზაფხულის მშვიდი დღეები და საღამოები ამოჰქონდათ, აივნებზე და ეზოებში ამზეურებდნენ, ბაბუასავით ახველებდა ცივი ბუხარი; იღვიძებდნენ ძილისაგან აფუებული ბალიში და ყურთბალიშები — ბებია და შვილიშვილები; ერთმანეთს ტკბილად ურაკრაკებდნენ ჩაფი და კოკა — დედა და მამა, თითქოს წყაროს წყალი კი არა, უკვდავების წყალი ედგათ თიხის სხეულში. სულს იბრუნებდა, ყველაფერი სულს იბრუნებდა! მიდიოდნენ მერე ლელესთან, ისიც, ლეკვივით აცელქებული ახტებოდა გამილი ხელებზე, გადალღეპილ მუხლისთავებს ულოკავდა პატარა ბავშვებს...

ახლა რა?! მოხტის შეშინებული თიკანივით, მოსდევს სიზმარი ვითომ ადიდდა, თავის თავიდან გადმოვიდა, ჯერ ნაპირები ჩაილოკა, უნაპირო და ამღვრეულ მდინარედ იქცა მერე ოდა-სახლები მოიგდო ზურგზე

და კედლები მყიფე ძვლებივით გადაუმტვრია... შეულოცე ამ პატარა, მშობარა ლელეს:

ლელე, ჩადექ სალელესა, შენი მთაა, შენი ჩერო, ეგ სიზმარი — ცუდი, ავი გულში აღარ გაიჩერო. შენს ნაპირზე ლურჯ პერანგად დაფენილი სოფლებია, დანინკულა ოდებით და ლობე ნაყმად მოსდებია. ლელე, ჩადექ სალელესა, სიზმარია, განა ცხადი, ჩარღვეული ნაპირი და დანგრეული ოდა-სახლი. მაგ ავ სიზმარს ცხრა ბოქლომით ჩაფუგმანე დარაბები, არ დარჩები შე მშობარავ, უნაპიროდ არ დარჩები.

ლევან ლორია

ნაპირი

რაც მე ქვეყანაზე მიხობია!
ფესხაცმლის ლანჩა

ახლა ხო ორივენი ვართ, შეხვედრის
მეშინია, ორივე არ გავკრეთ!
ერთ-ერთი ნაპირი

ნაპირზე ერთი ადგილი ჰქონდა ამოჩემებული გიოს, ანბანის ძეგლის პირდაპირ. სანამ გაცურავდა, ჯერ ჩამოჯდებოდა და თითქოს ესაუბრებოდა ზღვას.

მერე ერთმა უფროსმა ძმაკაცმა, ნახეო რა, იმენნა სხვა სამყაროში გადახვალ, ცას სულ სხვა ფერი აქვს, ულამაზესი და პირველად რომ გავიკეთე ამ ციდან თეთრი როიალი დაეშვა. თითქოს „ბერნაბეუზე“ სულ მარტო ვზივარ და ამ თეთრ როიალთან თეთრებში გამოწყობილი ბეთჰოვენი მიდის და „ელისეს“ უკრავსო...

ხოდა გაიკეთა. რა თეთრი როიალი, გაშავდა ყველაფერი. თუ ვიბრიდები, გვირაბი ხომ უნდა გავიაროო, — ფიქრობდა (განაგონი ჰქონდა). სიბნელეს რომ თვალი შეაჩვია, გრძელი — სტადიონის სიგრძის მაგიდა გააჩნია და „იმენნა ეშმაკი, რა — პოლნი ნავაროტკებით: შავი, ეშვებიანი ტყავის სამოსი; შუბლზე თიკანს რომ დააჩნდება, ისეთი რქები; ბლუჯა-ბლუჯა წვერი, თან ალაგ-ალაგ, თითქოს ცხელ წყალში ამოავლეს და შემდეგ გააუტესო და დიდი, ბალნიანი ყურები. თან ამას ვხედავ ას მეტრში კი არა, ვითომც ორ ნაბიჯში მეჯდეს. ცალი თვალი მოჭუტული, მერე ზომაზე მეტად ღია, ტუჩები მონკურული. იცინის და ყურები უთამაშებს. მინდა ვუთხრა, რა გაცინებს შე კროჭო, იმ პონტში რა ანეკდოტი რომ არის: ტიპი სტადიონზე ზის და „კელე, კელე“, — ყვირის. მერე ეუბნება, კელე კი არა, პელეო. ეს მიუბრუნდება, ნადი შე კროჭოო. გაკვირვებას ვერ ვასწრებ, ისე უცებ ეცვლება სახე და კროჭოს განახებ მე შენი, მეუბნება. აღარ იცინის უკვე, საიდანღაც კამათლები დააძრო. გინდა სიცოცხლეზე გეთამაშოო. როგორია, ეშმაკს ეთამაშე, თან სიცოცხლეზე. — არა მეთქი, ხო ვიცე, ეგრევე დუ შაშს დასვამს. მეც გეკითხებიო რა... ისე გვამი ხარ, ითამაშებ, შანსი გაქვს, გამოძვრეო. ჩვენი ცხოვრება თამაშია, — ვფიქრობ. დავაი, გაავგორე! — ვეუბნები. გაავგორა. ფანჯი სე დაჯდა. მეც გაავგორე. ერთი კამათელი ეგრევე ფანჯი, მერე კი ტრიალებს, ტრიალებს, იმენნა ბედის

ბორბალივით რა, თან ზედა მხარეს ერთი ნერტილი ჩანს. ანუ გე-
იმ ოვერ, თამაში დამთავრდა. დამერხა. ამ დროს უკვე თურმე პა-
ლატაში ვარ. ექიმები და ექთნები მეჩალიჩებიან, ჩემი მობრუნე-
ბა უნდათ. ელექტრომოკს, რალაც ნემსებს და ათას ჯანდაბას
მიკეთებენ. მე კი მცივა, საშინელ სიცივეს ვგრძნობ. ამ ჯანდაბამ
და სიცივემ ბავშვობა გამახსენა. სოფელში ვარ საახალწლოდ,
ხოდა მეზობელმა მიფერხე, კაი ფეხი გექნებაო. მე, გახარებული,
კაი ხნით ადრე მივედი. ვაკაკუნებ, კარს არ მიღებენ. ვიყინები
გარეთ. თან სახლშიც არ ვბრუნდები. გახდა თორმეტი. მაშხლებ-
სა და ბათქა-ბუთქუე მივხვდი, გაიღო კარი, რა მოგაქვსო? — მე-
კითხებიან. ჯანდაბა და ამონყვეტა მომაქვს თქვენი, გავიყინე-
მეთქი... საერთოდ არ შემიშვეს სახლში...

თავიდან გატაცება ეგონათ, გაუვლისო, ფიქრობდნენ. სა-
ხელი ჰქონდა ისეთი, ღმერთი უნდა ჰყვარებოდა თეოს ბავშ-
ვობაში. დედას დაჰყვებოდა ტაძარში. მერე უკვე თვითონ, ისე
რომ დედას ჩაანვეთეს, მონაზვნობას აპირებდნენ. არადა
მთხოვნელები და შუამავლები არ ელეოდნენ. არავის გაგონე-
ბა არ სურდა. სახლში ემინოდნენ უკვე, არ დაგვიბერდესო,
თუმცა ჯერ ოცდაორისაღ არ იყო.

თეო კი ღვთის სიყვარულით ცხოვრობდა. თუმცა უნივერსი-
ტეტში ლაბორატორიაში დატოვეს. ღვთისმსახურებას არ აკლ-
დებოდა. მედავითნეც გახდა. გვიანობამდე რჩებოდა, სასანთ-
ლებს ასუფთავებდა, ფრესკების მინებს სპირტიანი ზამბით
წმენდა, მრევლიც აიყოლია, სულ დაკრიალებული იყო ტაძარი.

ისევე ისე იცინოდა ეშმაკი, როგორც მაშინ, პირველად რომ
დავინახე. უცებ შეწყვიტა ტრიალი კამათელმა, გადატრიალ-
და და ოთხიანზე დაჯდა. გაეჟღადა ეშმაკი, აცქმუტდა, ფეხები
დააბაკუნა. კამათელს ხელი სტაცა და გადაყლაპა. ხო, მანამ-
დე ის ეშმაკური ღმილი ჩამოესხიპა. უხეიროდ ნაშენი ბათქა-
ში რომ ჩამოიშლება ისე. ამ დროს, თითქოს ციდან დაეშვაო,
თეთრით შემოსილი, თეთრ თმანვერა, ახალგაზრდული იერის
კაცი გამოჩნდა, რომელიც თითქოს თვითონ ანათებდა, კაცი
სანთელი რა, ხელი მომკიდა, წამოდიო. ნელან ხო ვიყინებოდი,
ახლა საოცარი სიტბო ვიგრძენი. მიინდა გავყევი. ის, ეშმაკი,
წამში ჩვენთან გაჩნდა, სად მიგყავს, ჩემიაო... ჯერ არ არის
შენიო, ამ კაცმა, სანთელმა, აფრინდა, თან ამიყოლა. ეშმაკიც
მოგყავა. ლამის გვეწევა. მიინდა ტყუპი წიხლი ვგლიჯო და გა-
ნათდა. სანყალი ექთნები. რა დღეში ჩამიგდია თურმე. ისე
ვიქნევი ფეხებს, კომიდან გამოსვლის დროს, დამაბეს...

შეშინებული გიო კარგა ხანს არ გაკარებია წამალს. მერე
პატარა დოზა შეაპარეს, მერე კიდევ ცოტა და შეერჯია უკვე.
უნამლოდ ვერ ძლებდა. სანაპიროზეც იშვიათად დადიოდა.

ზამთრის სუსხიანი საღამოა, ისევე წამალზე მიდის. ერთ მისა-
მართზე იცის — დახვდება. უცებ თითქოს ფეხები ებორკება. რა-
ლაც ძალა აჩრებებს. თბილი, კეთილი ძალა და სხვა მიმართულე-
ბით მიჰყავს. მიჰყავს. ჯერ კიბე, მერე შენობა. უჩვეულო სიტბოს
გრძნობს და ბევრს, ბევრს სინათლეს. ფიქრობს, ახლა თუ ციდან
როიალი დაეშვა, თან თეთრი, ანუ კაიფშია ისევე. მერე ხმა მოეს-
მა საოცარი და ამ ხმას მიჰყავს: დავინახე, იმენა კურტკა, მაგრად
მიყვარს ეს კურტკა. შეიძლება ძეგლიც დაუდგა. სანდლებს,
კვერცხებს და ველოსიპედს თუ უდგამენ, კურტკამ რა დააშავა.
ხოდა მერეღა დავინახე, ამ კურტკას თავი ედგა, — ანგელოზის.

„ზეპირად ვიცი დავითნის ეს ადგილი, დარბაზს ვათვალი-
ერებდი, ვილაც ბიჭი მომიახლოვდა უცებ და მიყურებს. არ
იყო ჩვენი მრევლი. იდგა გაუნძრევლად თითქმის ნახევარი სა-
ათი მიყურებს, მე კი შეღიმება“.

„ისე კომპაში ხო არ ვარ? ანგელოზს ვხედავ და ანგელოზის
ხმა მესმის. ვიჩქმიტე. მეტკინა, ანუ ცოცხალი ვარ და... მიყვარს.
მაგრამ მე, ათასგზის ცოდვილს, ვარ კი ღირსი, ის მიყვარდეს“.

მრევლმა მიიღო გიო. ჯერ რიდით, მერე შეეჩვივნენ. ისიც
სხვებივით რჩებოდა, წმენდა და ასუფთავებდა ტაძარს. თე-
ოსთან მისვლას კი ვერ ბედავდა, თითქოს ეშინოდა, ის ბედნი-
ერება, რასაც ახლა გრძნობდა, არ დაჰკარგოდა. ბიჭებთან წა-
მოსცდა ერთხელ, დედამინა ვარ მზესთან ახლოს ვერ მივდი-

ვარ, არ დამწვას, — ვერც ვმორდები, არ გავიყინოო. წამლის-
კენ არ გაუხედია გიოს, რაც თეო დაინახა. ის კი არა, საძმოდან
ერთმა, ალიკამ, კაიფში მყოფმა, ტაძარში შემთხვევით შე-
სულმა, შენიშნა გიო, ტაძრის იატაკს რო წმენდა მაშინ. „შენ
ძმო, იმენა სალოლ რა, ჯიგარი ყოფილხარ. დავაი მოგეხმა-
როო“... გვერდით ამოდგომია, ნერტილისხელა მტვერიც არ
დაუტოვებია. გასავათებული ძლივს ნაუყვანია გიოს სახლში.
კიდევ ერთით გაზრდილა ტაძრის მრევლი...

„მახსოვს პირველად რა მითხრა. არც „გამარჯობა“, ან „რო-
გორ ხარ“. პირიქით, „გამარჯობა“ პირველად მე ვუთხარი, არც
უპასუხია. ისევე ისე შემომხედა, როგორც მაშინ, პირველად რომ
მნახა. ისეთი თვალბით მხოლოდ მე მიყურებს, ამას ვხვდები...“

„ტაძარში დღეს ადრე მივედი, ლოცვა არ იყო ჯერ დაწყე-
ბული, არავინ ჩანდა. შესასვლელთან სკამზე ჩამოვჯექი.
უცებ ვილაც მომიჯდა გვერდით, ისეთი სიტბო ვიგრძენი,
მწველი და საამო. გავიხედე და ის... „გამარჯობაო“, დავმუნჯ-
დი. ავდექი და ტაძრიდან გამოვვიდი...“

სირბილით მივედი ჩემს ნაპირამდე. ანბანის ძეგლს რომ
ჩავუარე, გზადაგზა ვიხდიდი და პირდაპირ ზღვაში გადავეშე-
ვი, ალბათ იმიტომ, ბედნიერებისგან უცებ ცაში რომ არ ავფ-
რენილიყავი...“

„ხო, მან მითხრა, წმინდა გაბრიელზე წიგნი ხომ არ გაქე-
სო. ეს მითხრა პირველად, მივუტანე. ისე ბედნიერი იყო...“

„აუ რა მაგარია, უკვე ვესაუბრები, დავალუბებსაც მაძ-
ლევს. ორმოცდამათე ფსალმუნი ისწავლეო. ვისწავლე:
„მინყალე მე ღმერთო...“ მერე მითხრა, იქნებ დეკანოზ თავმაზ
ჩოხელის წიგნი „მამის იავნანა“ მიშოვოო. ვუშოვე და უკანვე
გამატანა. „მამის იავნანა“ ისწავლეო. ვისწავლე: „აგერ უკვე
რა ხანია, მთებში ღამეს სძინავს...“

სანაპიროზეც იყვნენ, პავთანზე, გიოს ადგილას, თურმე
თეოსაც მოსწონს ეს ძეგლი.

„იცი რას ნიშნავსო? — თეომ მაშინ მკითხა შეხვედრაზე
რომ დავითანხმე, არა უბრალოდ მომწონს ეს ადგილი-მეთქი.
ეს იმას ნიშნავს, რომ დედამინა ქართულ ანბანს უჭირავს, თან
ანბანი დნმ-ის ფორმით არის ჩამწკრივებული. ეს არის სწო-
რედ ის საიდუმლო, რაც „ენასა შიგან დამარხულ არსო“.

„ვილაცებს ჭოვები მოაქვთ დედაჩემთან. დღეს თვითონ
დავურეკავ. ქალაქში შემხვდი-მეთქი“.

— დედაჩემს ეუბნებიან, რომ უსაქმური ხარ?! — ვიმუშა-
ვებ, თეო. — წამალს იკეთებდაო?! — აღარ ვიკეთებ, თეო. ეს
ადრე იყო, სანამ გნახავდი — დაქლებს რა უთხარი, შავი დიპ-
ლომი მაქვსო, პროფესია რომ მკითხეს?! — ვეხუმრე, თეო.

უცებ იმ ფანდურამ დამირეკა, ალიკამ. ლაუდ სპიკერზე
მომიხვდა თითი. ეგრევე მეუბნება, უთხარი ბიჭო, რო გიყვარ-
სო? იცნავა თეოს რომ უნდა შეხვედროდი. გავთიშე ტელე-
ფონი. განითლდა.

უცებ მასაც დაურეკეს. „ხო დედაო, მოვდივარო...“ და ნავიდა.
არა მანამდე, ტელეფონი მათხოვეო, ვათხოვე. ჩემს ტელეფონში
საკუთარი ნომერი მოძებნა და ისე წაშალა, რომ დამენახა. საკუ-
თარ ტელეფონშიც მოძებნა ჩემი ნომერი და იგივე გააკეთა.

„ჩამწყდა რალაც, გამთიმა თითქოს და ქვესკნელისკენ წამი-
ლო. მიინდა დავედევნო და ნაბიჯს ვერ ვდგამ, გავქვავდი“. თვალს
რომ მიეფარა თეო, ჩამოხნულდა თითქოს, არადა შუადღე იყო და
მზე ანათებდა. კომპო ნანახი ეშმაკი მოელანდა უცებ, მოზიემე
და აცეკვებული. წამოდიო, ექაჩებოდა. თითქოს ზუსტად იმ მი-
სამართზე იმ სუსხიან საღამოს რომ აპირებდა წასვლას ნომერი
ხო ახსოვდა, მესიჯის დანერა მოასწრო: „თეო, მე ნაპირი დავ-
კარგე“ და ეშმაკს გაჰყვა. ჯერ იმ მისამართზე მივიდა, ალბათ
ბოლოჯერ გაიკეთა. მერე შეშლილივით გაიქცა ზღვისკენ, საყ-
ვარელი ნაპირისაკენ. ტანსაცმელგაუხვდელი გადაეშვა ზღვაში...

ქვასავით ნავიდა ფსკერისკენ. სადღაც განავონი თომას
მანის კაცუნა გაახსენდა უცებ, პატარა გუბეში რომ დაიხრჩო
თავი, აქ კი ზღვა იყო, უშველებელი და ეშმაკი. გრძნობას რომ
კარგავდა, იგრძნო ვილაცა ექაჩებოდა მაღლა. ალბათ ისევე ის,

კაცი-სანთელი... გონზე რომ მოვიდა, ზღვაში იყო ისევ... მის გვერდით ბიჭი იყო, ალბათ მისი ტოლი, შავი შორტით.

— ანგელოზი ხარ, ძმა? — ანგელოზი კი არა, მამველი ვარ, ძმა! — ვყვინთავდი, ბრატ. — ძაან გაგიგრძელდა...“ ნაპირს გახედა და თეო დაინახა, ზღვისკენ მორბოდა.

„თეო კი, ჩემი თეო, ნაპირზე დგას და ტირის. იცი როგორ ტირის? მოშვებული კრანიდან რომ წყალი გადმოდის, ისე

ღვარღვარით მოდიოდა ცრემლები. მე ზღვიდან ამოვდივარ რა, ასე ჩაცმული თუ მრცხვენოდეს, ტუფლის ლანჩა ვიყო, მეც ვტირივარ. კიდევ კარგი ვერ ხვდება. ზღვის წყალი ჰგონია, ესეც ხო ცრემლივით თბილია და მლაშე ან იქნებ ხვდება კიდევც...“

— მე შენ არასოდეს განყვინებ, თეო. მამატიე... მე შენ გიპოვნე, თეო. შენ ჩემი ნაპირი ხარ, მე შენ მიყვარხარ...“
„ასე მტირალი ჩამეხუტა...“

ვასილ კიკნაძე

„ტირორისტული აქტის“ ფარსი

სამოცი წლის წინათ დავინყე მუშაობა რუსთაველის თეატრში. საოცრად რთული და ბედნიერი ათი წელი გავატარე იქ.

რას არ მოვესწარი!

თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ მუშაობა დავინყე თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1954 წელს.

იქ მუშაობის დღეებიდან ზოგიერთი ამბავი გავიხსენე ჩემს წიგნში „გამოთხოვება მოგონებებთან“. წიგნს ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ჩემთვის ყველა აზრი ძვირფასია და მადლობელი ვარ მათი, მაგრამ განსაკუთრებით გამითბო გული მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი მწერლის ოთარ ჩხეიძის ღირსეულმა მემკვიდრემ როსტომ ჩხეიძემ, რომელიც ორჯერ გამოეხმაურა ჩემს მოგონებებს.

მოსაგონარი კიდევ ბევრი რამ დამრჩა, მაგრამ ახლა მკითხველს ერთი ისეთი, თითქოს დაუჯერებელი ამბავი უნდა მოვუთხრო, რომელიც თეატრალურ მითებს უფრო ნააგავს, ვიდრე სინამდვილეს, მაგრამ ამბავი ნამდვილად მოხდა რუსთაველის თეატრში.

საერთოდ კი თეატრში რა არ ხდება, როგორც ცხოვრებაში, ამიტომ გალაკტიონისათვის თეატრი იყო „მთელი სამყარო მინიატურაში“. მართლაც, როგორც სეზანის პატარა სურათში მთელი ზღვა ეტევა, ასეა თეატრშიც. ამიტომ არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. საქართველოში ისეთი დროც კი ყოფილა, როცა ერი თეატრის ამარა დარჩა. ილია ჭავჭავაძე თავის მეგობარს, მოღვაწეს ილია ოქრომჭედლიშვილს სწერდა: „საქართველოში ისეთი დრო დადგა, რომ მაგის მეტი ნაციონალიზმის ნიშანწყალი ჩვენ არ გვაქვს“.

ქართულმა თეატრმა მართლაც განუზომლად დიდი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერების გაღვივებასა და გაღრმავებაში, მაგრამ რთული იყო ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულების პროცესი. ათასგვარი მძაფრი პერიპეტია და დრამატული კოლიზია გადაიტანა. მაშინდელი ტკივილიდან ზოგი რამ დღეს ღიმილსაც კი იწვევს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთავრობამ 1946 წელს მკაცრი დადგენილება მიიღო ჟურნალების „ზევზდასა“ და „ლენინგრადის“ გამო. მთელს საბჭოთა იმპერიაში დაიწყო იდეოლოგიური ზენოლა. განსაკუთრებით მკაცრი კონტროლი დამყარდა რეპერტუარზე. თეატრებს მკაცრად სთხოვდნენ საბჭოურ თემატიკაზე დაწერილი პიესების დადგმას. „მაღალი იდეურობის“ მოთხოვნილება გახდა ყველა საკონტროლო ორგანოს ორიენტირი.

იმხანად რუსთაველის თეატრს ხელმძღვანელობდნენ გენიალური მსახიობები: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. მათი უშუ-



მხატვარი ზაალ სულაკაური

ალო მზრუნველობით თეატრში თავი მოუყარეს მსახიობთა და რეჟისორთა ნიჭიერ თაობას, რეჟისორების — მიხეილ თუმანიშვილისა და აკაკი დვალიშვილის — მეთაურობით. თეატრში უკვე მოღვაწეობდა უნიჭიერესი რეჟისორი დოდო ალექსიძე.

„მაღალიდეური“ პიესების დადგმის პარტიული კამპანია ანუ მოთხოვნილება იმდენად ძლიერი იყო, რომ თეატრში ერთხანს უნდოდათ სკკპ (ბ) ისტორიის თავების მიხედვი აეგოთ რეპერტუარი.

ამ იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში თეატრმა გადანყვიტა საბჭოთა იდეოლოგიისათვის ერთობ საშურ პოეტზე, მიაკოვსკიზე დაედგათ სპექტაკლი. იგი ქართულ მიწა-წყალზე იყო დაბადებული და აღზრდილი, უყვარდა საქართველო. მიაკოვსკის შესახებ პიესის დადგმით თეატრი სამმაგ საქმეს აგვარებდა, ერთი მხრივ, პატივს მიაგებდა საქართველოში დაბადებულ დიდ პოეტს, მეორე მხრივ, საბჭოთა პოლიტიკის კონიუნქტურას, და მესამე — მიაკოვსკის როლს შეასრულებდა დიდი მსახიობი და თეატრის ხელმძღვანელი აკაკი ხორავა.

მართლაც მომგებიანი პროექტი იყო. ამისათვის მოძიებულნი იქნა პიესა.

კატანინის „მიაკოვსკის“ განხილვა მოენყო სამხატვრო საბჭოსა და დასის გაერთიანებულ სხდომაზე. პიესა შინაგანად არავის მოსწონდა, მსახიობები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. პიესა არ მოსწონდათ, მაგრამ დიდ მსახიობსა და თეატრის ხელმძღვანელს უნდოდა დადგმა. ეს ფაქტორი თითქმის ჩიხურ სიტუაციას ქმნიდა დამდგმელი რეჟისორისათვის. ისე იყო საქმე, როგორც ამბობენ — წინ წყალი, უკან მენყერიო...

რა უნდა ექნა ახალგაზრდა რეჟისორს მიხეილ თუმანიშვილს, მაშინ პიესის დადგმის ბედს თეატრის ხელმძღვანელობა წყვეტდა და არა დამდგმელი რეჟისორი.

აკაკი ხორავამ კაბინეტში გამოიძახა მიხეილ თუმანიშვილი და დაავალა პიესის დადგმა: მიშა, შენ იცი, საჩვენო პიესაა.

მ. თუმანიშვილმა იგრძნო, რომ უარს ვერ ეტყოდა, მაგრამ, როგორც სჩვეოდა ხოლმე, სხვისი დახმარების იმედი ჰქონდა. მიშამ მეგობრებს: დოდო ალექსიძეს, აკაკი დვალისძეს და მხატვარ ფარნაოზ ლაპიაშვილს სთხოვა დახმარება.

ამ რთულ სიტუაციაში კატანინის პიესა განსახილველად გავიტანე სამხატვრო საბჭოსა და დასის გაერთიანებულ სხდომაზე. მოხდა ის, რაც ხშირად ხდებოდა თეატრში, პიესა არ მოეწონათ, მაგრამ დირექტორისა და მთავარ როლის შესაძლო შემსრულებლის აკაკი ხორავას ხათრით დადგენილებას მხარი დაუჭირეს.

ანრილდა მიხეილ თუმანიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარდა რესტორანში ქეიფი და დროსტარება (ამ მხრივ ნამდვილი ასკეტი გახლდათ), იმ დღეს თურმე მთელი ღამე იქეიფეს.

შეზარხოშებულები თავისუფლების მოედანთან, ხელოვნების მუზეუმის ქვანახევარზე ჩამოსხდნენ და ნასვამ ხელოვანთა ექსტაზით დაიწყეს ხორავას წინააღმდეგ ბრძოლის გეგმის შედგენა.

— თეატრში დიქტატურა კი არა, ნამდვილი ტერორია. არ შემძლია კატანინის პიესის დადგმა. თუ მაიძულებენ, თეატრიდან წავალ, დამეხმარეთ, მომამორეთ ეს კატანინი, — შესჩივრა მიხეილ თუმანიშვილმა მეგობრებს

იგი მებრძოლი კაცი არ იყო, ყოველთვის არჩევდა ჩრდილში დგომას კონფლიქტების დროს, მაგრამ ახლა გამოსავალი აღარ ჰქონდა, ხმა უნდა ამოეღო.

შეზარხოშებულებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ რადგან ხორავას მომრევი არავინ არ იყო, — მოეკლათ. თითქოს მართლაც დაუჯერებელი ამბავია. ისე როგორ დათვრნენ, რომ აკაკი ხორავა, რომელმაც ოთხივე მიიყვანა თეატრში, მოსაკლავად გაიმეტეს. ამაში იყო რალაც ბავშვური, გულუბრყვილო ალტკინება და ქართული ფეთქებადი რადიკალიზმი. პირდაპირ ექსტაზში შევიდნენ, მაგრამ გადასასყვეტი იყო მთავარი საკითხი — ხორავას ვინ მოკლავს?... ვინ შეასრულებს ტერაქტს?!

ყარეს კენჭი, ქუდში ჩაყარეს ქალაღებში, ვისაც შეხვდებოდა ქალაღებზე დაწერილი ხორავას გვარი, იმას უნდა მოეკლა.

დოდო ალექსიძეს ტერორისტული აქტის შესრულება შეხვდა.

დოდო უცებ მუხლებზე დაეცა და იყვია: მე ცოლ-შვილი მყავს, არ შემძლია... ვერ გავაკეთებ!..

ჩაიშალა გეგმა. დიდხანს იმსჯელეს და შეთანხმდნენ, რომ ბრძოლა გადაეტანათ სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, გამოსულიყვნენ ორგანიზებულად და ემხილებინათ აკაკი ხორავას დიქტატურა.

თეატრში გახმაურდა „შეთქმულების“ ამბავი, მაგრამ ერთხანს კულისების ქორაობის დონეზე დარჩა. ყველას აინტერესებდა, თუ რა მოხდებოდა სხდომაზე.

გაიმართა სხდომა. სიტყვით გამოვიდნენ: დ. ალექსიძე, აკ. დვალისძე, ფ. ლაპიაშვილი, რომლებმაც გააკრიტიკეს ხორავა სარეპერტუარო პოლიტიკაში ადმინისტრირების გამო.

გამომსვლელებმა თავიანთი პოზიციის საილუსტრაციოდ დაასახელეს მ.

თუმანიშვილისათვის კატანინის პიესის ძალდატანებით თავსმობვევის მაგალითი.

ხორავა თურმე ლომივით მრისხანედ უყურებდა.

მიშას გამოსვლის დროც დადგა, როგორც კი წამოდგა, ხორავამ დაასწრო და ჰკითხა: მიშა, მართალია რასაც ესენი ამბობენ?... მართლა გავინროვებთ?..

მიშა გაფითრდა, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მარტო ერთი სიტყვა თქვა: დამანებონ თავი!...

გული შეუღონდა.

არცერთი მხარის ინტერესებში არ შედიოდა ამ ტრაგიკომიკური ფარსის გახმაურება, მაგრამ თეატრში რა დაიმალეობოდა, იმავე დღეს იცოდნენ ყველაფერი...

და მაინც, რუსთაველის თეატრის კულისების ისტორიაში დარჩა ეს უცნაური ამბავი.

მოვლენა კი ერთდროულად ვოდევილის თემაც არის და ტრაგედიისაც.

სიტუაცია კი უაღრესად რთული იყო. აკაკი ვასაძე, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ანალიტიკური აზროვნებით და ფართო ერუდიციით, ბოლომდე იცავდა თეატრის მხატვრულ პოზიციას, ახალგაზრდებს კი თეატრის გარდაქმნას სურდათ.


მიხეილ თუმანიშვილი შესანიშნავ წიგნში „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ წერს: „ჩვენ ყველანი ანთებული ვიყავით ერთი მიზნით — დაგვემტკიცებინა, რომ თეატრში ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, ყველაფერი სხვაგვარად უნდა გაკეთებულიყო. აბა, რომელ ახალგაზრდა თაობას არა აქვს ასეთი სურვილი? და როგორც ჩვენ ამას ვახერხებდით, ისე ვთქვით, როგორც მოვახერხეთ „ფუნჯიკში“. ა. ვასაძე მხარს გვიჭერდა და ხარობდა, მაგრამ წარუმატებლობანი კონფლიქტებს აღძრავდა. მეჩვენებოდა, რომ თავისი კორექტურით იგი აფუჭებდა ჩემს სპექტაკლებს, ხელს უშლიდა ძიებებს. ეს ყოველთვის ასე ხდება. ვილაცამ ძალზე კარგად თქვა: ჭაბუკობაში ბერეკაცისაგან ვიცავთ თავს, სიბერეში კი ჭაბუკებისგანო. როგორი საქმეა?!“

ამას მიხეილ თუმანიშვილი გვიან დაწერს. აქვე უნდა ვთქვა, რომ მიხეილ თუმანიშვილი იყო უნიკალური მოვლენა ქართულ თეატრში თავისი დიდი პედაგოგიური ნიჭით, თეორიული აზროვნებითა და რეფორმისტული რეჟისორული პრაქტიკით.

ამ ტრაგიკომიკურ ამბავში მთელი ეპოქის ხასიათი ირეკლება. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში თეატრში მასობრივი რეპრესიების შემდეგ რალა უნდა გაგვიკვირდეს. სარეპერტუარო პოლიტიკის ადმინისტრირების ამ შემთხვევამდე დიდი დრო არც იყო გასული. მსახიობები ამბობდნენ: თეატრის კედლებსაც ყურები აქვსო, ისე ვრიდებოდით პოლიტიკაზე ლაპარაკს. ახტარა ამბავი ხომ არ იყო სანდრო ახმეტელისა და მისი ჯგუფის დახვედრა.

1937 წლის 29 ივნისი ტრაგიკული დღეა რუსთაველის თეატრის ისტორიაში. ამ დღეს დახვრიტეს ს. ახმეტელი. ი. ქანთარია პ. კორინძე, ი. ლალიძე, ე. ლორთქიფანიძე. ამ ტრაგიკული დღიდან სულ რალაც ჩვიდმეტი წელი იყო გასული, როცა თეატრში დავიწყე მუშაობა. ჯერ კიდევ იგრძნობოდა პოლიტიკაზე „წურწულით ლაპარაკის“ ინერცია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი თაობა და ეს გასაგებიც იყო.

„ტრაგიკული ფარსის“ ტრაგიკომიკურ ამბავს თუ ქვეყნისა და თეატრის დრამატული ისტორიის კონტექსტში წარმოვიდგენთ, მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება...



ს ა მ ი კ რ ი ტ ი კ ო ს ი ე რ თ პ ო ე ტ ზ ე

ნინო ვახანია

რას ნიშნავს: „ლაპარაკი“

(ნინო ნადირაძის ლირიკული აპრილი)

„ჩემო კარგო ქვეყანავ“-ს ნაცვლად „ჩემო ცვილის ქვეყანავ“. ცვილის ანუ — ლამაზი, ხელოვნური, მოწყვლადი, ფორმაშეცვლილი (ანუ ტერიტორიებდაკარგული), სათუთი... ამათგან ერთ-ერთს ან ყველას ერთად და კიდევ რაღაც სხვა-სადაც გულისხმობს ეს განსაზღვრება — ცვილის. ცვილის ქვეყანაში ცვილის ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ — მოჩვენებითები, არანამდვილები, იოლად დასამორჩილებელნი...

ნინო ნადირაძე არამარტო ტკბილ ხმათათვის გაჩენილი პოეტია. მისი ლექსი მტანჯველი დარდის შედეგია და მკითხველსაც ფიქრისკენ, განსჯისკენ უბიძგებს. დაუქოქავ მუსიკალურ სათამაშოს ადარებს საკუთარ ცხოვრებას ავტორი. და ელოდება, და აკვირდება, და ეძებს... საკუთარ თავს ეძებს, საკუთარი დანიშნულების გაგება სწყურია, გრძნობს ძალას, მისწრაფებას, შინაგან ენერგიას და მისი გამოყენების ასპარეზს ეძებს. რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო, — ნატრობდა ვაჟა-ფშაველა. ნინო ნადირაძეს ის დრო ენატრება, როცა არც შიოდა, არც იძინებდა... წყალი თებერვალს მოჰქონდა, მზე — აპრილის ანგელოზებს... თავისი წილი მზისა და ჩრდილის ამარა იყო... ერთი სიტყვით, როცა ხე იყო...

ახალგაზრდა პოეტი გვეკითხება:

რომელი უფრო სასწაულია, როცა ადამიანები გვიქრებიან თუ როცა გრძნობები?

აბა, ვისა აქვს მზა და სწორი პასუხი ამ კითხვაზე. აი, შეკითხვა კი აგვეკვიტება და არა გშორდება. „ადამიანების“ ნაცვლად ხან „სამშობლოს“ ჩასვამ, ხან „ქალაქებს“, სხვა სიტყვების შენაცვლებაც შეიძლება. „ალბათ, არცერთს არ ვუფრთხილდებით“, — გვეუბნება თვითონ ავტორი. ჩვენ კი მაინც არ გვასვენებს „მწარე სინანული“ — მაინც რომელი უფრო სასწაულია?

რატომ წერს პოეტი ლექსებს? ნინოს ამაზე ძალიან გულწრფელი პასუხი აქვს: „**ალბათ სიტყვებმა ამომირჩიეს**“.

და მართლაც რჩეულია (ამორჩეული), რომელიც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს სიტყვის და მკითხველის წინაშე. ამიტომაც განიცდის ასე: ილაპარაკო ნიშნავს — იარო წყალზე და ფეხები გიკანკალებდეს.

რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა ქალი და ისიც პოეტი, სიყვარულზე წერდეს? გასაკვირი კი არა, სწორედაც მოსალოდნელი და ლოგიკურია. ოღონდ, მიხვდებით ალბათ, სიყვარულსაც, ისევე როგორც ცხოვრებას, ჩვენგან განსხვავებულად, სხვა სამზეროდან, სხვა ჭრილში ჭვრეტს და აღიქვამს. ეს ჩვენთვის არის სიყვარული ყვავილების, თბილი სიტყვებისა და ფერადი დღეების პირდაპირპროპორციული, ხოლო პოეტისთვის (ფაქიზი სულითა და არაჩვეულებრივი წარმოსახვების ადამიანისთვის) „სიყვარული ცეცხლის დანთება თავსხმა წვიმაში“.

ან ასეთი ნატურა:



ნინო ნადირაძე

მე დადგებოდი შენი სიცოცხლის ხესთან პატარა რკინის სარწყავით ხელში და დავუცდიდი ჩიტების გუნდის გამოფრენას საკუთარი გულის ფანჯრიდან.

ან გაკვირვება:

ვინ ამბობს, რომ არსებობს სუნთქვის საზომი, აბა საიდან მასუნთქებენ შენი ფილტვები?!

ან წარმოსახვა:

შეიძლება... უამრავი ქალაქით ჩემგან დაშორებულს, ჩემი ჩრდილი გადაგეფაროს.

სურვილი:

არასოდეს აღარ მინდა გამოვიღვიძო, თუ არ იქნები.

სიყვარული ღმერთია მისთვისაც და სავსებით ბუნებრივია ვედრება, „რომ არასოდეს შემოგვაკლდეს სიყვარული“. და რადგან „სანამ მიხვდები, ისაა ნამდვილი სიყვარული“, ხანდახან ისეც ხდება, რომ ფოტოკადრს რაღაც აკლია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

ტრაგიზმისა და სასწაურკვეთილების განცდაა, სხვა რა:

ბლაგვი დანით ყელს რომ გჭრიან ბასრი დღეები და არჩევანს არ ტოვებენ არსებობისთვის?!

ამაზე ნაკლებ მწველი არ არის შეგნება იმისა, რომ „თითქმის უკვე შეუძლებელია დაინეროს ლექსები, / მით უფრო — სიყვარულზე“.

ნინო ნადირაძე ის პოეტია, რომელიც ნატრობს: დღემ ისე ჩაიაროს, რომ ნამდვილად მოხდეს, რაც ხდება. რომელიც გასულია „ცოცხალი ადამიანების საქებნელად“ და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.

და მე მგონია, რომ დღეს ჩვენ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი თვითონაა, რადგან ფიქრობს, გრძნობს, წერს, უყვარს, უკვირს და ენატრება... რადგან საკუთარი გრძნობებით მრავალსავე ჰგავს და იმავდროულად — არავის; და ამიტომ ის, რაც ხდება, მართლაც ნამდვილად ხდება.

ნინო ქუთათელაძე

პოეტური აღსარება

თავდაპირველად მინდა, ნინო ნადირაძეს წიგნის გამოცემა მივულოცო. პოეტური კრებულის გამოსვლა ყოველთვის დღესასწაულია, რადგან ლექსი აღსარებას ჰგავს, ადამიანის სულს გამოჰფენს საამჟამინათვე... და რაკი აღსარებას ჰგავს, ალბათ უფალთან ერთი გოჯით მიახლოებაც არის.

ამ წიგნშიც ყველაზე მეტად სწორედ გულახდილი, მოურიდელებელი აღსარებაა, სულის გამზუზრება. ეს კი ყველას არ ძალუძს, მათ შორის, არც ლექსის ყველა მწერალს.

უპირველესად წიგნის საერთო სათაურად გამოტანილ ლექსს — „ჩემო ცვილის ქვეყანავ“ — უნდა შევეხო. მძიმე თემა გახლავთ იმ ქვეყანაზე საუბარი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც პირველ სიტყვებს ეზიარე და რომელიც მართლა ცვილისა გამხდარა, რადგან ერთხელაც, ძლიერი მღელვარებისას შესაძლოა ხელში შემოგადნეს. მართალი გითხრათ, მომეწონა ლექსის სტრუქტურა. პოეტს თანმიმდევრულად მიჰყავს მკითხველი მთავარ სათქმელამდე: „სახელითა ბოლმისათა მოგვეზლო ჩვენ“; „სახელითა სიმხდალისათა მოგვეზლო ჩვენ“; „სახელითა სიძულვილისათა მოგვეზლო ჩვენ“; „სახელითა უვიცობისათა მოგვეზლო ჩვენ“... მთავარი სათქმელი კი გამაოგნებელია: „ჩვენ პატარა ქართველები ვართ / და განცხრომით სხვაგან ყოფნას / აქ სიკვდილი არ გვირჩევია“.

ამ ლექსის ეპიგრაფი არც მეტი, არც ნაკლები ილიას სტრიქონია: „ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“ ნინო ნადირაძის პოზიცია ახალი არ გახლავთ ქართულ პოეზიაში. ილიას ამავე ლექსის სტრიქონი ნარუმძღვარა ეპიგრაფად თავის ლექსს ეწ. „რეაქტიული ჯგუფის“ წევრმა, მსახიობმა და პოეტმა ლალი კეკელიძემ (დმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!). ისიც აღნიშნავდა, რომ მობეზრდა მუდმივად მონყენილი სამშობლო, აღარ სურს ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. აი, ჩემთვის კი სრულიად მიუღებელია უტილიტარული, მომხმარებლური დამოკიდებულება სამშობლოსადმი. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, საიდან მოდის ეს, რატომ ხდება, რომ ახალგაზრდებს სამშობლოზე მეტად კეთილდღეობა უყვართ? და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა წინამდებარე კრებულში 58-ე გვერდზე მოულოდნელად ნაწყნადი ასეთ სტრიქონებს:

**აბა, ვინ დაიჯერებს,
რომ ჯერ კიდევ მიყვარს ჩემი ქვეყანა,
როცა ყოველდღე
გასამგზავრებელ ბილეთს უკან ვაბრუნებ
და ყოველ ღამე
მესიზმრება ჯერარნახული ფუჯის მწვერვალი.**

მინდა ამ სტრიქონებისთვის მადლობა ვუთხრა ნინოს, მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მან აპატია, გვაპატია ჩვენ — უფროს თაობას — რომ ისეთი ქვეყანა ვერ დაეახვედრეთ, როგორსაც ალბათ იმსახურებდნენ.

და კიდევ... როგორც არაერთ მოგონებაშია აღნიშნული, დიდ ფრანგ მხატვარს ამედუო მოდილიანის (ფრანგი მხატვარი იყო, მაგრამ წარმოშობით სფვარდი გახლდათ) მოგზაურობა, ადგილის შეცვლა არ ჰყვარებია. და მე მესმის ეს, რადგან მას ისედაც ყველაფერი ნანახი ჰქონდა, იმდენად მდიდარი და ფერადოვანი იყო მისი სამყარო. საკუთარ თავში ჩაბრუნება და იმის ხილვა, რასაც ვერასოდეს ვერავინ ნახავს, ვერასოდეს ვერავინ ვერ შეიცნობს, უდიდესი ბედნიერებაა. თუ, რა თქმა უნდა, მარტივად არ ცხოვრობ, ფიქრობ, გტკივა და იტანჯები.

აი, ამგვარი ბედნიერება მინდა ვუსურვო ყველა ახალგაზრდა შემოქმედს!

ახლა პოეტის სხვა ლექსებსაც შევეხოთ... ნინოს ფიქრი უყვარს და მიუხედავად იმისა, რომ თავს ხშირად სხვა არსებად ან საგნად წარმოისახავს, ფიქრი მაინც ადამიანური, ადამიანისთვის დამახასიათებელი კატეგორიაა. ის გვეუბნება:

**ჩემი ცხოვრება მხოლოდ ნახატია,
რომელსაც დიდხანს ვაკვირდები,
რომ ამოძრავდეს.**

მას აწუხებს ის ფაქტი, რომ ცხოვრება გაჩერებულია, ერთ ადგილზე გაყინული, არაფერი ხდება საინტერესო. ამ წუხილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილი გამახსენა, მაიკო ორბელიანს რომ მისწერა: „კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ სადაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი იყოს...“ მე მგონი, კარგია, როცა ლექსის თუნდაც ერთი სტრიქონი წარსულის მშვენიერი სურათების ასოციაციას იწვევს (მშვენიერს კი იმიტომ, რომ ეს სურათი ნიკოლოზ ბარათაშვილით არის განათებული). ეს ნიშნავს, რომ პოეტმა იპოვა მარცვალი, რამაც უნდა განაპირობოს მისი განვითარება.

„ყველაფერი ფერს კი არ იცვლის, არამედ ფაქტურას“ — გვეუბნება პოეტი ლექსში „სკოჩის ცა“. საინტერესო მოსაზრებაა! მაგრამ იქნებ ფაქტურის ცვლილებაც ფერისცვალებაა. რაკი ქართულ ენაში ეს სიტყვა მისადაგება სამყაროზე ელ ევოლუციას, ცვლილებას და თუნდაც გარდაცვალებას, ერთი ფორმიდან მეორეში გადასაცვლებას, არსებობიდან არარსებობაში გადასვლას.

აი, კიდევ ერთი თემა, რომელიც აუცილებლად მოსახილველია... არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი გაგება აქვს სიკვდილ-სიცოცხლეს. ნინო პირველად მამის გარდაცვალებისას შეეჩეხა სიკვდილს. ამიტომ სიცოცხლე დამძიმდა, გაუსაძლისი გახდა. ძნელია, როცა შენი საყვარელი ადამიანის სიყვარულს ვერაგრძნობ, გგონია, რომ სიყვარული გეკარგება...

ლექსი „უმამო გოგოების შესახებ“ ამ სიმძიმის არაჩვეულებრივი გამოხატულებაა. დიახ, უმამო ის გოგოები არიან, „რომლებსაც ყველგან აგვიანდებათ, რადგან სხვებზე ერთი ფიქრით ნაკლები დრო აქვთ“. ეს დაგვიანება ჩვეულებრივი დაგვიანება არ გახლავთ, ეს ბედისწერაა, როცა მიხვალ სადმე და აღმოჩნდება, რომ იქ აღარავინ გელოდება; ერთი ფიქრით ნაკლები დრო კი ის ფიქრია, როცა შენ გარდა შენზე არავინ ფიქრობს. ამ ლექსში ყველაფერი ჩვეულებრივია, თითქოს ყველაფერი გასაგები, რადგან უმამოთ ყველას თავისებურად სტკივა. ნინოს ფიქრი კი სხვაზე ერთი ფიქრით მეტია, თუმცა სხვებზე ერთი ფიქრით ნაკლები დრო აქვს.

აქვე არ შეიძლება არ შევეხო ამ თემაზე დაწერილ კიდევ ერთ ლექსს — „პანაშვიდის ყვავილები“... ეს ლექსიც იმავე განწყობილებას გვთავაზობს.

**ამ ქალაქში ბოდიშს არავინ იხდის,
არც მადლობას,
ამ ქალაქში ერთნაირი ყვავილები მიაქვთ პანაშვიდზე.**

ბოდიში? რისთვის? — რომ შენ ცხოვრება დაგინგრის და შეურაცხგყვეს? მადლობა? რისთვის? — როგორ უნდა იყო მადლობელი იმისთვის, რაც მადლიერებას არ იმსახურებს? ცნებები „ბოდიში“ და „მადლობა“ მაღალი კულტურისა და განათლების ნიშანია — ან ერთი სად არის ან მეორე?

იქნებ მეც, დეპრესიაში მყოფმა, დაწვერე ეს ფრაზები, მაგრამ ფაქტი ჯიუტია! ადამიანები აღარ ცხოვრობენ, ისინი ცხოველურ ყოფას — ჭამა-თქვლეფას და ყალბად პირჯვრის წერას ეძახიან ცხოვრებას. ნინო ცამდე მართალია, როცა ამ-

ბოხს: „მე ნავედი ოდნავ ქარიან ღამეში, / ცოცხალი ადამიანების საძებნელად / და ჯერ კიდევ არ დავბრუნებულვარ“.

ამ თემაზე დანერგულ კიდევ ერთ ლექსზე მინდა გესაუბროთ. ეს გახლავთ ლექსი „პროფესია — სიკვდილი“... ადამიანისთვის დამახასიათებელია, ყველაფერს გამართლება მოუძებნოს და იმედის მცირე ნაპერწკალი დაიტოვოს იმის დასტურებად, რომ ცხოვრება გრძელდება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სტრიქონები: „უცნაურია, / ხომ შეიძლება, სიკვდილიც კი იყოს კეთილი და უბრალოდ სამსახური ჰქონდეს ასეთი“.

აქ ეჭვია სიკვდილ-სიცოცხლის განუყოფლობის გამო, ანდა ვინ იცის, სად იწყება სიკეთე და სად თავდება ის. იქნება სიკეთე სიკეთის წილ სწორედ სიკვდილია. ჩვენ არ გვინდა, რომ ასე იყოს, მაგრამ ვაითუ ასეა?!

მე არ ვიცი, რა პროფესია აქვს ნიგნის ავტორს, მაგრამ ერთი კითხვა გამიჩნდა: რატომ მეორდება ნიგნში ხშირად სიტყვა „კადრი“? იქნებ ეს შემთხვევითია, ან იქნებ ცხოვრებას ერთ გაუთავებელ ფილმად აღიქვამს, სადაც მისი ადგილი არ არის, ან ამ ფილმში იქნებ „სევედის“ როლი დააკისრეს. ამას ნინო თვითონ გვეტყვის.

ლექსში „25-ე კადრი“ რიტორიკული კითხვაა დასმული: ვიცით კი სინამდვილეში, რა არის უბედურება? „ჩვენ მხოლოდ საკუთარ ბედნიერებას / შევისწავლით...“ შევისწავლით კი?! სამწუხაროდ, ადამიანებს არაფრის შესწავლა არ სურთ, ყველაფერს ზერელედ და მარტივად უყურებენ. იქნებ ეს არის სწორედ პოეტის ტრაგედია, რომ ყველაფერს აკვირდება, სურს შეიცნოს, შეისწავლოს და შეითვისოს გარემო? ნინოს აზრიც ხომ ეს გახლავთ, ჭეშმარიტი ცხოვრება 25-ე კადრითაა და თვალის შევლებაა ვერ ასწრებ, კალენდრის ფურცელს აახვევ და ისიც მიდის, ქრება.

არ ვიცი, რა დღეა დღეს, დღეებმა იციან გაპარვა და მიტოვება, გამოტოვებაც იციან დღეებმა...

ადამიანები ერთმანეთს ბაძავენ, ყველაფერს იზეპირებენ — წინადადებებს, მოქმედებებს და მთავარი ავიწყდებათ — ცრემლი... და რა მნიშვნელობა აქვს, სიხარულისა ეს ცრემლი, მწუხარებისა თუ სინანულის?!


აქვე მინდა რამდენიმე მოკლე ლექსს შევხვო. ეს ლექსები ძირითადად სიყვარულზეა. მაგრამ სიყვარულის გამოხატვას პოეტი მეტისმეტი სიფრთხილითა და რიდით ეკიდება, რითაც ის მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე ახალგაზრდა პოეტთაგან. ამ ლექსებში აშკარა მხოლოდ მეტაფორებია და სიტყვები:

ვინა თქვა, რომ მხოლოდ მარცხნივაა? მოძრავია ჩემი გული — საით მხარესაც დამიდგები, იმ მხარეს იბრუნებს გვერდს, მოიხრება და თვალს ხუჭავს.

ან:

როდესაც ის ორი ამ ქვეყანაზე აღარ იქნება, სიკვდილი აბრას მიაჭედებს, რომ იმ ადგილას ღმერთი ცხოვრობდა და გადავიდა.

ნინო ამ გრძობასაც თავისებურად აღიქვამს და სავსებით თამამად აცხადებს: „მართლა სიკვდილია სიყვარული...“ იქ-



ნებ გაგიკვირდეთ, როგორ შეიძლება სიყვარული სიკვდილი იყოს, მაგრამ მას თავისი გამართლება აქვს: „დროა დრო რომ ძილში შევხვებით ხოლმე, ეს მათი სულები გვეხვევიან მძინარე სხეულზე“. — ამბობს იგი ჩვენგან წასულებზე.

ნინო ნადირაძე იშვიათად იყენებს მეტაფორებს, ის ლექსებს უფრო განსჯაზე, საკუთარ დაკვირვებებსა და დიდ ემოციებზე აგებს. მის ლექსებში ცალკეულ ფრაზებს თითქმის ვერც გამოარჩევ, მისი ლექსი მთლიანობაშია მეტაფორა. აი, ამის მაგალითიც: „სამყაროს ხმა ალბათ ისაა, / დიდი წვიმების შემდეგ რომ სიჩუმეა / და მეცოტავება“... და მაინც წაანყდები ასეთ ფრაზებს: „მზე თითქოს ბალახს კეფას ახლიდეს“; ან — „ხის ჩრდილებში მოხალული ზაფხულის ხვატი“; ან — „ჩვენმა ხეებმა გაფოთლილი ტყე გამოისხა“.

ნინო ხშირად უბრუნდება სიტყვა „სიტყვას“, როგორც ყველაფრის საწყისს, აფერადებს აზრებს, სტრიქონებს სიბრძნით ავსებს და ეს მე გულწრფელად მომწონს. მას აწუხებენ სიტყვები, რომლებიც არასდროს უთქვამს, ლექსები, რომლებმაც სიზმარში მოაკითხეს და ვერ დაიმახსოვრა... ამბობს, რომ თვითონაც არ იცის, რატომ წერს ლექსებს და ურჩევნია, მის ადგილას სხვა ყოფილიყო, „უფრო სხვა და უფრო ნაპოვნი“... მერე ამ კითხვებს თვითონვე პასუხობს: „გასაჭირში რომ ჩავარდები, / ან ვინმე შენთან მოგიკვდება, ანდა ვინმე მიგატოვებს შუა ბლიკზე, / მოვლენ და ყველა ტკივილისგან გამოგიხსნიან“. და სწორედ აქ არის ყველაზე მართალი პოეტი, ლექსი ხსნაა, სულის გათავისუფლება, აღსარება, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ.

ჩემი საუბარი რამდენიმე ფრაზით უნდა დავასრულო. ნინო უდავოდ პოეტია და თან საინტერესო, გამორჩეული აზროვნებით, ღრმა ემოციურობით, უნარით, თავისი განცდის თანაზიარი გახადოს მკითხველი, ზერელეს და ზედაპირულს მის პოეზიაში ვერ შეხვდებით... და მიუხედავად ყველაფრისა, ის ჩემი პოეტი არ არის და ეს მხოლოდ ერთადერთი ნაკლის გამო, მას სმენა ლალატობს. მე არასოდეს მითქვამს, რომ ურითომ ლექსებს ვერ ვიტან, რადგან ეს ასე არ არის. მაგრამ, ჩემი აზრით, რიტმის გრძნობა თუ არა, ბგერის შეგრძნება მაინც უნდა ჰქონდეს პოეტს... ბგერათშეთანხმება დამატებით ინფორმაციას გვანდის განწყობაზე, პოეტის დამოკიდებულებაზე სამყაროს მიმართ, მის ენერგეტიკაზე, ტემპერამენტზე... დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს გულწრფელად და კეთილად ნათქვამს ნინო ასევე გამიგებს.

და აქვე მინდა სწორედ ამ ნიმუში ერთი ლექსი გამოვარჩიო ამ კრებულიდან. ეს გახლავთ ლექსი სათაურით „ავტოკადრი“. ამ ლექსში გამჟღავნდა ყველაზე უკეთ პოეტის სამყარო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ლექსში მან აჯობა ტკივილს, არამედ იმიტომაც, რომ ლექსის მეორე მონაკვეთში დათბა, შიშინა ოხშივარით დაიფარა ის ოთახი თუ სამყარო, სადაც თვალს ვიფშვნეტო და ვიშმუშნებით ძილბურანში იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით ვილაც არის და ეს ვილაც სიყვარულია. ლექსი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მხოლოდ საფინალო სტრიქონებს შემოგთავაზებთ და მიხვდებით, რისი თქმაც მსურს:

მაგრამ ვერაფრით მოვახერხეთ, რომ არასოდეს შემოგვაკლდეს სიყვარული, რომ არასოდეს შემოგვაკლდეს სიყვარული, რომ არასოდეს სიყვარული... რომ არასოდეს..

ნეტარ არიან მორწმუნენი... მაგრამ თუ ვინამებო, სიყვარული მარადიულად ჩვენთან იქნება.

ნანა კუცია

ფატალურ-საკრალური სივრცე

(ნიმუ ნადირაძის ცვილის ქვეყანა)

„ინტელექტის“ კიდევ ერთი საგულისხმო კრებულის ნინო ნადირაძის „ჩემო ცვილის ქვეყანა“. კამერულობის ნიშნით აღიბეჭდება პოეტური ნიგნის ფორმატიც, სათაურიც, ვიზუალიც — გაიშვიათებულ-დაძვირებული კამერულობის, გემოვნების, დახვეწილობის. თითოეული ლექსი განდობაა, საკრალურში მკითხველის შეზიარება. ღრმა ტკივილის დამმარხველ ლაკონიურ ლექსებში ირეკლება ავტორი — ფიქრიანი, დარდიანი პატარა გოგო დიდი სატკივარ-საფიქრალით.

ფაქსიმილური ზედწარწერაც კამერულია — კომპიუტერულ გრაფიკას ხელნაწერი ჩანაცვლებია, ისიც — გაიშვიათებულ-დაძვირებული, მონატრებული. ხელნაწერი ბარათებით ანებივრებდეს თითქოს მაღლიერ მკითხველს პოეტი, ლექს-აღსარებათაგან ერთ-ერთში რომ დასცდება, „რომ შემძლე-ბოდა, ჩემი ლექსების არც ერთ ნიგნს არ გამოვცემდი“.

კრებულის ცენტრალური ლექსი, საერთო სათაურის განმსაზღვრელიც, ილიას ქრესტომათიულ ტექსტის რემინისცენციაა. ყოველთვის სარისკოა ქრესტომათიული ტექსტის შეხმინება, მით უფრო, თუ ტექსტი გრძობათაგან ყველაზე საკრალურსა და კამერულს იმარხავს — „სამშობლოს განცდას გასაკვირველს“.

ქრესტომათიულ კონსტრუქციაში დეფინიცია „კარგს“ „ცვილისა“ ჩაენაცვლება, რეალიზმის ეპოქალურ სიმყარეს — პოსტმოდერნიზმის ხანის სიმყიფე და მოწყვლადობა.

მრავალშროვანი პარადიგმაა ცვილი. გრიგოლ რობაქიძის სახისმეტყველებით, მისტერიის გვირგვინია — მინის, ყვავილის, ცვრის, ნექტრის იდუმალი სინთეზის დაგვირგვინება, მინიერად ემანირებული ზეციერის ხატი, საუფლო სანთლის მაღალი „მატერია“.

მეორე მხრივ, განგაშის ნოტიც კრთება საკრალურ დეფინიციაში — ცვილი დრეკადია, ნებისმიერ ფორმას იღებს. ცვილის ქვეყანაც იოლად საძერწ მასალად არ ექცეოთ სინდინდა ავად დაღირებულთო, თითქოს ტრაგიკულს კონსტატორებდეს პოეტი. უნებლიე პარალელი ჯოსიანანადან — სტივენ დედალოსი იტყვის ჭირისუფლის მკვახე სარკაზმით: ორ ენაზე ვმეტყველებ (გულისხმობს ირლანდიის პოლიტიკურად დამონებული ინგლისისა და სარწმუნოებრივად დამორჩილებელი რომის ეკლესიის ლინგვა-ფრანკას), მესამე ენა კი იმისი იქნება, ვისაც დროებით სამუშაოზე დაეჭირებო.

უარესი ასოციაციაა ჩნდება — მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა გალერეისა, ბესიკ ხარანაულის შემზარავად ზუსტი კონსტრუქციით — „ფატაგადაფარებული მკვდრებივით მოციმციმე“ სხეულებისა...

რომელია ნინო ნადირაძისული ცვილი — საღმრთო სანთლის ნედლი, სურნელოვანი მასალა; იოლად საძერწი, უნიათო, უხერხემლო, დონდლო ეროვნული სხეულის მატერია თუ... ტიუსოს ცვილი?!

ქრესტომათიულ ტექსტთა ასოციაციებით ნაქსოვ პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ქსოვილში ლექსისა ხან სახარების, ხან ილიას, ხან დუტუ მეგრელის ციტატები გაილანდება, ხანაც 25-ე კადრით გასხლტება შუქის ჩამნაცვლებელი ლამფა-გენერატორების მკვდრული სინათლე. „ბოხჩაში გამოკრული საგზალივით შემოღეული“ ქვეყნის „ახალუხლები“ დეკლარირებენ:

ჩვენ პატარა ქართველები ვართ და განცხრომით სხვაგან ყოფნას აქ სიკვდილი არ გვირჩევნია.

„პატარა ქართველები“ აქ ორმაგი მნიშვნელობით ამოიკითხება, ასაკობრივზე მეტად, ზნეობრივი სიკინნა აქცენტრირებული სინტაგმაში.

ჭკვიანი, ზნეობრივი პოეტი პროვიდენციალია, ქართველ მემატანეთა დარად, და პროვიდენციულია ლოგიკური დასკვნა-ფინალიც:

„სახელითა უფლისაჲთა მოგვეზღო ჩვენ“.

ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ, იოლად საძერწი, არა „ხელის-ხელ საგომანები“, არამედ ხელიდან ხელში გადასაცემი, სხვათა ყალიბებს იოლად მორგებული, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა“ დამვიწყებელი.

ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ, გმირებიც გასანთლული ფიგურებივით მიყვარეთ მეხსიერების მადამ ტიუსოსულ მუზეუმებში, დავივინყეთ, რომ გმირობის „დრო ყოველთვისაა, ოღონდ გმირები აღარ არიან ყოველთვისა“ (ოთარ ჩხეიძე).

და მაინც — ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ, სანთელივით დაღვენთილი უფლის ხატთა წინაშე, უფლისავე სადიდებლად. ცვილი სანთლის ტანია („სახე ყოვლისა ტანისა“).

„დათა თუთაშხიადან“ მოგვაგონდება შემძვრელი პასაჟი: „ბოლომდის დამწვარი სანთელი თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებასაც გვაგონებს, რაც დაღვენთვამდის წყვდიადის შემანგრეველი ძალა იყო“...

ნინო ნადირაძე პოეტიცა და ამ საზღვრულს არ სჭირდება მსაზღვრელად „კარგი“, „ნიჭიერი“... რადგან „ცვილის ქვეყანაში“ უკვე უთქვამს პოეტთაგან ერთ გამორჩეულს, „რალაც უცნაურ ერთობას ვხედავ სანთელს და ჩემ შუაო“...

„ჩემო ცვილის ქვეყანა“ ქრესტომათიული ტექსტის უაღრესად წარმატებული პოსტმოდერნისტული წაკითხვაა. ნინო ნადირაძემ კიდევ ერთხელ მიმართა ქართველი მკითხველის მზერა „თავისი კარგი / ცვილის ქვეყნის“ ფატალურ-საკრალური სულიერი სივრცისაკენ...

პოეტურ სივრცეში ყოველ ხელოვანს საკუთარი სუნთქვა, მზერის საკუთარი რაკურსი შემოაქვს. ნინო ნადირაძე თითქოს არც ეძებს ახალ რიტმს — მისთვის რიტმი ტრადიციული, ბუნებრივია — ფსალმუნთა ძველქართული თარგმანების თარგისა. არ ეძებს რითმას, რადგან ფორმაზე მნიშვნელოვნად ლექსის მეტაფიზიკური სხეული, „შინა (და არა „გარე“-არსი“ ალუქვამს.

ამ პოზიასთან შეხვედრისას მკითხველს უჩნდება განცდა ბარათაშვილისეულ „მყუდროების სადღურში“ მოვანებისა, „სადღურში“, სადაც ქართული ეროვნული სატკივარი ზოგადადამიანურ ეგზისტენციურ ვარამს ეწვინის.

პოეტი არ ავარაყებს ვარამს, მხოლოდ „მაჯაშისა შემტყვებარია“, თავისი ცვილის ქვეყნის გულისცემას აყურადებს დარდიანი, ფიქრიანი...

სუსტი, მოწყვლადი ჩქამის გაგონებისას ბედნიერია. ასაკით პატარა ქართველს „კეთილი მოხუცებულები გონებისა“ მიჰმადლებია ვარამის სასმენად და შესასმენად. თან ძალიან ცოდოა და თან — ძალიან ბედნიერი... ბედნიერია „ცვილის ქვეყანაც“ — იქნებ „მათ, ახალთ, ალუდგინონ [მას] დიდების დღენია“ — მონატრებული, დავინწყებული დიდების დღენი...

ვიცნობდით საამაყო თანამემამულეებს

ზურა კაკუშაძე

ბრანის სამყარო

მამის წყალობით ზურა კაკუშაძე ფიზიკას ადრე გაეცნო და 6 წლისამ დაიწყო მისი შესწავლა. მოიგო პრიზები ფიზიკისა და მათემატიკის ოლიმპიადებზე. მნიშვნელოვანი იყო პირველი ადგილი ფიზიკაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის 1988 წელს, როცა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა. იმ წელს დაამთავრა კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა 15 წლისამ და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე, და იმავე წელს მოიგო პირველი ადგილი თეორიულ ფიზიკაში საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ოლიმპიადებზე.

პირველი სამეცნიერო შრომა დაწერა 13 წლისამ. 1991 წლისთვის უკვე ჰქონდა 3 პუბლიკაცია და იმ წელს ამერიკის შეერთებული შტატების კორნელის უნივერსიტეტში შესთავაზა, რომ ყოველგვარი ბაკალავრის და სხვა დიპლომის და გამოცდების გარეშე, დაეწყო იქ ასპირანტურაში სწავლა თეორიულ ფიზიკაში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე. 18 წლის ზურა მოხვდა კორნელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1996 წელს, და 1996-99 წლებში გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა ჰარვარდისა და ნორთისტერნის უნივერსიტეტებში. იმხანად გამოაქვეყნა ბევრი სამეცნიერო შრომა, რომელთაგანაც რამდენიმე აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი გარღვევა თეორიულ ფიზიკაში. მათ შორისაა ბრანის სამყარო (Brane World) როგორც ბუნების აღწერის შესაძლო სცენარი — თვით ტერმინი „Brane World“ შეიქმნა ზურას და მისი კოლაბორატორის ჰენრი ტანის მიერ და გამოყენებულია 1998 წლის ამ სახელწოდების ნაშრომში. 26 წლის ზურა გახდა სტონი ბრუკის უნივერსიტეტის სი-ენ იანგის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორი.

ზურას კარიერა ფიზიკაში ძალიან წარმატებული იყო, მაგრამ გარკვეული ვარაუდის შედეგად გადაწყვიტა, რომ სჭირდებოდა ჰორიზონტების გაფართოება.

2001 წელს დაიწყო რაოდენობრივი ფინანსების შესწავლა და კონსულტანტად მუშაობა საინვესტიციო ფირმა ATD-ში. სულ მალე შესთავაზეს პოზიცია ნიუ იორკის RBC Capital Markets Corporation-ში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინვესტიციო ბანკია, სადაც იმუშავა 2007 წლამდე და იყო დირექტორი. 2007 წელს შესთავაზეს გენერალური დირექტორის პოზიცია WorldQuant LLC- ში, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი რაოდენობრივი საინვესტიციო ფონდია, სადაც იმუშავა 2008 წლამდე. 2008 წლის დასაწყისში, მას მერე რაც შეიძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება და ცოდნა რაოდენობრივი ფინანსების დარგში, ბიზნესის და სხვა მიმდებარე ასპექტებში, ზურამ საკუთარი ბიზნესები წამოიწყო. 2008-9 წლებში მისი საკონსულტაციო ფირმა Phynance Consulting LLC უზრუნველყოფდა გლობალურ რაოდენობრივ ფუნქციებს Revere Data LLC- ში, სადაც ზურა დაინიშნა აღმასრულებელ ვიცე პრეზიდენტად და იყო მნიშვნელოვანი თანამშრომელი. ამჟამად არის პრეზიდენტი და თანამშრომელი Vynance® Technologies LLC d/b/a Quantigic® Solutions LLC- ში, სადაც დამუშავდა მათი საკუთარი მრავალ-ფაქტორული რისკის მოდელი, ოპტიმიზატორი და სხვა რაოდენობრივი პროდუქტები და მომსახურება. 2013 წლიდან ზურა ასევე არის მინველი პროფესორი კონექტიკუტის უნივერსიტეტში.

ზურა იყო ივანე ჯავახიშვილის და დირაკის სახელობის სტიპენდიანტი. გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი შრომა თეორიულ ფიზიკასა და რაოდენობრივ ფინანსებში. მიწვეულ მენეჯერად იყო CER-ში (ბირთვის კვლევის ევროპულ ცენტრში, ჟენევაში), ევროკო ფერმის ინსტიტუტში და რათგერის უნივერსიტეტში. გაკეთებული აქვს 70-ზე მეტი მოხსენება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, კვლევით ცენტრებში, კონფერენციებზე... ნაკითხული აქვს ლექციები სიმების თეორიაში, ბრანის სამყაროზე და რაოდენობრივ ფინანსებში, სადაც გამოიგონა ახლებური კურსი Phynance, რომელიც ფინანსური წარმოებულების შეფასება ხდება ფუნქციონალური ინტეგრალის გამოყენებით. მიღებული აქვს ძალიან პრესტიჟული აღფრედ პ. სლოუნის ფონდის სტიპენდია (Alfred P. Sloan Fellowship). ზურას ინტერესები ფიზიკის და ფინანსებით არ შეიზღუდება. მოვლელი აქვს უამრავი ქვეყანა, კლასიკური მუსიკის, ოპერისა და ბალეტის დიდი მოყვარულია.

ცხოვრების უმეტესი ნაწილი აშშ-ში აქვს გატარებული და წარმატებათა უმრავლესობაც იქვე აქვს მიღწეული, მაგრამ მშობლიური საქართველო არ დავიწყებია და მზად არის გაგვიზიაროს მისი მდიდარი გამოცდილება მეცნიერებაში, განათლებაში, რაოდენობრივ ფინანსებას და სხვა დარგებში.

გთავაზობთ თვით ტერმინის „ბრანის სამყარო“ თანაგამომგონებლის ზურა კაკუშაძის მიერ პოპულარული ენით გადმოცემულ წერილს იმავე სახელწოდებით, რათა გავეცნოთ თანამედროვე ფიზიკის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებას, რომელიც წვლილი მიუძღვის ჩვენ თანამემამულეებს — გიგა გაბადაძეს, მერაბ გოგბერაშვილს, გია დვალს, ზურა კაკუშაძეს და სხვა.

ალექსანდრა კვინიხიძე

ბუნებისადმი ადამიანთა ცნობისმოყვარეობა უხსოვარი დროიდან მოდის. წვიმის წვეთები რატომ ეცემიან? ცეცხლი რატომ იწვის? ცა რატომაა ცისფერი? ასეთ კითხვებზე პასუხის სურვილმა განაპირობა უფრო და უფრო ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის გაცემის საჭიროება, რაც თანდათანობით გადაიზარდა ფიზიკაში. ფიზიკა არის მეცნიერება, რომელიც უღრმეს დონეზე განიხილავს იმ ფუნდამენტურ კანონებს, რომლებიც ბუნებას განაგებენ. თეორიული ფიზიკა ბუნების ფუნდამენტურ კანონთა ზუსტი ფორმულირების და ახსნისთვის მათემატიკის ენას იყენებს, და ზოგჯერ დაკვირვებადი მოვლენების წინასწარმეტყველებისთვის. ექსპერიმენტული ფიზიკა ახალი მოვლენების აღმოსაჩენად და თეორიულ წინასწარმეტყველებათა დასადასტურებლად (ან ზოგჯერ მათ უარსაყოფად) ავითარებს ხელსაწყოებს და ტექნოლოგიებს.

ამჟამად თეორიული ფიზიკა არსებითად უსწრებს მის ექსპერიმენტულ ორეულს — ადამიანის გონებრივი წარმოსახვა ჩვენ ტექნოლოგიურ, უფრო ფუნდამენტური ქვემდებარე სტრუქტურების აღმოჩენის უნარზე ბევრად უფრო შორსაა გასული. ამ თვალსაზრისით, უმეტესი განვითარებანი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მეტნაკლებად გონებატვირთი, რადგან ისინი ექსპერიმენტულად არც დადასტურებულია და არც გამორიცხული. ამისდა მიუხედავად, ამ ახლებური თეორიებიდან ბევრი წარმტყვი და მომხიბვლელი, და მათი ექსპერიმენტული დადასტურების იმედის მომცემი (ან გამომრიცხავი) შესაძლოა ახლო მომავალშიც კი. ამ წერილში ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი ამ განვითარების მიმოხილვას ხელმისაწვდომ ენაზე, რთული მათემატიკური აპარატის ყოველგვარი გამოყენების გარეშე, თუმცა მას ფიზიკოსები ჩვეულებრივ იყენებენ ამგვარი საკითხის განსახილველად.

დავინწყით ამჟამად მიღებული პარადიგმით, ეგრეთწოდებულ ელემენტარულ ნაწილაკთა სტანდარტული მოდელით. ამ ექსპერიმენტულად დადასტურებული თეორიის ფარგლებში, ყველაფერი რასაც ვხედავთ (ისევე როგორც ბევრი რამ, რასაც ვერ ვხედავთ) ჩვენ გარშემო აგებულია ნერტილოვანი ნაწილაკებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მთელი მატერიის ფუნდამენტურ საშენ მასალას. მაგალითად, წყალი შედგება წყლის მოლეკულებისაგან, წყლის მოლეკულა კი შედგება ორი წყალბადისა და ერთი ჟანგბადის ატომისაგან. თვით ატომებიც არ წარმოადგენენ ყველაზე ფუნდამენტურ საშენ მასალას. ატომი შედგება ელექტრონებისაგან, რომლებიც “ბრუნდებიან” ბირთვის გარშემო. სტანდარტული მოდელის ფარგლებში ელექტრონი ფუნდამენტური ნერტილოვანი ნაწილაკია და ეკუთვნის ასეთ ობიექტთა უფრო ფართო ჯგუფს, ეგრეთწოდებულ ლეპტონებს. მეორე მხრივ, ბირთვებს თავისი სტრუქტურა გააჩნიათ; შედგებიან პროტონებისა და ნეიტრონებისაგან, რომლებიც ეკუთვნიან ასეთ ობიექტთა უფრო ფართო ჯგუფს, ეგრეთწოდებულ ბარიონებს, რომლებიც თვით შედგებიან ფუნდამენტური ნერტილოვანი ნაწილაკებისაგან, ეგრეთწოდებული კვარკებისაგან.

კვარკები და ლეპტონები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ ბუნების ოთხი ცნობილი ძალის მეშვეობით. ყველანაირი მატერია ურთიერთქმედებს გრავიტაციული ძალით, რომელსაც ჩვენ ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ. დანარჩენი სამი ძალა შემდეგნაირად მუშაობს. ელექტრონებს და ასევე ზოგიერთ (მაგრამ არა ყველა — იხ. ქვევით) ლეპტონს და ყველა კვარკს გააჩნია ელექტრული მუხტი. ყველა ელექტრულად დამუხტული ნაწილაკი ერთმანეთთან ურთიერთქმედებს ელექტრომაგნიტური ძალით (ნაწილაკები ერთნაირნიშნის მუხტებით ერთმანეთს განიზიდავენ, და საწინააღმდეგო ნიშნის მუხტებით ერთმანეთს მიიზიდავენ). ეს ურთიერთქმედება ხდება ელექტრულად დამუხტული ნაწილაკების მიერ ეგრეთწოდებული ფოტონების გაცვლით, ფოტონები წარმოადგენენ წერტილოვან ნაწილაკებს და განაპირობებენ ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედების გადაცემას. ფოტონები ელექტრულად ნეიტრალურებია, მეტიც, არ გააჩნიათ არანაირი სხვა მუხტი. ვაკუუმში ვრცელდებიან სინათლის სიჩქარით (რადგან უმასობები არიან). ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება შორს-მოქმედი ძალაა (თავს ავლენს ჩვეულებრივი მანძილების შკალეზე, და არა მარტო სუბატომურ მანძილებზე). სინამდვილეში სინათლე, რომელიც კარგად გვეცნობა, ფოტონთა კრებულაა. ასე რომ, ფოტონები წარმოადგენენ ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედების კვანტებს (ანუ საშენ მასალას). და მართლაც, ყველა ოთხ ურთიერთქმედებას ახასიათებს ასეთი წერტილოვანი კვანტები.

როგორც უკვე ვახსენეთ, ზოგი ლეპტონი ელექტრულად ნეიტრალურია. მათ ნეიტრინოებს უწოდებენ. ისინი ელექტრონებთან (და ერთმანეთთან) არ ურთიერთქმედებენ ელექტრომაგნიტური ძალით, მაგრამ ნეიტრინოს ერთი სახეობა (ეგრეთწოდებული მარცხენა კირალობის ნეიტრინოები; თანამედროვე განსჯით, ასევე ალბათ არსებობენ ეგრეთწოდებული მარჯვენა კირალობის ნეიტრინოები, რომლებიც ურთიერთქმედებენ სხვა მატერიასთან მხოლოდ გრავიტაციული ძალით) ერთმანეთსა და ზოგ სხვა ლეპტონთან ურთიერთქმედებენ ეგრეთწოდებული სუსტი ძალით. სუსტი ურთიერთქმედების კვანტებს უწოდებენ χ - და χ -ბოზონებს. ისინი ფოტონებისგან ორი მნიშვნელოვანი თვისებით განსხვავდებიან. უპირველეს ყოვლისა, χ - და χ -ბოზონებს გააჩნიათ მასა, რის შედეგადაც გადასცემენ სუსტ ურთიერთქმედებას მოკლე, სუბატომურ მანძილებზე (და ამის გამო სუსტი ურთიერთქმედების დამზერა საგრძნობლად უფრო რთულია ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებასთან შედარებით). მეორეც, სინამდვილეში არსებობს ორი χ -ბოზონი საწინააღმდეგო ელექტრული მუხტით. მათ ასევე გააჩნიათ საწინააღმდეგო ნიშნის ეგრეთწოდებული სუსტი იზოსპინი, რომელიც სუსტი ურთიერთქმედებისთვის თამაშობს ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებაში ელექტრული მუხტის ანალოგიურ როლს. მეორე მხრივ, არსებობს მხოლოდ ერთი χ -ბოზონი, რომელსაც არც ელექტრული და არც იზოსპინის მუხტი არ გააჩნია. ამ მხრივ χ -ბოზონი ნაგავს ფოტონს, მაგრამ ფოტონისგან განსხვავებით χ -ბოზონს მასა აქვს.

ყველა კვარკი ელექტრულად დამუხტულია (სინამდვილეში მათ გააჩნიათ ელექტრული მუხტები, რომლებიც ელექტრონის მუხტის $1/3$ -ის ჯერადია) და ელექტრომაგნიტურად ურთიერთქმედებენ. ისინი ერთმანეთთან ასევე სუსტი ძალით ურთიერთქმედებენ. მაგრამ, ლეპტონებისგან განსხვავებით, კვარკები ასევე ურთიერთქმედებენ სხვა ძალით, რომელსაც ძლიერი ურთიერთქმედება ეწოდება. მათ გააჩნიათ სხვა სახეობის მუხტი, ეგრეთწოდებული ფერი (ეს უბრალოდ თავისებური სახელია, და არანაირი კავშირი არა აქვს იმ ფერთან, რომელსაც ვიცნობთ ყოველდღიურ ცხოვრებაში). არსებობს სამი სხვადასხვა ფერი. ძლიერი ურთიერთქმედება გადაიცემა შესაბამისი კვანტების გაცვლით, რომელთაც გლუონები ეწოდებათ. არსებობს რვა სხვადასხვა გლუონი, მონიშნული ფერების სხვადასხვა კომბინაციით. ფერი ძლიერ ურთიერთქმედებაში

თამაშობს როლს ანალოგიურს სუსტი იზოსპინისა სუსტ ურთიერთქმედებაში. ამ მხრივ გლუონები ნაგავს χ - და χ -ბოზონებს. მაგრამ, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, და უფრო ფოტონებზე, გლუონები უმასოა. პირველადი შესაძლო დასკვნა იქნებოდა, რომ ძლიერი ურთიერთქმედება უნდა იყოს შორს-მოქმედი ძალა. მაგრამ ძლიერი ურთიერთქმედება დაახლოებით ორი რიგით უფრო ძლიერია (აქედან გამომდინარეა სახელიც) ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებაზე, რის შედეგადაც ჩვეულებრივ პირობებში კვარკები და გლუონები შეპოჭილი არიან ბირთვის შიგნით (თუმცა გარკვეულ განსაკუთრებულ პირობებში შესაძლებელია კვარკ-გლუონური პლაზმის მიღება, როდესაც კვარკები და გლუონები აღარ ქმნიან ბირთვებს). უნდა ვახსენოთ, რომ ლეპტონებს არ გააჩნიათ ფერის მუხტი და გლუონებს არ გააჩნიათ ელექტრული ან სუსტი მუხტები, ასე რომ, ლეპტონები და გლუონები ერთმანეთს ესაუბრებიან მხოლოდ გრავიტაციული ურთიერთქმედებით. მეორე მხრივ, კვარკები და ლეპტონები ურთიერთქმედებენ ელექტრომაგნიტური და სუსტი ძალით.

ის ფაქტი, რომ ფოტონები (ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედების კვანტები) და გლუონები (ძლიერი ურთიერთქმედების კვანტები) უმასოა, როდესაც χ - და χ -ბოზონებს გააჩნიათ მასა, შესაძლოა ცოტა უცნაურად მოგეჩვენოს. სინამდვილეში ელექტრომაგნიტური და სუსტი ურთიერთქმედებანი წარმოადგენენ ქვემდებარე გაერთიანებული ელექტროსუსტი ურთიერთქმედების გამოვლენებს, რომელსაც უმასო კვანტები გააჩნია. ელექტროსუსტი ურთიერთქმედება დარღვეულია ელექტრომაგნიტურ და სუსტ ურთიერთქმედებამდე რადგან χ - და χ -ბოზონები ურთიერთქმედებულ ჰიგზის ბოზონთან, რომელიც კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაწილაკია, და ფოტონი მასთან არ ურთიერთქმედებს. ზემოხსენებული ურთიერთქმედება ანიჭებს χ - და χ -ბოზონებს მასებს, და ფოტონი კი უმასო რჩება. ეს ეგრეთწოდებული ელექტროსუსტი სიმეტრიის სპონტანური დარღვევაა. სრული ელექტროსუსტი სიმეტრია სინამდვილეში აღდგება მაღალ ენერჯიებზე, როცა შეიძლება მათი განხილვა როგორც ეფექტურად უმასოების).

ის, რომ ელექტრომაგნიტური და სუსტი ურთიერთქმედებანი გაერთიანებულია ელექტროსუსტ ურთიერთქმედებაში, გვთავაზობს დიადი გაერთიანების იდეას, რომელიც ბუნების დარჩენილი სამი ძალის, ე.ი. ელექტროსუსტი, ძლიერ და გრავიტაციულ ურთიერთქმედებათა, გაერთიანებას ცდილობს. ეს კი სტანდარტულ მოდელს სცდება, რომელიც ექსპერიმენტულად დადასტურებულია. კერძოდ, ენერჯიები რომლებიც საჭიროა დიადი გაერთიანების მოდელთა დასადასტურებლად გაცილებით აჭარბებს არსებულ კოლაიდერთა შესაძლებლობებს (კოლაიდერები უზარმაზარი ექსპერიმენტული ხელსაწყოებია რომლებშიც ფუნდამენტური ნაწილაკების თვისებებს იკვლევენ). ამიტომ ქვემდებარე განხილვა დაფუძნებულია ჯერ არც დადასტურებულ და არც გამორიცხულ თეორიულ იდეებზე, მაშასადამე არსებითად გონებაჭყრეტიითა.

დიადი გაერთიანების იდეა ძალიან მიმზიდველი და წარმტაცია, დიადი გაერთიანების სხვადასხვა მოდელი არსებობს. თუმცა ასეთ მოდელირებაში არსებობს გარკვეული არატრივიალური საკითხები, აქ განვიხილავთ მის ძირითად კონცეპტუალურ ასპექტებს.

ელექტროსუსტ და ძლიერ ურთიერთქმედებათა გაერთიანება შედარებით ადვილად ხორციელდება. ვახსენოთ, რომ ოთხი ელექტროსუსტი და რვა ძლიერი კვანტია. უმარტივეს სცენარში დიადი გაერთიანების ურთიერთქმედებას გააჩნია 24 უმასო კვანტი, 12 რჩება უმასო შესაბამისი სიმეტრიის სპონტანური დარღვევის შემდგომ (ესენია ელექტროსუსტ და ძლიერ ურთიერთქმედებათა თორმეტი კვანტი), და დანარჩენი 12 (ეგრეთწოდებული X- და -ბოზონები) მასიურები ხდებიან შესაბამის ჰიგზის ბოზონებთან ურთიერთქმედების შედეგად. ამ მძი-

მე 12 კვანტის მასები ისეთი დიდია, რომ მათი აღმოჩენა არსებულ კოლაიდერთა ექსპერიმენტებში შეუძლებელია. დიადი გაერთიანების ასეთი მოდელი ამცირებენ ფუნდამენტურ ურთიერთქმედებათა რაოდენობას ორამდე — დიადი გაერთიანების ურთიერთქმედება და გრავიტაციული ურთიერთქმედება. ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა მათი შემდგომი გაერთიანება ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ურთიერთქმედებად?

აქ დიდი კონცეპტუალური პრობლემა შემოდის. გრავიტაციული ურთიერთქმედება სინამდვილეში მკვეთრად განსხვავდება ელექტრომაგნიტურ, სუსტ და ძლიერ ურთიერთქმედებათაგან. ის (უმეტესად მიღებულია განსჯით) გადაიცემა შესაბამისი კვანტებით, ეგრეთწოდებულ გრავიტონებით, რომლებიც ვრცელდებიან სინათლის სიჩქარით (ანუ გრავიტონები უმასოა). ამ მხრივ გრავიტონები ნააგავენ სხვა ურთიერთქმედებათა კვანტებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თვისებით, რასაც შემოაქვს სპინის კონცეპცია.

სპინი ელემენტარულ ნაწილაკთა ფუნდამენტური თვისებაა (ელემენტარული ნაწილაკის საკუთარი იმპულსის მომენტი). ის ინახება ურთიერთქმედებებში. ელემენტარულ ნაწილაკთა ნორმალური ზაციაში სპინი ყოველთვის 1/2-ის ჯერადია. ასე, კვარკებს და ლეპტონებს გააჩნიათ სპინი 1/2; ფოტონებს, μ - და e -ბოზონებს და გლუონებს კი გააჩნიათ სპინი 1. ჰიგზის ბოზონს გააჩნია სპინი 0. მასსადაამე, სპინი არ აბრკოლებს ელექტრომაგნიტურ, სუსტ და ძლიერ ურთიერთქმედებათა გაერთიანებას ერთ ურთიერთქმედებაში, რადგან ყველა შესაბამისი კვანტს გააჩნია სპინი 1. მეორე მხრივ, ასეთი გზით ჰიგზის ბოზონთა გაერთიანება, მაგალითად, ფოტონებთან შეუძლებელია — მათ გააჩნიათ სხვადასხვა სპინი (სინამდვილეში, შესაძლებელია განსხვავებულ სპინთა ნაწილაკების გაერთიანება ეგრეთწოდებული სუპერსიმეტრიის მეშვეობით; მაგრამ მხოლოდ სუპერსიმეტრია არ კმარა ურთიერთქმედებათა გასაერთიანებლად). გრავიტონებს კი გააჩნიათ სპინი 2, და არა სპინი 1, რაც მათ მკვეთრად განასხვავებს სხვა ურთიერთქმედებათა კვანტებისაგან, და ეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს გრავიტაციის გაერთიანებას სხვა ურთიერთქმედებებთან.

ზემოხსენებული სირთულის დაძლევის ყოველი მცდელობა გრავიტაციულ და სხვა არსებულ ურთიერთქმედებათა გასაერთიანებლად წერტილოვანი ელემენტარული ნაწილაკების თეორიის ფარგლებში მარცხით დამთავრდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეგრეთწოდებული სიმების თეორია იძლევა ასეთი გაერთიანების საშუალებას. ამ მიდგომაში, ფუნდამენტური ობიექტები არა წერტილოვანი ნაწილაკები, არამედ სიმებია.

სიმთა თეორიაში წერტილოვანი ნაწილაკები არ წარმოადგენენ ფუნდამენტურ საშენ მასალას, და სხვადასხვა ელემენტარული ნაწილაკები წარმოადგენენ ერთი-და-იგივე ფუნდამენტური სიმის ვიბრაციის მოდებს. აქ შეგვიძლია გავავლოთ ანალოგია ყოველდღიურ სიმებთან. მაგალითად, განვიხილოთ გიტარის სიმი. მას გააჩნია ეგრეთ წოდებული ფუნდამენტური ტონი, რომელიც არის უმაღლესი ტალღის სიგრძის (ანუ უმაღლესი სიხშირის) ტონი, და ასევე უსასრულო რაოდენობის უფრო მოკლე ტალღის სიგრძის (ანუ უფრო მაღალი სიხშირის) ტონები, ეგრეთწოდებული ობერტონები. სხვადასხვა ელემენტარული ნაწილაკები ანალოგიურია გიტარის სიმის სხვადასხვა ტონებისა. სიმთა თეორია იმით არის შთაბეჭდავი რომ ერთი ფუნდამენტური სიმის ვიბრაციის მოდებს გააჩნიათ სხვადასხვა სპინები. თანაც, თანმიმდევრულ სიმის თეორიაში ყოველთვის არსებობს სპინ-2 უმასო მოდა ანუ გრავიტონი.

ამგვარად, გრავიტაციული ურთიერთქმედება ყოველთვის სიმთა თეორიის ნაწილია. უმეტესად მიღებული განსჯით, არსებობს ხუთი თანმიმდევრული სიმის თეორია, და ზოგიერთში მოიძებნება სპინ-1 ურთიერთქმედების კვანტები, რომლებიც საჭიროა დანარჩენი სამი არსებული ურთიერთქმედების აღსაწერად. ამგვარად, პრინციპში შეიძლება ითქვას რომ სიმთა თეორია შესაძლოა სწორი მიდგომა იყოს (რამდენად



ზურა კაკუშაძე

გასაკვირიც უნდა მოგეჩვენოთ) ყველა ცნობილი ურთიერთქმედების გასაერთიანებლად.

მაგრამ სიმთა თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან არც ისე ადვილია. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ყველა ცნობილი თანმიმდევრული სიმის თეორია ცხოვრობს 10 სივრცე-დროის განზომილებაში (9 სივრცის და 1 დროის განზომილებით). უფრო სწორად, ურთიერთქმედებანი სიმთა თეორიაში თანმიმდევრულია მხოლოდ 10 განზომილებაში, თუ ვივარაუდებთ, რომ ყველა განზომილება, რომელშიც სიმები ვრცელდებიან, უსასრულოა. ამ განზომილებების რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი ხერხია ვივარაუდოთ, რომ დამატებითი 6 განზომილება დახვეული ანუ კომპაქტიფიცირებულია, რაც ნიშნავს, რომ ეს დამატებითი განზომილებანი ძალზე პატარებია (მაგალითად, პატარა წრეწირებია) და მათი დაკვირვება შეუძლებელია თანამედროვე ექსპერიმენტული ხელსაწყობით.

ამ მიდგომაში ორი საკითხი ნამოიჭრება. უპირველეს ყოვლისა, სიმთა თეორიის ერთ-ერთი მტკიცე წინასწარმეტყველებაა, რომ არსებობს 4-ზე მეტი განზომილება. თუ ეს განზომილებები ისეთი პატარაა, რომ მათი დამზერა შესაძლებელიც არაა, მაშინ ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ წინასწარმეტყველების სარგებლიანობას (ან აფერხებს მაინც მის გამოყენებას განუჭვრეტლად შორეულ მომავლამდე) — წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ შეგვეძლოს ზუსტად 6 დამატებითი განზომილების აღმოჩენა, ეს ნამდვილად მიუთითებდა, რომ სიმთა თეორია, ალბათ, აღწერს ბუნებას. მეორე კი ის არის, რომ ამ დამატებითი განზომილებათა თანმიმდევრული კომპაქტიფიკაციის ხერხები იმდენად მრავალია (და სინამდვილეში მათი რაოდენობა უსასრულოა), რომ სიმთა თეორიიდან გამომდინარე 4-განზომილებიანი თეორიების რაოდენობა უამრავია, და მათი უმეტესობა ოდნავაც არ ნააგავს რეალურ სამყაროს. იმ ერთის პოვნა, თუკი არსებობს, რომელიც შეესაბამება რეალურ სამყაროს, მართლაც ურთულესი ამოცანაა. ამ მხრივ სიმთა თეორია ეტყობა არა უფრო წინასწარმეტყველია იმ წერტილოვან ნაწილაკთა თეორიასთან შედარებით, რომელსაც ის შეენაცვლება.

დამატებითი სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ მის ტრადიციულ ფორმულირებაში მაინც, იმისთვის რომ ნამდვილად შევამოწმოთ სიმთა თეორია ანუ დავაკვირდეთ სიმებს წერტილოვან ნაწილაკთა მაგივრად, საჭირო იქნებოდა ძალიან მოკლე მანძილებზე ჩასვლა (ანუ ძალიან მაღალ ენერგიებზე ასვლა), რომლებიც მიუწვდომელია თანამედროვე კოლაიდერებზე. ასე, თანამედროვე ხელმისაწვდომი ტექნოლოგიით სიმთა თეორიის შემოწმება მოითხოვდა ჩვენი გალაქტიკის ზომის კოლაიდერის აშენებას! რასაკვირველია, მოულოდნელი წინსვლა ტექნოლოგიაში გამოირიცხული არ არის, მაგრამ თუმცა ყველაფერი შესაძლოა, ძნელია ასეთი პერსპექ-

ცივით ადამიანი ენთუზიაზმით იყოს განწყობილი მისი ცხოვრების ხანგრძლივობის განმავლობაში.

მესამე მნიშვნელოვანი სირთულე სიმთა თეორიაში არის ის, რომ ყველა ცნობილი სრულიად თანმიმდევრული სიმის თეორია სუპერსიმეტრიულია. სუპერსიმეტრია არის სიმეტრია ნახევარმთელი და მთელი სპინის ნაწილაკებს შორის. სუპერსიმეტრიულ თეორიებს ახასიათებს თვისება, რომ ყოველი ნახევარმთელი სპინის ნაწილაკისთვის მოიძებნება სხვაგვარი იგივეური ნაწილაკი მთელი სპინით. სამყარო ჩვენს გარშემო არ არის სუპერსიმეტრიული. უფრო სწორად, სუპერსიმეტრიას არ ვხვდებით ბუნებაში. ეს მაინცდამაინც არ ნიშნავს, რომ სუპერსიმეტრია შეუფერებელია რეალურ სამყაროში — შესაძლოა სუპერსიმეტრია დარღვეულია მსგავსად ელექტროსუსტი ურთიერთქმედების დარღვევისა ელექტრომაგნიტურ და სუსტ ურთიერთქმედებებამდე. სინამდვილეში, სუპერსიმეტრიის დარღვევა შესაძლებელია ნერტილოვანი ნაწილაკების კონტექსტში. უფრო ძნელია თანმიმდევრულ სიმთა თეორიების აგება დარღვეული სუპერსიმეტრიით. მართლაც, რეალურ სამყაროსთან კავშირის დამყარების მცდელობებში, როგორც ჩანს, სუპერსიმეტრიის დარღვევა ყოველთვის განიხილება სიმთა თეორიიდან მიღებული 4-განზომილებიანი ნერტილოვანი ნაწილაკთა თეორიის დონეზე, და არა უფრო ფუნდამენტურ სიმის თეორიის დონეზე. ესეც ამცირებს სიმთა თეორიის წინასწარმეტყველიანობას.

როგორც უკვე ვახსენეთ, არსებობს ხუთი ცნობილი თანმიმდევრული სიმის თეორია 10 განზომილებაში, და მრავალი გზა მათგან 4-განზომილებიანი თეორიის მიღებისა. იქნებ ზემოხსენებული სირთულენი დაკავშირებულია სიმის თეორიათა ამ სანაყის სიმრავლესთან? სხვა სიტყვებით, იქნებ ჯერ უნდა გავაერთიანოთ სხვადასხვა სიმის თეორიები უფრო ფუნდამენტური მიდგომით? ეს იდეა წარმატებით (რამდენადმე მაინც) განხორციელდა 1990-ან წლებში. როგორც ჩანს, ცნობილი ხუთი სიმის თეორია 10 განზომილებაში არც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან და დაკავშირებულნი არიან დუალობების ქსელით. ასე, ზოგი რთული მოვლენა ერთ სიმის თეორიაში გაცილებით უფრო მარტივად აღინერება რომელიღაც სხვა სიმის თეორიაში. აგრეთვე, 10-განზომილებიანი სიმის თეორიები დაკავშირებული არიან 11-განზომილებიანი ეგრეთწოდებულ -თეორიასთან. -თეორიაში სიმები არ არიან ფუნდამენტური ობიექტები. სამაგიეროდ, მემბრანებია უფრო ფუნდამენტური, თუმცა -თეორია ჯერ ბოლომდე არ არის განჭვრეტილი და რა არის ფუნდამენტური ობიექტები -თეორიაში, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ნათელი.

ის, რომ სიმები შესაძლოა არ არიან ყველაზე ფუნდამენტური, გვავარაუდებს, რომ იქნებ თავიდანვე უნდა განვიხილოთ ყველა შესაძლო გავრცობილი ობიექტი. ასეთ ობიექტებს ეწოდება ბრანები (branes) — ეს სახელი მომდინარეობს სიტყვიდან მემბრანა (membrane). უფრო ინფორმატიულად, ნერტილოვანი ნაწილაკებს უწოდებენ 0-ბრანებს, რადგანაც არ გააჩნიათ გავრცობილი სივრცითი განზომილებანი; სიმებს უწოდებენ 1-ბრანებს, რადგან მათ გააჩნიათ ერთი გავრცობილი სივრცითი განზომილება; მემბრანებს უწოდებენ 2-ბრანებს და ა.შ. არ არის მარტივი სხვადასხვა ბრანების თანმიმდევრული ფუნდამენტური თეორიის აგება, რადგან მათი ურთიერთქმედებების აღწერა რთულია. 0-ბრანები, ანუ ნერტილოვანი ნაწილაკები, შედარებით მარტივი განსახილველია. ეს განპირობებულია იმით, რომ ნერტილოვანი ნაწილაკები ურთიერთქმედებენ სივრცე-დროის ერთ ნერტილში, და შესაბამისად მათი ურთიერთქმედებანი ლოკალურია. ურთიერთქმედებათა ლოკალურობა მნიშვნელოვან გამარტივებას განაპირობებს. მეორე მხრივ, 1-ბრანები, ანუ სიმები, უფრო რთულია — მათი ურთიერთქმედებანი არალოკალურია. ამისდა მიუხედავად, სიმების შემთხვევა განსაკუთრებულია, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ სიმები იხატება სიბრტყეზე. ამის განჭვრეტა შესაძლოა ანალოგიით — გეომეტრიის პრობ-

ლემების ამოხსნა სიბრტყეზე (პლანიმეტრია) გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე 3 (სტერეომეტრია) ან უფრო მაღალ განზომილებებში. ასეა თუ ისე, ურთიერთქმედი სიმების აღწერა ცნობილია; ამავე დროს, უფრო მაღალ განზომილებიანი გავრცობილი ობიექტების ურთიერთქმედებანი გაცილებით ნაკლებად გათვითცნობიერებული.

ზემოსხენებულ სირთულეთა მიუხედავად, როგორც ჩანს, ბრანები წარმოადგენენ თვით სიმთა თეორიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებს. ამგვარად, სხვადასხვა 10-განზომილებიანი სიმის თეორიებში მოიძებნება სხვადასხვა განზომილების ბრანები. ეს ბრანები თამაშობენ უმნიშვნელოვან როლს სიმის თეორიათა დაკავშირებაში დუალობების ქსელით. ბრანების ეს მნიშვნელოვანი როლი შეგვიძლია შემდეგნაირად განვჭვრიტოთ.

სიმები ორი სახეობისაა — ჩაკეტილი და ღია სიმები. ჩაკეტილი სიმი მარყუჟია — მას ბოლოები არ გააჩნია; მეორე მხრივ, ღია სიმს გააჩნია ორი ბოლო. ჩაკეტილი სიმები ვრცელდებიან სიმის თეორიის ყველა 10 განზომილებაში. სამაგიეროდ, აუცილებელი არ არის, რომ ღია სიმები ვრცელდებოდნენ ყველა 10 განზომილებაში. ღია სიმს შეუძლია დაბოლოება უფრო დაბალი განზომილების ბრანაზე (ეგრეთწოდებულ — ბრანაზე), რის შედეგადაც ასეთი ღია სიმები ვრცელდებიან მხოლოდ ბრანის მიერ შევსებულ განზომილებებში. მაგალითად, განვიხილოთ 3-ბრანა 3 გავრცობილი სივრცითი განზომილებით. თუკი ღია სიმის ორივე ბოლო მიკრულია ამ ბრანაზე, მაშინ ეს სიმი და მისი ყველა ვიბრაციის მოდა (ანუ შესაბამისი ნერტილოვანი ნაწილაკები) მოძრაობენ 4 განზომილებაში (3 სივრცითი განზომილება და დრო) — ეს განსხვავდება ჩაკეტილი სიმებისაგან, რომლებიც მოძრაობენ ყველა 10 განზომილებაში. ამდგავარად, ბრანები იძლევიან სიმთა თეორიიდან გამომდინარე ნერტილოვანი ნაწილაკების 10-ზე დაბალ განზომილებიან ქვესივრცეებზე მიბმის (ანუ ლოკალიზაციის) კონკრეტულ მექანიზმს. ეს ნამდვილად კეთილი ამბავია და იძლევა 4-განზომილებიანი სამყაროს მიღების საშუალებას, სტანდარტული მოდელის მატერიისა და ურთიერთქმედებათა კვანტების შესაბამისი ნერტილოვანი ნაწილაკების ჩათვლით, 3-ბრანაზე დაბოლოებული ღია სიმის ვიბრაციებიდან. რადგან ეს ნერტილოვანი ნაწილაკები მიბმულია ბრანაზე, ჩვენ ვერ ვხედავთ დამატებით 6 განზომილებას, მაშინაც კი, თუ ისინი უსასრულოა, ექსპერიმენტებით რომლებიც იყენებენ, მაგალითად, ფოტონებს, მიბმული რომ არიან ბრანაზე. შესაძლოა, ამისდა მიუხედავად, რომ დამატებითი განზომილებანი აღმოვაჩინოთ? სწორედ ეს დამატებითი განზომილებანია, რომ გვინდა დავინახოთ სიმთა თეორიის დასაკავშირებლად რეალურ სამყაროსთან. ამის განსაჭვრეტად უფრო ღრმად უნდა ჩავეიძოთ.

აქ გვჭირდება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ღია სიმები იძლევიან უმასო მოდებს სპინით, რომელიც 1-ს არ აღემატება. ეს არის სწორედ ისეთი ნერტილოვანი ნაწილაკები, რომლებიც გვჭირდება სტანდარტული მოდელის (ან მისი გაერთიანებული განზოგადების) სავარაუდო აღსაწერად. ახლაც შეეხება გრავიტაციას. გრავიტონებს გააჩნიათ სპინი 2. ისინი ჩაკეტილი სიმებიდან წარმოიშობიან. ეს შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ, ორი ღია სიმი შეგვიძლია შევკრათ ერთ ჩაკეტილ სიმში. ეს ვეცხმარება ვივარაუდოთ, თუ რატომ იძლევიან ჩაკეტილი სიმები სპინ-2 უმასო ნაწილაკებს. ამდგავარად, სურათი რომელიც წარმოიქმნება, ის არის, რომ სტანდარტული მოდელის ნაწილაკები მიბმულია 3-ბრანაზე (და მაშასადამე ვრცელდებიან მხოლოდ 4 განზომილებაში ექსპერიმენტულ დაკვირვებებთან თანხმობით). სამაგიეროდ, რადგანაც ჩაკეტილი სიმები ვრცელდებიან ყველა 10 განზომილებაში, გრავიტონებიც მოძრაობენ ამ 10 განზომილებაში. ამ სცენარს ეწოდება ბრანის სამყარო (Brane World).¹ ამ სცენარში გრავიტაცია და სხვა ურთიერთქმედებანი გაერთიანებულია სიმთა თეორიის საშუალებით, მაგრამ ისინი არ წარმო-

იშვებთან თანაბარ საფუძველზე, რადგანაც მოძრაობენ სხვადასხვა განზომილებიანი სივრცეებში (3-ბრანა არის სრული 10-განზომილებიანი სივრცის ქვესივრცე).

ბრანის სამყაროს ერთ-ერთი უშუალო მაგალითია ის, რომ გრავიტაცია ცხოვრობს 10 განზომილებაში. ჩვენ ვხედავთ 4-განზომილებიანი გრავიტაციის კანონებს და არა 10-განზომილებიანი სამყაროს. შესაძლოა ბრანის სამყაროს სცენარის შეთავსება დაკვირვებასთან? სინამდვილეში არსებობს ამისი განხორციელების ორი (მაინც) ცნობილი ხერხი. უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დამატებითი 6 განზომილება დახვეწილია პატარა წრეწირებში (ან უფრო რთულ სივრცეებში). თუ ეს განზომილებანი საკმაოდ პატარაა, მაშინ მათ ვერ დავინახავთ თანამედროვე გრავიტაციულ ექსპერიმენტებში. შევნიშნავთ, რომ რადგან სტანდარტული მოდელის ნაწილაკები არ ვრცელდებიან ამ დამატებითი განზომილებებში, სწორედ გრავიტაციის მეშვეობით უნდა მოხდეს მათი დამზერა. აქ ისმის კითხვა: რითაა ეს განსხვავებული ზემოხსენებულ უფრო ტრადიციულ სიმთა პარადიგმისგან? ასეთი გზით დამატებითი განზომილებათა მოცლილება გარკვეულწილად ხარვეზივით ჩავთვალეთ. მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ სამი ფუნდამენტური ურთიერთქმედება, გრავიტაციის ჩათვლელად, გაზომილია ძალიან პატარა, მილიმეტრზე დაახლოებით 15 რიგით უფრო მცირე მანძილებზე. ამავე დროს, გრავიტაცია, სხვა სამ ურთიერთქმედებასთან შედარებით მისი სისუსტის გამო, გაზომილია ასე-თუ-ისე ზუსტად მხოლოდ დაახლოებით 1/10 მილიმეტრამდე! შესაბამისად, დამატებითი განზომილებანი შეიძლება იყოს თითქმის 1/10 მილიმეტრის მათა მათზე ჩვენ ყოველგვარი ცოდნის გარეშე. და არსებობს მათი დაკვირვების საინტერესო პერსპექტივა გრავიტაციის ქვემილიმეტრიანი სიზუსტით გაზომვის მომავალ ექსპერიმენტებში.

ეს მართლაც წარმტაცია; მაგრამ ისმება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა ამ სცენარში — დამატებითი განზომილებანი რატომ უნდა იყოს ზუსტად მილიმეტრის ფარგლებში, სადაც ჩვენ შეგვიძლია მათი ადვილად დამზერა მომავალი რამდენიმე წლის (ან ათწლეულის) განმავლობაში? სხვა სიტყვებით, ეს იქნებოდა განსაცვიფრებლად ილბიანი დამთხვევა. თანაც, კომპაქტიფიკაციასთან დაკვირვებული ყველა ზემოხსენებული სირთულე ისევე ისე რჩება.

მაგრამ არსებობს გრავიტაციის საკითხის გადაჭრის კიდევ ერთი საინტერესო საშუალება ბრანის სამყაროს კონტექსტში.

წარმოიდგინეთ, რომ დამატებითი განზომილებანი უსასრულოა. მიამიტად შეიძლება გვეჩვენოს, რომ მაშინ გრავიტაცია 10-განზომილებიანად წარმოგვიდგებოდა ექსპერიმენტთან უხემ წინააღმდეგობაში. ამისდა მიუხედავად, წარმოიდგინეთ, რომ ზოგი გრავიტონი ლოკალიზებულია (თითქმის) ზუსტად იმავე ბრანაზე, რომელზეც სტანდარტული მოდელის ნაწილაკები ცხოვრობენ. მაშინ გვექს შემდეგი სცენარი. მოკლე დისტანციებზე გრავიტაცია ჩანს როგორც 4-განზომილებიანი — იმიტომ რომ ჩვენ ვცხოვრობთ ბრანაზე და ეს თითქმის ლოკალიზებული გრავიტონები დომინირებენ გრავიტონებზე, რომლებიც თავისუფლად ვრცელდებიან 10 განზომილებაში. მეორე მხრივ, დიდ მანძილებზე ამ 10-განზომილებიანი გრავიტონთა წვლილი უფრო მნიშვნელოვანია და გრავიტაცია ხდება მალაღ განზომილებიანი. როგორც ჩანს, თეორიის პარამეტრების შესაბამისი შერჩევით შესაძლოა ეს გადასვლის შეკლა 4-განზომილებიანი გრავიტაციიდან მალაღ განზომილებიანი გრავიტაციაში იყოს დაახლოებით დაკვირვებადი სამყაროს ზომის ფარგლებში, ან უფრო დიდიც. ამდაგვარად, დამატებითი განზომილებათა აღმოჩენისთვის არა კოლაიდერების, არამედ ასტროფიზიკური ექსპერიმენტები იქნებოდა საჭირო. და საუარაუდოდ არსებობს შესაძლებლობა, რომ ასეთი ტიპის ხელოვნური თანამგზავრებისა და სხვათა მეშვეობით ჩატარებული ექსპერიმენტები აღმოაჩინენ დამატებითი განზომილებებს კოსმოლოგიურ შკალებზე!²

ამ სცენარში არის ერთი საკითხი, რომელიც მოითხოვს ნათელყოფას — როგორ მივიღოთ ეს თითქმის ლოკალიზებული გრავიტონები, კერძოდ, სიმთა თეორიაში. როგორც ჩანს, სიმთა თეორიის კონტექსტში მართლაც შესაძლებელია ასეთ გრავიტონთა მიღება, თუმცა ჯერ კიდევ შორს ვართ ამდაგვართვისებიანი სრულიად რეალისტური მოდელის აგებისაგან. ამისდა მიუხედავად, ბრანის სამყაროს სცენარმა გაგვიხსნა ახალი, თუმცა შესაძლოა ძალიან საკვირველი, გზები ყველა ფუნდამენტური ურთიერთქმედების გასაერთიანებლად. მეტიც, ის ასევე იძლევა ახალ საინტერესო საშუალებას ევრეთნოდებული კოსმოლოგიური მუდმივის პრობლემის სავარაუდო გადაჭრის ხელმისაწვდომად.

ამ პრობლემის არსი, რომელიც განიხილება როგორც თეორიული ფიზიკის წმინდა გრალი, ისაა, რომ კვანტურ მექანიკაში ვაკუუმშიც არ არის მთლად „ცარიელი“ — ვაკუუმს გააჩნია გარკვეული ოსცილაციები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ სამყაროს ენერჯის სიმკვრივეში. ამ ენერჯის სიმკვრივის ბუნებრივი მნიშვნელობა გამომთვლილი თეორიულ მოსაზრებებზე დაფუძნებით, უხეშად უწინააღმდეგება ექსპერიმენტს — ის დაახლოებით 60 რიგით აღემატება დაკვირვებულ ექსპერიმენტულ ზღვარს.

რატომ არის დაკვირვებადი ვაკუუმური ენერჯის სიმკვრივე, ანუ ევრეთნოდებული კოსმოლოგიური მუდმივი, ამდენად მცირე, მის თეორიულ წინასწარმეტყველებასთან შედარებით? ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი 4-განზომილებიანი ნეიტროვანი ნაწილაკების თეორიის ფარგლებში არ მოიძებნება.

სამაგიეროდ, ბრანის სამყარო, უსასრულო დამატებითი განზომილებებით, როგორც ჩანს, იძლევა ახალ გზას ამ პრობლემის ხელმისაწვდომად. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ არანულოვანი ვაკუუმის ენერჯის სიმკვრივე მრუდავს სივრცეს გრავიტაციასთან ურთიერთქმედებით, როდესაც 4-განზომილებიანი სამყარო ჩვენს გარშემო წარმოჩნდება არსებითად ბრტყლად. 4-განზომილებიანი თეორიაში დიდი ვაკუუმური ენერჯის სიმკვრივე, რომელსაც ვეძებულობთ თეორიული გამოთვლებიდან, გაამრუდებდა სივრცეს მრავალჯერ ექსპერიმენტული ზღვარის გარეთ. მაგრამ ბრანის სამყაროს სცენარში, სივრცე-დრო არა 4-განზომილებიანია, არამედ 10-განზომილებიანი. ეს ხსნის ახალ შესაძლებლობას, რომ გვექნდეს დიდი 4-განზომილებიანი ვაკუუმური ენერჯის სიმკვრივე 3-ბრანაზე 4-განზომილებიანი სივრცე-დროის გამრუდების გარეშე. ეს სივრცე შესაძლოა იყოს ისევე ბრტყელი (ან თითქმის ბრტყელი), და სამაგიეროდ ძლიერად გამრუდებული იყოს დამატებითი 6 განზომილება გრავიტაციის 10-განზომილებიანი ბუნების გამო. ამგვარად, დიდი 4-განზომილებიანი ვაკუუმური ენერჯის სიმკვრივის ეფექტი არსებითად გაზავებულია დამატებითი განზომილებებში. უხეშო ვიზუალური ანალოგიისთვის წარმოიდგინეთ სუფთა წყალი დიდი აუზი. თუ ჩაანვეთებთ მელნის წვეთს ამ აუზში, წყალი ისევე სუფთად გამოჩნდება რადგან მელნის პატარა რაოდენობის ეფექტი გაზავდება — წვეთი ზღვაში, როგორც იტყვიან.

ჯერ კიდევ ბევრი ღია საკითხია ბრანის სამყაროში. მაგრამ ბრანის სამყარომ გაგვიხსნა ახლებური გზები ბევრი ძველი პრობლემის ხელმისაწვდომად. ბევრ საინტერესო განვითარებას აქვს ადგილი ამ წარმტაც მიმართულებაში, და მოსალოდნელია ბევრი სიახლეც მოჰყვეს.

იმედია, დრო გვაჩვენებს თუ რეალური სამყარო ბრანის სამყაროა.

1. ეს სახელი შეიძლება შრომაში: Z. Kakushadze and S.-H.H. Tye, „Brane World“, Nucl. Phys. 548 (1999) 180-204.

2. შედარებით ახლახან ბრანის სამყაროში დამატებითი განზომილებათა საკითხის მიდგომის შესამე გზა დაისახა. ამ ახლებურ სცენარში გრავიტაცია 10 განზომილებაში მასიურია, და ბრანაზე (თითქმის) ლოკალიზებული გრავიტონები კი (თითქმის) უმასოა.

ლეო რადიანი

მეამბოხენი

1948 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 სტუდენტი დააპატიმრეს. აქედან 9 მსჯავრდებულ იქნა და დახვრეტა მიესაჯა. მათ ბრალი სტალინური პოლიტიკის კრიტიკასა და საბჭოთა წყობილებასთან ბრძოლისათვის წაყენათ. ამას ზედ დაერთო ბერიას „გენიალურობით“ შეთხზული აბსურდული ბრალდებები: კრემლის კედლის აფეთქების მომზადება, მავზოლეუმის განადგურების დაგეგმვა და ბელადის ლიკვიდაციის მცდელობა.

ამ საქმეში განსაკუთრებული აქტიურობით ოტიპ პაჭკო-რიი და გივი მალულარიი გამოირჩეოდნენ, რომელთაც ხელნაწერი, დისიდენტური ჟურნალის გამოცემაც კი გაბედეს. ალბათ იმიტომ, რომ ომისშემდგომი საბჭოეთი ჭრილობებს იშუშებდა და გასაკეთებელი ძალიან ბევრი იყო, პრაგმატიკოსი სტალინის მითითებით სასჯელი 25-წლიანი გადასახლებით შეიცვალა. ასე აღმოჩნდნენ ოციოდე წლის მომავალი მწერლები ყაზახეთის შუაგულში, სპილენძის საბადოებზე მდებარე ჯეზკაზგანში, რომელიც გულაგის არქიპელაგის ნაწილი იყო 1938-54 წლებში.

„როგორ ხედებიან ამ იდუმალ არქიპელაგზე? იქ ყოველსაათს მიფრინავენ თვითმფრინავები, მიცურავენ გემები, მიჰქრიან მატარებლები, მაგრამ არსად არავითარი წარწერა არ იუნყება საბოლოო დანიშნულების პუნქტის სახელწოდებას. ბილეთების გამყიდველებიცა და ტურისტული აგენტებიც უთუოდ განცვიფრდებიან, ამ მიმართულებით გასამგზავრებელი ბილეთი რომ მოითხოვოთ. არც არქიპელაგსა და არც მის არცერთ „კუნძულზე“ მათ არასოდეს არაფერი სმენიათ. ვინც იქ სამუშაოდ მიემგზავრება — უშიშროების სასწავლებელი უნდა დაამთავროს. დაცვა — სამხედრო კომისარიატის განვევით აღწევს იქამდე. ხოლო ისინი, ვინც იქ სასიკვდილოდ მიემართება, როგორც ჩვენ — მკითხველო, მან მხოლოდ ერთი რამ უნდა გამოიაროს — დაპატიმრება!“ — ასე იწყება „გულაგის“ კიდევ ერთი „ბინადარის“, 1970 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის ალექსანდრე სოლჟენიცინის ამავე სახელწოდების გახმაურებული წიგნი.

უცნაურია, ან იქნებ კანონზომიერიც, რომ სწორედ ამ „კუნძულებზე“ დაიბადა არაერთი მომავალი შედევრის იდეა. მარტო „დათა თუთაშხია“ რად ღირს... თვითონ სოლჟენიცინი თურმე განუზომლად აფასებდა გივი მალულარიას „უკუქცევას“ და ნობელის ღირსადაც მიიჩნევდა. „ეს რომანი 30 წელია, რაც მკითხველთან შეხვედრას ელოდება და ბოლოს, როგორც იქნა იხილა მისი შუქი“ — ნათქვამია წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როდესაც საბჭოთა იმპერია საბოლოოდ დაემხო. რომანის სიუჟეტი გენიალურ პარადოქსზე აგებული — პატიმარი გარბის საპყრობილედან, მაგრამ უკანვე ბრუნდება. მსგავსი „სილის განა“ ნებისმიერი რეჟიმისათვის ძნელად წარმოსადგენია. იქვე, წიგნის რეცენზიაში როსტომ ჩხეიძე იხსენებს ავტორის გამოსვლას მწერალთა კავშირში: „დარბაზში ახალგაზრდები ბლომად ისხდნენ და ალბათ ამან შეაგულიანა, იმათ მიმართავდა... თურმე რა ამავლელავდა, რა ამავლ იმედოვნებდა, გულისყურით მომისმენენ... დარბაზი ჩუმად შრიალებდა, გულგრილად ადევნებდა თვალს ტრიბუნასთან მდგარ შუახნის, პირხმელ, საშუალო სიმაღლის ცაცს. ტრიბუნა ცალკე დარჩენილიყო, დარბაზი ცალკე: არადა ისეთი პოლიტიკური ქარტეზილი ბრუნავდა გარეთ [...] იქ რომ სოლჟენიცინი მდგარიყო, ანდა გროსმანი...“

რეაბილიტაციაზე, ბელადის სიკვდილის შემდეგ მოუსწრო, სამშობლოში დაბრუნდა და მშობლიური უნივერსიტეტიც წარმატებით დაამთავრა. მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უნივერსიტეტის პრორექტორის თანაშემწედ, ჟურნალ „ხელოვნების“ თეატრის განყოფილების გამ-

გედ. ლიტერატურული მოღვაწეობა იმთავითვე დაიწყო, როდესაც „ცისკარში“ მისი პირველი წერილი — „ჰაინრიხ ბილი“ — გამოქვეყნდა. აქედან მოყოლებული მისი მოთხრობები, ესეები, წერილები პერიოდულად იბეჭდებოდა პრესაში და გამოდიოდა წიგნებად, სადაც ავტორი ღრმა ფსიქოლოგიზმით იკვლევდა საქართველოს წარსულს. არასდროს ყოფილა განებივრებული ყურადღებით და ამას არც ესწრაფოდა. მხოლოდ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია მოთხრობისათვის „ბედი არ გინდა?!“

გივი მალულარიას პერსონაჟების განცდები, საკუთარ გამოცდილებასთანაა ნაზიარევი. ამ გაგებით ენათესავება ის თავისივე ნაწარმოებების გმირებს: ნიკოლოზ ბარათაშვილს [“დაღამება ამა სოფლისა“], გივი ამილახვარსა და შანშე ერისთავს [“მეამბოხენი“], ქეთევან დედოფალს [“და განიყვეს სამოსელი მისი“], გურამიშვილს, დოსტოვესკის, კავკას...

ოტია პაჭკორია ასე ახასიათებს მის შემოქმედებას: „ეს არ გახლავთ საამოდ საკითხავი პროზა, განზავებული მახვილგონიერი დიალოგებითა და იუმორით. მისი მელოდია დაუნეა და მძიმე, აკლია გარეგნული სილამე. ყოველი მოთხრობა მკაცრი ანალიზის, დაძაბული ნერვების ნაყოფია და იმავ დროს, სიტყვის ჯებირი თითქოს ოდნავ მორღვეულიცაა — რომანტიზმის, ექსტენსიურობის დალი ახლავს. ერთიანად უარყოფილია დიალოგი, რაც მოთხრობას თავისებურ გრაფიკულ სახეს აძლევს... არსად არ რჩება თავისუფალი სივრცე, ემოციური თუ აზრობრივი პაუზა, სულის ამოთქმის საშუალება.“

„შინაური მღვდლის“ ფენომენი ახალი არაა ჩვენთვის. აქ უფრო საინტერესოა თუ რამდენად მნიშვნელოვანია გივი მალულარიას შემოქმედება ქართული კულტურისათვის. მაგრამ... ვაითუ პასუხი [ისევ პარადოქსული] „მეამბოხენ“—შია: „შეიძლება, ზოგიერთს ისიც კი მოეჩვენოს, რომ ჩვენივე თავის მტერი ვართ, არ ვცდილობთ შევკავშირდეთ, გავერთიანდეთ, დანგრეული აღვადგინოთ, კანონიერება დავენერგოთ, ერთი სიტყვით, ქვეყანას და საკუთარ თავს მოვუაროთ, მაგრამ იქნებ ჩვენ სხვებზე უკეთ ვიცით, რომ როგორც არ უნდა შევკავშირდეთ და გავერთიანდეთ, ირგვლივ შემოიხეულ მტერებს მაინც ვერ მოვერგვით. იქნებ იმიტომ არ ვაშენებთ და არ ვანესრიგებთ არაფერს, რომ მძარცველები ჩვენს ნაშრომსა და ნაღვანს ერთ დღეში გააცამტვერებენ, იქნებ სწორედ ის დრო დაგვიდგა, როცა უკეთესია ღარიბ-ღატაკნი ვიყოთ, ვიდრე მდიდრები. იქნებ იმიტომაც დავიშალეთ და დავიქსაქსეთ, რომ გვირგვინია მტერს ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ათ სახელმწიფოსთან, ათ მეფესთან და თავადთან ჰქონდეს საქმე“...

იქნებ მართალიც იყო ოთარ ჩხეიძე, როდესაც ამბობდა: „ასე მგონია, უფრო მეტია დალუპული, დალუპული თუ დაკარგული — დაკარგული ითქვას — დიდებული შემოქმედი, ვიდრე რო შეგვრჩა, უფრო მეტია დაკარგული, გამქრალი უკვალა, უფრო მეტია, ასე მგონიამეთქი“.

შემოდგომის ერთ დღეს, როცა მზე ანათებს, მაგრამ აღარ ათბობს, დაკრძალვაზე შევხვდი ამ — ჩემთვის ნახევრად მითიურ ადამიანს, რომელზეც ამდენი რამ მსმენოდა. ის თითქმის არ საუბრობდა, ალბათ იმიტომ, რომ „მთავარი“ უკვე ნათქვამი ჰქონდა! ერთი შეხედვით ვერც გაარკვევდით, რამდენი წლისა იქნებოდა, რომ იტყვიან „ხმელი“ კაცი იყო, სრულიად ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის კი იგრძნობოდა მასში — შესაძლოა ოდნავ „გაბზარული“, მაგრამ მაინც „ფოლადის“ ადამიანი.

მისი სიტყვები მახსენდება: „...რატომლაც დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველა ბრალდებას გააქარწყლებდნენ, ყველა ფაქტს გააყალბებდნენ, ყველა მოწმეს მოსაპოზდნენ, მაგრამ ვერც ყველა ფაქტი გააქარწყლეს და ვერც ყველა მოწმე მოსპეს.“

ის ჯერ კიდევ ელის საბოლოო ლიტერატურულ „რეაბილიტაციას“. და ბოლოს — განსაკუთრებული მაღლობა ქალბატონ მზია ყურაშვილს — მეუღლეობის ეტალონს.

ბერნჰარდ შლინკი

ტკბილი მუხუდო

1.

თომასი დარწმუნდა, რომ რევოლუცია მოსალოდნელი აღარ იყო და გადანყვიტა, 1968 წლამდე დაწყებული სწავლა გაეგრძელებინა. მალე არათუ გააგრძელა, არამედ ბოლომდე ჩაათავა კიდევ. დაეუფლა სახურავქვეშა საცხოვრებელთა მშენებლობის სპეციფიკას, იკვლევდა სხვადასხვა სახის სახურავებს და მათ გამართვა-მონყობას; ყველანაირად ხელს უწყობდა მსგავსი მშენებლობების გაფართოებასა და ცხოვრებაში დანერგვას; გარდა ამისა, ირგვლივ იკრებდა დაინტერესებულ პირებს, ზრუნავდა დაგეგმარებაზე, თვალყურს ადევნებდა ნებადართულ მშენებლობებს, ასევე, ავლენდა ყოველგვარ კანონდარღვევებს. იმხანად ძალზე მოდაში იყო მანსარდიანი სახლები. მსგავსი სახლების აგებაში კაცი დიდწილად მონაწილეობდა და ეს საქმე კარგადაც გამოსდიოდა. რამდენიმე წლის შემდეგ იმაზე მეტ მანსარდა-ბინებზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე ჩვენი გმირი გაართმევდა თავს. მალე ეს ყველაფერი მისთვის მოსაწყენი გახდა და მოზერდა კიდევ. განა, სახურავების გარდა, ამქვეყნად სხვა არაფერი არსებობდა?

ერთ დღეს განცხადება წაიკითხა, რამაც ძალზე დაინტერესა; ცხადდებოდა კონკურსი მდინარე შპრეზე ასაგები ხიდის დაპროექტებაზე. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ახსოვდა, რა ღირსეულად გამოიყურებოდა ლონიერ ბურჯებზე დაყრდნობილი და მდინარე მურგის კალაპოტში ღრმად ჩამჯდარი ძველი ხიდი რამშტატში. არასდროს ავიწყებოდა, რა ამჟამად და დიდებულად აეზიდა ავტობანის სიმძიმე მდინარე რაინზე გადაჭიმულ, თალი-თალს მიდგმულ რკინის ხიდს ქალაქ კიოლნში. ასევე მუდამ აგონდებოდა და თვალწინ ედგა ის სიმსუბუქე, როგორც, თითქოს გასაფრენად ემზადებო, გოლდენ გეიტის ხიდი ისეთ სიმალეზე გამოკიდებულიყო, რომ უზარმაზარი გემები იქიდან ერთიციცქნა სათამაშოებივით მოჩანდა. კონფირმაციისას ხიდების შესახებ მიგინოც კი აჩუქეს, რომელიც სხვა წიგნებთან ერთად საპატიო ადგილზე ედო, ხშირად უბრუნდებოდა და დროდადრო კითხულობდა კიდევ.

თუმცა ჩვენს გმირს ყოველთვის უჩვეულოდ მიაჩნდა ის, რომ ხიდზე მოსიარულე ადამიანი არც აციებდა, არც აცხელებდა და მეორე ნაპირზე უცებ მოექცეოდა. ამას არაბუნებრივად მიიჩნევდა, რის გამოც, ერთი შეხედვით, ისეთი მყიფე და ჰაეროვანი ხიდი დააპროექტა, რომელზეც ფეხით მოსიარულენი შიშით აბიჯებდნენ, ხოლო მძლოლებს, თავისდაუნებურად, მანქანები ფრთხილად და ნელა უნდა გაეტარებინათ.

როგორც სხვების, ასევე თავისდაგასაკვირდაც, თომასმა მეორე პრემია დაიმსახურა. გარდა ამისა, კიდევ ერთ კონკურსზე მიიწვიეს მონაწილეობისათვის; ის კონკურსი მდინარე ვეზერზე ასაგები ხიდის პროექტირებას ეძღვნებოდა. მანსარდული ბინათმშენებლობის საქმიანობისთვის თავი არ მიუწებია, მდინარე ვეზერზე ხიდი მას უნდა დაეპროექტებინა, ამავე დროს სხვა კონკურსებშიც თანამშრომლობდა. ეს კი, რა თქმა უნდა, უკვე მეტისმეტი იყო.

ამას ისიც დაემატა, რომ თომასის სამშენებლო კანტორაში იმხანად პრაქტიკას გადიოდა ახალგაზრდა ქალი, სახელად იუტა, რომელსაც ის-ის იყო დიპლომი აულო და კაცმა გადანყვიტა, სამშენებლო საქმიანობაში პარტნიორად აეყვანა. იუტამ მუშაობა დაიწყო სახურავქვეშა მშენებლობათა საკითხებზე, თომასი კი ხიდებს აპროექტებდა. როცა გაირკვა, რომ ქალი მისგან ბავშვს ელოდებოდა, კაცმა დაქორწინება გადანყვიტა. ამავე დროს ცოლ-ქმარი საცხოვრებლად მანსარდულ ბინაში გადავიდა; ის ბინა მათ სამშენებლო კანტორას სწორედ მაშინ აეშენებინა. ტერასიდან შესანიშნავი ხედი იძლეოდა და თვალის სწვდებოდა არამარტო მდინარე შპრეესა და ზოოლოგიურ პარკამდე, არამედ

მის იქით, რაიხსტაგსა და ბრანდენბურგის ჭიშკრამდეც კი. მანსარდული ბალიდან ხშირად ტკბებოდნენ დასავლეთისკენ ჩამავალი მზის ცქერით.

მალე თომასს ხიდე-ბიც დიდად აღარ აკმაყოფილებდა. ამასობაში ოჯახიც გაიზარდა. იზრდებოდა სამშენებლო ბიურო, წარმატება წარმატებას მოსდევდა; კანტორის ბრუნვამ და მიმოქცევამაც საგრძნობლად იმატა; მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, კაცს მაინც რაღაც აკლდა, თუმცა ვერც კი გეტყოდათ, თითქოს სამუშაო არ ყოფნისო, სულ უფრო მეტი და მეტი პროფესიული დატვირთვისთვის განეწყო, არც ამან უშველა და თანდათან კვლავ უკმაყოფილება ეუფლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მიხვდა, მისი მოწოდება სხვა რამ იყო. ეს მოხდა იტალიაში, სადაც ერთ ზაფხულს შვედულებით იმყოფებოდა. როგორც წესი, შვედულების დროსაც მუშაობდა ხოლმე; ასე იყო ამჯერადაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხიდების პროექტთა ესკიზებისა და მონახაზების დამუშავება-შედგენის ნაცვლად თვით იმ ხიდების ხატვა დაიწყო, რომლებიც ძალიან მოსწონდა, ყურადღებით ათვალთვინებდა და აკვირდებოდა მათ. ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, ფერწერა და ხატვა იყო ის, რაც მას აკლდა. ჯერ კიდევ მონაფეობისა და სტუდენტობის დროს ხატავდა, ვიდრე მიხვდებოდა, რომ მხოლოდ არქიტექტურასა და პროექტირებას შეეძლო სრულყოფილი გაეხადა ის სიხარული და კმაყოფილება, რასაც ფერწერა ანიჭებდა.

ცოტა ხანს მართლაც გრძნობდა ამ სიამოვნებას, მაგრამ მოგვიანებით, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო რატომ, მხატვრობასაც მიაწვდა თავი.

შემდეგ კი საკითხი თითქოს მოგვარდა. არქიტექტურა ხომ მისთვის ყველაფერს აღარ ნიშნავდა; ამიტომაც გადანყვიტა, გასართობად და თავის შესაქცევად გამოეყენებინა. ვინაიდან ჩვენმა გმირმა უკვე დაიმკვიდრა სახელი, როგორც წარმატებულმა არქიტექტორმა, აღარ იყო საჭირო წარმატებული მხატვრის სახელზე ზრუნვა. სულაც არ აინტერესებდა სხვადასხვა მიმართულება მხატვრობაში და არც მოდას დაგიდევდა. ხატავდა, რაც ფერწერულად შესრულებული მიანიჭებდა სიამოვნებას, იქნებოდა ხიდები, წყალი, ქალები თუ ფანჯრიდან დანახული ხედი.

2.

თომასმა სრულიად შემთხვევით ჰამბურგის სამხატვრო გალერეის თანამშრომელი ქალი გაიცნო, რომელმაც მოგვიანებით თომასის ნამუშევრები საზოგადოებას წარუდგინა. ლაიციგადიდან ჰამბურგში მიმავალ თვითმფრინავში ქალი და კაცი ერთიმეორის გვერდით აღმოჩნდნენ. ქალი შინ ბრუნდებოდა ჰამბურგის გალერეის ფილიალიდან, კაცი კი სამსახურებრივი დანიშნულების ერთი ადგილიდან მეორეზე მიემგზავრებოდა. კაცმა უამბო საკუთარი ფერწერული ტილოების შესახებ; ორიოდ კვირის შემდეგ ზოგიერთი ჩაუტანა კიდევ; მათ შორის ახალგაზრდობილი გალერისტი ქალის გავლენით შესრულებული ერთი-ორი ნამუშევარიც ერია.

ერთ დღეს, მოულოდნელ სიხარულთან ერთად, უსაზღვრო გაოცებამაც მოიცვა, როცა ქალის გალერეაში გამოფენილი საკუთარი ნახატები იხილა. აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.



ქალმა გალერეის გადაკეთებაში დახმარება მოიმიზეზა და კაცი ჰამბურგში მიიპატიჟა. მაგრამ როდესაც თომასი ჩავიდა, ნახა, რომ ნახატები საგამოფენო დარბაზებში უკვე გამოეფინათ და ვერნისაჟის გახსნას აღარაფერი აკლდა. ჩვენი მხატვარი ოთხ საათზე მივიდა, ხუთზე პირველი მნახველებიც გამოჩნდნენ, რვაზე რამდენიმე ნამუშევარი გაიყიდა კიდევ, ცხრაზე კი თომასი და ვერონიკა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას შამპანურით აღნიშნავდნენ. სასმელმა, გამოფენის წარმატებამ და ურთიერთტოლევამ დიუვეს თავბრუ ისე დაახვია, ვერნისაჟის დასრულებას არც დაუცადეს, გალერეა დატოვეს და სასწრაფოდ ვერონიკასთან გაეშურნენ.

მეორე დღით კაცი დარწმუნდა, რომ მისი ცხოვრების ქალი იპოვა. ამის შემდეგ, როცა ლამენათევი, სასიამოვნოდ დაღლილი და ბედნიერებით თავბრუდახვეული ჩვენი გმირი მატარებლით ბერლინში ბრუნდებოდა, მთელი გზა გულდასმით ემზადებოდა იუტასთან სალაპარაკოდ. მას ხომ ცოლთან ახსნა-განმარტებით საუბარი ელოდა; ეს კი არც ისე იოლი საქმე იყო. უკვე თორმეტი წელია ცოლ-ქმარი იყვნენ. ამ წლებში მათ ცხოვრებაში იყო როგორც სასიამოვნო, ისე მძიმე და რთული მოვლენები, სამ შვილზე ზრუნვა და მათი აღზრდა, მძიმე ფეხმძიმობა გოგონაზე, პროფესიული წარმატებებისთვის ბრძოლა, ოჯახსგარეთა სატრფიალო თავგადასავლები — ერთხელ იუტას მხრიდან, ერთი-ორჯერ კი თომასისგანაც. ეს ყველაფერი ცოლ-ქმარმა ღირსეულად დაძლია და გადალახა. კაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთმანეთს შეერწყნენ. კაცი ქალის ნაწილი გამხდარიყო, ქალი კი — კაცისა. ისინი ყოველთვის გულახდილნი იყვნენ ერთმანეთთან, გულწრფელნი და ერთსულოვანი იმაშიც, რომ ჩვენს ირგვლივ სამყარო ცვალებადია, იცვლება ურთიერთობებიც და, მასთან ერთად, ადამიანებიც იცვლებიან. რა თქმა უნდა, არავისთვის და, მითუმეტეს, ბავშვებისთვის არ იქნებოდა ადვილი ის, რომ თომასის ცხოვრებაში სხვა ქალი გაჩნდა, რომელიც შეიძლება მისი ცოლიც გამხდარიყო, რასაც ალბათ დედ-მამის გაყრა და დაშორება მოჰყვებოდა. ამ ამბავს იუტა უთუოდ თავშეკავებულად და გონივრულად შეხვდებოდა, ხოლო ვერონიკა ბავშვებთან ურთიერთობაში შესაფერის და მართებულ გზას აირჩევდა. „იგი ხომ შესანიშნავი ადამიანია“, ფიქრობდა კაცი.

ბერლინში კი მოულოდნელი რამ მოხდა. ერთ ღამეს ანსბახის ქუჩაზე, მათ მანსარდულ ბინაში ხანძარი გაჩნდა. ამ დროს პატარა გოგონა ავადმყოფობდა, მწე ქალი კი თავისიანებთან სტუმრობდა პოლონეთში. საღამოს, როცა იუტა და თომასი სამზარეულოში ისხდნენ და პიცას შეექცეოდნენ, ისეთ დაღლილობას გრძნობდნენ, თითქოს ძალა მთლად გამოსცლოდათ.

— რაღაც მაქვს სათქმელი, — მიმართა კაცმა ცოლს, როცა ქალი წამოდგა და საძინებელი ოთახისაკენ გაემართა.

— ჰო, აბა რა იყო?

— ერთი ქალი გავიცანი, ვგრძნობ, ძალზე შემეყვარდა!

ცოლმა ქმარს შეხედა. უცებ სახე თითქოს გაუქვავდა და უძრავი გაუხდა. ალბათ დაღლილობის ბრალი იყო, თუმცა მაშინვე გაიღიმა და ქმარს სასწრაფოდ ამბორიც კი უძღვნა.

— ჰო, ჩემო ძვირფასო, ბოლო შემთხვევის შემდეგ ოთხი წელი გავიდა, იმის წინა შემთხვევის შემდეგ კი — რვა, — გამოთვალა ქალმა, მაშინვე შეჩერდა და იატაკს ჩააშტერდა. კაცი ვერ მიხვდა, ცოლი კიდევ აპირებდა რაიმეს თქმას თუ არა, იქნებ იმას ელოდა, რას იტყოდა ქმარი. ბოლოს იუტამ წარმოთქვა:

— თუ შეიძლება რეგულარს ოთახში ფანჯარა მიხურე! — თქვა, მიტრიალდა და საძინებელი ოთახისკენ გაემართა.

თომასმა თავი დაუქნია, ბავშვებთან შევიდა და საბანი მზრუნველად გაუსწორა. შემდეგ ცოტა ხანს შეყოვნდა, მძინარეს დაჰყურებდა, რომელსაც კვლავ მაღალი სიცხე ჰქონდა. ამასობაში იუტა დაწოლილიყო, უკვე ძილის დრო იყო.

უცებ კაცს ახალგაზრდული სიანცე დაეუფლა და გადაწყვიტა, მისაღებ ოთახში ტახტზე მოკალათებულიყო. ასე ადრეც ხშირად მოქცეულა, თუმცა ამჯერად განზრახვა გადაიფიქრა, საძინებელში შევიდა და ცოლ-ქმრის საერთო სანოლ-

ზე, მისთვის განკუთვნილ მხარეს, ცოლის გვერდით დაწვა. ქალი გადმობრუნდა და ქმარს მთელი ძალით მიეხუტა.

— ჩემსავით შავგვერემანი ხომ არ არის?

— ჰო.

— სვალ მომიყევი მასზე.

3.

ვერონიკა არც აჩქარებდა კაცს და არც დაჟინებით სთხოვდა რაიმეს. კარგად ესმოდა, რომ ოჯახიდან თომასის წასვლისა და იუტასთან განქორწინებისათვის ჯერ შესაფერისი დრო არ დამდგარიყო, ვიდრე რეგულა ჯერ კიდევ ავადმყოფობდა, ვიდრე ბავშვების მომვლელი ქალი პოლონეთიდან არ დაბრუნდებოდა. სახლში გაჩენილი ხანძრის შემდეგ კი იუტა საქმეს ვერ აუდიოდა, თან სამსახურშიც ორი ახალი თანამშრომელი მიეღოთ, რომლებიც იუტას უნდა გაერკვია საქმეში და ყველაფერი აეხსნა მათთვის; თვით თომასი ჰუძონზე ასაგები ხიდის პროექტის ესკიზთა და ნახაზთა შედგენა-დამუშავებით იყო დაკავებული; დაბოლოს, ჰამბურგის გალერეამ და მისმა ფილიალებმა ლაიპციგსა და ბრიუსელში ზომბაზე მეტი საზრუნავი გაუჩინა ვერონიკას, თანაც იგი ისეთი ქალი არ გახლდათ, გვერდით მამაკაცის მუდმივად ყოფნა სდომებოდა. თუმცა განა არ კმაროდა, რომ ბავშვებისა და საკონსტრუქტორო ბიუროს გამო თომასისა და იუტას ცოლ-ქმრული ცხოვრება შინაარსისგან მთლად დაცლილიყო, დაშრეტილიყო და გარეგნულად არსებობდა? მაგრამ მიუხედავად ამისა, კაცი ძირითადად მასთან ცხოვრობდა და მთელ თავისუფალ დროს არსებითად იუტასთან ატარებდა. კაცი შვებულებასაც ანანილებდა, რათა ახალი არავისთვის დაენწყვიტა. ერთხელ ცოლსა და ბავშვებთან ერთად მთელი კვირა თხილამურებით სრიალის შემდეგ კიდევ ერთი კვირით მიუხეხინიდან ფლორიდაში ჩავიდა, სადაც ბინა ჰქონდა ვერონიკას. ხოლო ვიდრე მისი თანხლებით ზაფხულში ორი კვირით სამოგზაუროდ პელოპონესში გაემგზავრებოდა, თავის ბიჭუნებთან ერთად ათდღიანი ველოტური მონაცყო. შობის წინა დღე და შობა კაცმა შინ გაატარა, ძველი და ახალი წლების გასაყარზე კი ახალწლის ღამეს ჰამბურგში შეხვდა. ვერონიკამ თავის დიდ და ვრცელ ბინაში სახელოსნო მოუწყო თომასს, ხატვისთვის ყოველგვარი პირობა შეუქმნა და კაციც ხატავდა. ოჯახმა იცოდა, რომ ხატვის გამო იგი სადაც გადასახლდა, მაგრამ კერძოდ სად, არავისთვის უთქვამს.

გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის შემდეგ თითქოს უცებ გავიდა მთელი წელი. 15 იანვარს ვერნისაჟის წლისთავი შესრულდა და ვერონიკამ თომასის ნამუშევრების მეორე გამოფენა მოაწყო. უძილობითა და სასიამოვნო დაღლილობით არც ისე ძალაგამოცლილი და მიმტკნარებული, როგორც შარშანდელი ვერნისაჟის შემდეგ, მაგრამ მაინც უზომო ბედნიერებით აღსავსე კაცი ახლაც მეორე დღით მატარებლით ბერლინს მიემგზავრებოდა. რა თქმა უნდა, ეს გაორებული ცხოვრება მართებულად სულაც არ მიაჩნდა, ნუთუ ადვილი იქნებოდა ასე გაგრძელება? შეძლებდა განა ყველაფრის გაძლოვას, ქალებსა და შვილებთან სანახევრო ურთიერთობას, მამობის განევას და მუდამ გადარჩენაზე ყოფნას? ადვილი შესაძლებელია, შვილის ყოლაზე ვერონიკასაც ეფიქრა. მართალია, ამის თაობაზე მისგან თომასს არაფერი სმენია, მაგრამ შეატყო, რომ ქალი დაფეხმძიმებას მაინცდამაინც აღარ ერიდებოდა და სქესობრივი აქტის დროს თავს აღარც იცავდა. კაცმა გადაწყვიტა, ამის შესახებ უთუოდ დალაპარაკებოდა. შინ კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა და, როგორც ყოველთვის, იგი ვერც ახლა ხედავდა მიზეზსა და საფუძველს გაყრასზე, გაშორებასა და ოჯახის დაშლაზე ჩამოეგდო სიტყვა.

ერთ საღამოს, როცა ყველანი მაგიდას უსხდნენ და ვახშმობდნენ, თომასი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას არ სურდა ოჯახის დატოვება. მისი საყვარელი ორი ვაჟი, ანცუბი და დაუდგრომლები, მაგრამ გულღია და გულკეთილები, გოგონა, ეს ქერა ანგელოზი, იუტა — დიდბუნებოვანი და საქმიანი, გულითადი და მუდამ მიმზიდველი; კაცს ხომ უყვარს იგი, რატომ უნდა დაეთმო ეს ყველაფერი?

მეორე წლისთავზე ვერონიკას გოგონა შეეძინა. ჩვენი გმირი მშობიარობის დროს ჰამბურგში გახლდათ, მელოგინეს ხშირად ნახულობდა და ელოდა, როდის გამოწერდნენ მას პატარა კლარასთან ერთად. მთელი ეს ხანი უქმად არ მჯდარა — თავისუფალ დროს ვერონიკას ბინაში გამუდმებით ხატავდა. გავიდა ორი კვირა და ბერლინიდან მოშორებული საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჰამბურგში მეორე ოჯახი შეიძინა; მართალია, ბერლინის მისთვის მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ისიც ოჯახად რჩებოდა, მაგრამ როგორც ჩანდა, ბოლომდე არც აქაური ცხოვრება ჰგავდა ოჯახურს და არც იქაური.

მალე მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბა. ვერონიკას ძალზე სჭირდებოდა ახლოს ჰყოლოდა თომასი და კიდევ გადამწყვიტა ამის თაობაზე მოსაზრება გამოეთქვა. მართალია, თავშეკავებას ცდილობდა, მაგრამ სიბრაზე და გაღიზიანება მაინც ვერ დამალა, რამაც კაცი კინაღამ წონასწორობიდან გამოიყვანა. ქალს მისთვის უსულგულო არ უწოდებია, თუმცა არასაკმარისი საიმედოობა დასწამა და ვითარებისა და მოვლენების ეგოისტ სტატისტიკადაც კი მონათლა. ყოველივე ამას კაცი ღრმა გულსტკივლით ისმენდა.

„არ ვიცი, როგორ გავართმევ თავს და როგორ დავძლევ ამდენ სიძინელსო“, დაიწყო ყვირილი ვერონიკამ: „იმასაც ვერ შევძლებ, დავამტკიცო, რომ ჩემთან უფრო სასიამოვნო და მიმზიდველია შენთვის ყოფნა, ვიდრე შენს ცოლთანო“. ამ სიტყვების შემდეგ ქალს ქვეთინიც კი აუტყდა. „ამჟამად აღელვებული ვარ, რადგან ძალიან მიჭირს, მაგრამ ასე არ იქნებოდა, ბოლოსდაბოლოს ერთად რომ ვიყოთ. არასოდეს არაფერს გთხოვდი და არაფერს გაძალბედი, ახლა კი ამას ვაკეთებ როგორც ჩემი, ასევე ჩვენი სვილის სახელით. ბავშვს პატარაობისას განსაკუთრებით სჭირდები, შენი შვილები ბერლინში უკვე დიდები არიანო“, — ეუბნებოდა აღელვებული ვერონიკა.

ბერლინში კი იუტა არ აძლევდა თომასს მოსვენებას. მასაც თავისი მოსაზრებები ჰქონდა. ეს ხანი ცოლ-ქმარს შორის ინტიმური კავშირი არ განწყვეტილა და ხშირად ერთადაც კი ეძინათ, ხოლო კლარას დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე და ბავშვის დაბადების შემდეგაც კაცი იუტას მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა და ისეთივე მგზნებარე და ვნებიანი ქმარი გახდა, როგორც დიდი ხნის წინათ იყო. როცა უზომოდ ნასიამოვნები, ინტიმურობით დაქანცული და ძალაგამოცლილი ცოლ-ქმარი გვერდი-გვერდ ინვა, ქალი კვლავ იწყებდა მსჯელობას მისი ნიუ-იორკისეული გეგმის შესახებ. გაუთავებლად და დაჟინებით ეკითხებოდა ქმარს, ნუთუ არ სურდა, თვითონ აეგო ხიდი ჰუდონზე და სიცოცხლეში ერთხელ მაინც ეთავა ხიდის მშენებლობა; განა არ შეიძლებოდა ნიუ-იორკში გადასულიყვნენ საცხოვრებლად ორი-სამი წლით? ბავშვებს სასწავლებლად იქაურ სკოლაში მიიბარებდნენ. ამერიკაში მათი უკანასკნელი მოგზაურობის დროს ერთი პატარა პარკის ახლოს რა მშვენიერი სახლები ნახეს! ერთ-ერთ ასეთ სახლში იშოვიდნენ ბინას და თავიანთ გემოზე მოაწყობდნენ. მართალია, ამ ყველაფერს ცოლი ქმარს მომბეზრებლად და დაჟინებით არ სთხოვდა, მაგრამ იმასაც დასძენდა, რომ ასე ცხოვრებას დიდხანს ვეღარ აიტანდა და ქმრის გაორებას ბოლო უნდა მოეღობოდა. კაცს, რა თქმა უნდა, ეს მშვენიერად ესმოდა, განიცდიდა და აუტანელი დაძაბულობა ეუფლებოდა.

რაც თომასს შემოდგომაზე დაემართა, მართალი უნდა ითქვას, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სკოლისა და სტუდენტობისდროინდელ მეგობართან ერთად რამდენიმე დღით ვოგეზებზე გაემართა სამოგზაუროდ. არემარეს ულამაზესი ფოტოლოვანი საფარი გადაჰკროდა. მზე ჯერ კიდევ ათბობდა და ახალისებდა ბუნებას. თუმცა წვიმიან ამინდს კარგა ხანია გადაეგლო, დედამიწას მაინც ოხშივარი ასდიოდა და ირგვლივ მძიმე და დახუთული სუნი ტრიალებდა. ტურისტებისთვის გამიზნული ფეხით სასიარულო გზა გერმანია-საფრანგეთის საზღვარსა და მთის მწვერვალებზე გადიოდა. საღამოობით ადგილობრივ სასტუმროებში ჩერდებოდნენ, ანდა ბარად ემ-

ვებოდნენ და სოფელში ათევდნენ ღამეს. მეგობრებმა ერთ საღამოს ოტელში ორი გერმანელი გოგონა გაიცნეს, სტუდენტები იყვნენ. ერთი ხელოვნების ისტორიას სწავლობდა, მეორე კი მომავალი სტომატოლოგი გახლდათ. საღამოს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ურთიერთობა ძალდაუტანებელი და გულლია ჩანდა, ამიტომ ერთად ყოფნა ყველას ძალიან სიამოვნებდა. თავი მოიყარეს მესამე საღამოსაც. სასიამოვნო განწყობასთან ერთად, ოთხივეს საოცარი მხიარულება და უფლებობა; ხოლო მას შემდეგ, რაც თომასის მეგობარმა ისტორიკოსმა გოგონა ოთახიდან გაიყვანა და სტომატოლოგ ქალიშვილთან თომასი მარტო დარჩა, ამით მამაკაცებმა თითქოს გაინაწილეს ახალგაზრდა ქალები და მალე ყველაფერი ბუნებრივად და თავისთავად წარიმართა. დიდებულ, ჯიშინ და ღონიერი ტანადობის ჰელგას არაფერი ჰქონდა საერთო ნატიფი და ფაქიზი გარეგნობის, ელეგანტურობით სავსე, დახვეწილი და სათუთი შინაგანი ბუნების იუტასა და ვერონიკასთან. ჰელგას სჯეროდა და მთელი არსებით იყო დარწმუნებული, რომ სიამოვნებასა და კმაყოფილებას ანიჭებდა თომასს, ვინაიდან კაცის მხრიდანაც ამასვე გრძნობდა. მართლაც, კაცის დაძაბულობა და დაქანცულობა თითქოს სადღაც ქრებოდა, უამრავი საზრუნავი, სადარდებელი, ყოველგვარი სიძინელე არარაობად მიაჩნდა და ავიწყდებოდა.

მომდევნო დღეს ოთხივე ერთად დახვტილობდა, ორიოდე დღეში კი გოგონები თავიანთ მშობლიურ ქალაქ კასელში უნდა დაბრუნებულიყვნენ. მალე გაირკვა, რომ ზამთრის სემესტრის დადგომისას ისინი ბერლინში უნდა ჩასულიყვნენ. ჰელგამ თომასს თავისი მისამართი მისცა და თან ჰკითხა, ხომ აუცილებლად დაუკავშირდები მისა, რაზეც ჩვენმა გმირმა, რა თქმა უნდა, თანხმობით უპასუხა.

ნოემბერში, როცა თომასს უამრავი საქმე მოეძალა, ძალიან გაუჭირდა იუტას წინადადებებსა და სამომავლო გეგმებთან ერთად, ვერონიკას საყვედურების მოსმენა. ჰამბურგში პატარა ბავშვის მოტეპო სუნს, ხოლო ბერლინში უკვე მონიფულ, დაუდგრომელ ვაჟიშვილთა სიანცესა და ხმაურსაც ვეღარ იტანდა. საკონსტრუქტორო ბიუროშიც ისე იყო დაკავებული, სახელოსნოში სახატავად დრო აღარც რჩებოდა. ყოველივე ამის გამო მუდამ უგუნებოდ და უქეიფოდ გახლდათ. აი, სწორედ მაშინ დაურეკა ჰელგას და დაუყოვნებლივ შეხვდნენ.

მას შემდეგ, რაც მათი შეხვედრა შედგა და კაცმა ქალი მოისურვია, მაშინვე სხვა საზრუნავი გაუჩნდა და ჰელგას უთხრა, სასწრაფოდ ტელეფონზე დარეკვა მჭირდებაო. ლაიციგში დარეკვის შემდეგ ქალმა სიცოლით ჰკითხა: „შენ რაო, მართლა ორი ცოლი გყავს?“

4.

ჰელგას გარეშე ჩვენი გმირი ალბათ ზამთარს ვერც გადაიტანდა. მართლაც რომ თავისებური ქალი იყო. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და კაცს კითხვებით თავს არ აბეზრებდა. მომხიბვლელი და მიმზიდველი, ამავე დროს, თვინიერი და რბილი ხასიათისა ჩანდა. ინტიმურობის დროს უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა თომასს, მასთან ყოფნა უხაროდა, უხაროდა მასთან ერთად ვახშობა და სადილობა, მისი საჩუქრები ახალისებდა და ყველაფერი მოსწონდა. კაცი ისეთ ბედნიერებას გრძნობდა, ანებივრებად კიდევ ქალს და როცა საქმეს თავს ვერ ართმევდა და ძალიან უჭირდა, ქალი მუდამ მხარში ედგა და უსიამოვნებას მასთან ერთად იტანდა.

მაგრამ აი, დადგა სესიების დრო. გამოირკვა, რომ ახალბედა სტომატოლოგ ჰელგას პაციენტი სჭირდებოდა. მან სთხოვა თომასს, მისი პაციენტი ყოფილიყო. ჩვენმა გმირმა, რა თქმა უნდა, უარი ვერ უთხრა, თუმცა კი ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა მტკივნეული ინექციები, უფრო მეტად მტანჯველი საბურღი მანიპულაციები, საშინელი ბუნეი, მოუხერხებელი და უხეირო კბილის გვირგვინები... მაგრამ მიუხედავად ამისა, მზად იყო, ქალის გულისთვის ყველაფერი აეტანა. თომასის

გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სრულიად სხვა სურათს წაანყდა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ღრმად ცდებოდა. მისი პირის ღრუში შეცდომით არაფერი კეთდებოდა, არაფერი იყო მტკივნეული და განსაკუთრებულად შემანუხებელი, თანაც ჰელგას მიერ შესრულებულ ყოველ პროცედურას ასისტენტი ამოწმებდა; მაგრამ რთული შემთხვევისას, თუ მას რაიმე არასწორად მოეჩვენებოდა ან ეჭვი გაუჩნდებოდა, მაშინ მთავარ ექიმს ეძახდნენ. ყველაფერი მიზანშეწონილი იყო. ასისტენტისა და მთავარი ექიმის ლოდინიც არ ანიჭებდა პაციენტს უსიამოვნებას, რადგან ჰელგა და მისი მეგობარი გოგონა, რომელიც ასისტენტობას უწევდა, კაცს სასიამოვნო საუბრით ართობდნენ, ხუმრობდნენ, მხიარულობდნენ. გარდა ამისა, როცა ჰელგა თომასს იხრებოდა, ცდილობდა, მკერდით მის სახეს შეხებოდა...

მიუხედავად ყველაფრისა, მალე თომასი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მიმართ ძალზე უარყოფითად განწყობილი იქნა. იქ ყოფნა უამრავ დროს ართმევდა. საათი საათს მისდევდა და თომასი მუდმივად კარგავდა ნახევარ დღეზე მეტს. თუ ჩანერილი იყო დღის ცხრა საათზე, დღის პირველ ნახევარში დაგეგმილ მის ოფიციალურ შეხვედრებს ჩაშლა ემუქრებოდა; ხოლო თუ ორ საათზე მივიდოდა, ხშირად ხუთამდეც კი უწევდა ლოდინი, რადგან არც თავისუფალი სამუშაო სავარძელი იყო, არც საკონსულტაციოდ ეძახდნენ და არც მედპერსონალი ჩანდა. იძულებული ხდებოდა, საღამოსთვის დაენიშნა აუცილებელი საქმიანი შეხვედრები, საკუთარი სამუშაო კი კვირის ბოლოსთვის გადაედო, რასაც ჰამბურგსა და ბერლინს შორის მის საათივით აწყობილ ურთიერთობასა და წასვლა-წამოსვლას საფუძველი ეცლებოდა და ყველაფერი რღვევის წინაშე იდგა.

კაცი გრძნობდა, რა დავიდარაბასაც გადაჰქიდა ქალმა და რა ხათაბალაშიც გახვია. ერთ დღეს მტკიცედ გადანყვიტა ნახევრადდამუშავებული ფესვებით, ნახევრადამოვსებული ბუხნით, კბილის დაუმთავრებელი გვირგვინებით თავის სტომატოლოგთან წასულიყო, სადაც ყველაფერს ერთ-ორ საათში მოუგვარებდნენ. როცა ჰელგამ ეს ამბავი შეიტყო, ისე გამძვინვარდა და გააფთრდა, თომასი ვეღარც კი სცნობდა. „ახლა თუ ბედის ანაბარა მიმატოვებ, თვალთი აღარ დამეჩანს!“ — აუწყა მან. „არ ვიცი, როგორ ავინაზლაურებ იმ ზარალსა და ზიანს, რომელიც შენი უარის შემთხვევაში ჩემს საგამოცდო პრაქტიკას მიაღებდა, მაგრამ ის კი ვიცი, ისეთ რამეს მოვიფიქრებ, სიცოცხლეში არ დაგავინყდესო“, სიბრაზეს ვერ ფარავდა ქალი. რა თქმა უნდა, თომასს არ უნდოდა დაეზიანებინა ჰელგას საგამოცდო პრაქტიკა და მკურნალობის გაგრძელებაზე დათანხმდა.

მართალია, დასაბუთებანი და მტკიცებულებანი, ასეთი თავდაუზოგავი და თავგამოდებული, მაინცდამაინც საფუძვლიანად და დამაჯერებლად არ ჟღერდა, მაგრამ ამ ყველაფერმა დაანახა კაცს, მისი ქალური სინაზის უკან თურმე რა სიმტკიცე, ნებისყოფა და შეუპოვრობა იმალებოდა.

მას შემდეგ, რაც მომავალმა სტომატოლოგმა გამოცდები წარმატებით ჩააბარა, კერძო სტომატოლოგიური კლინიკის შესახებ დაიწყო ლაპარაკი თომასთან. უკვე გადანყვიტილი ჰქონდა, როგორც კი ექიმი-ასისტენტის თანამდებობას მიიღებდა, შეუდგებოდა კიდევ ამ პროექტისთვის მზადებას. ამჟამად კი აინტერესებდა, კლინიკის ჯერ დაგეგმარებასა და შემდეგ მშენებლობის საქმეში ხომ არ დაეხმარებოდა თომასი, როგორც არქიტექტორი, ხოლო მოგვიანებით ჰელგასთან ერთად კაცი ფინანსური წარმატების არაოფიციალური მონილე და მონაწილე გახდებოდა და უთუოდ კმაყოფილიც დარჩებოდა.

— ვის სჭირდება კერძო კლინიკა?

— შენი ბინები ნეტავ ვის სჭირდება, ანდა შენი ხიდები? ვის რად უნდა შენი ნახატები?

ქალმა ისე გამომწვევად შეხედა კაცს, თითქოს ეკითხებოდა: „შენ თვითონ ვის სჭირდებიო“.

თომასი შეცბუნდა, ყურადღება დაძაბა, მერე კი უცნაურად გაეცინა: „აი, თურმე როგორი ყოფილა ჰელგა, ნამდვილი შეუპოვარი მეომარია“, — ფიქრობდა იგი. ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების დადებასა და კერძო კლინიკის მშენებლობის საქმეში მისი, როგორც არქიტექტორისა და არაოფიციალური მონილეს მონაწილეობას, აქ ჩვენი გმირი ცოტა ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა ქალს არ გაეცურებინა და უსიამოვნებას არ გადაჰყროდა.

ჰელგამ შეატყო, რომ მისი შეკითხვა კაცმა საფუძვლიანად ვერ გაიაზრა და გადანყვიტა, ჯეროვნად აეხსნა მისთვის კლინიკის სიკეთე და უპირატესობა სტომატოლოგის პრაქტიკულ საქმიანობასთან შედარებით. „როდესმე გიფიქრია იმაზე, რომ თერაპევტი ხშირად სხვადასხვა კლინიკაში გვზავნის, სტომატოლოგს კი სტომატოლოგიურ კლინიკაში არასდროს გაუგზავნიან; მაგრამ როგორც წესი, სიბერე ხომ აუცილებლად გენვევა, შენი სტომატოლოგი რის ვაივავალახით შეეცდება შენი პირის ღრუს მონესრიგებას. ზოდა, აი, მაშინ უთუოდ დაგჭირდება სპეციალისტი, რომ შენს კბილებს უმკურნალოს და შეგინარჩუნოს, სხვადასხვა სპეციალისტმა პროთეზი დაგიმზადოს, პაროდონტოზი მოგიჩინოს და უამრავი სხვა რამე“.

თომასმა გაიფიქრა: „აჰა! ჯერ — ვის სჭირდებიო, ახლა კი — აი, ხომ მოხუცდებიო“. აშკარა იყო, ქალის მიერ შეთავაზებული ალებ-მიცემობის გარიგება კაცს უფრო მჭიდრო სასიყვარულო ურთიერთობისკენ უბიძგებდა და მეტადაც ავალდებულებდა. ეს მშვენივრად გამოიხატა ქალის თავდაუზოგავი უხვსიტყვაობით, როცა გულმხურვალედ ლაპარაკობდა იმაზე, თუ რაოდენ ბედნიერია, რომ მის ცხოვრებაში არსებობს თომასი, რომ აღფრთოვანებულია მისით, როგორც არქიტექტორით და როგორც მხატვრით, გარდა ამისა, თომასი ხომ შესანიშნავი ადამიანია და, რაც მთავარია, მასთან ნამდვილ ქალად გრძნობს თავს. სხვა რაღა უნდა ეთქვა. ამით ყველაფერი ნათქვამი იყო.

5.

ზაფხული უზარმაზარ ძალასა და ენერგიას ირგვლივ უშურველად აფრქვევდა. ქალაქში დიდი ორომტრიალი იდგა. ამნებები გაუთავებლად ილტვოდნენ ზემოთ, ცის თალისკენ; ქვემოთ კი ითხრებოდა და იზურლებოდა მიწა, მშენებლობები ფართოდებოდა და უამრავი ახალი სახლი ჩნდებოდა. ბუნებაც თავის ძალას აჩვენებდა. მართალია, ცხელი დღეები იდგა, მაგრამ ჭექა-ქუხილი მრავალჯერ დაატყდა თავს ქალაქს. იმ დღესაც, შუადღეზე თავი მოიყარეს ღრუბლებმა, შემოჯარდნენ, ნაშუადღევს ცა მოილუშა, მოიქუფრა, ამოვარდა ძლიერი ქარი, ერთი გვარიანად დაიგრგვინა და დაიგრუხუნა, მერე კი ჭექა-ქუხილმა არემარე გააყრუა, რასაც ელვაც მოჰყვა, დაიგრინენ და დაიკლაკენ ელვის ენები; ნათებად ცის თალი გაარღვია; ციდან უხვად გადმოიღვარა წყლის პირველი ბარაქიანი და მსხვილი წვეთები, რაც მალე კოკისპირულ წვიმაში გადაიზარდა. წვიმდა ღონივრად და ღვართქაფად, წვიმდა ოციოდე წუთს, შესაძლოა, ნახევარ საათსა ან მეტსაც. ქალაქში მტვრისა და წვიმის სუნი დატრიალდა; წვიმის შემდეგ კი ბუნება დანყნარდა და სიმშვიდემ დაისადგურა. ცოტა ხანში, უკვე მოსალამოვებულზე, უამინდობის გამო სახლებში შეყუყუილი ადამიანები კვლავ ქუჩაში გამოეფინენ. მალე ცოტა ხნით თითქოს კვლავ ინათა; ეს იყო ავდრისა და საღამოს საზიაროდ შერწყმულ სიბნელეში შეჭრილი ნავიანევი მზის ათინათი და ნათელი ბინი.

ჩვენი გმირი ფრთაშესხმული იყო და საოცარ სიძულესთან ერთად ძალთა მოზღვავებასა და უჩვეულ შემართებასაც გრძნობდა, თან უამრავ საქმეს აკეთებდა. ფერწერული ტილოების ახალი სერიის შექმნასაც შეუდგა. აგეგმარებდა როგორც ჰუმონზე ასაგები ხიდის, ასევე კერძო სტომატოლოგიური კლინიკის პროექტებს. ამ ყველაფრის გარდა, საკონსტრუქტორო ბიუროში მიმდინარე სამუშაოებიც ხომ უნდა შეესრულებინა.

იუტასთან ერთად ორი-სამი წლით ნიუ-იორკში გამგზავრებას, ხოლო მასთან დაშორების შემდეგ ვერონიკასთან რი-

გიახი ცოლ-ქმრული ცხოვრების დაწყებას აპირებდა. არც ჰვლგას-
თან გაუწყვეტია ურთიერთობა და სულაც არ იყო წინააღმდეგი,
ეთანამშრომლა მასთან და იმ იდეის თანამონაწილე გამხდარიყო,
რომლის განხორციელებასა და წარმატებით დაგვირგვინებაშიც
ქალი სრულიად დარწმუნებული გახლდათ.

კაცი იმ ჟონგლიორის უდიდეს ნეტარებასა და სიამოვნებას გა-
ნიცდიდა, რომელიც სულ უფრო მეტ რგოლებს უმატებს თავის
სასცენო ნომერს, ყოველი რგოლის მიმატება კი ბედნიერებას ანი-
ჭებს და თან უმართლებს კიდევ.

ნეტავ ჟონგლიორს შიშის გრძობა არ გააჩნია? ანდა თუ აქვს,
რგოლების მომატებასთან ერთად არ იზრდება? განა არ უნდა იცო-
დეს, რომ ეს თამაში მუდმივად არ გაგრძელდება? ხომ შეიძლება რა-
იმეს წამოედოს, ფეხი აერიოს, რაიმე შეეშალოს და მარცხი განიცა-
დოს? იცის ეს ჭეშმარიტება თუ მისთვის ყველაფერი სულერთია?

ეს ზაფხული ისეთ სიამესა და კმაყოფილებას ანიჭებდა თო-
მასს, იმედი ჰქონდა, ჟონგლიორობასაც წარმატებით დაავიკრი-
ნებდა. საჭირო იყო ჟონგლიორით ერთიმეორის მიყოლებით,
თანდათან მოეკლო რგოლები. ჰელგას მეგობრულად ეტყოდა, რომ
ყველაფერი წარმავალია და იგი კვლავ მის მეგობრად დარჩება.
თან, როგორც მეგობარი, ყოველთვის დაეხმარება; თუმცა ქალმა
უნდა იცოდეს, რომ კლინიკის მშენებლობაში მონაწილეობას არ
აპირებს და არაოფიციალურ მენილე-მეპაიეობაზეც უარს აცხა-
დებს. ვერონიკას კი კაცი წყნარად და აუღელვებლად აუხსნის,
რომ კარგი იქნება, თუ ურთიერთობას დაასრულებენ. ალიმენტის
საკითხს, კლარასთან მამის კონტაქტებს, ქალის უფლებებსა და
მოვალეობებს თომასის სახელოსნოსთან მიმართებით ვერონიკა
შესანიშნავად მოაგვარებს, იგი ხომ საქმიანი და უნარიანი ქალია,
ამიტომ დაინტერესებულიც უნდა იყოს, როგორც სახელოსნოს
ჯეროვანი პატრონობით და ნამუშევრების ხელსაყრელი რეალიზა-
ციით, ასევე მათ საერთო შვილთან მამის ნორმალური დამოკიდე-
ბულებით. იუტას კი დაელაპარაკება იმაზე, რომ მათი ერთად თა-
ნაცხოვრების თხუთმეტი წელი საკმარისი იყო; ახლა შეუძლიათ
ბავშვებზე შემდგომი ზრუნვის საკითხებსა და საკონსტრუქტორო
ბიუროს საქმეებში მხოლოდ პარტნიორებად დარჩნენ, სხვა დანარ-
ჩენზე კი ლაპარაკი უკვე ზედმეტია. თომასისთვის, როგორც ჟონ-
გლიორისთვის, სულაც არ იყო ძნელი თანდათან შეემცირებინა
რგოლები, ჯერ ერთი მოეკლო, შემდეგ კი — დანარჩენები.

ავისიტოში ჩვენს გმირს დაბადების დღე ჰქონდა. იგი ორმოც-
დაცხრა წლისა ხდებოდა. რა თქმა უნდა, სამივე ქალის სურვილი
იქნებოდა ამ თარიღის მასთან ერთად აღნიშვნა. მართალია, კაცი
მჩვეული იყო მხოლოდ ერთ-ერთთან ეზიმა ეს დღე, დანარჩენი
ორისთვის კი თავი აერიდებინა, თუმცა სამივესგან თავის დაღწე-
ვაც არ უძელებებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ეს დღე იუბილარმა მარტოდმარტო გაატარა.
საკუთარი თავი „მატალოზე“ მყოფ მოსწავლეს აგონებდა. გადაწყ-
ვიტა, ქალაქგარეთ გასულიყო და სადღე წყნარი ადგილი მოეძებნა.
მართლაც, ქალაქის კარიბჭესთან ერთი პატარა ტბა იპოვა. მშვენიე-
რად იცურავა, წითელ ღვინოსაც შეეცქეოდა და მზესაც ეფიცებო-
და, მერე ცოტა გამოიძინა კიდევ. ბოლოს წყალში კიდევ შევიდა და
მალე დატოვა იქაურობა. წამოსვლისას ტბის მეორე მხარეს პატარა
რესტორანი აღმოაჩინა, რომელსაც მშვენიერი ტერასა ეკვროდა.
საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა იქ გააგრძელა და საღამომდე
ფეხი აღარ მოუცვლია. კაცი კმაყოფილი ბრძანდებოდა საკუთარი
თავით, კმაყოფილი გახლდათ მთელი სამყაროთიც.

ნუთუ წითელი ღვინის ბრალი იყო ეს ყველაფერი? შესანიშნავი
დღე და არანაკლებ მშვენიერი საღამო! პროფესიული წარმატება,
სამივე ქალთან აწყობილი ურთიერთობა და, ამავე დროს, ბედნიე-
რების შეგრძნება. ორმოცდაათ წლამდე ხომ ერთი წელი აქვს დარ-
ჩენილი. აი, მერე კი შეაჯამებს მთელ თავის ცხოვრებას და სათანა-
დო დასკვნებსაც გააკეთებს, თუმცა დარწმუნებულია, იმ დროის-
თვის უცვლელი დარჩება მისი ცხოვრების კარაბადინი. იგი ხომ
ჯერ ოცდაათისაც არ იყო, როცა ქვეყანაში გაერია და სამყაროს
განუყოფელი ნაწილი გახდა, რათა ის უფრო სამართლიანი, მიმ-
ზიდველი და სანეტარო გაეხდა. დედამინაზე ხომ უხვადაა სილა-



მხატვარი თამარ მინაშვილი

მაზე, სიმშვენიერე, სიხარული, პური, ვარდი, უამრავი
სხვა ყვავილი და მუხუდოც. ეს სიამოვნებანი ხომ ჩვენ
ირგვლივ ყველასთვის საკმარისია!

ჰაინეს ტკბილმა მუხუდომ კი იმაზე მეტად იმოქმედა,
ვიდრე მარქსის კომუნისტურმა საზოგადოებამ, თუმცა
წარმოდგენაც არ გააჩნდა, ის მუხუდო როგორ გამოიყუ-
რებოდა და ჩვეულებრივ მუხუდოსთან რა დამოკიდებუ-
ლება ჰქონდა. მაგრამ იმის შესახებაც არაფერი იცოდა —
და ვერც გეტყოდათ — როგორი უნდა ყოფილიყო კომუ-
ნისტური საზოგადოება, რა თვისებები ექნებოდა და ჩვეუ-
ლებრივ, ნორმალურ საზოგადოებრივ ფორმაციასთან რა
კავშირი აღმოაჩნდებოდა. ტკბილი მუხუდო? ჰო, ტკბი-
ლი მუხუდო, ის თითოეული ადამიანის წილხვედრი უნდა
გახდეს მაშინვე, როგორც კი მნიფობაში შევა, ჟამი მოუვა
და მისი საფარი გარსი და პარკი სკდომას დაიწყებს.

ჩვენს გმირს თავისი ბედი იქნებ კვლავ პოლიტიკაში
ეცადა? შეიძლებოდა მწვანეებს დაკავშირებოდა, სადაც
კიდევ იყვნენ დარჩენილი მისი ადრინდელი მეგობრები.
ისინი ხომ ხშირად ეპატიჟებოდნენ თავიანთ რიგებში და
მეტი პოლიტიკური აქტივობისაკენ მოუწოდებდნენ. ად-
მინისტრაციულად შეერთებული აღმოსავლეთ და და-
სავლეთ ბერლინი პოლიტიკურად და არქიტექტურულა-
დაც ხომ უნდა შერწყმოდა ერთმანეთს? ორივეს არსებო-
ბა წარმოუდგენელია უერთმანეთოდ, ორივეს კი ისეთი
მამაკაცები სჭირდება, როგორიც თომასია. მამაკაცები-
სა რა მოგახსენოთ, მაგრამ პოლიტიკაში იგი ქალების
ყოფნას უფრო მეტად მოსურვებდა. იმაზე სასიამოვნო
სანახავი რა უნდა იყოს, ნიკელის ბრჭყვიალა სათვალთა-
ნი პოლიტიკური ემანსიპაციის ნაყოფი მდებრი ბუჩქად
შეკრულ თმის კონას რომ გაიშლის და წითლად შეღები-
ლი, ჟღალი და ფაფუკი მხრებზე მაშინვე თვალწარმტა-
ცად დაეფინება, ნიკელის ტყვეობიდან გათავისუფლე-
ბულ თვალებს ჩაგიჟუჟუნებს, თან მაცდურად და მიმ-
ზიდველად მოგაპყრობს მზერას.

ასე ფიქრობდა თომასი და თავისთვის ელიმებოდა. ამ-
ჯერად ეს ყველაფერი უსათუოდ წითელი ღვინის ბრალი
იყო. მაგრამ ნუთუ მხოლოდ წითელი ღვინის? მართლაც-

და, განა წითელ ღვინოში არ იმალება ღრმა სიბრძნე და სიბრძნისეული ქეშმარიტება? ის უშურველად მხოლოდ მისთვის გადმოიღვრება, ვინც მიაკვლევს და აღმოაჩენს. განა ტკბილ მუხუდოშიც არ არის ჩამალული სიბრძნე და გონიერება? ამქვეყნიური არსება სიკეთეში უნდა ცხოვრობდეს და იყოს ბედნიერი, რათა სხვასაც უწილადოს იგი. აგრეთვე, წარმატებულიც უნდა იყოს, რაც მასაც სიხარულს მიანიჭებს და სხვასაც ხელს შეუწყობს წინსვლაში. ამქვეყნად ხომ არსებობს სიკეთე; დადის, დარწმუნებს და ბედნიერებას თესავს. დიას! მაშინაც კი, როცა საკუთარ თავს ცოტათობა ბედნიერებას ვანიჭებთ, სამყარო უფრო მეტი ნეტარების ადგილად იქცევა, როგორც ჩვენნი, ასევე სხვისი წილი ერთი მისხალი ბედნიერებითაც კი. განა შეიძლება ვინმესთვის ავის ქმნა? ეს ხომ უბედურების ტოლფასია! თომასს არასდროს სდომებია არავისთვის ავი. პირიქით, ცდილობდა ყოველთვის სიკეთე დაეთესა.

ამ ფიქრებში ჩაფლული იჯდა ჩვენი იუბილარი სრულიად მარტო. საოცრად ნათელი ღამე იდგა და მთვარის შუქი ყველგან წვდებოდა. აჰ, რა კარგია, როცა გაქვს მიზეზი და საფუძველი, კმაყოფილი იყო როგორც საკუთარი თავით, ასევე მთელი სამყაროთი.

6.

თომასი შემოდგომაზე ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე კვირა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ხიდების მშენებლობის კონსორციუმთან. მას უსიამოვნოდ და აუტანლად მოეჩვენა როგორც იქაური ვითარება და გარემოება, ასევე ის ფორმა და მანერა, რაც ამ მოლაპარაკებებს ახლდა. ზერევე და მოჩვენებითი გულითადად გამოსჭვივდა არა მხოლოდ სახელით მიმართვაში, არამედ საუბრებში მეუღლის, შვილების, კვირის ბოლოს ქალაქგარეთ გასეირნების შესახებ. ვერ იტანდა დიდიხანა, სამუშაოს დანების წინ არაგულწრფელ და არაბუნებრივ მისალმებას. ტანჯავდა და აწუხებდა ის, რომ ერთ დღეს სიტყვიერად მიღწეული შეთანხმებები მეორე დღეს წერილობით პროექტში სანახევროდ იყო წარმოდგენილი, რის გამოც გამოტოვებული ნაწილის ირგვლივ საჭირო ხდებოდა ახალი დიალოგის გამართვა. გარდა ამისა, როცა ნიუ-იორკში მუშაობა მთავრდებოდა, ტოკიოში იწყებოდა სამუშაო საათები, ამიტომ თომასს იგივე სამუშაო თავის ტოკიოელ პარტნიორთან დილაზე უნდა გაეგრძელებინა ტელეფონით.

ერთ მშვენიერ დღეს კი სამუშაო პროცესი შეწყდა და აი, რატომ. ნიუ-ჯერსიში დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია, რომლის დამშვიდებაც მხოლოდ გუბერნატორს შეეძლო. მალე გაირკვა, რომ საქმე იმ დღეს არ მოგვარდებოდა და თომასმა იქ ჯდომა და სხვა მონაწილეებთან ერთად მოლაპარაკებების ლოდინი უაზრობად მიიჩნია.

ჩვენმა გმირმა გადამწყობა ქალაქში გაველო. იხეტიალა პარკში, მუხუდშიც შეიარა; იმ სახლებს აუარ-ჩაუარა, რომლებშიც სიამოვნებით იცხოვრებდა იუტა. შემდეგ ქალაქის იმ უბნებსაც ეწვია, სადაც მხოლოდ ესპანური ენა ისმოდა. ბოლოს ერთი ეკლესიის წინ კაფე მოძებნა, რომელიც საკმაოდ მოეწონა, თუმცა ცხადი იყო, ის არ მიეკუთვნებოდა იმ რიგიან კაფეებს, სადაც კლიენტებს უნაკლო მომსახურება ელით, შეუძლიათ სწრაფად გადაიხადონ საფასური და დროზე დატოვონ იქაურობა. მიუხედავად ამისა, კაფე სავესე იყო ხალხით. კითხულობდნენ, წერდნენ და საუბრობდნენ ისე, თავი ვინის კაფეში გეგონებოდათ. სტუმრებს დროის შეგრძნებაც კი დაჰკარგოდათ, თითქოს არავის არსად ეჩქარებოდა. მაგიდები ტროტუარზეც კი გამოეტანათ, თუმცა იქ ერთი ადგილიც არ იყო თავისუფალი, ამიტომ თომასმა გადანყვიტა, შიგნით შესულიყო და იქ დამჯდარიყო.

კაფეში მისვლამდე გზაში სამი ღია საფოსტო ბარათი იყიდა. „ძვირფასო ჰელგა“, — დაიწყო წერა ერთ-ერთზე: „ამ ქალაქში ისეთი სიციხე და ხმაურია, არ ვიცი, რა ნახა ხალხმა აქ მოსაწონი. ეს მოლაპარაკებები მომბეზრდა, ამერიკელებსა და იაპონელებსაც ველარ ვიტან. აქაური ყოფა მანუხებს და მტანჯავს. ძა-

ლიან მენატრება ხატვა, მაგრამ ყველაზე მეტად შენ მენატრები. როცა ჩამოვალ, ყველაფერი თავიდან დავიწყებ“. შემდეგ იმასაც სწერდა, თუ რაოდენ უყვარდა ქალი. ბოლოს თამამად და გაბედულად მოაწერა ხელი, თან სულ თვალწინ ედგა ჰელგა, მშვენიერი, მიმზიდველი, უწყინარი, ღრმად ქალური, შეუპოვარი და მკაცრიც, ანგარიშიანი და ანგარიშგასანევიც, ხშირად თითქოს ცივი და უკარება, მაგრამ სიყვარულისთვის განწყობილი და სიყვარულის მორჩილად მომლოდინე. აჰ, რა დაუვიწყარი იყო მასთან გატარებული ღამეები! შემდეგი საფოსტო ბარათი ვერონიკას ეკუთვნოდა: „ძვირფასო ვერონიკა!“ ორიოდ სიტყვის შემდეგ შეწერდა, აღარ იცოდა, რა დაეწერა. ისინი ხომ უსიამოვნოდ დამორდნენ და იჩხუბეს კიდევ. ქალი არ იყო მართალი, მაგრამ კაცმა მშვენიერად იცოდა, იგი ასე იმიტომ მოიქცა, რომ სასონარკვეთილმა აღარ იცოდა რა ელონა, იდგა კარებში და თომასს უყვიროდა: „თვალთ აღარ დამენახო, ჯანდაბამდე გზა გქონია!“ თან რამდენჯერმე გაუმეორა ეს სიტყვები, თუმცა კაცმა კარგად იცოდა, ქალი მოუთმენლად დაელოდებოდა, როგორ დაბრუნდებოდა მასთან, როგორ მოეხვედოდა და ყურში მგზნებარედ ჩასჩურჩულებდა: „კვლავ ერთად ვიქნებით!“ ახლა კი ვერონიკასადმი გასაგზავნ წერილს ბოლოში მიანერა: „როცა დავბრუნდები, ყველაფერი თავიდან დავიწყებ; უზომოდ მენატრები. ხატვაც ძალიან მაკლია, მაგრამ ყველაფერზე ძლიერ შენ მაკლიხარ. ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. ეს სამუშაო მტანჯავს, ამერიკელებსა და იაპონელებსაც ველარ ვიტან. ეს ქალაქიც აუტანელია, საშინელი ხმაურია და ცხელა კიდევ. ვერ გამიგია, რა მოსწონს აქ ხალხს. მიყვარხარ! თომასი“.

რა თქმა უნდა, მესამე ბარათიც უნდა გაეგზავნა. მასზეც, ისევე როგორც დანარჩენ ორზე, ჩამავალი მზის სხივებით განათებული ბრუკლინის ხიდი იყო გამოსახული. ამჯერად, ვიდრე წერას შეუდგებოდა, თომასი კარგა ხანს შეყოვნდა; ბოლოს როგორც იქნა დაიწყო: „ძვირფასო იუტა! გახსოვს ალბათ ეს ქალაქი გაზაფხულზე. ახლა აქ საშინლად ცხელა და თან აუტანელი ხმაურია. ვერ გამიგია, რა არის აქ მოსაწონი და საინტერესო! მტანჯავს მოლაპარაკებები ამერიკელებსა და იაპონელებთან. ჩემს ყოფასაც ველარ ვიტან, სადაც ხატვის ადგილი აღარ დარჩა. უშეშობაც აღარ შემიძლია, მიყვარხარ და მაკლიხარ ძალიან. როცა დავბრუნდები, ყველაფერი თავიდან დავიწყებ!“ თომასმა იცოდა, ამ სიტყვების ნაკითხვისას როგორ გაოცდებოდა ცოლი, გაუკვირდებოდა, სკეპტიკურადაც განწყობოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით გაილიმებდა და ბედნიერებასაც იგრძნობდა. განა ოცი წლის წინათ ამ ლიმილის გამო არ შეუყვარდა ქალი? შემდგომშიც ხომ ყოველთვის მონუსხულივით შეჰყურებდა ცოლს. ჩვენმა გმირმა თითოეულ ბარათს მარკები დააკრა, ქურთუკი სკამის ზურგზე გადაკიდა, გაზეთი მაგიდაზე დადო, ქურჩის მეორე მხარეს საფოსტო ყუთისკენ გაემართა და სამივე ბარათი შიგ ჩაუშვა. მაშინვე მაგიდასთან დაბრუნდა და ტროტუარზე მოსიარულეებს დაუწყო ყურება. ფანჯრად ღია იყო. განა არ შეიძლებოდა გამვლელისთვის დაეძახა და ერთად ესაუბრათ? მათ ხომ მხოლოდ რამდენიმე მეტრი ჰყოფდათ ერთმანეთისგან. თვითონაც შეეძლო რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა და მათ მსგავსად ტროტუარზე მოსიარულე ადამიანი იქნებოდა, და პირიქით, ქუჩაში გამვლელებსაც შეეძლოთ ორიოდ მეტრის გავლა, კაფეში შემოსვლა და მაგიდასთან დაჯდომა თომასივით, მის პირდაპირ ან მის გვერდით. ამ ფიქრებში იყო გართული, როცა ერთი გამვლელი შენიშნა, რომელმაც თითქოს ებოძა იცვალაო, უცებ მობრუნდა და კაფეში შევიდა. დახლთან მისულმა საკუთარი თავი წარადგინა, სახელი და გვარი მიუთითა და თან ნამცხვარი და ყავა შეუკვთა; მერე თავისუფალი მაგიდა მოძებნა, წიგნი ამოიღო, ქალაქი და ფანქარც მოიმარჯვა და წერას შეუდგა. მალე მისი შეკვეთაც მზად იყო. ოფიციალურად ყველაფერი ლანგარზე დააწყო და ახალშემოსული კლიენტის სახელიც ამოიძახა. საკუთარი სახელის გაგონებაზე სტუმარი მიმტანს შეეხმინა და თავისკენ იხმო. „თომასო“, მოესმა თომასს; ეს ნიშნავდა, რომ კაფეს მისი სენია შემატებოდა.

ჩვენმა თომასმა განაგრძო გამვლელთა თვალღებობა. ტროტუარზე გამოცოცხლება იგრძნობოდა. ნეტავ რას აკეთებდნენ ადამიანები ამ დროს? მშვენივრად ხედავდა, როგორ მოდიოდა ორი ჩახუტებული ადამიანი, ერთმანეთს თვალეში შესცივინებდნენ და კოცნასაც არ იშურებდნენ. უფრო ახლოს კი საყიდლებით სავსე ჩანთებით დედა, მამა და ბავშვი მოაბიჯებდნენ. მარცხენა მხრიდან ძველმანებში ჩაცმული ზანგი თომასის თვალსაწიერს არ სცილდებოდა. ზანგი მოწყალებას ითხოვდა. აი, ცოტა მოშორებით ტურისტებმა ჩაუარეს კაფეს, უდარდელად რომ მოყალიბდნენ; მალე მათ მოსწავლეებიც მიჰყვნენ, გამოჩნდა ყავისფერშარვლიანი და ხალათიანი კაციც, რომელსაც „იუნაიტედ პარსელ სერვისში“ ამანათი მიჰქონდა. მაგრამ რატომ აკეთებდნენ იმას, რასაც აკეთებდნენ? რატომ მოხვედრა თავხედური და უტიფარი სახის მამრს ის მშვენიერი და მიმზიდველი მდებრი? რისთვის მოავლინეს ამქვეყნად მშობლებმა ეს მოწუნუნე, შარიანი და შფოთიანი, მუდამ უკმაყოფილო, თავიანთი მწვალებელი და მტანჯველი? რისთვის ზრდიან მას და საყიდლებზე გაუთავებლად რატომ დაატარებენ? ანდა თვითონ რისთვის მოველინენ ამ ქვეყანას? ძნელი არ იყო იმ კაცში წარუმატებელი, ქედმაღალი და პატივმოყვარე მეცნიერის ამოცნობა. ქალი კი, აშკარა გახლდათ, ბავშვის საბავშვო მეტისმეტად გადაჭარბებულ, ზომადგასულ სურვილებსა და მოთხოვნებს ამჟღავნებდა. ის მათხოვარი კი რას ელოდა? ნუთუ ფიქრობდა, ვინმე გულისხმიერებას გამოიჩენდა და რაიმეს აღიარებდნენ? რაც შეეხება ტურისტებს, ვის დააკლდებოდნენ ანდა ვინ მოსაკლესდა ამ უდარდელ და უმიზეზოდ მხიარულ უთავბოლო ადამიანებს, პირდაფრენილ დედამიწას რომ ჩაენთქა ისინი? ნეტავ ვის დააკლდებოდნენ ეს მოსწავლეები, მოულოდნელად რომ გაუჩინარებულიყვნენ? ალბათ — თავიანთი მშობლებს. მაგრამ განა სულერთი არ იყო, ახლა მოაკლდებოდნენ ვინმეს თუ მოგვიანებით თავიანთი შვილებსა და შვილთაშვილებს? თუ ამას ნაადრევი სიკვდილის ტრაგიზმი ჰქვია? როგორც ჩანს, ნაადრევი სიკვდილის შემდეგ არ გრძელდება სიცოცხლე. მაგრამ თომასს ეს ნაკლებტრაგიკულად მიაჩნდა, როგორც ის, რომ ადამიანები არც ნაგვიანევი სიკვდილის შემდეგ აგრძელებენ ცხოვრებას და თურმე დაბადებამდეც არ უცხოვრიათ.

კაცმა, რომელსაც „იუნაიტედ პარსელ სერვისში“ ამანათი მიჰქონდა, წაიბორძიკა და ტროტუარზე დაენარცხა. მან წყევლა და ლანძღვა დაიწყო. რატომ იწყებდნენ? თუკი სიკვდილი ავი რამაა, მაშინ უნდა გახარებოდა, რომ ცოცხალი გადარჩა, მაგრამ თუ სიკვდილი მიმზიდველია და მშვენიერი, მაშინ მისი მარადიულობისა და უსასრულობის გამო, ამნუთიერი დაცემისა და დაცემის ნუთიერების მიმართ ის ადამიანი გულგრილი უნდა დარჩენილიყო.

შორიხლო მომხიბლავმა წყვილმა ჩაიარა; რა სასიამოვნო იყო მათი შეხედვა. ორივე ტანადი, ხალისიანი და ენერგიული ჩანდა; ამავე დროს, საზრიანი გამომეტყველებით გამოირჩეოდნენ. ქალს ხელთ არ ჩაებლუჯა თავხედი და უტიფარი მუნუკებიანი სახე, კაცს კი ნამდვილად არ უმშვენიებდა გვერდს უტვინო და ტუტრუცანა, მოარშიყე მდებრი ლამაზმანი. თუმცა ეს ყველაფერი სიკეთეს მაინც ვერ მოიტანდა და ვერაფერს გამოასწორებდა. საქმე ის იყო, რომ ამაოება და არარაობა თვალშისაცემად ჩანდა. თომასი ორივეს მშვენივრად ჭვრეტდა იქაც კი, სადაც მათი დანახვა არც ისე იოლი გახლდათ. იგი ყველგან ამჩნევდა და ხედავდა ორივეს.

ჩვენი გმირი საკუთარ თავს ეკითხებოდა, იარაღი რომ ჰქონოდა, შეძლებდა თუ არა მის დამიზნებას გამვლელებისთვის და მათ ამოხოცვას ისე, როგორც კომპიუტერზე თამაშის დროს მონინალმდეგებს ანადგურებენ შეუბრალებლად მისი შვილები? რა თქმა უნდა, იგი შეეცდებოდა ჩაეხშო რისხვა საკუთარ თავში, რადგან ნამდვილად არ სურდა ბოლმა და ბრაზი მორეოდა. თუმცაღა ფანჯრის ჭრილიდან დანახული გამვლელები მართლაც არ იყვნენ მისთვის კომპიუტერულ ფიგურებზე უფრო ახლობლნი და ღირსეულნი. ისინიც ისეთივე ადამიანები გახლდნენ, როგორც თომასი, მაგრამ მათთან ეს სულაც არ აახლოებდა.

7.

მოგვიანებით, როცა ჩვენი გმირი დაფიქრდებოდა და ყველაფერს იხსენებდა, რწმუნდებოდა, რომ მაშინ და სწორედ იქ დაიწყო მისი თავქვე დაშვება. იმ დღიდან გახდა გადაჩეხილი, ისე, როგორც ეს მაქს ბექმანის ნახატზე იყო გამოსახული. ნახატი სამშენებლო კონსორციუმის პრეზიდენტის სახლში იხილა. გადასაჩეხად განწირული ადამიანი უმწეოდ და უილაჯოდ ეშვებოდა თავქვე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი სხეულიდან უზარმაზარი ძალა იფრქვეოდა, თან ზედა და ქვედა კიდურები ისე ღონივრად გაეშალა, თითქოს საცურაოდ მომზადებული და წყალში უნდა გადაეშვასო. თომასს ეჩვენებოდა, რომ იგი აღმოდებულ სახლებს შორის მიექანებოდა, იმ სახლებს შორის, რომლებიც თვითონ ააშენა და რომლებშიც მასვე მოუწია ცხოვრება. მიექანებოდა ჩიტებს შორის, თითქოს რომ დასცილდნენ და მასხრად იგდებდნენ; ანგელოზებს შორის, რომლებსაც მისი გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ არკი შევლოდნენ; ნავებს შორის, რომლებიც ზეცის თაღს ისევე უშიშრად და თამამად მიაპობდნენ, როგორი შეუპოვრობითა და გაბედულებითაც თვითონაც შეეძლო ცის სიღრმეში შეცურვა, თუკი სახლებს განუდგებოდა, განერიდებოდა და აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

მაგრამ თომასი დაბრუნდა და, დაბრუნდა თუ არა, ისევე ძველებური ცხოვრება დაიწყო; გააგრძელა როგორც საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობა, ასევე თავისი ბერლინური ყოფა ოჯახსა და მეგობრებთან ერთად, რომელთათვისაც იგი იუტას ქმარი, სამი შვილის მამა, არქიტექტორი და წარმატებული მხატვარი იყო. მათთან ხომ დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. ერთად ატარებდნენ შვილებს და ბავშვების აკრძადებებსაც კი; ერთად იტანდნენ ათასგვარ ოჯახურ უსიამოვნებას და ბევრჯერ შვილებზე ზრუნვაც კი გაუნანილებიათ. მათ შორის თომასი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული ურთიერთთანადგომისა და ურთიერთდახმარების მზაობაში, თუმცა კი ამჯობინებდა, საქმე აქამდე არ მისულიყო. გარდა ამისა, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა იმის წარმოდგენა, რომ ეს ურთიერთობანი ცხოვრებისეული ამბებისა და ძვირფას მოგონებათა მთელი აუნყავი საუნჯე გახლდათ. ჰამბურგში სულ სხვა სურათი სუფევდა ბერლინთან შედარებით. იქ კაცი კოლეგების ნაკლებობას განიცდიდა და ნაცნობებიც მხოლოდ ვერონიკას მხრიდან შეიძინა, რომლებიც უმეტესად განცალკევებით იდგნენ და რომლებთანაც ძირითადად ბავშვის გამო ჰქონდათ კავშირი.

იმ ნაცნობ-მეგობრებისთვის თომასი იყო მხატვარი. ისიც კარგად იცოდნენ, რომ ვერონიკასთან კონტრაქტი ჰქონდა დადებული და მისგან შვილიც კი ჰყავდა. მართალია, ჩვენი გმირი სასიამოვნო პიროვნება ჩანდა, მაგრამ ცხადი იყო, სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა და, უნდა ითქვას, მათ სამყაროში უცხოსავით იჭრებოდა. ვერონიკას ერთ მეგობარ ქალთან განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება აკავშირებდა. იგი ბავშვების ექიმი იყო. მიუხედავად მეტ-ნაკლებად ახლო ურთიერთობისა, თომასის ცხოვრება იქაურებისთვის მაინც ბურუსით მოცული და დაგმანული ჩანდა.

მისი ბერლინური ყოფა კი კვლავ სხვაგვარად მიედინებოდა. როგორც ჰელგა, ასევე მისი მეგობრებიც თომასზე თითქმის ოცი წლით უმცროსნი იყვნენ. მათ მისი იყო სწავლა დაემთავრებინათ და საზოგადოებაში ფეხმოუკიდებლობას და ცხოვრებისთვის ფეხაუნყოფლობას ვერ საკუთარი სამყაროც ვერ შეექმნათ. თავიანთი ასაკის გამო გულლია და გულწრფელნი ჩანდნენ ყველას მიმართ, მათ შორის, ჰელგას ხნიერი მეგობრისადმიც, რომელიც მრავალმხრივ განვითარებულ, დიდბუნებოვან ადამიანად მიაჩნდათ და, ამავე დროს, მეგობრულ, ჭკვიანურ და საქმიან რჩევებსაც არ იშურებდა მათთვის, როგორც ბევრ სხვა საკითხში, ასევე კერძო კლინიკის მშენებლობისა და ბინების ყიდვა-გაყიდვის საქმეშიც. გოგონებს ყოველთვის უხაროდათ, როცა ჰელგა თომასთან ერთად

ენვეოდათ ხოლმე, ანდა როცა ჰელგასთან თვითონ მიდიოდნენ სტუმრად და თომასიც იქ იმყოფებოდა. თუმცა აშკარად ჩანდა, ეს კავშირები და ურთიერთობები მაინცდამაინც სავალდებულო და აუცილებელი არც იყო, რადგან მათი ერთმანეთთან დამოკიდებულებაც ზერელე და ზედაპირული ჩანდა და დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

მიუხედავად ამ არაფრისმოძვენი და არასავალდებულო ურთიერთობებისა, და არა მხოლოდ ჰამბურგელ მეგობრებთან, არამედ, გულახდილად უნდა ითქვას, ძველ ბერლინელ მეგობრებთან ბოლოდროინდელი გაუცხოებისა და დაშორებისა, თანაარსებობა უკვე ყველასთან ზომაზე მეტად დაძაბული ჩანდა. თომასს უჭირდა მიზეზის ახსნა. რატომღაც ზაფხულში უკეთესი დამოკიდებულება იგრძნობოდა; ამჟამად კი ჩვენს გმირს უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ყოველთვის გაუთავებლად და დამაჯერებლად უნდა დაემტკიცებინა და დაემკვიდრებინა საკუთარი თავი, როგორც ჰელგას, ვერონიკასა და იუტას თომასს, არქიტექტორ და მხატვარ თომასს, სამი უკვე მონიფულე შვილის მამა თომასს, გარდა ამისა, როგორც ერთი წლის გოგონას მამა თომასს, რომელსაც ალბათ პაპად უფრო შეჰფეროდა, ხანდახან ეშინოდა კიდევ, საკმაოდ სწრაფად და სრულყოფილად რომ ვერ მოესწრო გარდაქმნა და გარდასახვა და ჰამბურგში ბერლინელ თომასად, ხოლო ჰელგასთან იუტას კუთვნილ თომასად არ დარჩენილიყო.

ერთხელ ვერონიკას მეგობარს თავის აზრებს უზიარებდა, თან დალილი და გვარიანად ნასვამი დიდხანს ელაპარაკებოდა იმის შესახებ, თუ სკოლის ასაკის ბავშვებიანი ერთი გერმანული ოჯახი როგორ აპირებდა ნიუ-იორკში გადასახლებას და იქ ცხოვრებას. ერთ ცოლ-ქმარს კი, რომლებთანაც თვითონ და იუტა დიდი ხანია მეგობრობდნენ, ვრცლად და ღრმად გულისტკივილით კარგა ხანს უყვებოდა ერთი მარტოხელა გალერისტი ქალის ცხოვრებისეულ სიძნელეებზე, მარტო რომ ზრდიდა შვილს.

ამ შემთხვევების გახსენებისას თომასი რწმუნდებოდა, რომ მისთვის დაღევა არ შეიძლებოდა და ყველასთან ძალზე ფრთხილად უნდა ყოფილიყო. სიღრმისეულად აითვისა და მიეჩნია, რომ ერთი ოჯახური ცხოვრებიდან მეორეში გარდასახვისა და გარდაქმნისას, საჭიროების მიხედვით ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისას. ეს კი ნიშნავდა, რომ საკუთარი გონება გაეთავისუფლებინა ყველა ზედმეტობისაგან და მხოლოდ იმ აზრებისთვის მოეყარა თავი, რომლებიც გადაუდებლად და აუცილებლად სჭირდებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ძალზე დამღლევი იყო და უდიდეს დაძაბულობას იწვევდა მასში. სიზმრებიც კი უცნაური დასჩემდა, რომლებიც საოცრად აფორიაქებდა. გამომდებელით ეს იზმრებოდა, რომ ჟონგლიორი იყო, მაგრამ ჟონგლიორობდა არა რგოლებით, არამედ ჩინელი მსახიობივით ხარისხზე დაკიდული უამრავი თეფშით; გარდა ამისა, ისიც ეზმანებოდა, როგორ ოსტატურად ატრიალებდა და აბზრიალებდა ხელით დანებსა და ცეცხლმოკიდებულ ჩირაღდნებს. თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ თეფშებს, დანებს, ჩირაღდნებს თანდათან უმატებდა, რის გამოც ამდენ რამეს მალე თავს ველარ ართმევდა და ველარც ერეოდა. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ თავისი ტვირთი ჟონგლიორს მთლიანად არ დაფარავდა და მთლად შიგ არ ჩაიმალებოდა. აი, მაშინ კი ელვიძებოდა ჩვენს გმირს და თავიდან ფეხებამდე ოფლში ცურავდა. მსგავსი სიზმრების გამო ხშირად არც ეძინა და ნახევრადმიძინარე დაიარებოდა.

ერთხელ მატარებლით ჰამბურგიდან ბერლინში მიემგზავრებოდა. მის წინ მჯდომმა მგზავრმა მეგობრული განწყობითა და დიდი სიამოვნებით დაუწყო საუბარი. თანამგზავრი მენარმე, ერთ-ერთი წარმოების წარმომადგენელი აღმოჩნდა. იმ სანარმოში თურმე ჟალუზებს ამზადებდნენ. ის უყვებოდა საკუთარი ოჯახისა და სამსახურის, ხისა და ხელოვნური მასა-

ლის, აგრეთვე ჟალუზების გამოგონების შესახებ, რაც ხმაურისა და სიციხისაგან იცავს შენობებს. „ამიტომაც, ფარდებთან შედარებით, მათ უდიდესი უპირატესობა აქვთო“, — ასკვნოდა თანამოსაუბრე. გარდა ამისა, იხსენებდა ათასგვარ ამბავს, თავის მოგზაურობას, ოჯახის წევრებს. მართალია, ეს იყო თავშესაქცევი, საინტერესო და სასიამოვნო, მაგრამ თომასისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი და საჭიროებას მოკლებული საუბარი.

თავიდან ჩვენი გმირი მხოლოდ უსმენდა, მაგრამ შემდეგ თვითონაც მოუწია პასუხის გაცემა მენარმის კითხვებზე — მას აინტერესებდა, სად მიემგზავრებოდა, რა პროფესიისა იყო. გამოჰკითხა ოჯახისა და ცხოვრების პირობების შესახებაც. კარგა ხნის საუბრის შემდეგ თომასმა შეიტყო, რომ მის ოჯახს სანარმო ცვიკაუში ჰქონია, სადაც თურმე მხაზველობითი საქმისათვის საჭირო საგნებს ამზადებდნენ. დაასახელა უამრავი სიძნელე, რომლებიც შექმნიათ სახაზავ დაფაზე მუშაობის კომპიუტერით შეცვლასთან დაკავშირებით. კაცი ყვებოდა იმ ძნელად გადასალახავ ნინაალმდეგობებზეც, რაც სანარმოსთან დაკავშირებით მისი ოჯახი აწყდებოდა როგორც 50-იან წლებში, ასევე სახელმწიფოში პოლიტიკურ ცვლილებათა შემდეგ.

თომასმა უკვე იცოდა, რომ სახლი მდინარის ნაპირზე ჰქონიათ, კაცის მეუღლე ინვალიდის ეტლზე ყოფილა მიჯაჭვული და ოთხი ქალიშვილი ჰყოლიათ. თანამოსაუბრე პროფესიონალის ღრმა ცოდნით მსჯელობდა: „ფანჯრების ახალ სერიაზე მოთხოვნილება გაზრდილია და დიდძალი ნედლეულია საჭირო. ამიტომაც ხანდახან მერქნის შესაძენად ბრაზილიასა და ბირმამდე მიწვევს მოგზაურობაო“. ამჯერად კი ჰამბურგში ყოფილა, სადაც თურმე კედარისა და სანდლის ხეების მასალა შეუსყიდია.

8.

ამასობაში თომასმა გადაწყვიტა, დაესრულებინა ურთიერთობა ვერონიკასთან. ჰამბურგში ყოველ ჩასვლაზე განზრახული ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს ამ საკითხზე ქალს აუცილებლად დალაპარაკებოდა. შესაფერის დროდ საღამო მიაჩნდა, როცა ბავშვს უკვე ეძინა. ამ დროს სამზარეულოში ქალი და კაცი ყოველთვის მაგიდას უსხდნენ. კაცი ეტყვის, რომ უბრუნდება იუტას და როცა თვით ვერონიკას სურს, მაშინ გაესაუბრება ალიმენტის, ბავშვთან კონტაქტების, თავის ფერწერულ ნამუშევართა გაყიდვა-რეალიზაციის თაობაზე. შემდეგ კი წყნარად და მშვიდად წავა თავის გზაზე. მაგრამ როცა ორივენი მარტო იხსდნენ, ქალი ისეთი ბედნიერი იყო იმით, რომ დღე მთავრდებოდა და კაცი მასთან რჩებოდა, თომასი ენას ვერ ატრიალებდა და სიტყვებს თავს ვერ უყრიდა. ხოლო როცა ვერონიკა შეწუხებული, უმწეო და დათრგუნული ჩანდა, კაცი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, რათა მისთვის უფრო მეტი წყენა და სულიერი ტკივილი არ მიეყენებინა, რის გამოც კვლავ შესაფერის დრომდე მოცდას ამჯობინებდა. ხანდახან ასეთ დროდ დილა მიაჩნდა... დილა კი ბავშვისთვის უნდა დაეთმოთ.

სათქმელი კი დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა. რაც შეიძლება მალე უნდა მოლებოდა ბოლო ისეთ მდგომარეობას, რომლის ატანაც უკვე აღარ შეიძლებოდა. თუკი თომასს ვერონიკასთან ყოფნა ნამდვილად აღარ სურდა, რატომ უნდა დაეკავებინა იგი? ქალს თვითონ უნდა წარემართა თავისი ბედი და საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა. განა საშინელი დასასრული არა სჯობდა მუდმივ და გაუთავებელ საშინელებას? თუმცა იქნებ ცდილიყო, კვლავ დაბრუნებოდა ქალს? არა, არა და არა! თომასი ისე დაცლილიყო როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ძალებისგან, რომ ველარასდროს შეძლებდა ვერონიკასთან ყოფნას! თუმცა იმასაც ვერ ახერხებდა, თავისი უგერგილობისა და უუნარობის გამო ქალისთვის პატიება ეთხოვა. მაგრამ იქნებ ცდილიყო და დაბრუნებოდა მას? ცხადია, ადამიანი დამ-

ბლადაცემულ ხელს ვერც ზემოთ ასწევს და ვერც აამოძრავებს, ბრძანებასაც ვერ დაემორჩილება და სამხედრო წესით მისალმებაც გაუჭირდება... ასეთ ფიზიკურ უსუსურობასა და უილაჯობას განიცდიდა თომასი და როცა ლაპარაკის დანწყება სურდა, ენასა და პირს ვერ ამოძრავებდა; მაგრამ იგი ხომ დამბლადაცემული არ იყო, სალაპარაკო ორგანოებიც წესრიგში ჰქონდა! დიხს! როცა მატარებელში იჯდა და ბერლინის მიემგზავრებოდა, მთელი გზა სირცხვილი სწვავდა.

მოგვიანებით ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, უფრო მძიმე და რთული ნაბიჯის გადადგამდე შედარებით იოლი საკითხი მოეგვარებინა და იოლი საკითხის მაგალითზე რთული საქმის მოგვარება ესწავლა. საჭირო იყო ჯერ ჰელგასთან დაებოლოებინა ურთიერთობა. შეუდგა კიდეც ამაზე ფიქრს და სურდა, რაც შეიძლება მალე დალაპარაკებოდა ქალს. იგი ეტყოდა, რომ ცოლსა და ოჯახს უბრუნდებოდა და მათი ამბიციური და უმიზნო, თან რეალობას მოკლებული ერთობლივი გეგმები განუხორციელებელია და აქედან არაფერი გამოვიდოდა, თუმცა კაცი დიდი სიამოვნებით დარჩებოდა მის მეგობრად და როგორც მეგობარი, დახმარების ხელს ყოველთვის გაუწვდიდა. განა მთელი ეს ხანი შესანიშნავი ურთიერთდამოკიდებულება არ ჰქონდათ? ნუთუ არ შეიძლება მშვიდად და წყნარად დაშორდნენ?!

ჰელგა მთელი გულისყურით უსმენდა. როცა კაცმა ლაპარაკი დაამთავრა, ქალმა გაფართოებული თვალები მიაპყრო. თვალები მაშინვე ცრემლებით ავესო და მომსკდარმა ნიაღვარმა ჯერ სახეზე, ხოლო შემდეგ ტანსაცმელზე იწყო დენა. მოულოდნელად შეუკავებელი ზღუქუნით თომასს მკერდში ისე ჩაეკრა, ტირილი არ შეუწყვეტია. კაცს ეკავა მკერდზე მიყრდნობილი ქალი და მთელი არსებით გრძნობდა მისი სხეულის სილბოსა და სინაზეს; სურდა, რაიმე ეთქვა, მაგრამ ქალი უარის ნიშნად თავს გაუთავებლად აქნევდა, თან თომასის ტუჩებზე პირი მჭიდროდ მიეჭირა და სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევდა.

მეორე დღით, საუზმის დროს, ქალი კვლავ და კვლავ ელაპარაკებოდა და აცნობდა მრავალგზის გამეორებულ მოსახრებებს კერძო სტომატოლოგიური კლინიკის შესახებ.

შესაძლებელი იყო განა ამ ყველაფრის განხორციელება? ნეტავ იუტასთან მაინც როგორ მოიქცეოდა თომასი? რა თქმა უნდა, შეეცდებოდა ამ რთულ საკითხზე უცებ არ დაეწყო საუბარი.

ერთ საღამოს იგი იჯდა ცოლის წინ და ფიქრობდა, რას ეტყოდა და ქალს როგორი რეაქცია ექნებოდა, თვითონ კი არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა გაენია და ყველაფერი დაეთმო, რადგან მიუხედავად საკუთარი მტკიცე გადაწყვეტილებისა, იმ სიხარულისა და სიამოვნების მოლოდინში იყო, თუ როგორ შეურიგდებოდა ცოლს; ქალიც თავის მხრივ ყველაფერს აპატიებდა, მოხევეოდა და თავისკენ მიიზიდავდა ქმარს.

მისი ფუჭი, უსუსური და უზადრუკი გადაწყვეტილებანი, გაუთავებელი უმიზნო და ამაო მსჯელობა ჩვენს გმირს ისე სასაცილოდ მოეჩვენა, ისტერიკული სიცილი აუტყდა. ველარაფრით ჩერდებოდა და თავს ველარ იოკებდა. იუტამ ვერ შეძლო კაცის დანყნარება, ბოლოს ორჯერ სილაც კი გაანწა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო იგი გონს და დამშვიდდა კიდეც.

თომასის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველაფრის მიუხედავად, რამდენ რამეს ასწრებდა. ამონებდა და აკონტროლებდა ჰუძონზე ასაგები ხიდის დაგეგმარებას. ამავე დროს დააპროექტა დრინას ხიდიც. ამასთან, მხატვრობაც არ მიუტოვებია და ფერწერული ტილოების მთელი სერია შექმნა, სადაც მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი იყვნენ გამოსახულნი. როგორ ქალებს არ ნახავდით აქ, ქერებსა და თეთრებს გვერდს უმშვენებდნენ შავგვერდები და უღალთმიანები, ჩაფსკენილებს, ჩამკვრივებულსა და ღონით აღვსილებს — ფაქიზი, სათუთი, ნაზი და ნატივი შესახედლო-

ბის მდებარე ენაცვლებოდნენ. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი; ზოგი იდგა, ზოგი იჯდა. ბევრი ნაცსაც კი მართავდა. სამოსიანებისა და ჩაცმულების გარდა თომასს უამრავი დედიშობილა ქალიც დაეხატა. მთელი სერია ჯერ არც იყო დასრულებული, როცა თავის გალერეაში ვერონიკამ უკვე გამოფინა ნამუშევრები. ერთი კოლექციონერი თავიდანვე ისე დაინტერესებულიყო, მთელი სერია უკვე შეესყიდა.

დიდი ხანი არ გასულა და ერთხელ ჩვენს გმირს ისეთი საბედისწერო რამ შეემთხვა, თითქოს განგებას სურს, იგი ამ დაუდგომელ ცხოვრებისეულ ორომტრიალს აარიდოს და თავისებური ხსნა და შეება მოუვლინოსო. იგი დრუდენიდან მიუნხენში მანქანით მიემგზავრებოდა. მანქანის მართვისას მუცლის არემი აუტანელი ტკივილები იგრძნო. „აღბათ კუჭის შეტევააო“, გაიფიქრა, თუმცა მალე მიხვდა, ეს იყო მანამდე მისთვის უცნობი არაადამიანური, ძნელადასატანი ტკივილები. მართლაც, ეს მწვავე აპენდიციტი გახლდათ. მთელი ტანით მოხრილი საჭეს დაეყრდნო, რადგან ასეთ ყოფაში ცოტა შეება იგრძნო, და რის ვაი-ვაგლახსით გზა განაგრძო. აშკარა იყო, რაღაც უნდა ელონა. ტკივილებით გათანაგულმა გზის გადაღმა რაიონულ საავადმყოფოს მიაგნო, სადაც მაშინვე ოპერაცია გაუკეთეს. მეორე დღეს კი შემოვლავ ექიმმა უთხრა, რომ თურმე სიმპტომების მიხედვით მისი შეტევა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს ჰგავდა, „მაგრამ რა ბედნიერებაა, რომ მწვავე აპენდიციტი გამოდგაო,“ — ასკენიდა ექიმი.

თომასი საავადმყოფოში ერთი კვირა დატოვეს. გონებიდან არ სცილდებოდა და დღენიადაც იმაზე ფიქრობდა, როგორ გაკვეთდნენ, როგორ აღმოუჩენდნენ მეტასტაზებით სავსე მუცლის ღრუს და პანკრეასის კიბოს, რომელიც ოპერაციულ ჩარევას უკვე აღარ ექვემდებარებოდა, უიმედო ავადმყოფს, რა თქმა უნდა, ისევე გაკვერავდნენ.

ამის შემდეგ თომასისათვის სრულიად ახლებური და უცნაური ცხოვრება დაიწყო. მას შემამოფოთებელი აზრები იპყრობს, რადგან დანამდვილებით იცის, მხოლოდ ორიოდე თვის ან რამდენიმე კვირის სიცოცხლე აქვს დარჩენილი. მიუხედავად ამისა, გულდამძიმებული გაუთავებლად ირგვლივ მყოფებზე ფიქრობს, თუმცა რაიმე ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას არავის წინაშე არ გრძნობს. მთელი არსებით დარწმუნებულია, რომ არა მხოლოდ ყურადღებითა და თავაზიანობით მოეპყრობა ყველას, არამედ მისი მორიდებული და თავშეკავებული საქციელის გამო კმაყოფილნი და აღტაცებულნიც დარჩებიან. ამავე დროს, სამივე ქალთაგან ვერც ერთი უსაყვედურებს რაიმეს და არც თვითონ ექნება რაიმე სასაყვედურო. ყველას გამოემშვიდობება და შეუდგება მნიშვნელოვან საქმეთა მოგვარებას. უთუოდ შექმნის თავის ბოლო და ღრმადგააზრებულ ფერწერულ ნამუშევარს, უმეტეს დროს ბავშვებთან გაატარებს, და ეს იქნება ისეთი განუმეორებელი სიახლოვე და ურთიერთობა, რომელიც მისი სიყვდილის შემდეგ მათთვის დაუფინყარ და ჩაუქრობელ სინათლედ იკაშკაშებს. დანერს ესეის ხიდების შესახებ, რომელიც არა მხოლოდ არქიტექტურის მისეული თეორიული აღქმა და შეფასება იქნება, არამედ მისი ანდერძი და გულითადი მიძღვნაც არქიტექტურისადმი. აღბათ ორიოდე თვე ეყოფა ამ ყველაფრის მოსაგვარებლად, შემდეგ კი იტყვის თავის საბოლოო სიტყვას, მარადიულობის მოციქულს ხელს ჩამოართმევს და თავის სვე-ბედს შეურიგდება. თომასი ბედნიერად თვლიდა და შენატროდა ისეთ ადამიანს, რომელსაც მასავით ორიოდე თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნარიანად და დიდი მონდომებით მოაგვარებდა ყველაფერს.

განა არ შეიძლებოდა, თვითონაც ასეთი ადამიანი ყოფილიყო? ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, თავისიანებს დაკავშირებოდა; უთუოდ უნდა დაერეკა ბერლინსა და ჰამბურგში, მაგრამ ვინაიდან ორიოდე თვის სიცოცხლელა დარჩენოდა, ასეთი რამ მოიფიქრა: ჯერ ბრმა ნაწლავის ოპერაციის შესახებ მო-

ეთხრო მათთვის, რათა არავინ შეეშინებინა, და მხოლოდ მოგვიანებით, შეფარვითა და ფრთხილად ეუწყებინა, რაც ელოდა და სიმართლე არ დაემალა.

თომასი მალე ბერლინში დაბრუნდა. განწყობა თითქმის ისეთივე ჰქონდა, როგორც ყოველთვის, თუმცა უფრო მეტად მოკრძალებული, თავშეკავებული და დარბაისლური, ხშირად დაბნეული და დათრგუნულიც კი ჩანდა. აი, სწორედ ისეთი, როგორც სიკვდილის მიერ ნიშნაში ამოღებული ადამიანი.

მართლაც, ყველას აუნყა, რაც ელოდა, და ძლივს გაუძლო თითოეულის შიშსა და შემფოთებას, მათ უმნეო და უილაჯო თანაგრძნობასა და დაჟინებულ მოთხოვნას, კონსულტაციისთვის სხვა ექიმებისთვისაც მიემართა. ყველა ეკითხებოდა, შემდგომ რას აპირებდა, კაცი კი პასუხობდა, რომ იცხოვრებდა ისე, როგორც ყოველთვის, აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? თანაც მხოლოდ მნიშვნელოვანი უნდა ეკეთებინა და უმნიშვნელოთვის თავი გაენებებინა! რა თქმა უნდა, ფერნერას გააგრძელებდა, დაწერდა ესეებს ხიდების შესახებ და ბავშვებთან დიდ დროს გაატარებდა. მალე ახალი ფუნჯები და საღებავები იყიდა, მოლბერტს სუფთა ტილო გადაააკრა და შვილებთან ურთიერთობის ახალი გეგმებიც დასახა.

9.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ნუთუ სავარაუდო და საფიქრებელი არ იყო, რომ ნამდვილად კიბო აღმოაჩნდებოდა? ერთ მშვენიერ დღეს კი ჰამბურგში, ვერონიკასთან ყოფნისას მასთან დიდი უსიამოვნება შეხვდა, რადგან ნავახშმევს, იმის ნაცვლად, რომ საქმე გაეკეთებინა და ქალს ჭურჭლის გარეცხვასა და სამზარეულოს მილაგებაში მიხმარებოდა, კაცი ფეხმოუცვლელად იჯდა და ადგილიდან არ იძვროდა, თითქოს არაფერი იყო.

ვერონიკამ თავი ვერ შეიკავა და გამწარებულმა ყვირილი დაუწყო. აღშფოთებულმა და ბრაზმორეულმა თომასმა აღარ იცოდა, რა ექნა. განა ქალს არ უნდა ეფიქრა, რომ შეიძლება მას კიბო ჰქონოდა? თანაგრძნობის მაგივრად კი მისგან ითხოვდა ოჯახურ საქმეში მიხმარებას. ამავე დროს ნაოპერაციული ქრთმისა და ჯერ კიდევ ისე ანუხებდა, მუცელზე რომ გაცივებით და მეტასტაზებიანი მუცლის ღრუ ისევ დაეხურათ, შეიძლება ასე ძლიერ არც კი სტკენოდა; თანაც თავს ძალზე სუსტად გრძნობდა, გადაღლილი და გადაქანცული გახლდათ და თითქოს დაუძლურებულიყო კიდევ.

ნამდვილად უმართებულოდ მოექცა ვერონიკა. იუტასა და ჰელგასაც მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ და ანგარიში გაენიათ მისთვის. იუტა, რომელთანაც წლების განმავლობაში თომასი ყველაზე ხშირად და ხანგრძლივად იმყოფებოდა, ამჯერად გაუთავებლად სთხოვდა საშინაო დავალების შესრულებას მიხმარებოდა ბავშვებს, ამავე დროს, გოგონა მუსიკიკიანად მოეყვანა, შეეკეთებინა ბიჭების მოტოროლერი, გაეფინა სარეცხი და, ვინ იცის, კიდევ რას არ აკეთებდა. თუმცა ცოლი ხშირად ეკითხებოდა თანაგრძნობით: „ძალიან ხომ არ დაიტვირთე და ხომ არ გადაიღალეო?“

ჰელგასაც უამრავი საქმე ჰქონდა. ახალდაფუნებული სტომატოლოგიური კლინიკისთვის ავეჯი და სხვადასხვა მონყობილობა სჭირდებოდა, რის გამოც ქალაქში გადაადგილებისას გაუთავებლად თომასის მანქანის საჭესთან იჯდა და თან სურდა, მუდამ გვერდით თყოლოდა კაცი, რომელიც ფიქრობდა, რომ ქალს მისი ჯანმრთელობა სულაც არ ანალვლებდა და მხოლოდ მისი BMW-თი სარგებლობა უნდოდა; მაგრამ როცა თომასს ჰელგა მოესურვილა და მასთან დარჩენა გადაწყვიტა, ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია და უთხრა: „შენთვის ახლა ეს არ შეიძლება, გავნებსო“.

ჩვენი გმირი კი თვითონვე გრძნობდა, რა ნუნუნა და ბუზლუნა ხდებოდა, ყველაფრით უკმაყოფილო, მუდამ ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა, მაგრამ რაც თავს გადახდა, ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. სამივე ქალის გულისათვის ლა-

მის ტყავიდან ძვრებოდა და რას არ უსრულებდა მათ, ახლა კი, როცა ასეთი ცუდი ამბავი დაემართა და მათი ყურადღება განსაკუთრებით სჭირდებოდა, ისინი ისე აგრძელებდნენ ცხოვრებას, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

მან ხომ იუტა თავის სრულუფლებიან პარტნიორად გამოაცხადა საკონსტრუქტორო ბიუროში, რითიც ქალი შემოსავლის ნაწილის კანონიერი მფლობელი ხდებოდა. ვერონიკას თავისი ფერწერული ნამუშევრებით მისცა იმის საშუალება, ყოველი მათგანი, სხვა გალერებთან შედარებით, გაცილებით ძვირად გაეყიდა. ჰელგას კი ისე ანებივრებდა, როგორც წვრილფეხა თავადი თავის ხასას. სამივე ქალი მასთან სიამოვნებით გაატარებდა უფრო მეტ დროს, მაგრამ იმ ხნის განმავლობაში, რაც თომასი მათთან იმყოფებოდა, იგი უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა თითოეულს.

გარდა ამისა, რამდენი ქალი იცოდა, რომელთა ქმრებს, ცოლებს გარდა, სხვა ქალები არასდროს ჰყოლიათ, მაგრამ მთელი სიცოცხლე იმას ჩიოდნენ: „მეუღლეები ძალზე ცოტა დროს გვითმობენო!“ არა, არა, რაც მართალია, მართალია, ჩვენი გმირი ყველაფერს აკეთებდა მათთვის, რაც კი შეიძლებოდა, თუმცა ვერცერთისაგან ვერ იმსახურებდა იმას, რისი ღირსიც იყო. სამივემ ისეთ მძიმე დღეში ჩააგდო, მხოლოდ კიბო და სიკვდილი თუ უშველიდა, მეტი არაფერი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ორიოდვე თვეში ან რამდენიმე კვირაში რა უნდა მოეხსნო, როცა ასეთი ავადმყოფობა სჭირდა. აჰ, რა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა სამივე ქალმა.

ერთ დღეს თომასმა გადაწყვიტა მკერავთან წასულიყო. ის მკერავი ერთ პატარა სახელოსნოში მუშაობდა. სახელოსნოს კარზე გამოკრული აბრა იუნყებოდა: „ტანსაცმლის გადაკეთება“, თუმცა საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ბერძენი თერძი, ვისაც ეს სამკერვალო ეკუთვნოდა, არა მხოლოდ ტანსაცმლის შეკეთება-გადაკეთებით იყო დაკავებული, არამედ ჩინებულ მკერავადაც ითვლებოდა. შესანიშნავად კერავდა პიჯაკებს, პერანგებს, ხალათებს, პალტოებსა და ქურთუკებსაც კი. ჩვენი გმირი ხშირად დადიოდა ამ სახელოსნოში და იკერავდა კოჭებამდე სიგრძის სალამურ ხალათებს. მსგავს სამოსს ვერცერთ მალაზიაში ვერ იყიდდით.

ამჯერადაც იმ განზრახვით ეწვია სახელოსნოს, რომ ახალი ხალათის შეკვეთა მიეცა, თუმცა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მიხვდა, ეს უაზრობა იქნებოდა. მას ხომ რამდენიმე კვირის ან ორიოდ თვის სიცოცხლე დაარჩენოდა. სტუმარმა სახელოსნოში თვალი მოჰკრა შალის ლურჯი, სქელი ქსოვილის უზარმაზარ შეკვრას, ყურადღება მასზე შეაჩერა და მკერავს მიმართა:

— შეგიძლიათ რაიმე შემიკეროთ ამ ნაჭრისგან?

— რას ისურვებდით? ეს ქსოვილი კარგია პალტოსთვის და ქურთუკისთვისაც. ერთ კლიენტს ძალიან მოეწონა და სურდა მისგან მოსახსნი მიეკერა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და სხვა რამ გადაწყვიტა.

— თუ შეიძლება ბერების ანაფორის მსგავსი ჩასაცმელი შემიკერეთ, დაახლოებით ისეთი, მე რომ სალამურ ხალათს გიკვეთავდით ხოლმე, ოღონდ მიკერებული კაპიუშონითა და დიდი ჯიბეებით, — სთხოვა თომასმა.

— ღილებითა და სარჩულით გნებავთ, დუგმებიანი ქამრით თუ უბრალო ზონრით ან ყაითნით?

თომასი შეყვინდა: „ნეტავ ბერების ანაფორას აქვს ღილები და სარჩული თუ არა?“ — გაიფიქრა.

ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი ღილებზე უარი თქვა და გადაწყვიტა, სარჩულიანი და დუგმებიანი ანაფორა შეეკვეთა. ანაფორა თავზე გადასაცმელი უნდა ყოფილიყო. ყველაფერთან ერთად, მკერავს სთხოვა, მუქი მწვანე ზონარი გამოეყენებინა და სარჩულის ნაკერებიც ასევე მუქი მწვანე ფერისა ყოფილიყო.

— იქნებ გნებავთ... — დაიწყო თერძმა, თან მკერდზე ხელით ჯვარი გამოისახა და განაგრძო: — ესეც ხომ არ ამოვქარგოთ იმავე ფერებში?

არა, კაცს ნამდვილად არ სურდა მკერდზე ამოქარგული ჯვარი.

— კეთილი, კეთილი, უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, — წარმოთქვა მკერავმა.

— რამდენ ხანში იქნება მზად?

— ალბათ ერთ კვირაში.

„ერთი კვირა“, — გაიმეორა თავისთვის თომასმა. იგი გრძნობდა და დარწმუნებული იყო, რაღაც სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ქალებს კი აუნყა, რომ რამდენიმე ხანს მარტო სურდა ყოფნა.

„არ ვიცი, საით გავწევ, მაგრამ ვიცი, სადღაც მჭირდება წასვლაო“, — უთხრა თავისიანებს და თან დასძინა: „ამ ბოლო დროს იმდენი რამ გადავიტანე, ცოტა ხანს საკუთარ თავთან მარტო მსურს დარჩენა, იქნებ გონს მოვიდეთ“.

ეგონა, ქალები შეენიანაღმდეგებოდნენ, შეაჩერებდნენ, გადააფიქრებინებდნენ ანდა გაცილებას მაინც შესთავაზებდნენ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ქალებმა მოუსმინეს და, როგორც ჩანს, თითოეულმა მხოლოდ გაითვალისწინა მისი ნათქვამი. ამასთან, იუტამ სთხოვა, გამგზავრება ორიოდ დღით მაინც გადაედო, რადგან ხელოსანი ჰყავდა დაბარებული სახურავის შესაკეთებლად. ვერონიკამ ასე უთხრა: „რადგან ჯერჯერობით ვერ დაბრუნდები, მინდა, ჩემი მეგობარი მოვიყვანო და შენს სახელოსნოში იცხოვრებსო“. ჰელგამ კი ჰკითხა, მანქანით აპირებდა წასვლას თუ დაუტოვებდა, ნებას მისცემდა, ესარგებლა მისი ავტომობილით და საჭიროების მიხედვით გამოეყენებინა?

თომასი დაუყოვნებლივ შეუდგა განზრახვის ხორცშესხმას. შეიძინა მუქი ფერის წყალგაუმტარი მსუბუქი ლაბადა, ტყავის ჩანთაში ჩაალაგა შავი წინდები, ჯინსები, საპარსი და სარეცხი ნივთები, თუმცა გამგზავრება ორი დღით მართლაც გადადო. ჰელგას დაუტოვა BMW, სახელოსნოში თავი ერთად მოუყარა მზა ფერწერულ ნამუშევრებს, დასახატად გამზადებულ ჩარჩოებში ჩასმულ ტილოებს და სხვა ადგილას გადაალაგა; მათთან მოათავსა სუფთა ტილოგადაკრული მოლბერტიც, რომელიც მისი შემოქმედების საბოლოო, ყველაზე ღრმავაროვანი და შთაბეჭდავი ნამუშევრის შესაქმნელად იყო გამიზნული.

როგორც იქნა დადგა გამგზავრების დღე და ჩვენმა გმირმა ცეკინგ ზისკენ აიღო გეზი. სამგზავრო ჩანთითა და უზარმაზარი ცელოფნის პარკით სადგურ „ზოოლოგიური პარკისკენ“ გაემართა, მონახა ტუალეტი და შევიდა. მაშინვე ანაფორა ამოიღო, დილანდელი ტანსაცმელი პარკში ჩატენა და ბერად გამოეწყო, სამოსით გატენილი პარკი ნაგავსაყრელზე დატოვა, სამგზავრო ბილეთი იყიდა და მატარებელს მიაშურა.

10.

ჩვენი ახალბედა ბერი მთელი წელი მოგზაურობდა. თავიდან უანგარიშოდ ხარჯავდა ფულს, თან ადგილსამყოფელს ხშირად იცვლიდა. რამდენიმე კვირა ბადენ-ბადენის „ბრენერ-პარკპოტელში“ ცხოვრობდა, ხოლო ცოტა ხნით ციურიხის სასტუმრო „ბორ ო'ლაკში“, თავდაპირველად მომსახურე პერსონალი და სასტუმროს კლიენტები გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ და თან ყურადღებით აკვირდებოდნენ ანაფორიან სტუმარს, თუმცა დიდი სიამოვნებით ებმებოდნენ მასთან საუბარში და დიდი ნდობით, პატივისცემითა და სიმპატიითაც იმსჯელებოდნენ მის მიმართ; ისინი თომასს უამრავ ამბავს უყვებოდნენ — როგორც ყოველდღიურობის, ასევე ქორწინების, ოჯახისა და ცოლ-ქმრის ურთიერთობებზე, აგრეთვე ადამიანურ ისტორიებს, როგორც სიყვარულით მინიჭებულ სიხარულსა და ბედნიერებაზე, ასევე იმედგაცრუებასა და დანაშაულზე, ლალატით მიყენებულ ტანჯვასა და სულიერ ტკივილზე.

ერთხელ სასტუმროს ადმინისტრატორმა თომასს დაუძახა და აიყვანა ნომერში, სადაც ერთი ჩამოსული ქალბატონი

ცხოვრობდა. მას თურმე თავის ჩამოხრჩობა სდომებია. ამ ამბავს შემთხვევით სასტუმროს მომსახურე გოგონა შესწრებია, დროზე უშველია და სასიკვდილოდ განწირული ქალბატონი გადაურჩინა. კაცმა ქალთან მთელი ღამე ნომერში გაატარა და დილაშუალოდ ელაპარაკა. მეორე დღეს, როცა სიკვდილს გადარჩენილი და თომასის სახით სასულიერო პირის ძალისხმევით სულიერად განწმენილი ქალი სასტუმროს ტოვებდა, მან თომასს თავის საქმოსა და ბერ-მონაზონთა ორდენისთვის რამდენიმე ათასის ჩეკი დაუტოვა...

ბერლინსა და ჰამბურგში ჩვენი გმირი ხანდახან საფოსტო ბარათებს აგზავნიდა, არა იუტას, ვერონიკას ან ჰელგას, არამედ შვილების სახელზე. ჰელგამ, რომელმაც ერთხელ თვითონ დაურეკა, ჰკითხა კაცს, მანქანა ხომ არ დაებრუნებინა მისთვის. შემდეგ კი იმაზე დაუნყო ლაპარაკი, კერძო კლინიკის საბოლოო დაფუძნების შემთხვევაში რა ფინანსური შემოსავალი და ფულადი ანგარიში ელოდა თომასს, როგორც არაოფიციალურ მენილე-მეპაიეს. კაცმა საუბრის მოსმენა აღარ ისურვა და ყურმილი დაუკიდა.

როცა ჩვენს მოგზაურს საკრედიტო ანგარიში ამოეწურა, ცოტა არ იყოს, შიშმა მოიცვა და რა შესაძლებლობაც ჰქონდა, ხარჯების დაფარვა საკუთარი საბანკო ანგარიშიდან ნაღდი ანგარისნორებით დაიწყო.

მაღე დარწმუნდა, რომ მისი შიში უსაფუძვლო იყო, რადგან როცა ძვირადღირებულ სასტუმროებს ვეღარ აუდიოდა, ღამეს უმეტესად მონასტრებში ათევდა, იქ კი საჭმლითაც უმასპინძლებოდნენ. ყოველივე ამის გამო ფული თითქმის აღარ სჭირდებოდა. თავდაპირველად ერიდებოდა და ემინოდა კიდევ, საკუთარი ცხოვრება წარმოეჩინა თომასიანელთა იმ საქმე ორდენის ნაწილად, რომელმაც თავის დროზე არა მხოლოდ რეფორმაცია, არამედ შემდგომ კომუნიზმიც ღირსეულად გადაიტანა.

„ამყამად იგი ხუთ საქმოს აერთიანებს და მე, როგორც ზიბენბიურგერელი საქსების შთამომავალი და ნაშიერი, რამდენიმე წლის წინათ შეეფურთდი მათ“, — დასძინდა ბოლოს.

ყოველი ახალი საუბრის დაწყებისას სულ უფრო თავდაჯერებული ხდებოდა და ხშირად შინაარსის შემკობა-შელამაზებასაც აღარ ერიდებოდა. კითხვებს სულ უფრო მეტი გულგრილობით ისმენდა, ბევრს თავსაც არიდებდა და უპასუხოდაც ტოვებდა.

ხშირად ეკლესიის მესვეურებს ეს ყველაფერი არც კი აინტერესებდათ და არც ბევრს ლაპარაკობდნენ. მუდამ ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად და მოხერხებულად გაემწყობინათ თავიანთი ანაფორიანი სტუმარი მისთვის განკუთვნილ საძინებელსა ან სენაკ-ოთახში. ჭამის დროს ლაკონიურად ეხმიანებოდნენ, ხოლო გაცილებისას თავის დაქვეითებულ უხმოდ ემშვიდობებოდნენ. ჩვენს მოგზაურ ბერს ხშირად სამონასტრო ცხოვრებაც ბუზრდებოდა და მაშინ პატარა სასტუმროებსა და პანსიონებში ათევდა ღამეს.

ასეთ ადგილებში, მატარებლით მგზავრობისა არ იყოს, ყველა ცდილობდა მასთან გამოლაპარაკებას. იგი არავის არაფერს უმტკიცებდა, არც ვინმეს დარწმუნებას ცდილობდა, არავის მიმართ უსიამოვნო გრძნობა არ უჩნდებოდა, არც ვინმე აღიზიანებდა და არც ვინმე ეჯავრებოდა; არავის კიცხავდა და ქირდავდა, ყველას წყნარად უსმენდა და თუ რამეს ჰკითხავდნენ, კითხვაზე კითხვითვე პასუხობდა.

— არ ვქნა, როგორ მოვიქცე?

— როგორ გინდათ, მოიქცეთ?

— არ ვიცი.

— რატომ არ იცით? — ასე ესიტყვებოდა თომასი მოსაუბრეს.

ერთხელ კინაღამ უცხო ქალი შეიყვარა. ამ მოგზაურობასა და ხეტიალში მისი ანაფორა ისე ახლად და სუფთად აღარ გამოიყურებოდა და აღარც პირვანდელი პენი დასთამაშებდა. ამკარა იყო, რაღაც უნდა ელონა და გადაწყვიტა, ქიმშენდაში

ჩაებარებინა. მონახა ქიმნმენდის პუნქტი და მომსახურე ქალს აუხსნა, რაც სჭირდებოდა. ქალმა უთხრა, რომ საღამომდე ანაფორა მზად არ იქნებოდა. თომასმა ითხოვა, ნება მიეცათ სადმე დამჯდარიყო და დრომდე იქ მოეცადა. ნება კი დართეს, მაგრამ ჩასაცმელის საკითხი ჯერ მოგვარებული არ იყო, როცა ჰუნსრიუკის* ამ პატარა ქალაქში უცაბედად მოსალამოვდა და უცნაურად ჩამოხვდებოდა. ქალმა დარაბები მიხურა და ჟალუზები ჩამოაფარა; მერე მაშინვე თომასთან მივიდა, ხალათის კალთები გაუხსნა და კაცის მუხლებზე ისე მოკალათდა, როგორც უნაგირზე; მაშინვე მისი თავი საკუთარ მკლავებსა და მკერდს შუა მოიქცია და ალერსი დაუწყო კაცს. „ჩემო ჯუჯულაო“, — მიმართა მასპინძელმა სტუმარს. მისადმი ეს მიმართვა სწორედაც რომ ზედგამოჭრილი იყო; უკეთეს და შესაფერ სახელს მართლაც ვერავინ მოიფიქრებდა. კაცს ტანზე თეთრი მანისური და ჯინსები ემოსა, რომლებიც ტანზე ისე განივრად ადგა, რომ მასში მთლად ჩაკარგულიყო. და ასეთი ჩაცმულობითა და თან საკუთარი ხელით ოკრობოკროდ შეკორტნილი თმით იგი მართლაც გაბტყენილ ქათამს მოგავიწყებდათ.

კაცს ღამის გათევია იქვე მოუწია, თუმცა ქალთან არ დაწოლილა და არც გაკარებია. მეორე დილით კი, როცა დიასახლისის ქმრის დილის ხალათში ჩაცმული თომასი ქალის პირდაპირ მაგიდასთან იჯდა და საუზმეს შეეცდებოდა, ქალმა ჰკითხა, ცოტა ხნით მასთან ხომ არ დარჩებოდა.

„არც უნდა შეგრცხვეს და არც დავმალავ, ჩემი გარდაცვლილი ქმრის ტანსაცმელს ჩავაცვამ და ვიტყვი, რომ მისი ძმა ხარ და სტუმრად მენვიე. თუმცა, რა თქმა უნდა, ანაფორაში უფრო ძნელია შენი ამოცნობა, ვიდრე ჩვეულებრივ ტანსაცმულში“, — უბნებოდა დიასახლისი.

თომასმა მშვენივრად იცოდა ეს ყველაფერი. ჯერ კიდევ თავისი ანაფორისეული მოგზაურობის დასაწყისში ერთხელ მგზავრობა მოუწია ადამიანთან, რომელთანაც წინათ სამსახურებრივად იყო. იგი ლაიფციგის ერთ-ერთი სამშენებლო გაერთიანების მენარმე იყო და ხშირად ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამჯერად ერთად რამდენიმე საათი იმგზავრეს და თუმც მისი თანამგზავრი თომასს ყურადღებით აკვირდებოდა, როგორც ჩანდა, ანაფორის გამო ვერ იცნო. ჩვენს ბერ-მონაზონს ეს შემთხვევა ხშირად ახსენდებოდა და სათანადო დასკვნებზეც გამოჰქონდა.

ამასობაში ქალმა რამდენჯერმე კიდევ სთხოვა დარჩენა, მაგრამ უშედეგოდ. კაცმა ცალკეად გაუღიმა და უთხრა: „ვერ დავრჩები, აუცილებლად უნდა წავიდეო“, თან დამნაშავესავით შესაბრალისად და სანყალობლად ანკურა ბეჭები, მასპინძელს გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

თომასს მიაჩნდა, რომ თუ დარჩებოდა, ქალს უნდა დაახლოებოდა და მასთან ინტიმური კავშირი დაემყარებინა, რაც სრულიადაც არ სურდა. გაახსენდა, რამდენიმე წლის წინათ როგორ გადაწყვიტა თამბაქოსთვის თავის განებება და თუკი ადრე ყოველდღე ორმოცდაათიდან სამოცამდე ღერს ეწეოდა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ დღითიღვე ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები მოეწია და საბოლოოდ დაევიწყებინა ეს მავნე ჩვევა. ამას ისე იოლად და უმტკივნეულოდ მიაღწია, მთელი სერიოზულობით დაიწყო ფიქრი, თუ რა იყო ცხოვრებაში საჭიროებასა და აუცილებლობას მოკლებული, რას შეიძლება ზედმეტობა რქმეოდა და რას კიდევ — შეელოდა. დათმენის, თვითდათრგუნვისა და თვითაღკვეთის რთულ გზაზე ჩვენს ბერს თამამად უნდა გადაედგა შემდეგი ნაბიჯებიც და ალკოჰოლსაც გადაჩვეულიყო, დაევიწყებინა სიყვარული და, ასე გასინჯეთ, ჭამაც კი.

ეს ნაბიჯები სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს მისი ფიზიკური არსებობაც კი ზედმეტობა გახდებოდა.

მას შემდეგ, რაც ანაფორა ჩაიცვა, ალკოჰოლსაც კი მიანება თავი და სრულიად არ გასჭირვებია წითელი ღვინის გარეშე ცხოვრება, თუმცა წინათ თითქმის ყოველდღე თითო-თითო ბოთლ ღვინოს წრუპავდა. ანაფორით შემოსილ, ცელიბატური ცხოვრების გზაზე შემდგარ თომასს მომდევნო ნაბიჯიც წარმატებით უნდა გადაედგა და კვებაც აუცილებლობასა და საჭიროებასმოკლებულად მიეჩნია. მართლაც, თანდათანობით ჭამის მიმართაც გულგრილი და უინტერესო ხდებოდა.

ხშირად ეჩვეებოდა, რომ დედამიწას ფეხით არ ეხებოდა და ჰაერში დალივლივებდა. ხანდახან კი ეგონა, ადამიანები მას ვერც კი აღიქვამდნენ, ხოლო თვითონ ისინი თომასის თვალში, სახითა და ტანით, ნამდვილი ცოცხალი არსებები კი არა, გამოსახულებები და სქემები იყვნენ, რომლებიც წარმოჩნდებოდნენ, გამოისახებოდნენ და მალე ისევ ქრებოდნენ. ჩვენი გმირი ხშირად ხელითაც ეხებოდა მათ, ხან შემთხვევით, ხანაც განგებ და გრძნობდა, წინააღმდეგობას აწყდებოდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ დაზიანების შემთხვევაში მათი სხეულიდან სისხლიც კი დაიწყებდა დენას. შესაძლოა დაზარალებულებს ეყვირათ კიდევ, მაგრამ თუკი დაზიანება მძიმე და საბედისწერო იქნებოდა, ალბათ ვედარც გაინძრეოდნენ; თუმცა გაინძრეოდნენ თუ აღარ გაინძრეოდნენ, ექნებოდა კი ამას რაიმე მნიშვნელობა? ყველაფერი, რაც უძრავი არ იყო და რაც მოძრაობდა, განა წარმოსახვებით გადავსებული არ ჩანდა?

ბერად შემდგარი ჩვენი გმირი საკუთარ ცხოვრებას ბერლინსა და ჰამბურგში სწორედაც რომ ფუჭად და მოჩვენებითად მიიჩნევდა. რა უნდოდა, რა ამოძრავებდა ან რა საქმე ჰქონდა სამივე ქალთან? რისთვის ხატავდა სურათებს და რატომ აშენებდა ხიდებს? რა იყო და რას ნიშნავდა ის დაუდგრომელი და ამო ორომტრიალი, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა. რას წარმოადგენდა საკონტრუქტორო ბიუროზე, გალერეაზე, ჰელგას პროექტებსა და გემებზე გაუთავებელი მსჯელობა, ლაპარაკი, მუდმივი ფაციფუცი და საქმიანობა. თითქოს კაცის თვალში საკუთარი შვილების არსებობასაც კი აზრი დაჰკარგოდა. ნეტავ ამ სამყაროში მათ რალა უნდოდათ? ვინ ან რისთვის მოავლინა ისინი ამქვეყნად?

თომასი ბევრგან მოგზაურობდა. ზოგან ცოტა ხანს ჩერდებოდა, ზოგან კი ხანგრძლივად. ერთხელ, კომოს ტბასთან იმყოფებოდა. უცაბედად თვალი მოჰკრა, როგორ გადავარდა ნავმისაბმელიდან წყალში ყმანვილი ბიჭი. ბიჭმა ყვირილი მორთო, თან მთელი ძალით ხელებს იქნევდა. მცირე ხანს კი შეძლო შეწინააღმდეგება, მაგრამ უშედეგოდ, როგორც ჩანს, აღარაფერი შეელოდა და თანდათან ჩაძირვაც დაიწყო. ახლომახლო არავინ გამოჩნდა, რომ ყმანვილს მიხმარებოდა. შეყოვნებული თომასი, რომელიც სანაპიროსთან მერხზე იჯდა და ისვენებდა, როგორც იქნა აუჩქარებლად წამოიწია, ტბისკენ წავიდა, წყალში გადახტა და ბიჭი გადაარჩინა — ნაპირზე გამოიყვანა და შეეცადა გონს მოეყვანა. რისთვის მოიმოქმედა ეს? იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინა უსიამოვნება. ვინმეს რომ დაენახა, რამდენ ხანს იჯდა გაუნძრევლად და მაშინვე არ გადაეშვა წყალში, რა თქმა უნდა, პოლიციამი დაასმენდნენ და ხათაბალაში გაეხვეოდა, თან მის ანაფორისეულ ცხოვრებას ხიფათი დაემუქრებოდა.

11.

ერთხელ კი ანაფორის გამო მისი სიცოცხლე მართლაც უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჩვენი გმირი ჯერაც იტალიაში იმყოფებოდა და კომოდან ტურინში მატარებლით მიემგზავრებოდა. მილანში სხვა მატარებელში მოუხდა გადაჯდომა. ის-ის იყო ტურინში მიმავალ მატარებელში ადიოდა, რომ კარი დაიკეტა და კაცმა ვედარაფერი მოახერხა, მხოლოდ უკან დაიხია და იგრძნო, ანაფორა კარებში ჩაჰყოლოდა; კარებს რამდენჯერმე დაეჯაჯგურა, სურდა გაეღო, სამოსი გამოენია და თავი გაეთავისუფლებინა, თუმცა ვერ შეძლო;

* ჰუნსრიუკი — დასავლეთ რაინისპირა ფიქალგორიანი რეგიონის ერთ-ერთი ნაწილის სახელწოდება.

ცოტა ხანს ანაფორაზე ხელჩაჭიდებული გარბოდა, მაგრამ ვინაიდან მატარებელი სირქარეს სულ უფრო უმატებდა, ტანსაცმლის ხელით ქაჩვა და კარიდან გამოგლეჯა მის ძალებს აღემატებოდა. ამ დროს ხმამაღალი სიცილი მოესმა. პლატფორმაზე მყოფ ადამიანებს კაცის გასაჭირი ვერ გაეგოთ და ლურჯანაფორიანი მორბენალი ბერის წვალება სასაცილო და თავშესაქცევ სახანაობად მიეჩნიათ. თომასი კი სასონარკვეთამ მოიცვა, იგი მატარებელს ველარ ეწოდა; უცებ გადანყვიტა, მხარი ეცვალა და საწინააღმდეგოდ ერბინა იმ იმედით, რომ ანაფორა გაიხეოდა და კარში ჩაყოლილი საბედისწერო სამოსის ნაგლეჯისგან გაათავისუფლდებოდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ქსოვილი ძალზე გამძლე და მაგარი გამოდგა, რის გამოც შეძრწუნებული კაცი ველარ ჩერდებოდა და სირბილს აგრძელებდა; მატარებელი კი უმოწყალოდ და შეუბრალებლად მიაქანებდა და მიათრევდა ჯერ პლატფორმის გასწვრივ, მერე კი ლიანდაგის გაყოლებაზე დაყრილ ლორღზე. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ფანჯარაში გადმოყუდებული ერთი მგზავრი არ აღიქვამდა, პლატფორმაზე მდგომ, ანაფორისეული სეირის ყურებით ვართულ და ზღვარგადასული მხიარულებით მოცულ ადამიანებს როგორ გადაურბინა შიშისა და ძრწოლის გიგანტურმა ტალღამ. მგზავრმა, იგრძნო რა მოახლოებული გარდუვალი უბედურება, სასწრაფოდ მონახა საავარიო მუხრუჭი და მატარებელი გააჩერა, მაგრამ გვიანდა იყო, მოგზაური ბერმონახონი რამდენიმე წუთში უკვე სისხლის გროვად ქცეულიყო. იგი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს, ხოლო როცა რამდენიმე დღის შემდეგ უბედური შემთხვევის მსხვერპლი ცოტა გონს მოვიდა, ექიმმა უთხრა, რომ ხერხემალი ისე ჰქონდა დაზიანებული, წელსქვემოთ მოწყვეტილი კაცი მთელი სიცოცხლე ინვალიდი დარჩებოდა. როგორც ჩანს, მის ოცნებას განხორციელება არ ეწერა, მას ხომ ტურინში ენადა წასვლა, რათა ენახა, არსებობდა თუ არა კიდევ იქ ეტლები და მასში შებმული ჯაგლაგები, რომელთაც გადარეული ნიცივე ეხვეოდა და გულში იხუტებდა.

ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში პაციენტებს არ ასხვავებენ. იქ ყველა ავადმყოფი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს. ჩვენი ავადმყოფი მალე ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს, უზარმაზარ ოთახში, რომელიც სამოც სანოლს იტევდა. ის საავადმყოფო 20-იან წლებში თურმე უბედური შემთხვევებით დაზარალებულთა დასახმარებლად აქმენებინათ. ამჟამად კი იქ დაბალი ფენის პაციენტებს ათავსებდნენ. იმ უზარმაზარ პალატაში ხმაური არათუ დღე, ღამითაც კი არ წყდებოდა. სხვა ავადმყოფებთან ერთად იქ უამრავი ჯარისკაცი იწვა. მათი უმრავლესობა უკვე გამოკეთებულიყო, მაგრამ სიმულირებდნენ და ავადმყოფობას იგონებდნენ, არ სურდათ ყაზარმაში დაბრუნება და იქ ყოფნას ამჯობინებდნენ. სვამდნენ ბევრს, ღრეობდნენ, ხმაურობდნენ, ღამღამობით გოგოებიც კი მოჰყავდათ და მათთან დროს ატარებდნენ. დღისით პალატაში აუტანელი სიცხე იდგა, თან საქმლის, სადეზინფექციო საწმენდ ქიმიურ საშუალებათა და ექსკრემენტთა აუტანელი სუნი ერთმანეთში ირეოდა. თომასის საწოლი ერთიანად ყარდა, იგი ხომ თავისი შინაგანი ორგანოების სეკრეციას ველარ აკონტროლებდა. მონაზვნებმა, რომლებიც საავადმყოფოს მეურვეობდნენ, გადანყვიტეს, საკუთარ თავზე აეღოთ ლურჯანაფორიანი ბერზე ზრუნვა, თუმცა ისინი გერმანულად ვერ ლაპარაკობდნენ და თომასმა კი იტალიური არ იცოდა. ერთმა მონაზვნმა გერმანული ბიბლია მოუტანა. მის გაცეკებას საზღვარი არ ჰქონდა, რა ცხოვრებისეული წიგნი იყო და რა ამოუწურავი სიცოცხლე ჩქეფდა მასში, მაგრამ, როგორც ჩვენი გმირი დარწმუნდა, სწორედ ამიტომაც არ შეეძლო მისი წაკითხვა.

ავადმყოფს ჭრილობები უშუშდებოდა. სამიოდე კვირის შემდეგ იგრძნო, იმ ხმაურსა და სიმყარეში მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ხშირად ფიქრობდა და იგონებდა, ანაფორისეულ უბედურ შემთხვევამდე როგორი იყო მისი არსებობა. განა

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ არ გამხდარიყო ცხოვრება მისთვის გულგრილი, გულცივი და მოჩვენებითი? ის ცხოვრება, რომელსაც თავისი ნებით განუდგა და განერიდა. მოგვიანებით კი მისგან პირი იბრუნა და ზურგი აქცია იმავე ყოფიერებაზე; თუმცა ამ ბოლო დროს შემობრუნებულიყო, მის პირისპირ, იქვე, ახლოს, სანარცხე ორმოსა და სიბინძურეში იმყოფებოდა მისი კუთვნილი, ცხადი და უტყუარი ყოფნა-არსობა ხეიბრისა. წინათ ხომ ისიც ეჩვენებოდა, რომ ზემოთ ჰაერში ისე დანავარდობდა და დალივლივებდა, თითქოს დედამინას მოწყვეტილა და ფეხს ძირს არ აკარებდა. ამჟამად კი ეს ყველაფერი მთელი ძალით ახსენებდა თავს იმით, რომ წელსქვემოთ მოწყვეტილი ტანით მიწას მართლაც ველარ აკარებდა ფეხს. ვაი, რომ ეს უკვე საგალალო რეალობა გამხდარიყო.

ოთხი კვირის შემდეგ მასთან გაფრთხილების გარეშე მივიდნენ ადამიანები, საკაცით უნდა წაეყვანათ.

— სად მიგყავართ? — იკითხა ჩვენმა ავადმყოფმა.
 — თქვენ თუ არ იცით, არც ჩვენ ვიცით; მთავარ ექიმს არაფერი უთქვამს, მაგრამ თუ წინააღმდეგი ხართ, შეგვიძლია კვლავ აქ დაგტოვოთ, — ამ სიტყვებით სანიტრები შეჩერდნენ.

— ნაგიყვანოთ თუ არა? — შეეკითხნენ ავადმყოფს და უცდიდნენ, რას ეტყოდათ. იმ ოთახის კარში იდგნენ, სადაც მწოლიარე თომასმა თითქმის ორი კვირა გაატარა. ამაზე დაფიქრება და ყოყმანი როგორ შეიძლებოდა?! არა, ნამდვილად აღარ შეეძლო აქ დარჩენა, სადაც სურდათ, იქ წაეყვანათ, უარს არაფერზე იტყოდა.

12.

სარეაბილიტაციო კლინიკაში ორი თვე დაჰყო ჩვენმა გმირმა. გულმოდგინედ სწავლობდა, როგორ აემოქმედებინა და მოეხმარა სხეულის უმოძრაო და უგრძობი ნაწილები, როგორ უნდა ედევნებინა თვალყური, რანაირად გაძლოდა და მოენესრიგებინა სეკრეტორული ორგანოების ფუნქციონირება, როგორ მჯდარიყო და წოლილიყო ნაწოლებიანი იარებით, როგორ გამოეყენებინა სავარჯიშო მოწყობილობანი და სპორტული ხელსაწყო-იარაღები, როგორ ეტარებინა ინვალიდის საკუთარი ეტილი. იგი დიდხანს ჩერდებოდა წყალში, თავიდან საცურაო აუზში, მოგვიანებით კი — ტბაში, რომლის ნაპირზეც კლინიკა მდებარეობდა. ამ ყველაფერს ისეთი მონდომებითა და წარმატებით ითვისებდა, ფიქრობდა, უთუოდ ეყოფოდა ნებისყოფა, რათა ყველა სირთულე დაეძლია და გადაეღახა, წყალში ეცურავა დამხმარესთან ერთად, ასევე, მიჩვეულიყო ინვალიდის ეტლით მოძრაობას; გარდა ამისა საკუთარი ხელების ღონითა და ძალით უნდა აეთვისებინა ხეიბარი ტანის მოძრაობა, სისწრაფე და მოქნილობა; მაგრამ როცა ინვალიდის ეტლზე მიჯაჭვული ავადმყოფებისთვის დამახასიათებელი ნაწოლები მესამედ გაუჩნდა, დარწმუნდა, რომ დისციპლინისა და გამძლეობის მიუხედავად, მისი ორგანიზმი უიმედო გამხდარიყო და არავითარ უკეთესობაზე აღარ შეიძლებოდა ფიქრი, საკუთარი სხეულის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა.

თომასმა შეიტყო, რომ მილანიდან სარეაბილიტაციო კლინიკაში გადაყვანა მისი მეგობრისა და მრავალი წლის გამოცდილი ექიმის დამსახურება ყოფილა, ხოლო ხარჯები საავადმყოფოს საფინანსო განყოფილებას აუნაზღაურებია, კლინიკაში მისი ყოფნისთვის საჭირო თანხაც მათ გაუღიათ. როცა პერანგის, ხალათის, შარვლის, წიგნებისა და კომპაქტდისკების ყიდვა დასჭირდა, მაშინვე რამდენიმე მარკის ოდენობის კრედიტი გამოუყვეს და პირად ანგარიშზე გადაურიცხეს.

კლინიკაში ყოფნისას მეექვსე კვირას მისი დაბადების დღე დაემთხვა; ორმოცდათერთმეტი წელი უსრულდებოდა. იუბილარს დილით თავიგული გადასცეს, რომელშიც ორმოცდათერთმეტ ვარდს მოეყარა თავი. თან ახლდა ღია საფოსტო ბარათი, რომელზეც მითითებული იყო ყიდვა-გაყიდვისა და რეალიზაციის საზოგადოება „TTT“ — სამი თომასი. ამ უცნაური

დასახელების შესახებ ჩვენს გმირს წინათ არაფერი სმენოდა. ნასადილევს კი ავადმყოფს მეგობარი ექიმი ეწვია:

— მშვენივრად ხარ, მოლონიერებულხარ და ნამზეურიც გეცყობა. გაცილებით უკეთ გამოიყურები, ვიდრე ჩვენი ბოლო შეხვედრისას. მგონი ეს წელიწად-ნახევრის წინათ იყო, თუ შენი საგაზაფხულო ვერნისაჟის დროს? ასეა თუ ისე, კარგია, რომ თითქმის უკვე შინ ხარ.

— ვერ წარმომიდგენია, როგორ წარიმართება ჩემი შემდგომი ცხოვრება. არ მინდოდა იუტასთან დამერეკა, მაგრამ მგონია, მასთან დაკავშირება აუცილებელია. როგორც ჩანს, შრომის უუნარობის პენსია დამენიშნება. ვფიქრობ, ბინაც მეკუთვნის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან, ხოლო სავალდებულო სამხედრო სამსახური კი ნამდვილად აღარ შემიძლება.

— შენს მდგომარეობაში ალბათ მხოლოდ სამოქალაქო სამსახურის პირობებზე შეიძლება ლაპარაკი, რასაც იუტა უკვე გაარკვევდა და დააზუსტებდა. იგი შესანიშნავად მოაგვარებს ყველაფერს.

მეგობრები ისხდნენ ტბის ნაპირას, თომასი ინვალიდის სავარძელში, მეგობარი კი — მერხზე. თომასი მთელი არსებით გრძნობდა, ძალზე ყურადღებით უნდა მოესმინა, რასაც ამბობდა ან ეკითხებოდა სტუმარი, მაგრამ მოუთმენლობა დაეუფლა და ფრთხილად და შეპარვით დაიწყო:

— სხვათა შორის, ბევრი სხვა რამ მაინტერესებს.

— შენი მხრივ ჭკვიანურია, რომ ყველაფერს მიანდობ იუტას, რათა ნაკლები საზრუნავი გქონდეს. ყოველდღიურობა მივლე დაგიდგება და ამიტომაც მრავალი სირთულე გელის. მეგობარმა ხელი გადახვია და განაგრძო:

— ძალზე სასიამოვნოა, რომ იუტას შეხვედები და კვლავ ერთად იქნებით.

— ნეტავ რამდენ ხანს მომიწევს აქ ყოფნა?

— ალბათ ორიოდე თვე. ექიმებს უკვე ველაპარაკე, მათი აზრით, შენი ჯანმრთელობისთვის უკეთესია, თუ ცოტა ხანს კიდევ დატოვებენ, რათა გულის მდგომარეობას თვალყური ადევნონ.

მეგობარმა იუბილარს იუტასგან გამოგზავნილი ამანათი გადასცა. ქალს მისი საგაზაფხულო გამოფენის კატალოგი გამოეგზავნა, რითაც ირკვეოდა, რომ ვერონიკას ჰამბურგის გალერეის ნამუშევართა ვერნისაჟი მოეწყო ბერლინში. თომასმა ისიც შეიტყო, რომ ქალს მთელი მისი შემოქმედების ნიმუშები — ესკიზები, მონახაზები, საცდელი და დაუმთავრებელი ნამუშევრებიც კი — გულმოდგინედ შეეკრიბა და ისე გაკადნიერებულიყო, თითოეულზე შეუსაბამოდ მაღალი ფასები დაედო. კაცმა ამანათში ბროშურაც ნახა. მასში ჩვენი გმირი მოხსენიებული იყო იმ თემის ავტორად, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „დედები და შეხედულებანი ფანტასტიკურ მდინარეზე ფანტასტიკური ხიდის მშენებლობის შესახებ“. ეს კი მთლიანად ის მოხსენება იყო, რომელიც თომასის მაგივრად გაზაფხულზე იუტამ წაიკითხა. ჩვენმა იუბილარმა, რა თქმა უნდა, იცნო საკუთარი ჩანაფიქრი და ნამუშევარი. ამ მოსაზრებებმა თავის დროზე ისე გაიტაცა, რომ თავი ერთად მოუყარა ყველაფერს და, როგორც საინტერესო და პერსპექტიული სამომავლო იდეებს, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. ცოლს კი მისი ჩანაწერები უპოვია, ერთად შეუკრებია, პრაქტიკულად გაუანალიზებია, გაუშუქებია და მოხსენების სახე მიუცია, გარდა ამისა, საკუთარი დამატებანი და მოსაზრებანიც დაურთავს, რომლებიც შესავალში წაუშვარებია. თურმე ქალმა ისიც მშვენივრად შეძლო, საზოგადოებისთვის ქმარი წარედგინა ისეთ ადამიანად, „რომელიც დაუდგრომელ და გადატვირთულ ცხოვრებას განერიდა და ხანგრძლივ მოგზაურობას მიჰყო ხელი, რათა ხიდების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეს მარტობასა და სინყნარეში უფრო ღრმად და სრულყოფილად ჩაწვდეს, ამიტომაც თვითონ ვერ შეძლო მოხსენების წაკითხვა, მაგრამ ხელნაწერი მე მანდო და გადმომბარაო“, — დასძენდა ბოლოს

იუტა. „კაცი ჰუძონზე ხიდის მშენებლობასაც ვერ შეუდგება, თუმცა ყურადღებას მიაქცევს და ზედამხედველობას გაუწევს, რათა ბიუროკრატიული, პოლიტიკური და ფინანსური ასპექტების გამო თავსატეხი არ გაუჩნდესო“, — ხაზგასმით მიუთითებდა მომხსენებელი. ქმარი სიცილს ვერ იკავებდა. იგი სულაც არ მოელოდა, რომ მის საქმიან იდეებს, ჩანაფიქრსა და მოსაზრებებს ცოლი სათავისოდ ასე ეშმაკურად და მოხერხებულად გამოიყენებდა და თანაც მათ რეალიზაციას შეუდგებოდა. თომასს ისიც არანაკლებ გამოაგნებლად მოეჩვენა, როგორი სრულყოფილებით აეტაცებინა და მიეთვისებინა ქალს ჰუძონზე ასაგები ხიდის იდეა და გეგმაც. ჩვენი გმირი იმაშიც დარწმუნდა, რომ მისი იდეებისა და ჩანაფიქრის მიეთვისებისა და რეალიზაციის საქმეში ვერონიკასაც უდიდესი ნიჭი და უნარი გამოემჟღავნებინა. კაცს ხომ არც მისთვის მიუცია უფლება, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს ყველაფერი. ამანაც უცნაურად იმოქმედა მასზე და სიცილის გუნებაზე დააყენა.

ჯერჯერობით, მხოლოდ ჰელგას შესახებ არ იცოდა არაფერი.

13.

ჰელგა ხეიბარ ბერმონაზონს ახალი BMW-თი ეწვია.

— შენი ძველი მანქანა სტომატოლოგიური კლინიკის საწვერო შენატანისთვის გამოვიყენე, — აუწყა მან.

— შენ რატომ მოხვედი ჩემს ნასაყვანად, იუტა რატომ არ მოვიდა? — ჰკითხა კაცმა.

თუკი წინათ შეეძლო თომასს, უკანასკნელ წუთს ჩაელაგებინა სამეზავრო ჩანთა, პლატფორმაზე მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წამით ადრე მიერბინა ანდა თვითმფრინავის გასვლამდე დარჩენილ ბოლო წუთს შევარდნილიყო აეროპორტში, ამჯერად ჩემოდნები რამდენიმე დღით ადრე ჩაალაგა და აღელვებული, გულისფანცქალით ელოდა იუტას.

— იუტა ძალზე დაკავებულია და უამრავი საქმე აქვს, — უთხრა ჰელგამ და მაშინვე განაგრძო, — რატომ არ გინდა ჩემთან ერთად წამოსვლა? იქნებ ტაქსი გამოგვეძახებინა, ან იქნებ კერძო მანქანას ამჯობინებ? — ეკითხებოდა შეცბუნებული ქალი.

— არა, ისა... ჰო... მაგრამ თუ მე... — უხერხულად დახვდა თავის ქვედა ორგანოებს კაცმა.

— ააა! იმის თქმა გსურს, კათეტერთან დაკავშირებით რაიმე რომ დაგჭირდეს? მერედა რა მოხდა, თითქოს შენი პენისი არ მენახოს, — გაეცინა ჰელგას, — აბა, აბა, სწრაფად მოთავსდი მანქანაში და ნულარ მაყოფნებ, — აჩქარებდა ქალი.

ჰელგა საკმაოდ სწრაფად, მაგრამ ყურადღებით და ფრთხილად მართავდა მანქანას, თან გაუთავებლად ელაპარაკებოდა თომასს კერძო კლინიკის შესახებ.

— რამდენიმე დღეში აღვნიშნავთ კლინიკის მშენებლობის დასრულებას. და შენ უთუოდ გამოხვალ სიტყვით. ამასთან, სხვათა შორის, ჰანოვერისა და ფრანკფურტის მომავალი კერძო სტომატოლოგიური კლინიკების დაგეგმარებაზეც მოგიწევს მუშაობა, რადგან ფრენჩიზინგის პროფესიული დონე ამ საქმისთვის არ იკმარებს, თუმცა მოვიფიქრე, თუ... — ჰელგა!..

— ...როგორ მივალწვეთ მიზანს. მხოლოდ უნდა... — ჰელგა!..

— რა იყო?

— ალბათ გული ძალზე გატკინე, მაშინ რომ მიგატოვე და დავიკარგე...

— არა უშავს, ყველაფერი რიგზეა. შენ ხომ დიდი სამსახური გაგვინე და გზაზე დაგვაყენე კლინიკის მშენებლობის საქმეში. დანარჩენი კი უშენოდაც ვაგვაკეთეთ.

— კლინიკას არ ვგულისხმობ. მე...

— სხვა რამეზე დანარჩენები მოგიხსრობენ, თუმცა მეც ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ თავს შევიკავებ, რადგან ჩემი მხრივ ეს უსაკადრისი საქციელი იქნებოდა.

მგზავრობის დროს საცობში მოხდენენ, რის გამოც გზას გაცლებით მეტი დრო მოანდომეს, ვიდრე საჭირო იყო. კათეტერთან დაკავშირებით თომასს პრობლემები შეექმნა და ქალის დახმარება დასჭირდა. ყოველგვარი ძალდატანებისა და ზიზღის გარეშე, ისე საქმიანად და მოხერხებულად მოუწესრიგა ჰელგამ ყველაფერი, თითქოს ამქვეყნად ეს ჩვეულებრივი და ბუნებრივი რამ იყო.

— დიდი მადლობა, — დარცხვენით წარმოთქვა თომასმა. კაცს ხან იმედს უსახავდა და ხან აშინებდა ის ეროტიკული და სექსუალური გრძნობები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ დაეძლია მის არსებას, თუმცადა ქალთან ინტიმური ურთიერთობის უნარი დაჰკარგოდა, როგორც ჩანს, იმპოტენტი გამხდარიყო. მართალია, ქალთან სიახლოვის სურვილი მასში უსაზღვრო იყო, მაგრამ ფიზიკურად დაძაბუნებულს მოწყვეტილი ტანი აღარ ემორჩილებოდა. სექსუალურ ლტოლვას ისიც არ უმსუბუქებდა, რომ მისი მამაკაცური ღირსების ორგანო უგრძობელი და უნიათო გამხდარიყო და ორგანიზმს აღარაფერი შეეძლო. არც ის უმცირებდა მამაკაცურ ღირსებას და სურვილ-ნადილს, რომ ჰელგას თავი შორს ეჭირა კაცისგან და ცდილობდა, გულგრილი და გულცივი ყოფილიყო.

თომასის ინვალიდის ეტლი ამნე-ლიფტში მშვენივრად მოთავსდა. ქალმა კი გზა კიბით განაგრძო. ზემოთ ავიდნენ თუ არა, იუტა და ვერონიკა შეეგებნენ.

„გილოცავთ დაბრუნებას, კეთილი იყოს შენი ფეხი!“
კაცი თითოეულს დაბნეული შეჰყურებდა.
„აბა, აბა ყოჩაღად!“

ვერონიკას სურდა გადაადგილებაში მიხმარებოდა, მაგრამ მან სწრაფად და მოხერხებულად მიაბრუნა სავარძელი და დამოუკიდებლად შესრიალდა ოთახში, ოთახიდან კი ტერასას მიაშურა, საიდანაც თვალწინ წარმოუდგა ასე ნაცნობი და ახლობელი სურათი. მისი მზერა კვლავ სწვდებოდა როგორც შპრეესა და ზოოლოგიურ პარკს, ასევე ბრანდენბურგის ჭიშკარსა და რაიხსტაგსაც. ახალი გუმბათიც უკვე დაემთავრებინათ.

თომასმა თავი მიაბრუნა და მიმართა იუტას, რომელიც კარს მიყრდნობოდა:

— ბავშვები სად არიან?

— ჩვენებს არდადეგები აქვთ. ბიჭები ინგლისში არიან, რეგულა ჩემს მშობლებთან სტუმრობს. შენი პატარა კი ძიძამ წაიყვანა.

— როგორ მოხდა... როგორ მოიყარეთ თავი ანდა როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ეს ჰელგას დამსახურებაა. მან დაგვაპატიჟა და ასე შედეგა ჩვენი შეხვედრა.

კაცმა გაიგონა, როგორ ამოვიდა კიბეზე ჰელგა, მალე ოთახშიც შემოვიდა და იუტასა და ვერონიკას მიესალმა. თომასმა ეტილი მოატრიალა და იუტას წინ გაჩერდა.

— შეიძლება, რომ მე და შენ მართო დავილაპარაკოთ? მინდა აგისხნა, როგორ მოხდა ყველაფერი. შენთვის ტკივილის მოყენება არ მინდოდა...

იუტამ თავი დაუქნია.

— აჰ, ეს ხომ უკვე დავინყებას მიეცა. ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის, სჯობს საქმე ვაკეთოთ. ვერონიკა მალე უნდა წავიდეს, — წარმოთქვა იუტამ და თომასის ეტლი გააგორა. ჯერ ვერც კი გააცნობიერა, რომ კაცს თვითონ უნდა ემოდრავა და ხეობის ცხოვრებას მიჩვეულიყო. შემდეგ ორივე ქალს დაუძახა და ქმრიანად მათ მიაშურა.

ჩვენმა გმირმა ბინა ვერც კი იცნო. მისაღები ოთახი სახელოსნოდ გადაქცეულიყო, სადაც მოლბერტი, სახატავად გამზადებული ტილოგადაკრული ხის ჩარჩოები, ფუნჯები და საღებავები მოჩანდა. კედლებზე მისი უამრავი ესკიზი და ნახაზი ეკიდა.

— არაფერი გაგიკვირდეს, ეს ძველი ესკიზები და ნამუშევრები ჰამბურგის სახელოსნოდანაა ჩამოტანილი.

ვერონიკამ სხვა ესკიზებზე მიუთითა:

— ესენი კი გამოფენაზე არც წამიღია, რადგან დარწმუნებული ვარ, უთუოდ დაგჭირდება. განა ცუდი იქნება რკინიგზის მოტივის დამუშავება? არ შეიძლება ამ თემის ირგვლივ ნამუშევრების მთელი სერია შეიქმნას? კარგი იქნება ამ საკითხის განხილვა ხელოვნების კუთხით და მხატვრულად გადმოცემა. შენ ხომ რკინიგზამ დაგასახიჩრა. დანამდვილებით ვიცი, შესანიშნავი ნამუშევრები გამოვა.

ცოლმა ქმარი ეტლისთვის გამიზნულ საგანგებო კარებში შეაცურა და კაცი სასადილო ოთახში აღმოჩნდა. ფანჯრის წინ მისი სამუშაო მაგიდა იდგა, თაროებზე საკონსტრუქტორო ბიუროდან წამოღებული მისი ნიგნები ენყო, ხოლო სადაც უნინ სასადილო მაგიდა იყო, ახლა საკონფერენციო მაგიდა მოეთავსებინათ. ირგვლივ კი ექვსი სკამი მოჩანდა. იუტამ ეტლი მაგიდის თავთან მიაგორა. სამივე ქალი მაგიდას მიუსხდა.

— ეს იქნება შენი ბინა. ორივე სამუშაო ოთახი უკვე ნანახი გაქვს. მხოლოდ საძინებელი ოთახი არ გინახავს. ბავშვების ოთახში ექვანი იცხოვრებს, ხოლო რეგულას ოთახში რომელი ჩვენგანი გაათევს ღამეს, ვისი ჯერიც იქნება.

ჰელგამ შეაწყვეტინა იუტას.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ძალიან მეჩქარება, ვერონიკა და მე ახლავე უნდა წავიდე. ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საქმეებს თვითონ თომასი მოაგვარებს. ძალზე საჩქარო პროექტის საკითხის გადაწყვეტა. ინგლისელებს შევებრდით, შემოდგომაზე ყველაფერი მზად იქნებაო. ხვალისთვის ჰაინერი მყავს აქ მონვეული, რათა თომასს წარუდგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო, ხოლო ორშაბათს ველოდები ჟურნალ „გოგის“ ჟურნალისტ ქალს და მოლბერტზე აუცილებლად უნდა იყოს რაიმე დახატული. თუმცა ეს მაინცდამაინც საჭირო და სასიამოვნო არ არის, რადგან თუ პრესასთან თანამშრომლობა აქედანვე დავინწყეთ, ზამთრის გამოფენამდე შეიძლება ჭკუიდან გადავიდეთ.

ანაზადად ქალი ჩაფიქრდა. თუმცა მაშინვე გამოერკვა, ჯერ იუტას გადახედა, შემდეგ კი ვერონიკას და იკითხა:

— ხომ არაფერი გამოგვრჩა?

გაისმა ვერონიკას ხმა:

— რამდენიმე მოსაზრება მინდა გაგიზიაროთ, როგორ გვესახება მთავარი და არსებითი.

ჰელგამ თავი დაუქნია და თომასს მიმართა:

— ვერონიკა მართალია. დაბადების დღეზე ჩვენ მიერ გამოგზავნილი თაიგულით შენთვის ცნობილი გახდა რეალიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც „TTT“ — სამი თომასი დავარქვით. ყველა უფლება შენს ნამუშევრებზე ჩვენ უნდა გადმოგვაბარო, ჩვენ კი ვიზრუნებთ შენზე და ყველაფერ დანარჩენზე, რაც საჭიროა!

— უფლებები ჩემს ნამუშევრებზე?..

— სწორად რომ ვთქვათ, შენ უკვე თითქმის გადმოგვეცი და მოგვანიჭე ეს უფლებები და ყველა უფლება-მოვალეობა უკვე მოვიპოვეთ, ისინი ჩვენს ხელშია და ჩვენ გვეკუთვნის. ხომ შეიძლება, სხვადასხვა მიზეზთა გამო ერთ მშვენიერ დღეს გაქრე, მაგრამ სიცოცხლე გაგრძელდება და საჭირო იქნება ზრუნვა შეილებზე, საკონსტრუქტორო ბიუროზე, ვერონიკას გალერეასა და სახელოსნოზე, ჩემს კლინიკასა და სხვა უამრავ რამეზე. შენს ხელმოწერულად კი ვერაფერს მოვაგვარებთ. არაფერზე ინერვიულო, შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, არ გარგებს. შენი არც საკრედიტო ბარათები ჩაგვიჯიბავს, არც საბანკო ანგარიშები გაგვიფლანგავს. რაც შეეხება შენს ხელმოწერას, ბოროტად კი არ გამოგვიყენებია, ვსარგებლობდით მაშინ, როცა საჭირო და აუცილებელი საქმე გვექონდა.

— რომ აღარ მინდოდეს თქვენთან თანამშრომლობა? ხომ შეიძლება, თვითონ დამჭირდეს ჩემი ნამუშევრების გაყიდვა? ამ ჩემი იდეებისა და მოსაზრებათა რეალიზება. მე ხომ არა ვარ...

— სწორედაც რომ შენ ხარ ინვალდი და მუდამ ეტლზე იქნები მიჯაჭვული, ამიტომაც გჭირდება დახმარება. ეს ზრუნვა და დახმარება უნდა იყოს დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტი და მუდმივი, თან შენთვის ადვილად ხელმისაწვდომი. შევბუ-

ლებსას ყოველთვის მოვახერხებთ შენს გაყვანას ქალაქგარეთ. თუ რაიმე ვიდეოფილმის ნახვა მოგიწევს ან სპაგეტ „ალა-პუტანესკას“ მოისურვებ, ყველაფერს შეგისრულებთ. უგუნურად და ახირებულად არ მოიქცე და არ გვაიძულო, ტელეფონი და ეტლის ამნე-ლიფტი გამოგირთოთ. უთუოდ ეცადე, თავიდან აიცილო როგორც ნაწილები, ასევე საშარდე გზების ინფექცია. ამასთან, უნდა დაიმკვიდრო არქიტექტორის, მხატვრისა და უზარმაზარი სტომატოლოგიური კლინიკის დამფუძნებლის რეპუტაცია. შენ თუ არ იქნები თანახმა ჩვენთან თანამშრომლობაზე და არ დაგვცხმარები, ვიპოვებთ ახალგაზრდა მხატვარს, რომელიც შენს მაგივრად დახატავს, იუტა დაინყებს ხიდების დაპროექტებას, კერძო კლინიკებზე კი მე თვითონ ვიზრუნებ. ჯერჯერობით აქ უნდა მოკალათდე გარეთ გაუსვლელად, ოღონდ ლიფტისა და ტელეფონის გარეშე. ფანჯრებს კი დარაბებს გავუკეთებთ. თუ სისულელეების ჩადენა გინდა, ჩაიდინე, ბატონო, ნახავ რასაც მოიგებ! შენი ოინბაზობა და მანჭვა-გრეხა ყელში ამოგვივიდა. სამივეს გვათამაშებდი, შენს ხრიკებში გვხვევდი, გაუთავებლად აქეთ-იქით დარბოდი. დიდხანს ვიტანდით ყველაფერს, ვიტანდით შენს ახირებებსა და კაპრიზებს, ვისმენდით შენს აბლაღუბასა და მონაჩმასს და რა ვიცი, კიდეც რას არა...

— კარგი, კარგი, ჰელა! — მიმართა ვერონიკამ სიცილით, — კმარა, კმარა, შეგვიწყობს ხელს და ისე მოიქცევა, როგორც საჭიროა, მხოლოდ თავპატიუს იღებს.

— მივდივარ! — წარმოთქვა ჰელამ და ნასასვლელად მოემზადა, — მოდიხართ თუ არა? — შემდეგ კაცისკენ მიბრუნდა: ექვს საათზე რომელიმე ჩვენგანი მოვა და დილაზე დარჩება. ასევე იქნება მომდევნო დღეებში. დასაწყისისათვის ასე სჯობს.

ჰელა და ვერონიკა გამოუმშვიდობებლად წავიდნენ. იუტამ ქმარს თავზე ხელი გადაუსვა და მიმართა:

— ჭკვიანად მოიქეცი, არაფერი ჩაიდინო!

მალე მანაც დატოვა თომასი და შინ წავიდა.

ჩვენი გმირი კი მთელ ბინას თავისი სავარძლით ირგვლივ ისე უვლიდა, თითქოს დანავარდობსო; თანდათან რწმუნდებოდა, ყველაფერი ჰქონდა იმისთვის, რათა ნორმალურად ეცხოვრა. ოთახიდან გავიდა, საკიბურს მიუახლოვდა და ლიფტის ლილაკს ხელი დააჭირა, მაგრამ ამნე არ ამოდიოდა, შემდეგ ისევე ტერასაზე გავიდა, თავი მოაჯირზე გადასწია და ქვემოთ ჩასძახა: „ალო! ალოო!“ ვერავის გააგებინა. რა თქმა უნდა, უსავარძლოდ შეეძლო კიბეზე ჩაბობლებულიყო ან ქუჩაში რაიმე ნივთები გადაეყარა, რათა ამით გამეღელთა ყურადღება მიექცია. იმ აზრმაც კი გაუელვა, უბედური შემთხვევის მსხვერპლივით, დიდ ქალაქზე რაიმე დაენერა დახმარების მოსახმობად და ტერასაზე გადაეკიდა... თუმცა კი, ჯერჯერობით, იჯდა და გვეგებს აწყობდა. უკვე გადანყვეტილი ჰქონდა კლინიკის გახსნაზე სიტყვით გამოსვლა, მხოლოდ კარგად უნდა მოეფიქრებინა, რას იტყოდა და გამოსვლას როგორ წარმართავდა. გონებით მალე ის ფერწერული ნამუშევრებიც წარმოიდგინა, რომლებიც უნდა შეესრულებინა. რაც შეეხებოდა ხიდებს, ძალიან სურდა შეეტყო, ინგლისელ შემკვეთებს როგორი ხიდები აინტერესებდათ, ანდა რომელ მდინარეებზე — ტეისა თუ ტემზაზე?

მისი ფიქრები ტკბილ მუხუდოსაც გადასწვდა. ჰო, მართლა, ახლა ხომ უამრავი დრო ჰქონდა და საჭირო იყო პოლიტიკაზეც ეფიქრა. უთუოდ წამოაყენებს თავის კანდიდატურას საოლქო ორგანიზაციაში, შემდეგ კი დეპუტატთა პალატაში. ბუნდესტაგსაც შეიძლება შესწვდეს, რატომაც არა. თუ ყველაფერი წესიერად წარიმართება, სამართალმა უნდა იზეიმოს და უმრავლესობა ქალთა მონინალმდეგე ხმებმა უნდა მოიპოვონ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდება, თომასი მოითხოვს, რომ ასეთი ძალები მოიძიონ, რაშიც უდიდეს მონაწილეობას თვითონაც მიიღებს. ტკბილი მუხუდო თითოეულ ადამიანს!

შემდეგ ჩვენმა გმირმა შეწყვიტა ოცნება და განსაკუთრებულად აღარაფერზე ფიქრობდა. მისი მზერა რაიხსტაგს მისწვდა, სადაც წამცეცა და პანანა ადამიანები გუმბათის ზიგზაგ და ხრახნულ სავალ ბილიკზე გაუთავებლად ადი-ჩადიოდნენ. ადამიანები ჯანმრთელი ფეხებით თამამად მიიბრუნებოდნენ, ზოგიერთნი დაუბრკოლებლად და შეუფერხებლად დაპროდნენ კიდევც. მათ მიმართ თომასს არავითარი ქვენა გრძნობები არ გასჩენია, არც შურდა და არც ეხარბებოდა მათი. არც იმ ადამიანებისა შურდა, რომლებიც დადიოდნენ ან დარბოდნენ ქუჩაზე, სანაპიროზე.

სამივე ქალს ეტყვის, რომ კატა მოუყვანონ აუცილებლად, შეიძლება ორი ფისუნიაც კი. ამ სურვილს თუ არ შეუსრულებენ, ატეხს აყალმაცალს და მათთან ერთად ნებისმიერი საქმეში თანამონაწილეობაზე სასტიკ უარს განაცხადებს.

გერმანიიდან თარგმნა
ნანული ნოზაჩე-ჟულაჰვილია

ბატონო როსტომ! პირველი, ვისაც ეს ლექსი გავუგზავნე, ბატონი იოსებ ჭუმბურიძე გახლდათ... ასე ვაკეთებ ხოლმე, პირველი მას ვაკითხებ და მერე თქვენც გიგზავნით ელექტრონული ფოსტით... მოკლედ, ვეცნობოდი ჩვენი დიდებული ადამიანისა და მწერლის ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილ თელავის სამეცნიერო კონფერენციის მასალებს... „ბაირონის იტალიური დღიურებიც“ რომ წავიკითხე, მაშინაც მქონდა მცდელობა რამე დამეწერა... უფრო სწორად, ბუნებრივად მოხდა ყველაფერი... კონფერენციის მასალების გაცნობამ მიბიძგა, ეს ლექსი შექმნილიყო... არ ვიცი, რა გამოვიდა, მაგრამ, ვფიქრობ, კარგად გამოხატავს ბატონი ოთარის ცხოვრება-მოღვაწეობის კრედიტს...

ელგუჯა მარლია

ოთარ ჩხეიძის მონოლოგი

ინამე გადარჩენა, გადარჩენა ინამე...
რომანიდან „ბორიაცი“

რა ეშველება საქართველოს
კურაპალატო? —
საუბედუროდ, ვინ არ მტრობს და
ვინ არ ლალატობს...
კნინდება ენა -
ოდითგან რომ ვწერთ და ვსაუბრობთ...
უკვდავებისკენ რომ გვეძახის
სამოგზაუროდ...
რად დაჩიავდა
სული მტკიცე, გაუტეხელი?..
ბედის სიმუხთლეს მინდობილინი
დავეხეტებით...
რამ დაგვიჩლუნვა
შემართება შეუპოვარი?..
რამ მოგვიმრავლა შინ და გარეთ
მკვლელი, მსტოვარი...
ისევე თარეშობს მარბიელი,
ძველი ხიზანი...
საუბედუროდ მტერ-მოყვარეც
ვერ შევიცანით...
ცოტაა ქვეყნად
ერის შემწე, მისი გამგები...
ჩვენი მამულის
გულმხურვალე მოამაგენი...
ცოტას ამშვენებს ერთგულები
თეთრი მუნდირი;
და პირველობას კვლავ იჩემებს,
შლეგი, უნდილი...
ბევრჯერ გვესროლეს
მონამლული სიტყვის ისარი...
ღმერთო! გაჭვანტე
ალრევანი გონებისანი...
ვერვინ წაუვა უფლის ნებას,
სასჯელ-განაჩენს...
ისმის გოდება ღვთისმშობლისა —
უნდა გადავრჩეთ!!!



ამერიკელთა თვალთ — II

1966 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სერიით „დიდ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცეს ნიგნი სათაურით „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეთა და ჟურნალისტთა შთაბეჭდილებანი, დაფუძნებული პირად შეხვედრებზე კრებულში.

ვიმონებთ მოკლე ნაწყვეტებს აღნიშნული ნიგნიდან.

იუჯინ ლაიონსი (1898-1985) — ამერიკელი ჟურნალისტი. „იუნიტიდ პრესის“ სააგენტოს კორესპონდენტი მოსკოვში, 1928-1934 წლებში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „სტალინი — ხელმწიფე სრულიად რუსეთისა“ (ნიუ-იორკი, 1940).

სტალინის არსებით განსხვავებას მისი კოლეგა-დიქტატორების — ჰიტლერისა და მუსოლინისგან, — ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. გერმანელი „ფიურერი“ და იტალიელი „დუჩე“ აღჭურვილ არიან დინამიკური წინამძღოლობის უნარით. ორივე დახელოვნებული ორატორია, ამასთან — დემაგოგი და უკიდურესად თავდაუჭერილი. ისინი ხედავენ ყველაფერს, მათაც ყველა ხედავს და, ერთსა და იმავე დროს, ახერხებენ ყოფნას ყველგან. ამ თვალსაზრისით, უნარი „ვოჟდისა“ არა მარტო გაცილებით უკმარისია, არამედ სრულიად სხვა წეს-კანონებს ემორჩილება.

სტალინი არ გახლავთ ორატორი. მე მომისმენია მისი ნელი, მძიმე, შთაგონებას მოკლებული სიტყვა რუსულ ენაზე, ძალზე შეფერილი რომ იყო მშობლიური კავკასიური აქცენტით. მას არ გააჩნია პირადი მაგნეტიზმი და არც ეპილეფსიური გზნება, რითაც გამოირჩევიან მისი ტევტონი თუ ლათინი კოლეგები. სტალინი, არსებითად, არის „დიქტატორი კაბინეტიდან“, რომელიც უკეთესად მოქმედებს თავის ქვეშევრდომთაგან განმარტობით, შორს მყოფი და მიუწვდომელი — კრემლის საფარის პირქუს სამკვიდრებელში. თავისი დიქტატორობის ფაშს მხოლოდ ერთხელ მიმართა ხალხს რადიოთი. საერთოდ, როდესაც იგი ლაპარაკობს, რაც იშვიათად ხდება, ამჯობინებს სპეციალისტთა ან პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერების სერჩეულ აუდიტორიასთან საუბარს.

დავკვირვებდვარ დანარჩენი ორი დიქტატორის გამოსვლებსაც — ხმაურიანს, ფეთქებადს, აღსავსეს ისტერიული შესტებით. სტალინი, როგორც ჩვენი შეხვედრისას შევნიშნე, მეტყველებს დინჯად, მოძრაობს აუჩქარებლად და თითქმის სულ არ იყენებს შესტებს. არის ამ კაცში რაღაც ფრიალ აღმოსავლური — უაღრესად ფრთხილია, აწონილ-დანაწონილი ფიქრითა და საკუთარ თავში ჩაღრმავებით. ერთი შეხედვით გეგონება, მოშვებულიაო, მაგრამ შინაგანად დაჭიმულ ზამბარასავით არის. იგი გაგრძობინებს თავის უსაზღვრო ენერჯიას და ემოციებს, ლაგამი რომ ამოუდვია რკინის ხელით.

სტალინის სისასტიკე მძვინვარე და იმპულსური როდია, როგორც ჰიტლერისა ან მუსოლინისა, მაგრამ გაცილებით საზარელია: წყნარი, მოთმენილი, გულდასმით დაგეგმილი. მის პოლიტიკასაც, მეტწილად, იგივე ახასიათებს. მართლაც, გარკვეულ დრომდე რომ შეურწყა თავისი ბედისწერა ჰიტლერისას, ეს ადასტურებს ზემოთქმულს. მსოფლიოს მოულოდნელობად მოეჩვენა მათი კავშირი. სინამდვილეში, სტალინის მხრიდან ეს იყო ხანგრძლივი ჩანაფიქრისა და ზეადამიანური შეუპოვრობის ნაყოფი. როდესაც განვსჯით მის ყოველ ნაბიჯს მსოფლიოს უდიდეს სცენაზე, სადაც ესოდენ მძიმედ ამოყო თავი, შეფასებისას არ უნდა გამოვკრჩეს მისი აწონ-დანაწონის ნიჭი. ფსიქოლოგიურად, ეს აძლევს სტალინს

გარკვეულ უპირატესობას ძალზე თეატრალურ და გულფიცხ დიქტატორებთან საქმის დაჭერისას.

საბჭოთა დედაქალაქის მოსახლეობას პატივი ენიჭება, რომ დროდადრო, ნუთით მაინც, შეავლოს თვალი თავის დიქტატორს, როდესაც ნითელ მოედანზე ჩაივლის ხოლმე მწყობრ მასად, დროშების ღრუბელქვეშ და ჩახრინული ხმით მიესალმება. ამ დიდი აღლუმების დროს სტალინი, როგორც წესი, ლენინის გრანიტის აკლამის პარაპეტიდან გადმოჰყურებს ხალხს თავმობეზრებული და ამკარად მედიდური გამომეტყველებით, მაგრამ მისალმებათა პასუხად მისი ხელის აქნევას აფორიაქების ნიშანიც ემჩნევა. იგი ლაღად ვერ გრძობს თავს ხალხის მასასთან.

სტალინი სრულიად მოკლებულია პირფერობის უნარს, რომელიც უხვად მოსდგამთ სხვა დიქტატორებს. სტალინმა იცის, რომ მისი ძალაუფლება დამოკიდებულია არა მასაზე, არამედ თავის მტკიცე ნებისყოფაზე და დახვეწილ მანიპულაციას ეყრდნობა პოლიტიკური კვანძებით, მუჭში რომ აქვს ჩაჭერილი. იგი ხელისუფლების სათავეში მასების მხრებზე კი არ აღზევებულა, არამედ — შიდაპარტიული პოლიტიკის ლაბირინთული ტალანების გავლით. სტალინი არის განდევნილი და საკუთარ თავში ჩაკეტილი კაცი, რომელიც ცხოვრობს თავის ნაჭუჭქვეშ. მას არ ჰყავს მეგობრები, ჰყავს მხოლოდ ხელქვეითები; არ ჰყავს პოლიტიკური თანაშემწენი, ჰყავს მხოლოდ პირმოთნე შემსრულებელი.

ყველა, ვინც ახლოს ყოფილა მასთან და შემდგომში გაუბედავს ხმის ამოღება, აღნიშნავს ღრმა კნინობითობის სიმპტომებს. სწორედ ამ გრძობას გამოხატავს მისი პატივმოყვარეობა და სისასტიკე, მისი პათოლოგიური წყურვილი შურისძიებისა. იგი ძალზე ჭკვიანია საიმისოდ, რომ არ გამოამყლავნოს პირფერობის სიყალბე და არც ზიზღი გამოხატოს მლიქვნელთა მიმართ. და მაინც სწყურია, უფრო და უფრო მეტად, მოჩვენებითი მამებლობა. უკმარისობის შეგრძნება, ბავშვობიდანვე რომ დაეუფლა, მარტოოდენ წარმატებებით ვერ განუდევნია. მას უნდა ჰქონდეს ხელშესახები საბუთები სიდიადისა და ძალაუფლებისა — უფრო მეტი ქედმოხრილი ხოტბა, უფრო მეტი რეპრესია, უფრო მეტი დაპყრობანი ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ.

მენტალურ დონეზე მისი კნინობითობა უფრო საგრძნობია. იგი იძულებულია, რომ დაუახლოვდეს კულტურის მოღვაწეებს და მფარველობა გაუწიოს ხელმეფებსა. მაგრამ ეს ჭარბი კეთილგანწყობა ერთეულთა მიმართ, სიმპოლური და ამხანაგება გენიასთან, ხელს არ უშლის მის სიმკაცრეს ინტელექტუალებისადმი. მათი ჩამოთვლა, ვინც მოსპო სტალინმა ამ დარგის ადამიანთაგან, წარმოგვიდგება როგორც რეესტრი დღევანდელი რუსეთის „ნაღებისა“.

მიუხედავად ბუნებრივი ცნობისმოყვარეობისა, რასაც იწვევს დიქტატორის პირადი ცხოვრება, ჩვენ გვიჭირს გარკვევა, ვინაიდან სინამდვილეში სტალინი მთლიანად მიჯაჭვულია თავის საქმეს, რომელსაც შეუძლებელია გამოეყოს პირადი. კავკასიელები სახელგანთქმულნი არიან, როგორც ლენინის, ქალეპისა და სიმღერის ტრფიალნი. ეს უწყინარი ცოდვები გაძევებულია სტალინის ბუნებიდან. ძალაუფლების წყურვილს თითქოსდა ჩაუნთქავს მიდრეკილება ყველა სხვა ვნებისადმი. იგი მიელტვის ძალაუფლებას არა იმისათვის, რომ მოიპოვოს ფუფუნება და ხორციელი სიამენი, არამედ — როგორც საფუძველს კიდევ უფრო დიდი ძალაუფლების მოსახვეჭად, მსგავსად ჭუნებისა, რომლებიც აგროვებენ ფულს — ფულის გულისათვის. სტალინს, ძალაუფლების გაზრდის შესაბამისად, სრულიად არ შეუცვლია თავისი ცხოვრების უბრალოება.

სტალინმა იცის, რომ მისი უმნიშვნელო ნება-სურვილიც კი კანონია, რომ 180 მილიონი ადამიანი დამოკიდებულია მის გუნება-განწყობაზე და მისი ბრძანების გაგონებისას თრთის. ზემოთქმული, უდავოდ, ის სიამეა, რითაც ხარობს მისი გონება და გული.

უოლტერ ბედელ სმიტი (1895-1961) — ბრიგადის გენერალი, აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში, 1946-1949 წლებში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „ჩემი სამი წელიწადი მოსკოვში“ (ნიუ-იორკი, 1949)

პირისპირ შეხვედრისას სტალინი სრულიადაც არ ტოვებს არამიმზიდველი პიროვნების შთაბეჭდილებას, როგორც ზოგიერთი ავტორი აღწერს. სინამდვილეში, სტალინს ახასიათებს ჭეშმარიტი მომხიბვლელობა, როდესაც სწავდა, რომ ამით ისარგებლოს. თუმცა ტანმაღალი არაა, მაგრამ კარგად არის ჩამოსხმული, წელგამართულია და ღონიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ომის დანებებისას მან მიატოვა თავისი ძველი, პარტიული ფორმა — ხაკის შარვალი და უბრალო ხალათი, რომელიც ღილებით იკვრებოდა ყელამდე. ჯილდოებს არ ატარებდა, ამჟამად კი საჯაროდ ჩნდება და უცხოელ სტუმრებს იღებს — გამონყობილი საბჭოთა კავშირის მარშლის მუნდირში, რომელსაც ჩვეულებრივ ამშვენებს ერთადერთი ჯილდო — საბჭოთა კავშირის გმირის ძვირფასი ოქროს ვარსკვლავი.

ძლივს შევამჩნიე მის პირისახეზე ნაყვავილარი, რასაც ზოგიერთი ამერიკელი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა. ყველაზე მეტად მიგიზიდავთ სტალინის მშვენიერი, თავლისფერი თვალები, მყისვე რომ გაუბრწყინდება ხოლმე საინტერესო საუბრისას. ეს თვალები არ ყოფილა „ალერსიანი“, როგორც ფიქრობდა ერთი ავტორი და არც „ფოლადივით ცივი“, როგორც უთქვამთ სხვებს. მისი თვალები ფხიზელია, მეტყველი და გონიერი. მშვიდი, აუჩქარებელი და თავდაჯერებული ჩვევები აქვს, ხოლო როდესაც სურს გაათბოს საუბარი, დროდადრო მართლაც უწყინარი ხდება. თავისთავად იგულისხმება, რომ სტალინს შეუძლია შეგანყვეტინოს სიტყვა. მითხრეს, რომ ზოგჯერაც იგი საკუთარ თავს, მოზოდიშებით, უწოდებს „უხიკ ბერიკაცს“.

ჯონ დინი (1896-1982) — გენერალ-მაიორი, მოსკოვში აშშ სამხედრო მისიის მეთაური მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „მოლაპარაკებანი რუსებთან“ (ბოსტონი, 1951).

დავინწყით იმით, რომ სტალინი არის შეუზღუდველი თვითმპყრობელობის ლიდერი, რომელსაც მოეპოვება ისეთივე აბსოლუტური ძალაუფლება, როგორც ივანე მრისხანეს ანდა პეტრე დიდს. როდესაც ხედავ მას პოლიტიბიუროს ისეთ წევრთა საზოგადოებაში, როგორც მოლოტოვი ან მიქოიანია, რწმუნდები, რომ გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ სტალინს ეკუთვნის. იგი ყურს უგდებს თავის მრჩეველებს, მაგრამ სულაც არ ეჩოთრება განზე გადადოს მათი თვალსაზრისი.

ერთი შეხედვით, სტალინს მიმზიდველობა აკლია. ტანმორჩილია და თვალში არ გეცემათ. როგორც ჩანს, მისთვის სულერთია, რას ფიქრობენ მასზე სხვები. ნაკლებ ყურადღებას აქცევს ანდა საერთოდ უგულებელყოფს საზოგადოებრივ პატივს. გრჩება შთაბეჭდილება, რომ ადრეული წლების ჯან-ღონე ფერმკრთალობამ და ღიპის წამოზრდამ შეცვალა, რაც ბოლო წლებში ცხოვრების მჯდომარე ნესს გამოუწვევია. სტალინს ემჩნევა, რომ უკვე 71 წლისაა. ღრმად დანაოჭებია კანი და შეჭალარავებული თმაც შეთხელებია, ადრე ხშირი და შავი ფერის რომ იქნებოდა. იგი ძუნწად ამჟღავნებს თავის გრძობებს. მისი ქცევა არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო. ხაზგასმით გულგრილი გახლავთ. მომდინარე სტალინი კი მინახავს, მაგრამ მისი სიცილი არასოდეს მსმენია. არც ძალზე ალელვებული მახსოვს. იგი დაჯილდოებულია კარგი პოკერისტის ყველა ნიშან-თვისებით.

რაც შეეხება მის ბუნებას, უნდა ვთქვა, რომ სტალინი არის გულადი, ოღონდ წინდახედულიც. მას ძალუძს იმოქმედოს სწრაფად და გადაჭრით ანდა გამოიჩინოს უსასრულო მოთმინება ლოდინისა. მას ძალუძს იყოს კეთილიც და უღმობელიც — განწყობის შესაბამისად. სტალინს აქვს მახვილი ინტელექტი და ჩვეულებრივზე დიდი გონიერება. მან კარგად იცის პოლიტიკური ფასეულობანი — იშვიათია, რომ ადამიანი გაექცეს სტალინის მზერას მისი ძეგლებიდან და სურათებიდან, რომლებიც მოფენილია მთელს საბჭოთა კავშირში. იგი საჯაროდ იფიქრება ხოლმე ბავშვებს. მას შეუძლია ხელი მოგითათუნოს ზურგზე და ასევე იოლად გამოგჭრას ყელი. მისი სუსტი ადგილები მომდინარეობს იმ იდეოლოგიური ფანატიზმის ჩარჩოებიდან, რომლის გავლენის ქვეშ ჩაიარა მისმა ცხოვრებამ.

თეირანის კონფერენციის მონაწილე ამერიკელთა უმრავლესობა იქ პირველად შეხვდა სტალინს, რომელმაც დიდი და სასიკეთო შთაბეჭდილება მოახდინა მათზე — შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი მხარს უჭერდა ამერიკელთა თვალსაზრისს ჩვენს დავაში ინგლისელებთან. მაგრამ ამისგან დამოუკიდებლადაც კი შეუძლებელი იყო, არ შეგემჩნიათ ამ კაცში სიდიადის ნიშნები.

სტალინი მშვენივრად ერკვევა დეტალებში. იგი საოცრად გათვითცნობიერებულია ისეთ საკითხებში, როგორიცაა შეიარაღების სხვადასხვა სახეობათა ტაქტიკურ-ტექნიკური თვისებანი, თვითმფრინავთა კონსტრუქციული თავისებურებანი, საომარ მოქმედებათა საბჭოთა მეთოდისა და უმნიშვნელო ტაქტიკური ხერხებიც.

მცირე კომენტარი რუსი ჟურნალისტის ნასიბრძნე

მიმდინარე წლის 30 სექტემბრის ნომერში გაზეთმა „მოსკოვსკი კომსომოლცმა“ (როგორც ჩანს, რუსები ვერ შელევნიან ამგვარ სახელწოდებას!) დაბეჭდა ჟურნალისტ მიხაილ როსტოვსკის სტატია სათაურით „სამიტი პუტინი-ნაზარბაევი: მითქმა-მოთქმა ბევრია, სკანდალი არა“. ქვესათაური კი ასეთი გახლავთ. „რუსეთის „გაყრა“ ყაზახეთისაგან არ ჩანს — როგორც უნდა უნდოდეს ეს დასავლეთს!“

აღნიშნულ ფრიად ზერელე ჟურნალისტურ ოპუსში ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ისტორიულ-ფილოსოფიურმა „აღმოჩენამ“. ადარებს რა ნაზარბაევისა და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მოღვაწეობას, რუსი ჟურნალისტი სენსაციურ აღმოჩენას გვთავაზობს. მიუხედავად ყაზახთა სუსტი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა, პირველმაო „დამოუკიდებლობის მიღების კრიტიკულ მომენტში ქვეყანა წარმართა სწორი გზით და მიუხედავად „საჭის მძლავრი ვიბრაციისა“, შეძლო სწორ გზაზე დაყენება“. ამისაგან განსხვავებით, თუმცა საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოცდილება განუზომლად მეტიაო, „მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკას მეთაურობდა ავანტიურისტული და ქსენოფობიური პლანის რომანტიკოსი ზვიად გამსახურდია და საქართველო შთაინთქა დაშლისა და სამოქალაქო ომის უფსკრულში“. რუსი ჟურნალისტის მიხედვით, მისგან განსხვავებით „სალი აზრის დიდი მარაგით დაჯილდოებული პრაგმატიკოსმა და ინტერნაციონალისტმა ნაზარბაევმა არ დაუშვა, რომ ყაზახეთს იგივენაირი ბედი გაეზიარებინა. ამისათვის კი მზად ვარ მას თავი დაბლა დავუხარო“. ისე გამოდის, რომ იგი სწუხს საქართველოს უახლოესი ხანის ბედის გამო.

ჩვენ არ ვიცით, მსგავსი რამ რუს ჟურნალისტს ჭკუასუსტობისა თუ პოლიტიკური კონიუნქტურულობის („კონიუნქტურმჩინა“) გამოისობით მოსდის. მაგრამ აშკარაა, იგი არ ითვალისწინებს მძლავრ გარეგან ფაქტორს თანამედროვე იმპერიალისტური რუსეთის სახით.

საქართველომ მოინდომა რუსეთისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი პოლიტიკური ორბიტიდან გასვლა და ამისათვის კი რუსეთის მხრივ მკაცრად დი-საჯა. ჩვენგან განსხვავებით, ყაზახეთი და კერძოდ, ნაზარბაევი ცდილობენ მნიშვნელოვანწილად ამ ორბიტაზე დარჩენას, რაც ნათლად გამოჩნდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისა და ახალ, პუტინისეული ევრაზიულ კავშირში მისი ნებაყოფლობითი განეკუთვნებით. სხვანაირად ყაზახეთი და სახელდობრ მისი დღევანდელი ლიდერიც რუსეთის მხრივ ბევრად უფრო დამანგრეველ შედეგს მოიმიკიდა, ვიდრე ეს თავს დაატყდა საქართველოს.

ბურაბ ყორანაშვილი